ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურის კვლევათა ინსტიტუტი

ანა ხვედელიანი

საგანმანათლებლო პოლიტიკა და ნაციონალური იდენტობის ფორმირება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

კულტურის კვლევათა დოქტორის (PhD) ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან კაკიტელაშვილი
ისტორიის დოქტორი,
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2022

აბსტრაქტი

თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში დღემდე აქტუალურია ნაციონალიზმისა და ნაციონალური იდენტობის ფორმირებასთან დაკავშირებული კვლევის საკითხები. ნაციონალური იდენტობის ფორმირება მრავალმხრივი და მრავალგანზომილებიანი პროცესია და სხვადასხვა სამეცნიერო დარგის ინტერესების სფეროში ხვდება. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკა და მისი როლი ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესში, 1918-1921 წლებში.

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ქართული საგანმანათლებლო სისტემის ძირეული გარდაქმნა, რიგ შემთხვევებში კი, - მისი ხელახალი შექმნა წარმოადგენდა. ის თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდებოდა ისეთ რეფორმებს, როგორიც არის სამეურნეო, ეკონომიკური თუ თვითმმართველობის რეფორმა. ეს უკანასკნელი იყო კიდეც დაკავშირებული განათლების რეფორმის დემოკრატიზაციის პროცესებთან. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია დემოკრატიის ქართული მოდელის ნიმუშად არის შესაფებული. თუმცა, სწორი იქნება აღვნიშნოთ, რომ დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება პირველი რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკაშიც უნდა გავაგრძელოთ. მით უფრო იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ეს მოდელი ერთდროულად მოიცავდა ეროვნულ ნიადაგზე კულტურული თანასწორობისა და დემოკრატიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო სისტემას. **ჩვენი კვლევის მიზანია** დავადგინოთ, როგორია ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი 1918-1921 წლებში გატარებული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიხედვით და როგორი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალური იდენტობის თავისებურებები.

საკითხის შესწავლისათვის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოვიყენეთ ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია, რომლის ავტორებიც უსვამენ ხაზს განათლების უმნიშვნელოვანეს და განმსაზღვრელ როლზე ნაციონალური იდენტობის ფორმირებაში. ნაციონალიზმის მოდერნისტულ თეორიაში გამოჰყოფენ სამ

მიმდინარეობას: ეკონომიკურ, პოლიტიკურსა და სოციალ-კულტურულს. კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, არჩევანი შევაჩერეთ იმ ასპექტებზე, რომლებიც საკვლევ პრობლემასთან შესაბამისობაშია და ადგენენ, რა როლს ასრულებს კულტურა, განათლება, სასკოლო სისტემის განვითარება, ზოგადად, საგანმანათლებლო პოლიტიკა ერის ნაციონალური იდენტობის ფორმირებაში და რა გავლენას ახდენენ სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები ამ პროცესზე. კვლევის პროცესში გამოიკვეთა ორი მიმართულება, რამაც დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზაც. პირველი მიმართულების მიხედვით, 1918-1921 წლებში, ნაციონალური იდენტობის განსაზღვრისათვის კვლავ მნიშვნელოვანია მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბებული კულტურული ნაციონალიზმის მარკერები: ქართული ენისა და მშობლიურ ენაზე სწავლებს საკითხი, საქართველოს ისტორიის შესწავლის აუცილებლობა და ქართული კულუტურის განვითარების აუცილებლობა; მეორე მიმართულების მიხედვით კი, ის გადადის კულტურულიდან ერი-სახელმწიფოს ფორმირებისაკენ მიმართულ პროცესებზე, რაც აისახება სამოქალაქო ნაციონალიზმის საწყისი ნიშნების გამოვლინებით. ესენია: ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, საგანმანათლებლო პოლიტიკაში ევრიპეიზმის იდეებთან ერთად ეროვნული უმცირესობების განათლების უფლება, სეკულარიზაციის დამკვიდრების საკითხები, კულტურულიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის ელემენტები. შესაბამისად, 1918-1921 წლების ნაციონალური იდენტობის მარკერები ორი მიმართულების ერთობლიობას წარმოადგენს და მას ცალსახად მონოლითური სახე არ გააჩნია და ამის დაასტურებაა 1918-1821 წლების საგანმანათლებლო პოლიტიკა. კვლევის ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიყენეთ შემდეგი კვლევის მეთოდები: დისკურსის ანალიზი და თვისებრივი კონტენტანალიზი. **კვლევის მეთოდები** დაგვეხმარა ემპირიული მასალის კონტექსტუალიზაციის თვალსაზრისით. ესენია: 1918-1921 წლების საარქივო მასალები, მთავრობის სხდომის ჩანაწერები, ანგარიშები, დოკუმენტები, მოხსენებები, ოქმები, ბრძანებები, დეკრეტები, საგაზეთი სტატიები, პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა გამოსვლები, პუბლიცისტური წერილები.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა მომიჯნავე სფეროებში, როგორებიც არის: განათლების მეცნიერებები, ნაციონალიზმის კვლევები, საქართველოს უახლესი ისტორია და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: განათლების პოლიტიკა, ნაციონალური იდენტობა, ერი/ნაცია, ერი-სახელმწიფო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

Abstract

Research issues related to the formation of nationalism and national identity are still relevant in modern humanities and social sciences. Formation of the national identity is a multifaceted and multidimensional process and falls into the field of interest of various scientific fields. The paper presents educational policy of the Democratic Republic of Georgia and its role in the process of national identity formation in 1918-1921.

After the declaration of independence of Georgia in 1918, one of the most important directions of the state policy of the democratic republic was fundamental transformation of the Georgian educational system, and in some cases its re-creation. It was not inferior in its importance to such reforms as agricultural, economic or self-government ones. The latter was even related to the democratization processes of the education reform. The Constitution of Georgia of 1921 is considered to be an example of the Georgian model of democracy. However, it should be mentioned that we should continue the search for the Georgian model of democracy in the educational policy of the First Republic. All the more, taking into consideration the circumstances that this model simultaneously included an educational system based on the principles of cultural equality and democracy on the ground of nationality. **The purpose of our research** is to determine the process of formation and development of the Georgian national identity according to the educational policy carried out in 1918-1921 and the peculiarities of the national identity of the Democratic Republic of Georgia.

In order to study the issue, we used the modernist theory of nationalism as a **theoretical framework**, the authors of which emphasize the all-important and defining role of education in the formation of the national identity. In the modernist theory of nationalism, three courses are distinguished: economic, political and socio-cultural. Based on the interests of the research, we chose the aspects that are in compliance with the research problem and determine the role of culture, education, development of a school system, generally educational policy in the formation of the people's national identity and the influence of socio-political and cultural factors on this process. During the research process, two directions were identified, which also confirmed the research hypothesis. According to the

first direction, in 1918-1921, the markers of cultural nationalism formed in the 60s of the 19th century are still important for defining the national identity: the issue of Georgian language and teaching in the native language, the necessity of studying the history of Georgia and developing Georgian culture; according to the second direction, it moves from the cultural to the processes aimed at the formation of the nation-state, which is reflected by the manifestation of the initial signs of civic nationalism. These are: democratic development of the country, formation of civic consciousness, the right of education for national minorities along with the ideas of Europeanism in the educational policy, issues of establishing secularization, elements of the transition from the cultural to the civic nationalism. Accordingly, the markers of the national identity of 1918-1921 represent a unity of two directions and it does not have an expressly monolithic face, and this is confirmed by the educational policy of 1918-1821. In order to check the research hypothesis, we used the following research methods: discourse analysis and qualitative content analysis. The **research methods** helped us in terms of contextualization of the empirical materials. These are: archival materials of 1918-1921, records of government meetings, reports, documents, summary reports, minutes, orders, decrees, newspaper articles, speeches of politicians and public figures, journalistic letters.

It will be possible to use the findings of the research in various adjacent fields of humanitarian sciences, such as: educational sciences, studies of nationalism, most recent history of Georgia, etc.

Key words: educational policy, national identity, people/nation, nation-state, Democratic Republic of Georgia.

სარჩევი

შესავალი.....1

თავი I. ქართული სოციალ-დემოკრატიის სახელმწიფო პოლიტიკა და ნაციონალური იდენტობის განსაზღვრის საკითხი.....29

თავი II. საგანმანათლებლო კონცეფციის განსაზღვრა 1918-1921 წლებში.....37

თავი III. განათლების რეფორმის მნიშვნელობა ქართულ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ დისკურსში 1918-1921.....53

3.1. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" და სოციალ-დემოკრატიული პარტია განათლების რეფორმის მნიშვნელობის შესახებ.....53

3.2. ჟურნალი "განათლება" 1918-1921.....62

3.3. გაზეთი „საქართველო" და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია განათლების რეფორმის შესახებ.....66

თავი IV. საგანათლებლო პოლიტიკა და ნაციონალური იდენტობის ფორმირების ხელშეწყობისათვის გადადგმული ნაბიჯები.....79

4.1. ქართული ენის მნიშვნელობა ერი-სახელმწიფოს ფორმირებისათვის.....79

4.2. ქართული ენა და საგანმანათლებლო პოლიტიკა 1918-1921 წლებში.....87

4.3. ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო პროგრამები (1918 -1921).....92

4.4. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება საგანმანათლებლო პოლიტიკის კონტექსტში.....108

4.5. ისტორიის სწავლების მნიშვნელობა 1918-1921 წლების განათლების პოლიტიკაში.....117

თავი V. სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირების საწყისები 1918-1921.....126

5.1. საგანმანათლებლო პოლიტიკა და საღვთო სჯულის სწავლების საკითხი.....126

5.2. განათლების პოლიტიკა და მოქალაქე - ჯარისკაცის იდეა ქართულ ჯარში (1918-1921).....144

5.3. ეროვნულ უმცირესობათა განათლების საკითხი 1918-1921 წლებში.....162

დასკვნა.....177

ბიბლიოგრაფია:.....184

შესავალი

თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში დღემდე აქტუალურია ნაციონალიზმისა და ნაციონალური იდენტობის ფორმირებასთან დაკავშირებულ კვლევები.[1] ნაციონალური იდენტობის ფორმირება მრავალმხრივი და მრავალგანზომილებიანი პროცესია და სხვადასხვა სამეცნიერო დარგის ინტერესების სფეროში შედის. წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1918-1921 წლებში გატარებული განათლების რეფორმის ანალიზს ქართული ნაციონალური იდენტობის ფორმირების თვალსაზრისით. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სულ 1028 დღე იარსება, თუმცა, დამოუკიდებლობის სამწლიანი მემკვიდრეობა დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას. უფრო მეტიც, - სულ უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელი ხდება პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეობის სწორი კვლევა და ანალიზი იმ ისტორიული მეხსიერების აღდგენისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური რეჟიმის მსხვერპლს წარმოადგენდა.

1919 წლის 12 მარტს მუშაობა დაიწყო ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ _ დამფუძნებელმა კრებამ, რომელსაც უნდა მიეღო და შეემუშავებინა საქართველოს კონსტიტუცია. მან ქვეყნის მოწყობისათვის აუცილებელი ეკონომიკური, სამეურნეო თუ ფინანსური რეფორმების პარალელურად მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რეფორმების შემუშავება და თანმიმდევრული გატარება დაიწყო განათლების სამინისტროსთან ერთად, რომელიც 1918 წლის 26 მაისიდან ფუნქციონირებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები და ინტელექტუალები ბევრს მსჯელობდნენ განათლების სისტემის მოწყობის გზებზე, რეფორმების სწორად დაგეგმვა-გატარების აუცილებლობაზე. ამ პერიოდის ქართული პრესის, პუბლიცისტიკის, სახალხო განათლების სამინისტროს საარქივო მასალების შესწავლა-გაანალიზებით ირკვევა, რომ ქართველი რეფორმატორების პირველი მიზანი განათლებაში არსებული რუსიფიკატორული პოლიტიკის აღმოფხვრა და

[1] ხვედელიანი, ანა. „სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების მექანიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921," *სპეკალი,* 2020, N14. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/247 (ნანახია 18.07.2022).

განათლების ნაციონალიზაცია-დემოკრატიზაცია იყო. ასევე ქართული რეალობის ევროპული განათლების სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანა მათ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა. ეტაპობრივი მუშაობის შედეგად, მათ შექმნეს განათლების სფეროში ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც გამოიხატა სკოლების გაეროვნულებაში; ახალი, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების შექმნაში.[2] გარდა ამისა, პირველი რესპუბლიკის ხანმოკლე პერიოდი გამორჩეულია უმაღლესი სასწავლებლების დაარსების სიმრავლითაც: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების გარდა, გაიხსნა თბილისის კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, პედაგოგიური და პოლიტექნიკური ინსტიტუტები; შეიქმნა დაწყებითი და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ფართო ქსელი. სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე ქართველები სტუდენტები სხვადასხვა სამეცნიერო დარგებიდან ეტაპობრივად იგზავნებოდნენ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. სწავლების ნაციონალიზაციამ და ქართული ენის პოლიტიკის გატარებამ დღის წესრიგში დასვა ეროვნული უმცირესობების საკითხიც საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებში. საკანონმდებლო დონეზე შემუშავდა მთელი რიგი დებულებები, რომელიც გამოირჩეოდა ეროვნული უმცირესობებისადმი დემოკრატიული მიდგომებით. მთავრობის პოლიტიკას არ უნდა გამოეწვია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მკვეთრი წინააღმდეგობრივი რეაქცია და უნდა გაეტარებინა ბალანსის პოლიტიკა.[3]

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის წარმომადგენლები მუდმივად ხაზს უსვამენ განათლების უმნიშვნელოვანეს და განმსაზღვრელ როლს ნაციონალური იდენტობის ფორმირებაში. ბენედიქტ ანდერსონის აზრით, ფართო კულტურული სისტემა _ ბეჭდვითი მედია, წერა-კითხვის გავრცელება, განათლება, ქმნის საფუძველს პოლიტიკური მიზნებისა და მოძრაობისათვის.[4] ნაციონალიზმის თეორეტიკოსები თანხმდებიან, რომ სკოლებისა და უნივერსიტეტების განვითარება პირდაპირ კავშირშია ერის თვითგამორკვევის პროცესებთან. მმართველი ელიტები კი დღის წესრიგში თავად სვამენ კულტურული, საგანმანათლებლო და ენობრივი

[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] ანდერსონი, ბენედიქტ. *წარმოსახვითი საზოგადოებანი* (თბილისი: ენა და კულტურა), 2003, გვ. 10.

სტანდარტების საკითხს. ისინი გეგმაზომიერი პოლიტიკით ადგენენ მოქალაქეების ნაციონალური იდენტობის ფორმირების კონტურებს.[5] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკაც ადგენს ერის კულტურულ, საგანმანათლებლო და ენობრივ სტანდარტებს ქვეყნის ნაციონალური იდენტობის ფორმირებისათვის 1918-1921 წლებში.

საკვლევი პრობლემის აქტუალობა: როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევები ნაციონალური იდენტობის ფორმირების შესახებ დღემდე არ კარგავს აქტუალობას. კონტექსტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მისდამი ინტერესი ყოველთვის დიდია. ქართული სამეცნიერო ლიტერატურას გააჩნია მრავალფეროვანი გამოცდილება ქართული ნაციონალური იდენტობის კვლევების კუთხით. თუმცა, ამ გამოცდილებაში ნაკლებად მოიძებნება 1918-1921 წლების ისტორიის ამგვარად გააზრების მცდელობები. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში ეროვნული ცნობიერებისა და კულტურული ნაციონალიზმის განვითარების ეტაპია; დამოუკიდებლობის სამი წელი კი არასაკმარისი პერიოდია ნაციონალური იდენტობის ფორმირების სრულყოფილად წარმოჩინებისათვის, რასაც არ ვეთანხმებით წარმოდგენილ კვლევაში. შესაბამისად, ამგვარი მოსაზრება კიდევ უფრო მეტად ზრდის კვლევის აქტულობას და მიგვაჩნია, რომ კვლევაში დასმული საკითხი „საგანათლებლო პოლიტიკა და ნაციონალური იდენტობის ფორმირება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)“ საკითხის ახლებურად გააზრების მცდელობას წარმოადგენს. დაგეგმილი ამოცანის თანმიმდევრულად განხორციელების შემთხვევაში, ის თავის წვლილს შეიტანს ქართული ნაციონალური იდენტობის კვლევების განვითარებაში.

კვლევის მიზანია დავადგინოთ, როგორია ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი 1918-1921 წლებში გატარებული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიხედვით და როგორი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალური იდენტობის თავისებურებები?

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობას შემდეგში: 1918-1921 წლებში, ნაციონალური იდენტობის განსაზღვრისათვის კვლავ მნიშვნელოვანია მე-19 საუკუნის 60-იან

[5] იქვე.

წლებში დაწყებულ კულტურული ნაციონალიზმი. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი, ნაციონალური იდენტობის ფორმირება გადადის კულტურულიდან სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირებისაკენ მიმართულ პროცესებზე, რაც აისახება სამოქალაქო ნაციონალიზმის საწყისი ნიშნების გამოვლინებით. 1918-1921 წლების ნაციონალური იდენტობის მარკერები ორი მიმართულებით ვლინდება და მას ცალსახად მონოლითური სახე არ გააჩნია. ეს პროცესი ასახულია საგანმანათლებლო პოლიტიკაში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის ირგვლივ არსებული კვლევები ადასტურებენ, რომ 1918-1921 წლების განათლების პოლიტიკა არ წარმოადგენს საკითხის მეცნიერულად შესწავლის პირველ მცდელობას. თუმცა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის განათლების ისტორიის ნაციონალური იდენტობის ფორმირების კვლევების ჭრილში განხილვა ჩვენი კვლევის ორიგინალობას და სიახლეს უსვამს ხაზს.

ნაშრომის ღირებულება და დანიშნულება: კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა მომიჯნავე სფეროებში, როგორებიც არის: განათლების მეცნიერებები, ნაციონალიზმის კვლევები, საქართველოს უახლესი ისტორია და ა.შ.

კვლევის მეთოდები. ძირითადი მეთოდი, რომელსაც კვლევა ეყრდნობა, არის დისკურსის ანალიზი, რომელიც სამეცნიერო წრეებში კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდია. ტერმინი "Discourse" ბოლო ათწლეულების ყველაზე მოდურ ტერმინადაც კი არის მიჩნეული, თუმცა, მას მკვეთრი და ცალსახა განმარტება არ გააჩნია. დისკურსს განიხილავენ, როგორც "ენას ქმედებაში", რომელიც სწავლობს ტექსტებში და საუბარში გაცოცხლებულ ენას, რომელსაც საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. დისკურსი სოციალური პრაქტიკის და ინტერაქციის ფორმაა, რომელიც ამა თუ იმ სოციალურ კონტექსტში გარკვეულ სოციალურ ზემოქმედებას ახდენს. მისი გავლენა საზოგადოებრივი მასშტაბებით ხასიათდება. დისკურსის ანალიზის კვლევის მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ უბიძგებს დისკურსი კონკრეტულ სოციალურ აქტივობებს და ქმნის სოციალურ იდენტობებს

გარკვეულ სოციალურ ჯგუფში, ინსტიტუტსა თუ კულტურაში "წევრობის" გზით. ამგვარად, დისკურსი იძენს მნიშვნელობას მაშინ, როდესაც ის აღწერს რომელიმე კონკრეტულ სოციალურ აქტივობას სასურველი ზემოქმედების მოსახდენად.[6]

კოლექტიური ტერმინი "დისკურსის ანალიზი" მრავალგვარ მეთოდებს აერთიანებს, რადგანაც ის კომუნიკაციის პროცესებს სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში და სხვადასხვა პერსპექტივიდან სწავლობს, იქნება ეს ლინგვისტური, სოციოლინგვისტური და ა.შ.[7] ამიტომაც დისკურსის ანალიზის გამოყენების არეალი კონტექსტუალურად მრავალფეროვანია. ჩვენთვის საინტერესოა დისკურსის ანალიზის ერთ-ერთი მიდგომა - ტექსტი და ტექსტურობა. "ტექსტი" ნებისმიერი სახის დოკუმენტირებად ნარატივს გულისხმობს, იქნება ეს წერილობითი, ზეპირი თუ კულტურული ტექსტი. ამ მიდგომის თანახმად, ტექსტის გასაგებად მხოლოდ მისი შინაარსის გაგება არ არის საკმარისი. უნდა გავითვალისწინოთ, რომელ სოციალურ გარემოში შეიქმნა ის და გავაანალიზოთ მისი კონტექსტი; თუ რით აიხსნება მისი შემქნა და რა თანმხლებ დისკურსს გვთავაზობს ეს ტექსტი; ასევე, რა საპასუხო ტექსტის შემქნას იწვევს ის და რის საფუძველზე ვახდენთ მის ინტერპრეტაციას.[8] სწორედ ეს მიდგომა გვაძლევს საშუალებას ჩვენი კვლევის ფარგლებში შევისწავლით ერის ნაციონალური იდენტობის ფორმირება და მასთან დაკავშირებული საკითხები კონკრეტულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით. ესენია: საარქივო მასალები, მთავრობის სხდომის ჩანაწერები, ანგარიშები, დოკუმენტები, მოხსენებები, ოქმები, ბრძანებები, დეკრეტები, საგაზეთი სტატიები, პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა გამოსვლები, პუბლიცისტური წერილები.

კვლევის მეორე მეთოდად ავირჩიეთ თვისებრივი კონტენტანალიზი, რომელიც ტექსტის დეტალურ და სისტემატურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას ახდენს კონკრეტული შინაარსის, თემებისა და ტენდენციების გამოსავლენად. ამგვარი ანალიზის წყაროს წარმოადგენენ პირადი დოკუმენტები (წერილები, დღიურები, ავტობიოგრაფიები), ჯგუფური ინტერაქცია (ფოკუსჯგუფის დისკუსია, პოლიტიკოსებს შორის დებატები), მედია, სამთავრობო და არასამთავრობო

[6] წულაძე, ლია. *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები* (თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2020), გვ. 250-251.
[7] იქვე, გვ. 252.
[8] იქვე, გვ. 262.

ორგანიზაციების დოკუმენტაცია.[9] ანალიტიკოსების ექვს საკვანძო ნიშანს გამოყოფენ, რაც აუცილებელია კონტენტანალიზისას. ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ვირჩევთ იმ ნიშანს, რომელიც ტექსტებს იკვლევს გარკვეულ კონტექსტთან, მიზანთან და დუსკურსთან კავშირში და რომელიც ტექსტის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური რეალობის რეკონსტრუირების საშულებას მოგვცემს კვლევისას გამოყენებული ემპირიულ მასალაზე დაყდნობით. ასეთებია: საგაზეთო სტატიები, პუბლიცისტური წერილები, საარქივო მასალა და ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტაცია. მასალები შერჩეულია თვისობრივი ნიშნით – ყველა მათაგანი ეხება 1918-1921 წლების განათლების პოლიტიკის სფეროს და ასახავს ნაციონალური იდენტობის მაფორმულირებელ მარკერებს. მნიშვნელოვანია დოკუმენტის შექმნის კონტექსტის განსაზღვრაც. მაგალითად, ვინ შექმნა ესა თუ ის დოკუმენტი, როდის და რა ვითარებაში შეიქმნა, რომელი გარე ფაქტორები, მოვლენები, პროცესები იყო მათი თანმხლები და ხელშემწყობი. საბოლოო ეტაპია შეჯამება, დასკვნების გაკეთება.

სამუშაო ცნებები და ტერმინები. კვლევის პროცესში გამოყენებულია შემდეგი ცნებები და ტერმინები: **ნაციონალიზმი, ერი/ნაცია, ერი-სახელმწიფო, ნაციონალური/ეროვნული იდენტობა.**

მათი მნიშვნელობა თანამედროვე სამეცნიერო თეორიებში მწვავე დისკუსიებს იწვევს და რთულია ერთი მკაფიო განსაზღვრების პოვნა. თუმცა, ჩვენი მიზანია თითოეული მათგანის მნიშვნელობა კონკრეტული კვლევის ფარგლებში მოვაქციოთ.

ნაციონალიზმი. სოციალურ და პოლიტიკურ ქართულენოვან ტერმინთა ლექსიკონში აღნიშნულია, რომ ნაციონალიზმი გამოიყენება როგორც იდეოლოგია და როგორც გრძნობა. პირველი მნიშვნელობით ის ემყარება ნაციის, ერის ცნებას და გარკვეულ პოლიტიკურ და კულტურულ მიზნებს ისახავს. მათ შორის უმთავრესია ეროვნული თვითგამორკვევის იდეა, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნეს დამოუკიდებლობის, ირედენტიზმის ან სეცესიის გზით. მეორე მნიშვნელობით, ნაციონალიზმი არის გრძნობა, რომლის მიხედვით ერი და ერი-სახელმწიფო არის უმაღლესი ღირებულება დ მათდამი ლოიალობა დომინანტურია ყველა სხვა

[9] იქვე, გვ. 217.

ლოიალობასთან შედარებით. ე.ი. ეროვნული ინტერესების მაღლა უნდა იდგეს პირად, ნათესაურ, ტომობრივ, კლასობრივ, რელიგიურ და ზოგადსაკაცობრიო ინტერესებზე.[10]

ბენედიქტ ანდერსონი ნაციონალიზმის აცლის ყოველგვარ პოლიტიკურ სარჩულს და მას მხოლოდ კულტურული სისტემებთან გათანაბდებულ მოვლენას უწოდებს.[11]

ჯონ ბრილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმი პოლიტიკური ფორმაა.[12] ბრილი აკრიტიკებს ნაციონალიზმის წარმოშობის შესახებ საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ ხშირად თეორეტიკოსები ნაციონალიზმის ფენომენს არა პოლიტიკურ ყალიბში ათავსებენ. ისტორიული კვლევების პრიზმიდან ხშირად არის საკითხის ამგვარად დასმის მცდელობა, რის გამოც დეცენტრალიზებულია ნაციონალიზმის პოლიტიკური ბუნების მიმართება მოდერნული ერების შექმნის კონტექსტში. მხოლოდ ცალკეულ ელემენტებზე ფოკუსირება, როგორებიცაა კულტურა, იდეოლოგია, იდენტობა, ნაციონალიზმის ფუნდამენტური არსის უგულვებელყოფა იქნებოდა. თუმცა, ჯონ ბრილი, გამოდის რა ნაციონალიზმის ყველა შემთხვევის მკვეთრად ინდივიდუალური ბუნებიდან, - არ გამორიცხავს ნაციონალიზმის გარკვეული ტიპოლოგიის არსებობასაც. ყოველივე აქედან გამომდინარე, ბრილი განსაზღვრავს ნაციონალიზმს, როგორც პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც ძალაუფლებისაკენ მიისწრაფვის და ძალაუფლების ლეგიტიმურობას ამართლებს ნაციონალური არგუმენტებით.[13]

ლია გრინფილდის აზრით, ნაციონალიზმი განასხვავებს ნაციონალობას და ნაციონალურ იდენტობას სხვა ტიპის იდენტობებისგან. ნაციონალიზმი ინდივიდუალური იდენტობის წყაროს პოულობს ხალხში, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორ თვითმყოფადობის, სუვერენიტეტის, ლოიალურობის და კოლექტიური სოლიდარობის ობიექტი. ხალხი, ერი/ნაცია ჰომოგენურია. ის მხოლოდ ზედაპირულად არის დაყოფილი კლასის, სტატუსის, გეოგრაფიული მდებარეობის

---

[10] *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი,* სარედაქციო ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ.; გამომცემელი ლაშა ბერაია, (თბილისი: ლოგოს პრესი, 2004), გვ.184.
[11] ანდერსონი, ბენედიქტ. *წარმოსახვითი საზოგადოებანი* (თბილისი: ენა და კულტურა, 2003), გვ.29.
[12] Breuilliy, John. *Nationalism and the State* (Manchester University Press, 1993), p.2.

და ზოგჯერ, _ ეთნიკურობის მიხედვითაც. ერთადერთი ფუნდამენტური პირობა, რომლის გარეშეც ნაციონალიზმი არ შედგებოდა, ეს იდეაა. არც ერთი ნაცია არ არსებობს იდეის გარეშე. იდეა კი მდგომარეობს ერის/ნაციის შექმნაში, მის სრულყოფასა და ქმნადობაში.[14]

ლოუელ ბარინგტონი ნაციონალიზმის ცნების ირგვლივ არსებულ დისკუსიებში საერთო შეთანხმების არსებობას გამორიცხავს თავად ცნების მრავალგვარი ინტერპრეტაციის გამო. ნაციონალიზმი უპირველესად ნაციას გულისხმობს. ბარინგტონი მიმოიხილავს სხვადასხვა ავტორებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ნაციონალიზმი არის პროცესი ან მოძრაობა. ის არის ერის ეროვნული თვისებების გამაერთიანებელი, რომლის შედეგიც ჯგუფის წევრთა რწმენაა ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შესახებ. სხვადასხვა მოსაზრებების შეჯამებისას, ბარინგტონი გვთავაზობს ნაციონალიზმის განმარტებას: ნაციონალიზმი პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც ორი თვისებით ხასიათდება. 1) ჯგუფის ცალკეული/ინდივიდუალური წევრები თავდაპირველად ლოიალურად არიან განწყობილი მთლიანი ეთნიკური/ნაციონალური ჯგუფის მიმართ. ლოიალურობის განცდა ვრცელდება სხვა ჯგუფების მიმართაც, რომლებთანაც მათ იდეოლოგიური ან ნათესაური კავშირები აქვთ. 2) ამ ეთნიკურ ან ნაციონალურ ჯგუფების უდიდესი სურვილი და მთავარი მიზანი საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექნაა. [15]

ერი/ნაცია. წარმოდგენილ კვლევაში „ერი“ და „ნაცია“ იდენტური მნიშვნელობით არის გამოყენებული. იმისათვის, რომ გავიგოთ ნაციონალიზმის არსი, უნდა ვიცოდეთ რას ნიშნავს ერი/ნაცია.[16] ერების წარმოშობის შესახებ არსებული თეორიები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა: პრიმორდიალიზმი, მოდერნიზმი და ეთნოსიმბოლიზმი. კვლევის თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით, შევეცდებით, ერის მნიშვნელობა მოდერნისტული თეორიის ჭრილში ავხსნათ. მოდერნისტული თეორია ერს მიჯნავს ეთნოსისგან და ერების წარმოშობის საკითხს უკავშირების ახალ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ

[14] Greenfeld, Liah. *Nationalism Five Roads To Modernity* (Cambridge Masssachusetts Harvard University Press, 1992), p.3-4.
[15] Barrington, Lowell,W., Editor. *After Independence: Making and Protection the Nation in Postcolonial and Postcomunist States,* (The University of Michigan Press, 2006), p. 10.
[16] იქვე, p.4.

პროცესებს, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის შედგომ პერიოდიდან იღებენ სათავეს. ზოგიერთი მკვლევარი ერის ფემონენის ახსნას ისეთ ობიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობით ცდილობს, როგორებიცაა ენა, ტერიტორია, რელიგია, ინსტიტუციები. სუბიექტურ ფაქტორად კი პერცეფციებს, დამოკიდებულებებს, სენტიმენტებს მიიჩნევენ, როგორიც არის, მაგალითად, ბენედიქტ ანდერსონის მოსაზრება, რომ ერი/ნაცია არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია არა პოლიტიკურ და სოციალურ, არამედ კულტურულ ფაქტორებზე. ეს არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება და ის წარმოისახება მისი, როგორც თანხლები საზღვრებით, ანუ სუვერენულობით; ის წარმოსახვითია და ერის წევრების უმრავლესობის გონებაში შექმნილია მათი ერთობის ხატი.[17]

ენტონი დ. სმითის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები მაინც პირობითად მიაჩნია. ერის მისეულ განმარტებაში ჩვენი კვლევისთვის შესაბამისი მახასიათებლებია ხაზგასმული: ერი/ნაცია ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობაა, რომელსაც აქვს საკუთარი მიწა, საერთო მითები და ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი.[18] მაიკლ ჰეჩტერი კი თვლის, რომ ერებს აქვთ კოლექტიური ისტორიის მაღალგანვითარებული გრძნობა: ყველა ერს გააჩნია „სოციალურად" სანქცირებული ამბავი, რომელიც გადმოცემულია ზეპირსიტყვირებაში, ტრაციციებში, ისტორიის სახელმძღვანელოებში. ეს განაპირობებს ხალხის განცდას სოციალური იდენტურობის მიმართ. გარდა ამისა, ერის არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტურ კრიტერიუმს ტერიტორიულობა წარმოადგენს. ნამდვილი ან სავარაუდო სამშობლო ითვლება ერის დამახასიათებელ ნიშნად. [19]

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ერის ცნების ერთი საყოველთად აღიარებული განმარტება არ არსებობს. მაგალითად, ლოუველ ბარინგტონი ცნებას ერი (Nation) სახელმწიფოს (State) ცნებისგან ცალკე განიხილავს და მათ ერთმანეთში არევას

---

[17] ანდერსონი, ბენედიქტ. *წარმოსახვითი საზოგადოებანი* (თბილისი: ენა და კულტურა, 2003), გვ.23.
[18] სმითი, ენტონი, დ. *ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია* (თბილისი: არტანუჯი, 2004), გვ.34.
[19] ჰეჩტერი, მაიკლ. *ნაციონალიზმის შეჩერება* (თბილისი: CSS სოციალურ მეცნიერებათა სერია, 2007), გვ.40-41.

პოლიტიკურ მეცნიერებებში ხშირად დაშვებულ შეცდომას უწოდებს. სახელმწიფო არის საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე აღიარებული პოლიტიკური ერთობა, რომელსაც ჰყავს თავისი მოსახლეობა მისთვის განსაზღვრულ, მუდმივ ტერიტორიაზე და ფლობს ინსტიტუციებს. ასევე, ერს არ აიგივებს ეთნიკურ ჯგუფთან, ან ეთნიკურობასთან. ერი შეიძლება წარმოიშვას ეთნიკური ჯგუფისგან, მაგრამ ერი უფრო მეტია, ვიდრე ეთნიკური ჯგუფი. აქვე დასძენს, რომ ერისა და ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთთან გაიგივება, ან უფრო ზუსტად, მათი ერთმანეთში არევა იმ ეპოქის შედეგია, როდესაც ეთნიკური ნაციონალიზმი საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობდა. ერი საკუთარი თვითგამორკვევისაკენ თავად არის მიმართული, განსხვავებით ეთნიკური ჯგუფებისგან, რომლებიც თვითაღქმას „სხვისი“ დახმარებით ახდენენ. ლოუველ ბარინგტონის მიხედვით, ერი არის კოლექტიური ერთობა, რომელიც საკუთარი თავის განსაზღვრისათვის კულტურულ ნიშნებს ანიჭებს უპირატესობას – ენა, რელიგია, მითები, ფასეულობები, საერთო საზიარო ტერიტორია და ა.შ. ის მარკერებია, რომლებითაც განისაზღვრება ნაციონალური იდენტობა.[20] ჯონ ბრილის განმარტებით: 1. ერი არსებობს გამოკვეთილი და გამორჩეული ხასიათით. 2. ერის ინტერესები და ფასეულობები პრიორიტეტულია ყველა სხვა ფასეულობასა და ინტერესებზე. 3. ნაცია/ერი უნდა იყოს დამოუკიდებელი. ეს მოითხოვს პოლიტიკური სუვერენიტეტის მიღწევას.[21]

ერი-სახელმწიფო. სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ ეს არის სახელმწიფოს ტიპი, რომელიც პოლიტიკურ ლეგიტიმაციას იღებს სუვერენული ხალხის ანუ ერის სამსახურით. სახელმწიფო პოლიტიკური და გეოგრაფიული რეალობაა, ერი – კულტურული და ეთნიკური. აქ ერი და სახელმწიფო ერთმანეთს ემთხვევა. სახელმწიფო გარკვეული ეთნიკურობის მატარებელი ხალხის მომცვლია, ხალხი კი არის გარკვეული სახელმწიფოს მფლობელი. ერი-სახელმწიფოს შექმნას წინ უსწრებს ერის, როგორც კულტურული ერთობის წარმოქმნა და ნაციონალური იდენტობის მარკერების მკაფიო გამოკვეთა. მას შემდეგ, რაც კულტურულ ერთობაში ეროვნული თვითშეგნება მომწიფდება, დღის წესრიგში დგება ერი-სახელმწიფოს ფორმირების საკითხიც. ერი-სახელმწიფოს მოსახლეობა ეთნიკურად მონოლითური

[20] Barrington, Lowell,W., Editor. *After Independence: Making and Protection the Nation in Postcolonial and Postcomunist States,* (The University of Michigan Press, 2006),p.4.
[21] Breuilliy, John. *Nationalism and the State* (Manchester University Press,1993), p.2.

არ არის. თუმცა, ის არის სუვერენული პოლიტიკური ერთობა ერთი ერის დომინანტური მდგომარეობით.[22]

ნაციონალური იდენტობა. ენტონი დ. სმითი ნაციონალურ იდენტობას კოლექტიურ ფენომენს უწოდებს იდენტობათა სიმრავლეს, რომელთა ფარგლებში გენდერის კატორია, სივრცის ანუ ტერიოტორიის კატეგორია და სოციალურ-ეკონომიკური, იგივე სოციალური კატეგორია მოიაზრება. ასევე აღნიშნავს, რომ რასაც ნაციონალურ იდენტობას ვუწუდებთ, ის პოლიტიკური ერთობის გარკვეულ ცნებასაც გულისხმობს. პოლიტიკური ერთობა ნიშნავს გარკვეული საერთო ინსტიტუციების და ამ ერთობის ყველა წევრისათვის უფლებათა და მოვალეობათა ერთიანი სისტემის არსებობას. ის ასევე გულისხმობს მკაფიოდ შემოსაზღვრულ ტერიტორიას, რომელთანაც არსებული ერთობის წევრები იდენტიფიცირდებიან. [23]

ნაშრომის თეორიული ჩარჩო. ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია წარმოადგენს, რომელიც ნაციონალიზმის მიმდინარეობათა შორის ყველაზე გავრცელებული და პოპულარული თეორიაა. მოდერნიზმის ძირითადი არსი გამოიხატება თეზისით, რომ ერები და ნაციონალიზმი ახალი ფენომენია და მათი ისტორია უკანასკნელი ორი საუკუნით თარიღდება. თუმცა, ის არ არის ერთიანი და ცალსახად გამოკვეთილი თეორია. ის მიმდინარეობათა ერთობლიობაა, რომლებსაც ერთი საერთო ნიშანი ახასიათებთ - ერებისა და ნაციონალიზმის ახალი ეპოქის ფენომენებად მიჩნევა.[24]

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიში გამოიყოფა სამი მიმდინარეობა: ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალ-კულტურული. კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, არჩევანი შევაჩერეთ იმ ასპექტებზე, რომლებიც საკვლევ პრობლემასთან შესაბამისობაშია და ადგენენ, რა როლს ასრულებს კულტურა, განათლება, სასკოლო სისტემის განვითარება, ზოგადად, საგანმანათლებლო პოლიტიკა ერის ნაციონალური იდენტობის ფორმირებაში და რა გავლენას ახდენენ სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები ამ პროცესზე. შესაბამისად, ჩვენს მიერ არჩეული თეორეტიკოსების მსჯელობიდან იკვეთება ორი მიმართულება:

[22] დავითაშვილი, ზურაბ. *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია* (თბილისი: მეცნიერება, 2003), გვ.33.
[23] სმითი, ენტონი,დ. *ნაციონალური იდენტობა* (თბილისი: ლოგოს პრესი, 2008), გვ. 4-10.
[24] დავითაშვილი, ზურაბ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია (თბილისი: მეცნიერება, 2003), გვ.100-101.

1) ნაციონალიზმი, როგორც კულტურული ფენომენი. 2) ნაციონალიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა.

ერნესტ გელნერი, რომელიც ერებისა და ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია, ნაციონალიზმს უწოდებს პოლიტიკურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური და ეროვნული ურთიერთთანხვედრილი უნდა იყოს და აქვე აღნიშნავს, რომ თავად ნაციონალიზმი არის პოლიტიკური ლეგიტიმურობის თეორია.[25] ერნესტ გელნერის თეორიაში გამოვარჩევთ იმ მოსაზრებას, სადაც ის საუბრობს განათლებისა და კულტურის გადამწყვეტ როლზე საზოგადოების განვითარების საქმეში, რამაც, საბოლოო ჯამში, ერების ფორმირებას და საზოგადოების განვითარებას შეუწყო ხელი. ერნესტ გელნერი გამოყოფს უნივერსალური, მაღალი კულტურის ხანას, რომელიც ინდუსტრიული საზოგადოების თანმდევია და რომელიც შემდეგი მახასიათებლებით გამოირჩევა: წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელება, საზოგადოების წევრთა მობილობა და მუდმივი განვითარებისაკენ სწრაფვა, საგანმანათლებლო სისტემები, რომელიც ფართოვდება და აუცილებელი ხდება. ასეთ საზოგადოებაში განათლება ყველაზე დიდი ინვესტიციაა და ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის იდენტობას განსაზღვრავს იმ პრინციპის გამო, რომ ადამიანი მხოლოდ კულტურის ერთგულია.[26] ადამიანს სკოლაში მიღებული განათლება და არა მხოლოდ ხალხური გზით გადაცემული კულტურა ანიჭებს საზოგადოებისათვის აუცილებელი პიროვნების სტატუსს. ეს კი ნიშნავს, რომ სასკოლო განათლების მნიშვნელობა შეუცვლელია.[27] ეგზოსოციალიზაცია, ანუ განათლება უნივერსალური სოციალური ნორმაა. ერნესტ გელნერი აღნიშნავს, რომ განათლება და საგანმანათლებლო სტრუქტურა მეტისმეტად ძვირადღირებულია ისეთი ორგანიზაციისათვის, როგორიც სახელმწიფოა. შესაბამისად, მხოლოდ სახელმწიფოს ძალუძს აკონტროლოს მისთვის უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფუნქციის მატარებელი ინსტიტუტი. ასეთ საზოგადოებაში კულტურა და განათლება აღარ წარმოადგენენ ელიტების ექსკლუზიურ ფუფუნებას. აქ კულტურა საყოველთაოდ აუცილებელი ღირებულებაა. მხოლოდ კულტურა არის ის სივრცე, სადაც საზოგადოების წევრებს შეუძლიათ

[25] გელნერი, ერნესტ. *ერები და ნაციონალიზმი* (თბილისი: ნეკერი, 2003), გვ.5.
[26] იქვე, გვ.47.
[27] იქვე,გვ.47.

თვითგამოხატვა და თვთიდენტიფიცირება, სუნთქვა, წარმოება, ლაპარაკი. სახელმწიფო, თავის მხრივ, აკონტროლებს საზოგადოების წევრებზე განათლების საშუალებით, რადგანაც სახელმწიფო პასუხისმგებელია სიცოცხლისუნარიანი და გამოსადეგი ადამიანების შექმნაში. ამაში კი მას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სისტემა, დამწერლობითი და ერთიანი კულტურა ეხმარება. აქედან გამომდინარე, ერნესტ გელნერი მკაფიოდ განსაზღვრავს განათლების როლს ერებისა და საზოგადოების განვითარების საქმეში. რაც მთავარია, მის მთავარ მაკონტროლებელ მექანიზმად სახელმწიფოს და მის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას მოიაზრებს, სადაც განათლება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. სახელმწიფო აერთიანებს სახელმწიფოს და კულტურას. ამიტომ იქმნება საჭიროება, რომ სახელმწიფომ გადაფაროს კულტურული წვდომის ყველა არე. ნაციონალიზმისა და განათლების ურთიერთმიმართება განისაზღვრება იმ პრიციპით, რომ ყოველი პოლიტიკური ერთეულის წიაღში კულტურა და საყოველთაო განათლება საგანმანათლებლო სისტემების განვითარების საშუალებით არის გამყარებული.[28]

ნიშანდობლივია, რომ კულტურა პოლიტიკური ლეგიტიმურობის შემნახველი ხდება, რაც თავისთავად, პოლიტიკური საზღვრების დადგენის ხელმშემწყობი ფაქტორია. შესაბამისად, ერნესტ გელნერი აღნიშნავს, რომ „შეიძლება ერი განისაზღვროს ნებისა და კულტურის მეშვეობით და ამ ორთან პოლიტიკური ერთეულების დამთხვევით. შესაბამისად, პოლიტიკა გააფართოებს თავის საზღვრებს თავისი კულტურის ჩარჩოებამდე, რათა საკუთარი ძალაუფლების გავრცელების არეში დაიცვას და კვლავ წარმოშვას თავისი კულტურა. ნების, კულტურის და პოლიტიკის გაერთიანება ნორმა ხდება და არც ერთი მათგანის ერთი ხელის მოსმით უგულვებელყოფა არ არის ადვილი.[29]

ენტონი დ. სმითის კონცეფცია ნაციონალური იდენტობის დასავლური სამოქალაქო მოდელის შესახებ კვლევის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში თავსდება. ენტონი დ. სმითი ნაციონალურ იდენტობას განიხილავს, როგორც პოლიტიკური ერთობის გამომხატველ ცნებას. პოლიტიკური ერთობა გულისხმობს, რომ მკაფიოდ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე განთავსებულია გარკვეული საერთო ინსტიტუციები

[28] იქვე,გვ.52.
[29] იქვე, გვ.71.

და განსაზღვრულია სოციალური სივრცე, რომელთანაც არსებული ერთობის წევრები იდენტიფიცირდებიან.[30] ინსტიტუციების არსებობა საერთო პოლოტიკურ განწყობილებებსა და ამოცანებში ჰპოვებენ ასახვას. მზარდი სამართლებრივი და პოლიტიკური ცნობიერების თანმდევად შეიძლება მოვიაზროთ საზოგადოებაში ერთობის წევრთა შორის სამართლებრივი თანასწორობის ცნებაც. მისი სრული გამოვლინებაა სხვადასხვა სახე „მოქალაქეობისა", - ისეთი, როგორიც არის სამოქალაქო, სამართლებრივი თუ კულტურული უფლება-მოვალეობები; ასევე, სოციალურ-პოლიტიკური უფლებები. პოლიტიკური ერთობის წევრთა მიერ საერთო სამართლებრივი თანასწორობის განცდა საერთო ღირებულებებისა და ტრადიციების წყალობით ხდება, რაც გულისხმობს შემდეგს: საერთო კულტურა და სამოქალაქო იდეოლოგია აკავშირებს ერთობის წევრებს მათსავე მიწა-წყალზე. ენტონი დ. სმითი ხაზს უსვას იმ გარეოებას, რომ განათლების კარგად განვითარებული სისტემებისა და ბეჭდური მედიის საშუალებით ვრცელდება საერთო სახალხო კულტურა. ამიტომაც, ნაციონალური იდენტობის დასავლურ სამოქალაქო მოდელში ნაცია პოლიტიკურთან ერთად, კულტურული ერთობაც არის, რომლის წევრებსაც აერთიანებთ საერთო ისტორიული მეხსიერება, მითები, სიმბოლოები, ტრადიციები. ისტორიული ტერიტორია/სამშობლო, სამართლებრივ-პოლიტიკური საზოგადოება, საერთო სამოქალაქო კულტურა და იდეოლოგია, ტერიტორიული მობილურობის უზრუნველყოფა – ყოველივე ეს არის ნაციის/ერის სტანდარტული, დასავლური მოდელის კომპონენტები და შესაბამისად, ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელიც. გამოდის, რომ ნაციონალური იდენტობის ძირითადი ნიშან-თვისებები გამოიხატება შემდეგ მარკერებში: 1. ისტორიული ტერიტორია, ანუ სამშობლო. 2. საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება. 3. საერთო საზოგადოებრივი განათლება. 4. ყველა წევრისათვის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი. 5. საერთო ეკონიმიკა ის წევრთათვის ტერიტორიული მობილობის უზრუნვეყოფით.[31] ენტონი დ. სმითის აზრით, ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებისათვის ნაციის ენა, სიმბოლოზმი, ნაციონალური იდეოლოგია, კულტურული დოქტრინა აუცილებელი კომპონენტებია. ნაციონალიზმი არის იდეოლოგია, რომელიც ნაციას თავისი ინტერესების ცენტრში

[30] სმითი, ენტონი, დ. *ნაციონალური იდენტობა* (თბილისი: ლოგოს პრესი, 2008), 10-11.
[31] იქვე, გვ.17.

აქცევს და ესწრაფვის ხელი შეუწყოს მის კეთილდღეობას, მაგრამ ეს განმარტება საკმაოდ ბუნდოვანია და ამიტომაც, სმიტი მიიჩნევს გამოიკვეთოს ის მთავარი ამოცანები, რომელთა სახელითაც ესწრაფვის ნაციონალიზმი ნაციის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ესენია: 1) ნაციონალური ავტონომიურობა. 2) ნაციონალური ერთიანობა. 3) ნაციონალური იდენტობა.

ჯონ ბრილი არის ის თეორეტიკოსი, რომელიც ნაციონალიზმსა და ნაციონალური იდენტობის ფორმირებას წმინდა პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს და მას პოლიტიკურ ტრანსფორმაციას უწოდებს. ავტორი მოდერნული ერების წარმოშობის მიზეზად პოლიტიკის ბუნების ტრანსფორმაციას მიიჩნევს და მას თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირების საფუძვლად თვლის. ნაციონალიზმის პოლიტიკური მიზნების უკეთ გასაგებად, ბრილი გვირჩევს, კარგად შევიხედოთ ნაციონალიზმის „მთავარი სცენის“ მიღმა და დავაკვირდეთ, რა სახის არაპოლიტიკური იმპულსები ქმნიან გარემოს ნაციონალიზმის პოლიტიკური ბუნების ჩამოყალიბებისათვის.[32] ბრილი განიხილავს ნაციონალური იდეოლოგიის წყაროებსა და ურთიერთმიმართებებს, რომლებიც ტრანსფორმირდებიან პოლიტიკურ პროცესებში. ჩვენი კვლევის ფარგლებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელზე შევჩერდებით.

ჯონ ბრილი ნაციონალიზმის იდეოლოგიას ინტელექტუალური ფენომენის ჭრილში განიხილავს.[33] იდეოლოგია, _ ცალკეული ინდივიდებისა და საზოგადოების, როგორც მთლიანობის პრობლემებს, ერთმანეთთან აკავშირებს. ამიტომაც, იდეოლოგია, გარდა იმისა, რომ საზოგადოების წევრებს შორის ემოციური გაწონასწორებულობის ფუნქციას ასრულებს, - ერების მშენებლობის პროცესში ის პოლიტიკის იარაღიც არის. პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფო და საზოგადოება ორივე დამოუკიდებელი და განვითარებული მოცემულობაა. თუმცა, ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთმიმართების გზა პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ კავშირებზე გადის. ასეთ კომპონენტებად ბრილი ერების/ხალხის მშობლიურ ენას და ისტორიას მიიჩნევს. ენის, როგორც სააზროვნო სივრცის შემოსაზღვრა, მისი განვითარება და

[32] ხვედელიანი, ანა. „სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების მექანიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921),“ *სპეკალი,* 2020, N14. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/247 (ნანახია 18.07.2022).
[33] Breuilliy, John. *Nationalism and the State* (Manchester University Press, 1993), p.48-51.

დასწავლა შესაძლებელია ერთიან სოციალურ სივრცეში. ერთ ენაზე მოსაუბრე ერთობას აქვს ერთიანი სააზროვნო სივრცე და ის ერთობისთვის უნივერსალური ფასეულობების მანიფესტაციაა, რომელიც თაობებში გენერირდება. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მშობლიური ენის უდიდეს მნიშვნელობას სოციალური ერთობისათვის.

მეორე კომპონენტი ისტორიაა, რომელიც საერთო ენაზე მოსაუბრე ერთობის წევრებს, საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვის და საზოგადოების გაგების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ისტორია არ არის გამართლება აწმყოში მიღებული გადაწყვეტილებების. არამედ, ის საზოგადოების სულის გაგების და შესწავლის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.[34] წარსულის აღდგენა და ერის/ნაციის თავისთავადობის პოპულარიზაცია, ნაციონალური იდეოლოგიისათვის დიდი ზეგავლენის მქონე ფენომენია. გზა კულტურული იდენტობიდან პოლიტიკურამდე ნიშნავს ნაციის, როგორც კულტურული ერთობის პოლიტიკურ ერთობამდე ჩამოყალიბებას, რაც კატეგორიულად გულისხმობს, რომ ეროვნული ერთობის იდეალი ჰომოგენურია და არ იყოფა ცალკეულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ერთობებად.[35] ნაციონალური იდეოლოგია მუშაობს ერებში არსებული ღირებულებებისა და პრაქტიკების ახლებურად ხედვის კუთხით, ამიტომაც საზოგადოებაში ფართოდ გავცელებული წარმოდგენებისა და სენტიმენტების ფართო არჩევანი მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წამოაყენონ პოლიტიკური მოთხოვნები. ერის კულტურული იდენტიფიკატორები მეტ დამაჯერებლობას ჰმატებენ მათ მოთხოვნებს. ჯონ ბრილი აღნიშნავს, რომ მოდერნული ერების მშენებლობის პროცესში, ნაციონალური იდეოლოგია ის ძალაა, რომელიც არსებითია ცალკეული ინსტიტუციების კოორდინაციის, მობილიზიციისა და ლეგიტიმურობის განმტკიცების თვალსაზრისით. როგორც წესი, ნაციონალიზმის იდეოლოგია მოქმედებს სამ კონცეფციაზე დაყრდნობით. ბრილი აღნიშნავს, რომ შეიძლება ეს კონცეფციები ზოგჯერ შეუთავსებლად მოგვეჩვენოს, თუმცა, სწორად შესწავლის საფუძველზე მათ მართებულობაში ეჭვი არ შეგვეპარება. 1) ეს არის

[34] იქვე, p. 54-70.

[35] ხვედელიანი, ანა. „სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების მექანიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)," *სპეკალი,* 2020, N14. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/247 (ნანახია 18.07.2022).

კონცეფიცია უნიკალური ნაციის/ნაციონალური საზოგადოების/ჯგუფის არსებობის შესახებ, რომელიც თავისი განვითარების რომელიმე ეტაპზე შეფერხებულია, მაგრამ შესაძლებელია მის ავთენტურ მდგომარეობამდე კვლავ მიყვანა. 2) ეს არის კონცეფცია ერის/ნაციის შესახებ, რომელსაც თავისი სახელმწიფო აქვს. 3) ერი, როგორც მოქალაქეთა ერთობლიობა, რომელიც მთლიანად პოლიტიკური კონცეფციაა და მისი თვითგამორკვევის იდეა გამართლებულია უნივერსალური პოლიტიკური პრინციპებით.[36]

მიროსლავ ჰროში ნაციონალიზმის გარშემო გამართულ დისკუსიებს პოლიტიკური აზროვნების ყველაზე შთამბეჭდავ ფენომენს უწოდებს. ჰროში მოდერნული ერების საფუძვლებს განიხილავს, როგორც ფუნდამენტურ რეალობას, ხოლო ნაციონალიზმს კი – ამ ერების არსებობიდან გამომდინარე ფენომენს. ის მოდერნული ერის წარმოშობას დიალექტიკურ პროცესად აღიქვამს და საჭირო მიაჩნია, ერების წარმოშობის კონტექსტი სოციალური განვითარების დინამიკასთან მიმართებაში განიხილოს. ერის კონცეფცია არის აღიარება იმ პოზიციის, რომ არ შეიძლება ის განისაზღვროს მხოლოდ ფიქსირებული მახასიათებლებით, არამედ - ამ მახასიათებლების მიმართებით მთელ საზოგადოებასთან, სოციალურ ჯგუფებთან. ეს ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი იქნებოდა ერისა და მისი ფორმირების პროცესების გააზრებისათვის. ერის ფუნდამენტური მახასიათებლები მის წევრებს შორის ორმხრივ, ურთიერთ-თანაზიარობის და სოლიდარობის განცდაზე გადის. ეს მუდმივად კომპლექსური განვითარების პროცესს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ჰროში უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ერი დიდი სოციალური ჯგუფია, რომელსაც თავისი ისტორიული წარმომავლობა აქვს და ხასიათდება მრავალმხრივი ურთიერთმიმართებითი ფაქტორებით: - ეკონომიკა, ტერიტორია, პოლიტიკა, რელიგია, კულტურა, ენა, ტრადიციები, სიმბოლოები. ეს ფაქტორები ცნობიერ ასახვას ჰპოვებენ ჯგუფის წევრებს შორის და ქმნიან ერის ნაციონალურ თვითშეგნებას, ცნობიერებას, რაც საბოლოო ჯამში, ნაციონალურ იდეოლოგიასა და მოძრაობაში გადაიზრდება ხოლმე.

მიროსლავ ჰროშის მოსაზრებები ნაციონალიზმისა და ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების შესახებ, სოციალურ-კულტურულ ტრანსფორმაციებს

[36] იქვე, p.62.

ეფუძნება. კაპიტალიზმის ჩანასახებმა, შემოდგომში კი, მისმა განვითარებამ ნაციონალურ ჯგუფებს შეუქმნა პირობები ნაწილობრივ, ან მთლიანად აღმოჩენილიყვნენ დომინანტ პოზიციებზე და კულტურული იდენტიფიკატორები თავიანთი მართვის ქვეშ მოექციათ; დაებრუნებინათ მათთვის ისტორიულად განპირობებული და ჩამოყალიბებული მდგომარეობა. სწორედ, ამ პროცესს უწოდებს მიროსლავ ჰროში ერის ნაციონალური აღორძინების დასაწყისს პატარა ერებში. ცალკეული ერების შემთხვევაში, შესარჩევი კრიტერიუმების მრავალფეროვნება დამაბნეველი იქნებოდა, რომ არა ერთადერთი ობიექტური ჭეშმარიტება – საზოგადოების ტრანსფორმაცია. ნებისმიერი ერის ცხოვრებაში ეს ტრანსფორმაცია ინტელექტუალთა ჯგუფების გააქტიურებით ხდება. მათი ინტერესი, საზოგადოებრივი აქტივობების სფეროში, განპირობებულია განმანათლებლურ-პატრიოტული მოტივებით: ენის, ისტორიის, კულტურის აქტივაციით, საგანმანათლებლო კერების დაარსებით. უმაღლესი განვითარების დონეზე, ინტელექტუალთა ჯგუფები, ხალხის მობილიზებას ახდენენ ეროვნული იდეის გარშემო, რაშიც მათ ბეჭვდითი მედია, საგანმანათლებლო კერები, სკოლები, უნივესიტეტები ეხმარებიან. მიროსლავ ჰროში მას ნაციონალური ცნობიერების „ფერმენტაციის“ პერიოდს უწოდებს (The fermentation of national conciousness) [37] და სამ ფაზას მოიცავს: A ფაზა მოიცავს ნაციონალიზმის საწყის ეტაპს, როცა ინტელექტუალთა/ პატრიოტების მოქმედება მიმართულია საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ენის უნიფიკაციისა და ლიტერატურული ენის ნორმების ჩამოყალიბებისაკენ, ასევე საკუთარი ისტორიისა და კულტურის შესწავლა-პროპაგადისაკენ. ამ დროს პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება არ ხდება, რადგანაც ამისათვის არც მოსახლეობაა მზად და არც ობიექტური პირობებია ამისათვის მომზადებული. B ფაზა იწყება მაშინ, როდესაც აქტივისტთა/პატრიოტთა ჯგუფები მიზნად ისახავენ მიიმხრონ რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი საკუთარი ეთნიკური ჯგუფიდან, რათა ერთიანი ერის ფორმირებას დაედოს საფუძველი. C ფაზა დგება საერთო ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებისთანავე, როცა მოსახლეობის უმრავლესობა თავს ერთი ერის წარმომადგენლად მიიჩნევს და ყალიბდება საერთო ეროვნული მოძრაობა, საზოგადოების საყოველთაო მოძრაობა. ეს

[37] Hroch, Miroslav. *Social Preconditions of National Revival in Europe* (Cambridge University Press, 1985), p.23.

შესაძლებელია მხოლოდ იმ ეტაპზე, როცა ეთნიკურ ჯგუფში სრული სოციალური სტუქტურა მთლიანად ჩამოყალიბებულია. ერთი ფაზიდან მეორეზე გადასვლა უეცრად არ ხდება და ის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია.[38]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არჩევანს შევაჩერებთ მოდერნისტული თეორიის ორ ასპექტზე. ესენია: სოციალურ_კულტურული და პოლიტიკური ასპექტები. 1918-1921 წლებში გატარებული განათლების რეფორმა ნაციონალიზმის კლასიკური მარკერების გარშემო ტრიალებს: 1. ქართული ენა; 2) სწავლა-განათლების საკითხი; 3) ისტორია, ისტორიული მეხსიერება; 4) ეროვნული კულტურის აღორძინება. ასევე, საქართველოს მაგალითზე ჩანს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე პერიოდი ქართველი პოლიტიკური ერი-სახელმწიფოს ფორმირების ეტაპად შეიძლება მოვიაზროთ და მასში სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ნიშნებიც დავინახოთ. კვლევის პროცესი და საბოლოო შედეგი უფრო მკაფიოს გახდის დასახელებულ ავტორთა კონკრეტული თეორიული დებულებებისა და ემპირიული მასალის ურთიერთმიმართებებს.

[38] იქვე, p. 22-24.

ლიტერატურის და წყაროების მიმოხილვა

ნაშრომის შემდგომი ნაწილი ეთმობა ჩვენი კვლევისათვის საყურადღებო და მნიშვნელოვანი ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების, მკლევრებისა და ავტორების ნაშრომებისა და კვლევაში გამოყენებული ემპირიული მასალის მოკლე მიმოხილვას, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად განიხილავენ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის, მათ შორის, საგანმანათლებლო პოლიტიკის საკითხებს 1918-1921 წლებში. დასახელებული ნაშრომები მნიშვნელოვანი საფუძველია ისტორიული კონტექსტის და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების მკაფიოდ გააზრებისთვის.

ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, გავეცანით 1918-1921 წლების განათლების პოლიტიკის ირგვლივ ჩატარებულ კვლევებს. თუ არ ჩავთვლით ცალკეულ სტატიებს, ფუნდამენტური ნაშრომების ჩამონათვალი არც ისე დიდია. ესენია: 1). გიორგი საყვარელიძის „მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა 1918-1921“ (თბილისი, 1992). 2). დოდო ჭუმბურიძის „განათლება 1918-1921 წლებში“ (თბილისი, 2000). 3). ავთანდილ გავაშელიშვილის „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა (1918-1921)“ (თბილისი, 2004). 4). ნატო სონღულაშვილის „საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)“ (თბილისი, 2021).

გიორგი საყვარელიძის ნაშრომი საკითხით დაინტერესების პირველ მცდელობას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის საქართველოში. ნაშრომში დამუშავებულია მდიდარი საარქივო მასალა, სადაც ავტორი აღგვიწერს 1918-1921 წლების საგანმანათლებლო რეფორმებს. წიგნი შედგება სამი თავისგან: 1) სახალხო განათლება დამოუკიდებელ საქართველოში; 2) საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტი; 3) მინისტრთა საბჭო. ავტორი აღნიშნავს, რომ 1918-1921 წლების თავისუფალი საქართველოს სკოლა და პედაგოგიური აზრის შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას და მონდომებას საჭიროებს და დასახელებული ნაშრომი არ იქნებოდა საკმარისი იმ პერიოდის

სრული გააზრებისათვის, რომელიც საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს.[39]

დოდო ჭუმბურიძის ნაშრომი "განათლება 1918-1921 წლებში" მიმოიხილავს განათლების რეფორმებისა და მისი განხორციელების გზებს. ავტორი თანმიმდევრულად გვთავაზობს საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირების ეტაპებს. წიგნი შედგება შემდეგი თავებისგან: 1. განათლების რეფორმა და სასკოლო სისტემა 1918-1921 წლებში. 2. სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელოები. 3. სკოლების გაეროვნების საკითხი და ეროვნულ უმცირესობათა სასწავლებლები 1918-1921 წლებში. 4. მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი. 5. პედაგოგთან კადრების მომზადების საკითხი 1918-1921 წლებში. 6. დროებით საქართველოსგან ჩამოშორებულ რაიონებში სკოლების დაარსების საკითხი. 7. ერობებისა და სკოლების ურთიერთობა. 8. ნივთიერი დახმარება მოწაფეთათვის. 9. სასულიერო სასწავლებლები და საღვთო სჯულის სწავლების საკითხი 1918-1921 წლებში.

ავთანდილ გავაშელიშვილის მონოგრაფიაში „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა (1918-1921)" სამი თავი ეთმობა ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის აღწერას. ესენია: 1) სახალხო განათლების სამინისტროს სტრუქტურა; 2) ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა; 3) პედაგოგიური კადრები. წიგნში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ქვეთავები, სადაც ავტორი მიმოიხილავს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, საინგილოს, ასევე, ვლადიკავკაზის, სოჭის, ტუაფსეს ოლქის განათლების მდგომარეობასა და პრობლემებს. ვფიქრობთ, რომ ამ თვალსაზრისით, ავთანდილ გავაშელიშვილის მონოგრაფია მნიშვნელოვან გზამკვლევს წარმოადგენს.

ნატო სონღულაშვილის „საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)", თბილისი, (2021), წარმოადგენს უახლეს მონოგრაფიას საკითხით დაინტერესებული მკვლევრებისა და სპეციალისტებისათვის. ნაშრომში საკითხი შემდეგნაირად არის დასმული: 1. რა ფაქტორებმა განაპირობა საგანმანათლებლო სისტემის აქტუალობა? 2. რა ფუნქცია შეიძინა 1918-1921 წლების

[39] საყვარელიძე, გიორგი. *მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა 1918-1921* (თბილისი: 1992), გვ. 101.

განათლებამ? 3. რა როლი ითამაშა განათლებამ ეროვნული ცნობიერების განმტკიცებაში და სხვადასხვა სოციალური ფენების დაახლოებაში? 4. რა ღონისძიებებს ატარებდა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა საგანმანათლებლო სისტემის აღორძინებისათვის? და ა.შ. ამგვარად, განხილულია განათლებისა და ქართული ენის, ეკლესიის, ეროვნული უმცირესობების, ჯარის, ეკონომიკის ურთიერთმიმართებები საარქივო დოკუმენტური წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალში „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, XI, თბილისი, (2002) გამოქვეყნებულია სტატია „განათლებისა და კულტურის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში“ ოთარ ჯანელიძის ავტორობით. აქაც ხაზგასმულია, რამდენად კარგად აცნობიერებდა მთავრობა ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის, ეროვნული კულტურის როლსა და მნიშვნელობას სახელმწიფოს მშენებლობაში.

ალექსანდრე ბენდიანიშვილი „საქართველოს პირველი რესპუბლიკა. 1918-1921 წწ,“, თბილისი, (2001) _ VII ქვეთავში „სწავლა-განათლების სისტემა და კულტურა“ მიმოიხილავს საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კულტურის განვითარების პროცესში მნიშვნელოვან ეტაპებს. კერძოდ, აღნიშნავს, რომ 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს განაპირა რეგიონებში, მათ შორის, საქართველოშიც, აქტუალური გახდა ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი მშობლიური ენისა და კულტურის განვითარებისათვის ნორმალური პირობების შექმნა იყო. ავტორი საუბრობს ეროვნული უმცირესობების მხრიდან წინააღმდეგობრივ ქმედებებზე საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმართ და ეტაპობრივად განიხილავს ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ინიციატივას სწავლა-განათლების გაუმჯობესების საქმეში.[40]

ოთარ ჯანელიძის წიგნში „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“ (თბილისი, 2018), ჩვენი ყურადღება მიიქცია რამდენიმე

[40] ბენდიანიაშვილი, ალექსანდრე. *საქართველოს პირველი რესპუბლიკა. 1918-1921* წწ. (თბილისი: 2001), გვ. 251-282.

ისეთმა საკითხმა, რომელიც კვლევის ინტერესებში შედის. კერძოდ კი, „ევროპული ღირებულებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.[41] ავტორი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ევროპის ცივილიზებულ ოჯახში შესვლა და დამკვიდრება საქართველოს პირველი რესპუბლიკისათვის, სადაც უკვე აღიარებული იყო ის მრავალი ღირებულება, რომელიც დასავლეთ დემოკრატიის საფუძვლად მიიჩნევა: რესპუბლიკის საპარლამენტო წარმომადგენლობა, დემოკრატიულ საფუძვლებზე ჩატარებული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები, ქალებისათვის ხმის მიცემის უფლება, დამფუძნებელ კრებაში 5 ქალის მანდატი, ეროვნული უმცირესობების ინტერესების გათვალისწინება, მართლმსაჯულებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობა, ერობების და თვითმმართველობების გამართული ფუნქციონირება, თავისუფალი პრესის არსებობა, სეკულარული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ჩანასახები, ეკლესიისა და სახელმწიფოს, ეკლესიისა და სკოლის ერთმანეთისგან გამოყოფა, რელიგიათა თანასწორობის პრინციპი, ეროვნული ცნობიერების გაძლიერება და ეროვნული სკოლის განვითარება. მიუხედავად საშინაო და საგარეო სიძნელეებისა, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ პირველი რესპუბლიკა შედგა, როგორც სახელმწიფო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიანი არსებობა არა ერთ გამოკვლევაში აისახა. სტივენ ჯონსის „სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917“, მოგვითხრობს ქართული სოციალ-დემოკრატიის მნიშვნელობაზე და ცდილობს ქართული სოციალ-დემოკრატიის კულტურული, ინტელექტუალური და სოციალურ-ეკონომიკური წყაროები და მისი წარმატების მიზეზები ახსნას. როგორც ავტორი აღნიშნავს, ქართველებმა მოახერხეს სოციალიზმის, დემოკრატიისა და ზომიერი, ტოლერანტული ნაციონალიზმის შერწყმა. წიგნი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის გააზრებისათვის ჩვენს კვლევაში.

ჩვენთვის ასევე საინტერესია ამერიკელი პროფესორის რონალდ გრეგორ სუნის წიგნი “ქართველი ერის ჩამოყალიბება” (The Making of the Georgian Nation) ერთ-ერთ

[41] ჯანელიძე, ოთარ. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები* (თბილისი: 2018), გვ.108-116.

ქვეთავში (Revolution and Republic, P.185-208) მიმოიხილავს დამოუკიდებელი საქართველოს სამწლიან პერიოდს.

მალხაზ მაცაბერიძე ნაშრომში „ერი-სახელმწიფოს კონცეფცია და 1921 წლის კონსტიტუცია“ აღნიშნავს, რომ საქართველოს, როგორც ერი-სახელმწიფოს კონცეფცია თანმიმდევრულად იქნა გატარებული 1921 წლის კონსტიტუციის შემოშავების დროს. გათვალისწინებული იყო ყველა ის გარემოება, როდესაც დემოკრატიულ რესპუბლიკას მთელი სამი წლის მანძილზე უწევდა ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ასევე, უმცირესობათა საკითხის გათვალისწინება უდიდეს სახელმწიფოებრივ ინტერესად იყო მიჩნეული.[42] ავტორი მიმოიხილავს პარმენ საყვარელიძის წერილს „საქართველოს კონსტიტუციისათვის“, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 1920, N17, N20, N68, N75). წერილში საუბარია ნაციონალური სახელმწიფოს მნიშვნელობაზე „ერის კოლექტიური პირადობის დაცვის“ საქმეში. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას სამმაგი გამართლება ჰქონდა: ისტორიულ-სამართლებრივი, კულტურულ-პოლიტიკური, დემოკრატიულ-რევოლუციური.[43] სამივე მათგანი მყარი არგუმენტია იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ საქართველოს, როგორც ერი-სახელმწიფოს ფორმირებაზე 1918-1921 წლებში.

ჩვენი კვლევისთვის საყურადღებოა ორი სტატია: დავით აფრასიძის “სახელმწიფოსა და ერის ფორმირება თანამედროვე საქართველოში: დაუსრულებელი პროექტი?” და გია ნოდიას სტატია “ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი”. ორივე მათგანი დაბეჭდილია 2009 წელს გამოცემულ კრებულში “ქართველი ერის დაბადება. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007)”. ავტორები მოდერნისტული თეორიის ჭრილში ცდილობენ გააანალიზონ ქართველი პოლიტიკური ერის მშენებლობის დინამიკა, მე-19 საუკუნიდან თანამედროვე ეპოქამდე. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ორივე ავტორი მოკლედ ეხება პირველი რესპუბლიკის სამწლიან პერიოდს და განიხილავენ

[42] ხვედელიანი, ანა. „ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლება 1918-1921,“ *SOVLAB საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,* http://archive.ge/ka/blog/96 (წანახია 18.07.2022).
[43] მაცაბერიძე, მალხაზ. *ერი-სახელმწიფოს კონცეფცია და 1921 წლის კონსტიტუცია* (თბილისი: 2015).

მას არასაკმარისად ქართველი პოლიტიკური ერის ფორმირებისათვის, თუმცა, გია ნოდია საბოლოოდ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მმართველობის ხანმოკლე პერიოდმა მეტ-ნაკლებად განსაზღვრა ქართული პოლიტიკური პროექტის ძირითადი სტრუქტურა. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ თავისი არსებობის სამწლიან პერიოდში პირველ რესპუბლიკას მკაფიოდ ჰქონდა ჩამოყალიბებული ის ძირითადი პრინციპები, რომელსაც დაეფუძნა, პირველ რიგში, თავად. შემდეგ კი - თანამედროვე საქართველო 90-იანი წლების ბოლოდან დღემდე.

გვსურს განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ბოლო პერიოდის ორ უმნიშვნელოვანეს თარგმანს ქართულ ენაზე, - ერიკ ლის „საქართველოს მივიწყებული რევოლუცია. ექსპერიმენტი 1918-1921“ (თბილისი, 2018) და ვლადიმერ ვოიტინსკის „ქართული დემოკრატია“(თბილისი, 2018) .

ერიკ ლიმ 30 წლის მანძილზე იკვლია პირველი რესპუბლიკის სამწლიანი არსებობის ხანა. წიგნი 2017 წლის სექტემბერში გამოიცა დიდ ბრიტანეთში. მალე ის ქართულადაც ითარგმნა. ეს წიგნი გვიამბობს პირველი რესპუბლიკის ეკონომიკაზე, პროფკავშირებზე, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ გამოწვევებზე. ჩვენთვის განსაკუთებით საინტერესოა თავი ეროვნული უმცირესობების შესახებ _ “აქილევსის ქუსლი: საქართველოს ეროვნული უმცირესობები”. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეროვნული უმცრესობების უფლებების სწამდათ და თავიანთი ხედვა მათ კონსტიტუციაში ჰქონდათ განვრცობილი.[44] ეროვნული უმცირესობების საგანმანათლებლო პოლიტიკა ეროვნული ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენდა. ჩვენს კვლევაში ყურადღებას დავუთმობთ ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესს ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში.

ჟურნალისტისა და აქტივისტის ვლადიმერ ვოიტინსკის “ქართული დემოკრატია (La Democratie Georgienne) 1921 წელს პარიზში, ფრანგულ ენაზე გამოიცა. 2018 წელს კი იგი ითარგმნა და გამოიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ. ავტორი უშუალო თვითმხილველი და დამკვირვებელია ყველა იმ მოვლენისა თუ რეფორმის, რომელიც ტარდებოდა

[44] ლი, ერიკ. *ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია. 1918-1921* (თბილისი: Poezia Press, 2018), გვ.181.

პირველი რესპუბლიკის მთავრობის მიერ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ წიგნი ერთ-ერთ პირველ ნაშრომს წარმოადგენს სამწლიანი მმართველობის შესახებ. ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ყურადღებას იქცევს თავი, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული დემოკრატიის უმთავრეს საზრუნავს განათლების ძირფესვიანი რეორგანიზაცია წარმოადგენდა. დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ დაარსებულ ახალ სკოლას უნდა განემტკიცებინა სოციალური თავისუფლება და ხელი შეეწყო ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. ავტორი მიიჩნევს, რომ მე-19 საუკუნის ინტელექტუალური მემკვიდრეობა იქცა ქართული დემოკრატიის საგანმანათლებლო საქმიანობის საძირკვლად.[45] ვფიქრობთ, რომ უშუალო დამკვირვებლის მიერ წარმოდგენილი მემუარული ტიპის ჩანაწერები საუკეთესო საშუალებაა სინამდვილის აღდგენისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევაში გამოყენებული ფართო სპექტრის ემპირიული მასალა. ეს მასალა წარმოადგენს უნიკალურ საფუძველს კვლევის სრულფასოვანი ჩატარებისათვის და იმ სურათის აღდგენისათვის, რომელიც 1918-1921 წლების საგანმანათლებლო პოლიტიკას ასახავს. პირველ რიგში, გამოვყოფდით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს საარქივო მასალებს (ფონდი N1935, ანაწერი N1), რომელიც საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივიშია დაცული. მასალებში ვხვდებით განათლების სამინისტროს სხდომის ჟურნალებსა და ოქმებს, ბრძანებებს და მინისტრის განკარგულებებს; საინისტროსთან არსებულ სასწავლო კომიტეტეტის წესდება-პროექტებს, სკოლების, გიმნაზიების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს და პედსაბჭოს სხდომების ოქმებს: ცირკულარებს, მოხსენებებს; სკოლების გაეროვნების, რეორგანიზაციის და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ დოკუმენტებს. ფონდის მასალა აღწერილია ქრონოლოგიურ-სტრუქტურული წესით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება წარმოადგენდა საკანონმდებლო ორგანოს. მის ფუნქციებს შეადგენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება, მთავრობის შექმნა, სხვადასხვა კანონებისა და დებულებების მიღება –დამტკიცება. საქართველოს

[45] ვოიტინსი, ვლადიმირ. *ქართული დემოკრატია-La Democratie Georgienne* (თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2018), გვ.262-268.

ეროვნულ არქივში დაცული მასალები (ფონდი N1833, ანაწერი N1) საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ ჩვენთვის საინტერესო პროცესს, როგორიც არის საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა საგანმანათლებლო საკითხების ირგვლივ. განსაკუთრებით კი იმ ასპექტის გააზრებისათვის, როგორ თანმიმდევრულად მუშაობდა დამფუძნებელი კრება ეროვნული უმცირესობებისათვის განათლების საკითხის დარეგულირებისთვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის სრული გააზრებისათვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ქართული ჯარის დაარსების და ჯარში საგანმანათლებლო პოლიტიკის გაანალიზება. ამ მხრივ, საინტერესოა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული საქართველოს პარლამენტის (ფონდი N1836, ანაწერი N1), ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს, (ფონდი N1969, ანაწერი N4) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შტაბის (ფონდი N1970, ანაწერი N3) საარქივო მასალები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა ("საქართველოს რესპუბლიკა", "საქართველო", "ერთობა", ჟურნალი "განათლება") არის ის წყარო, რომელიც ასევე მკაფიოდ და გამჭირვალედ ასახავს საგანმანათლებლო პოლიტიკის ირგვლივ გამართულ მწვავე დისკუსიებს. პრესა დაყოფილია ორ ძირითად ნაწილად: გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" და გაზეთი "საქართველო". ერთი მათგანი წარმოადგენდა სამთავრობო ბეჭდურ მედიას, მეორე კი – ოპოზიციურს. მათში წარმოდგენილი პუბლიცისტური წერილები მიუკერძოებლად ასახავენ ავტორთა დამოკიდებულებას და მსჯელობას განათლების საკითხებზე. გამოყენებული კვლევის მეთოდები, როგორიცაა დისკურსის ანალიზი და კონტენტანალიზი, საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, ემპირიული მასალაში მანიფესტირებული დოკუმენტირებადი ნარატივი შესაბამის კონტექსტთან, მიზანთან და დუსკურსთან კავშირში.

პოლიტიკური და კულტური კონტექსტის საუკეთესოდ აღქმის საშუალებას პუბლიცისტური წერილები წარმოადგენენ. შესაბამისად, პუბლიცისტური წერილებია კიდევ ერთი ემპრიული წყარო, რომელიც კვლევის ფარლებში ავირჩიეთ:

გიორგი ავალიშვილის „საქართველოს დამოუკიდებლობა“ (ტფილისი, 1925); გრიგოლ ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველოზე“ (თბილისი, 1995); პეტრე სურგულაძის „ეროვნული ენა“ (ტფილისი, 1905) და „საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“ (სტამბოლი, 1918); ასევე, ნოე ჟორდანიას წერილები და პუბლიკაციები (თბილისი,1990).

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ემპირიული მასალის მრავალფეროვნება სრულყოფილს გახდის კვლევას. მისი გაანალიზებით, შევეცდებით, აღვადგინოთ ქართველი რეფორმატორების ნაციონალური იდენტობის ფორმირებისაკენ მიმართული გეგმაზომიერი საგანმანათლებლო პოლიტიკის სურათი 1918-1921 წლებში.

თავი I. ქართული სოციალ-დემოკრატიის სახელმწიფო პოლიტიკა და ნაციონალური იდენტობის განსაზღვრის საკითხი

1918 წლის 26 მაისს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებამ, რომლის სათავეშიც სოციალ-დემოკრატები იყვნენ, დიდი გავლენა მოახდინა თავად ხელისუფლების იდეოლოგიურ და პოლიტიკურ პროფილზე. როგორც რონალდ გრიგორ სუნი აღნიშნავს, საქართველოს დამოუკიდებლობამ და სუვერენიტეტმა თანდათან გადაფარა ქართული სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალური ასპექტები. ყველა სოციალური ჯგუფი გაერთიანდა დამოუკიდებლობის იდეის გარშემო და სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობა მუშათა კლასის და სოციალიზმის იდეის პოპულარიზაციით დაიწყეს, თავს უკვე ქართველი ერის წარმომადგენლებად თვლიდნენ.[46]

ქართული სოციალ-დემოკრატიის ტრადიციები ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში ჩამოყალიბდა. მათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და სოციალისტური დემოკრატიის დამყარების იდეის პროპაგანდა იმპერიულ და პოლიციურ სახელმწიფოში დაიწყო და სოციალიზმის იდეა ეროვნულობასთან, ევროპულ პლურალიზმთან, ადამიანის უფლებებთან და კერძო საკუთრებასთან გააერთიანა. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, ავსტრიელი და გერმანელი თანამოაზრეების მსგავსად, სოციალიზმის ის მოდელი შესთავაზეს საზოგადოებას, რომელიც თვითდახმარებას, სწავლა-განათლებასა და კულტურულ განვითარებას ეფუძნებოდა. ამგვარმა საქმიანობამ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების პირველ ელემენტებს ჩაუყარა საფუძველი და შესაძლებელია ისინი "სამოქალაქო საზოგადოების პირველ აქტივისტებადაც" კი მოვიხსენიოთ.[47] სოციალ-დემოკრატიული პარტია ფორმით იყო ეროვნული და შინაარსით სოციალისტური, თუმცა ეროვნული ინტერესების დაცვა არ გამორიცხავდა სოციალიზმს. გარდა ამისა, ქართველ სოციალ-დემოკრატებს სწამდათ, რომ ყველა ერს ჰქონდა

[46] Suny, Ronald G. *The making of the Georgian Nation* (Indiana University Press, 1994), p.207.
[47] ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917* (თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007), გვ. 351-356.

თვითგამორკვევის უფლება და ამისათვის სოციალიზმი საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. სოციალიზმი მათთვის ისევე ეხებოდა კულტურას, როგორც კლასს.[48]

ქართული სოციალ-დემოკრატიის ეროვნულ ნიადაგზე და ევროპელ სოციალ-დემოკრატებთან იდეურ კავშირზე მიუთითებს გერონტი ქიქოძე 1917 წელს გაზეთ "საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილში "ნოე ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია".[49] იგი აღნიშნავს, რომ ქართველი მენშევიკები მხოლოდ ორგანიზაციულად იყვნენ დაკავშირებული რუს მენშევიკებთან და არა იდეურად. ქართველი მენშევიკების იდეური საფუძვლები მესამე დასელების დოქტრინიდან მომდინარეობდა, რომლის "რევოლუციური მიმართულება საქართველოს სულიერი კულტურისა და ისტორიულ ტრადიციებთან იყო დაკავშირებული". გერონტი ქიქოძე აქვე აღნიშნავს, რომ რუსული მენშევიზმის კრიზისმა კიდევ უფრო გამოკვეთა ქართველი სოციალ-დემოკრატების ეროვნული ცნობიერებისადმი მისწრაფება. ასევე, მათი სულიერი და იდეური ნათესაობა ევროპული სოციალიზმის იდეალებთან. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა სცნეს "ქართული კულტურის ეროვნული მისია" და გადმოიბარეს წარსული საუკუნეების მემკვიდრეობა. ახლა თამამად შეეძლოთ ეთქვათ, რომ "ქართველი ერის სხეული გამთლიანდა და დაიწერა დიდი ეტრატი თავისუფლებისა"[50]. გერონტი ქიქოძის აზრით, ნოე ჟორდანიას მობრუნება ნაციონალური პოზიციებისკენ თანდათან მოხდა. მის რყევას კი საბოლოოდ ოქტომბრის რევოლუციამ მოუღო ბოლო.

ევროპულ სოციალიზმის გავლენის ქვეშ მოქცევას არ უარჰყოფს თავად ნოე ჟორდანია, როდესაც აღნიშნავს, რომ რუსული სოციალიზმი ნამდვილი უტოპიური და რეაქციონერულ მიმდინარეობას წარმოადგენდა. ამიტომაც ქართული სოციალ-დემოკრატია დაუპირისპირდა რუსეთის თვითმპყრობელობას და ბოლშევიზმს. საქართველო ჩამოშორდა რუსეთს მას შემდეგ, რაც შესაფერის ნაციონალურ,

[48] იქვე, გვ. 327-356.
[49] ქიქოძე, გერონტი. "ნოე ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია," *საქართველო*, 1917, N 268, გვ.2.
[50] იქვე, გვ.2.

პოლიტიკურ და სოციალურ ფორმებში ჩამოყალიბდა და გამოაცხადა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.[51]

ევროპული სოციალიზმი პოლიტიკური რევოლუციას და დემოკრატიის იდეას ქადაგებდა. სწორედ ევროპული სოციალიზმის ამ ნიშან-თვისებამ უბიძგა მას უარი ეთქვა რუსული სოციალიზმის იდეაზე, რომელსაც იგი ბარბაროსობას უწოდებს და გადასულიყო ევროპული სოციალიზმის ნიადაგზე. ევროპული სოციალიზმის იდეა არ გამორიცხავდა ნაციონალიზმს და ეროვნული საკითხის დასმის აუცილებლობას. ვარშავაში სწავლის პერიოდში ნოე ჟორდანიამ დაინახა, რომ პოლონელი სოციალისტების ბრძოლა, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების გატარებასთან ერთად, კულტურის სფეროშიც მიმდინარებდა. საქართველოში ეროვნული ენა, ეროვნული სკოლა და თვითმმართველობა ის სფეროები იყო, რომლის ფარგლებშიც ქართული საზოგადოება ავტონომიის მოპოვებას შეძლებდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მყარად არის ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, რომ ნოე ჟორდანია და ქართველი სოციალ-დემოკრატები შორს იდგნენ ეროვნული იდეისგან და კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნიათ საქართველოს პოლიტიკური ავტონომია. ასევე მყარად არის ჩამოყალიბებული აზრი, რომ დროთა მანძილზე სოციალ-დემოკრატების ეს რიტორიკა რბილდება და ისინი არათუ პოლიტიკური ავტონომიის აუცილებლობასაც ხედავენ, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ავტორებიც არიან. თუმცა, ძალიან ხშირად უგულვებელყოფილია ის გარემოება, რომ ნოე ჟორდანიას გააჩნდა მყარი დასაბუთება იმის შესახებ, თუ როგორ ხედავდა ის მოცემულ ვითარებაში საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას, რასაც ხშირად უფრო ეროვნული იდეის უარყოფად მიიჩნევენ, ვიდრე პრაგმატულ ხედვად პოლიტიკური ავტონომიის შესახებ. 1908 წელს გამოქვეყნებულ წერილში "ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი" ნოე ჟორდანიას მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული მოსაზრება ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით.[52] ამ ეტაპისთვის ის თვლის, რომ ქართველი ხალხი არ არის მზად პოლიტიკური ავტონომიისათვის. ის ფართოდ მიმოიხილავს ამ დასაბუთებას და

[51] ჟორდანია, ნოე. "ქართული სოციალ-დემოკრატია", *რჩეული ნაწერები* (თბილისი: საქართველო, 1990), გვ. 46-47.
[52] ჟორდანია, ნოე. *ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი* (ქუთაისი: ელექტრომბეჭდავი ი. კილაძისა, 1908), გვ. 4.

სვამს კითხვას: რატომ უარჰყოფს ქართველი ხალხი ნაციონალიზმს? ამის მიზეზად ის ქართული ნაციონალიზმის ელიტურობას ასახელებს. თითქოს, ნაციონალიზმი მხოლოდ ელიტების პრეროგატივად დარჩა და მან ვერ შეძლო ხალხის მასების აყოლიება: ”მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა – ნაციონალური მოძრობა არა ერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ეს იყო მოძრაობა ან თავადაზნაურობის, ან ინტელიგენციის, არასოდეს ხალხის” – აღნიშნავს ნოე ჟორდანია.[53]

მე-19 საუკუნის სამოციანი წლების საქართველოში ნაციონალური კითხვა ნაციის/ერის მართვა-გამგეობის შესახებ კულტურის აღორძინების გარშემო იდგა, რაშიც მთავარი როლი ენას, სკოლებში დედა-ენაზე სწავლა-განათლების მოწყობას უნდა შეესრულებინა: „მესამოცე წლების ნაციონალური კითხვა სრულიად არ ეხებოდა ნაციის მართვა გამგეობას. ამ დროს თხულობდნენ არა ნაციონალურს მმართველობას, არამედ კულტურის ნაციონალური ენით აღორძინებას.”[54] ნოე ჟორდანია თვლის, რომ მშობლიური ენის განვითარება და კულტურული წინსვლა აუცილებელი პირობაა ერის ცხოვრებაში, მაგრამ არა საკმარისი პოლიტიკური ავტომომიისათვის. 60-იანი წლების მოღვაწეებმა კულტურულ ნაციონალიზმს სოციალური საკითხიც შეუთავსეს. თუმცა, ხალხი მიჰყვა მხოლოდ კულტურული ნაციონალიზმის ძახილს, მაგრამ მან პოლიტიკური სიმწიფე ვერ მოიპოვა. მხოლოდ კულტურული ნაციონალიზმის არსებობა კი არ იქნებოდა საკმარისი პოლიტიკური თვითგამორკვევისათვის. აქამდე მისასვლელად ქართულ საზოგადოებას ესაჭიროებოდა ტრანსფორმაცია, რაც უნდა გამოხატულიყო მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ ფენათა ცნობიერების ცვლილებებში. ეს პროცესი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან უფრო საგრძნობი გახდა და ეროვნული საკითხის დასმაც ამ პროცესების კონტექსტში უნდა მომხდარიყო. ამგვარ მოსაზრებას ავითარებს ნოე ჟორდანია გვიანდელ წერილში “ნაციონალური კითხვა ჩვენში”,[55] რომელიც 1913 წელს არის გამოქვეყნებული. ნაციონალური კითხვა პოლიტიკური კითხვაა და ის დაკავშირებული ერის/ნაციის ნაწილთან ანუ ხალხთან, შესაბამისად, ის უკავშირდება

[53] იქვე, გვ.4.
[54] იქვე.
[55] ჟორდანია, ნოე. „ნაციონალური კითხვა ჩვენში“, *მისი ნაწერების კრებული ეროვნული საკითხების შესახებ* (ტფილისი: გამოც. რუს. კომუნ. პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა, 1922), გვ. 168.

ხალხისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართებას. ნოე ჟორდანია ამ ურთიერთმიმართების მთავარ ასპექტს ხედავს კულტურულ ერთობაში და მას ანუ კულტურულ ერთობას პოლიტიკურ პრინციპს უწოდებს. ნოე ჟორდნიასეული კულტურული ერთობის არსი ცხადია განსხვავებულია მე-19 საუკუნის მოღვაწეთა მოსაზრებებისგან.

ნაციონალური კითხვა, როგორც ერთ-ერთი მთავარი ღერძი პოლიტიკური კითხვისა, მოითხოვს ხალხის მასების, მთელი ნაციის გაერთიანებას, სოციალურად სხვადასხვა ფენის ადამიანების სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობას. დროთა მანძილზე ქვეყნის განვითარების ტემპმა სხვადასხვა ეტაპი განვლო, რასაც ნოე ჟორდანია ამავე წერილში უკვე პოლიტიკურ მოძრაობას უწოდებს. ეს მოძრაობა გამოიხატა კლასების აღორძინებით, სკოლების ფართო ქსელის დაარსებით და სამოქალაქო სარბიელის გაფართოებით. გამოიკვეთა ორი პრინციპი: კულტურული და ტერიტორიალური თვითგამორკვევის საკითხი. პირველს უნდა უზრუნველყო ეროვნული კულტურის აღორძინება, მეორეს კი უნდა ჩამოეყალიბებინა საქართველოს ავტონომიური სახელმწიფო და ნაციონალური მთავრობა. აღმავალი კაპიტალიზმის ჩამოყალიბების პროცესებმა საქართველოში ხელი შეუწყო ერთ ტერიტორიაზე დასახლებული სხვადასხვა კუთხის და ეროვნების ადამიანთა კავშირს, მათ დაახლოებას, აღებ-მიცემობის განვითარებას. თანამედროვე ევროპული ერების განმავითარებელი ეს ნიშნები საქართველოს მაგალითზეც აისახა: ფორმულა, რომელსაც თავად ნოე ჟორდანია გვთავზობს - საქართველო აღარ ფარავს ქართველობას, ქართველობა აღარ ფარავას საქართველოს, - გამოიხატა იმით, რომ თანამედროვე ქართველი ერის შემაერთებელ მექანიზმად არა მხოლოდ ტერიტორია, არამედ სულიერი კულტურა იქცა, რომლის მიხედვითაც „კულტურული პრინციპი აგებულია თანამედროვე ურთიერთობაზე, ნაციის კაპიტალისტურად განვითარებაზე და გაქალაქებაზე. ამ პრინციპის მატარებელნი არიან ახალი საქართველოს წარმომადგენელნი, ახალი ცხოვრების მესვეურნი.”[56] ამ წერილიდან ჩანს, რომ ნოე ჟორდანია ეროვნული კულტურის განვითარებაზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ აქაც ერთგვარ პრინციპულ განსხვავებას აქვს ადგილი: თუ დასაწყისში ნოე ჟორდანია მხოლოდ ერის კულტურისეული ელემენტების გამორკვევას არასაკმარის

[56] იქვე, გვ.175.

საფუძვლად მიიჩნევს პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებისათვის, მოგვიანებით ის ეროვნული კულტურის კომპონენტებს პოლიტიკური ბრძოლის იარაღად აცხადებს. ამ წერილში ნოე ჟორდანია არ უარყოფს კულტურული პრინციპის იდეას მხოლოდ იმიტომ, რომ მან ეს იდეა უკვე პოლიტიკური ბრძოლის იარაღის იდეით აღჭურვა და განაცხადა, რომ ერის/ნაციის პოლიტიკური მოღვაწეობა დაკავშირებულია ერის კულტურულ ერთობასთან: „საზოგადო განვითარების მიზანია კულტურა, ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ამაღლება და ასე მისი სათანადო იარაღებით აღჭურვა ბრძოლისათვის."[57] გამოდის, რომ ნოე ჟორდანია კაპიტალიზმის განვითარებას უკავშირებს კულტურული ერთობისათვის პირობების შექმნას: კაპიტალიზმის განვითარებამ შექმნა კულტურული ერთობა, რადგანაც კულტურა იქცა ხალხის კუთვნილებად. კულტურული ერთობა კი ნიშნავს ნაციონალურ ერთობას, ხალხი იქცევა ნაციონალურ ორგანიზმად ანუ ეროვნებად. როგორც სტივენ ჯონსი აღნიშნავს, სოციალ-დემოკრატიის ლიდერის მხრიდან კულტურულ ასპექტებზე ორიენტირება ნიშნავდა კულტურული განვითარების მნიშვნელობის აღიარებას დემოკრატიული სოციალიზმისათვის. [58]

ნოე ჟორდანიას რწმენით, იმისათვის, რომ ერმა პოლიტიკური ავტონომია მოიპოვოს, ესაჭიროება კარგად განვითარებული სამოქალაქო ცნობიერება, მრეწველობა, ეკონომიკა. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ხალხის ანუ კლასის ინტერესებთან უნდა იყოს შეფარდებული. ეს მოსაზრება შესაბამისობა მოდის ნაციონალიზმის თეორიების მთავარ არსთან: ნაციონალიზმის პოლიტიკური ტრანსფორმაცია მოდერნული სახელმწიფოს ფორმირების მიზეზია და უპირატესობას ანიჭებს ნაციონალიზმის პოლიტიკურ ბუნებას. მხოლოდ ცალკეულ ელემენტებზე ფოკუსირება, როგორებიც არის კულტურა, იდეოლოგია, კულტურული იდენტობა და ა.შ. ნაციონალიზმის პოლიტიკური არსის უგულვებელყოფად არის მიჩნეული. ამ მოსაზრებას თუ განვაზოგადებთ საქართველოს მაგალითზე, დავინახავთ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერის ორიენტირი ეროვნული კულტურის, კულტურული ნაციონალიზმის განვითარებაზე განპირობებული უნდა ყოფილიყო ქართული სოციალურ-

[57] იქვე, გვ.175.

[58] ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917* (თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007), გვ. 328.

პოლიტიკური და საზოგადოებრივი გარემოსთან საერთო კონტექსტების ძიებით. პოლიტიკური ავტონომიის საკითხის მკაფიოდ დასმა კი ქართული ნაციონალიზმის პოლიტიკურ ტრანსფორმაციას, მის პოლიტიკურ რელსებზე გადაყვანას მოითხოვდა. როგორ ტრანსფორმიდება სოციალიზმის როლის იდეა პოლიტიკურ იდეად? სტატიაში "ერის თვითგამორკვევა" ნოე ჟორდანია ავითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ერები კაპიტალიზმის განვითარების პროდუქტია. კაპიტალისტური წყობა ქმნის პირველ სასათბურე პირობებს ერების ეროვნული ნიშნით დაყოფის შესახებ. ეს ხანგრძლივი პროცესია, რომელიც რევოლუციის გზით ერების, დემოკრატიისა და ნაციონალური ერთობის ფორმირებით სრულდება და მასში მოსახლეობის ყველა ფენა ერთდროულად არის ჩართული. პოლიტიკურ ტრანფორმაციამდე მათ უწევთ საკუთარი თვითმპყრობელბის რეჟიმიდან თავის დაღწევა: „ერის თვითგამორკვევის პრინციპიალურ პრაქტიკულ პოლიტიკათ გადასაქცევად საჭიროა ერთი პირობა დაჩაგრული ერის გაცნობიერება და დამჩაგვრელის წინააღმდეგ დარაზმვა."[59] ამრიგად, ნოე ჟორდანია ერის პოლიტიკური ტრანფორმაციისათვის განმსაზღვრელ როლს მთლიანად ერს ანიჭებს. უფრო კონკრეტულად კი, - მასში შემავალ ყველა სოციალურ ფენას და არა გამორჩეულად მხოლოდ ინტელექტუალურ ან პოლიტიკურ ელიტებს: „ერის თვითგამორკვევის პოლიტიკური მატარებელია თვით ერი" – აცხადებს იგი.[60]

1917 წლის რუსეთი რევოლუციის შემდეგ, როდესაც თანდათან გამოიკვეთა რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მოპოვების კონტურები, ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის საჭირო გახდა ეროვნული ორიენტირების მკაფიო ხაზგასმა. 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში ინტერპარტიული საბჭოს ინიციატივით გაიხსნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, სადაც ნოე ჟორდანიამ განაცხადა ეროვნული ადმინისტრაციული უფლებების, ეროვნული ჯარის, სასამართლოს და ყველა სხვა დაწესებულების გაეროვნულების/ნაციონალიზაციის შესახებ.

სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა გააკეთეს განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ სწორედ ეს დღე იქნებოდა თავდები საქართველოს

[59] ჟორდანია, ნოე. „ერის თვითგამორკვევა", *რჩეული ნაწერები* (თბილისი: საქართველო, 1990) გვ.65.
[60] იქვე, გვ. 63.

გაერთიანებისა. მაგალითად, სოციალ-ფედერალისტების ლიდერი გრიგოლ რცხილაძე სრულიად იზიარებდა ამ მოსაზრებას: „დღევანდელი დღე თავდებია საქართველოს გაერთიანებისა და მისი პოლიტიკური იდეალების განხორციელებისა". ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა გიორგი გვაზავას თანახმად „დადგა დრო, როდესაც დემოკრატიამ უნდა გადასჭრას ეროვნული საკითხი". პარტიები უარს ამბობდნენ პარტიულ სეპარატიულობაზე. მათ უნდა შეემუშავებინათ საერთო პოლიტიკური იდეოლოგია ქვეყნის გაერთიანებისა და განვითარების შესახებ. შესაბამისად, სწორედ ამგვარი მიდგომა გახდა იმ საერთო იდეოლოგიის საფუძველი, რომელსაც დაემყარა 1918 წელს 26 მაისს გამოცხადებული პირველი რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკა სხვადასხვა დარგებში, მათ შორის, განათლების სფეროშიც.

თავი II. საგანმანათლებლო კონცეფციის განსაზღვრა 1918-1921 წლებში

საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო იდეოლოგიას ასახავდა. ის თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდებოდა 1918-1921 წლებში გატარებულ ისეთ რეფორმებს, როგორიც არის სამეურნეო, ფინანსური, ეკონომიკური თუ თვითმმართველობის რეფორმა. თავად ეს უკანასკნელი მჭიდროდ იყო კიდეც დაკავშირებული განათლების რეფორმის დემოკრატიზაციის პროცესებთან. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია დემოკრატიის ქართული მოდელის ნიმუშად არის შეფასებული.[61] თუმცა, სწორი იქნებოდა აღგვენიშნა, რომ დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება პირველი რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკაში და მის საგანმანათლებლო კონცეფციაშიც უნდა გავაგრძელოთ. მით უფრო იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ეს მოდელი ერთდროულად მოიცავს ეროვნულ ნიადაგზე კულტურული თანასწორობისა და დემოკრატიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო სისტემას, რომელიც დემოკრატიული ქვეყნის განვითარების საწინდარს უნდა წარმოადგენდეს.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საგანმანათლებლო კონცეფიაზე მუშაობა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ბევრად ადრე დაიწყო, რამაც საფუძველი შეამზადა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში საგანმანათლებლო პოლიტიკის განსაზღვრისათვის. ეს, ერთი მხრივ, დაკავშირებული იყო სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის ფორმირებასთან, რომლის უშუალო მონაწილე დიმიტრი უზნაძე იყო; მეორე მხრივ, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის დაარსების აუცილებლობასთან ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1917 წლის მაისში გამართულ კავკასიის მასწავლებელთა ყრილობაზე დიმიტრი უზნაძემ წაიკითხა მოხსენება განათლების ორგანიზაციისა და სკოლის რეფორმის აუცილებლობის შესახებ, სადაც აღნიშნა, რომ

[61] Matsaberidze, Malkhaz. „The Democratic Republic of Georgia (1918–1921) and the Search for the Georgian Model of Democracy“, *The Making of Modern Georgia*, 1918–2012, Ed. Stephen F. Jones (London and New York: Routledge, , 2014), pp. 141-161.

რუსული პედაგოგიკის მთავარი იარაღი რუსული ენა, - მომავალი თაობის გარუსებას ისახავდა მიზნად. რუსული სკოლა ყოველგვარი ეროვნული გრძნობის შეურაცხმყოფელ ტენდენციას მისდევდა, რაც მომავალი თაობის განწყობებში უსიამოვნო დანაშრევებს გამოიწვევდა. ამიტომაც მან, კავკასიაში, სახალხო განათლების რეფორმის გატარების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და გამოჰყო რამდენიმე მიმართულება. მათ შორის უპირატესობა სწავლების მშობლიურ ენაზე წარმართვას ენიჭებოდა. დიმიტრი უზნაძემ ყურადღება გაამახვილა ეროვნული სკოლის არსებითი შინაარსის სხვა მხარეებზეც: ერთმანეთისგან გამოჰყო ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლები. ხაზი გაუსვა უფასოდ სწავლების აუცილებლობას და ისაუბრა სახალხო განათლების იმ კარდინალურ პუნტქზე, რომლის მიხედვითაც სკოლა წარმოადგენს პატარა სახელმწიფოს; ამ სახელმწიფოს მოქალაქენი კი მოსწავლეები არიან. სკოლა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელოვან ორგანიზაცია, უნდა ემსახურებოდეს ადამიანის, თავისუფალი პიროვნების აღზრდას და მის სამოქალაქო ცნობიერების ისე ჩამოყალიბებას, რომ სამომავლოდ მან მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ცხოვრების განვითარების პროცესებში.[62]

ყრილობაზე დიმიტრი უზნაძემ დასახა დებულებები, რომლებმაც შეიძლება ითქვას, რომ ნიადაგი შეამზადეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის, რომლის მიხედვითაც აუცილებელი იყო სკოლების გაეროვნულება/ნაციონალიზაცია, რადგან სწავლების ნაციონალიზაცია იყო ის მთავარი ღერძი, რომლის გარშემოც უნდა განხორციელებულიყო სამომავლოდ ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა. ასევე, მშობლიური ენის სასწავლო ენად დამკვიდრება; მშობლიური ენის, ლიტერატურის, ისტორიის გაძლიერებული სწავლება და ა.შ.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918-1919 წლებში ქართული სკოლის სარეფორმო კომისიის მუშაობისას დიმიტრი უზნაძემ გააკეთა კიდევ ერთი მოხსენება „სახალხო განათლების სისტემის ძირითადი პრინციპები," სადაც მან განავითარა მოსაზრება ეროვნული განათლების კონცეფციის შესახებ. პირველ რიგში

[62] უზნაძე, დიმიტრი. „განათლების ორგანიზაცია და მართვა კავკასიაში სკოლის რეფორმის შესახებ. სკოლის რეფორმის აუცილებლობა," *პედაგოგიური თხზულებანი* (თბილისი: 2005), გვ. 379-387.

ის შეეხო ქართველი ერის, როგორც მცირერიცხოვანი ერის ღირებულებათა უპირატესობის განსაზღვრის კრიტერიუმებს. მისი აზრით, ქართველი ერის უპირატესობა სულიერი კულტურის განვითარებაში მდგომარეობდა. ასევე ხალხის სწავლა-განათლებასა და აღზრდაზე ზრუნვაში, რომელსაც თავის გამოხატულება ეროვნული ინდივიდუალიზმის ფარგლებში უნდა მოეპოვა. საგანმანათლებლო კონცეფციის სწორად ფორმულირებისათვის, დიმიტრი უზნაძეს მნიშვნელოვნად ესახებოდა ქართველი ერის სოციალურ-პოლიტიკური აგებულების განსაზღვრა, რომელიც იმ დროს უკვე დემოკრატიზმისა და სოციალიზმის ტენდენიცებით იყო წარმოდგენილი. დემოკრატიზმის თვისება სწავლა-აღზრდის პრინციპების დემოკრატიულ ნიადაგზე გადასვლას მოითხოვდა, რაც ნიშნავდა, რომ იმ ერის ყველა წევრი, რომელსაც საკუთარი თავი ეროვნული ინდივიადულიზმის ფარგლებში უნდა ეპოვნა, - სწავლა-განათლების თანასწორ პირობებში მოქცევას საჭიროებდა. გარდა ამისა, საგანმანათლებლო სისტემის შინაარსობრივი მხარე განისაზღვრებოდა სწავლა-განათლების დედა-ენაზე მოწყობით. ასევე "სამშობლოს შესწავლით", რაც გულისხმობდა საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ქართულ ლიტერატურას. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ერი სასწავლო დაწესებულებებს საკუთარი ეროვნული ინდივიდუალიზმის საზღვრებში აქცევს, ზემოთ ჩამოთვლილი დისციპლინების გათვალისწინება, დაეხმარებოდა ახლად შექმნილ დემოკრატიულ რესპუბლიკას საკუთარი თვითიდენტიფიცირების რთულ პროცესში. ამრიგად, საგამანათლებლო პოლიტიკის კონცეფცია ცალსახად უნდა დაფუძნებოდა როგორც ინტელექტუალურად, ასევე ზნეობრივად და სოციალურად გამართული პიროვნების აღზრდის იდეას, რომელსაც ეროვნულთან ერთად მოქალაქეობრივი ნების სიმტკიცეც ექნებოდა თავისივე სოციალური გარემოს მიმართ მკაფიოდ ჩამოყალიბებული.[63]

დემოკრატიული რესპუბლიკის ერთიანი საგანმანათლებლო კონცეფციის და სისტემის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი საქართველოს ისტორიაში _ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება, რომელსაც თავისი როლი უნდა შეესრულებინა ქართული ეროვნული სახელმწიფოს

[63] უზნაძე, დიმიტრი. „სახალხო განათლების სისტემის ძირითადი პრინციპები," *პედაგოგიური თხზულებანი,* (თბილისი:2005), გვ. 401-419.

ჩამოყალიბების საქმეში და ასევე, სამომავლოდ განესაზღვრა კიდეც ეროვნული საგანმანათლებლო კონცეფცია.

დასავლეთ ევროპაში ერი-სახელმწიფოების დაარსებამ, სამოქალაქო საზოგადოებების ჩამოყალიბებისა და სეკულარიზაციისა პროცესებმა ძველ ევროპულ უნივერსიტეტებს ახალი ევროპული, ძლიერი და დამოუკიდებელი ინსტიტუციების ფუნქცია შესძინა. აკადემიური დაწესებულებების ეკლესიის იდეოლოგიისგან განთავისუფლება დასავლეთ ევროპის ქვეყნების შემდგომი საგანმანათლებლო პოლიტიკის განმსაზღვრელი გახდა.[64] მკვლევრები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის იდეა, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციის, - დაკავშირებულია ერი-სახელმწიფოს დაარსების და მისი არსებობის იდეასთან, რამდენადაც ის ანუ უნივერსიტეტი მოდერნულობის უმაღლესი სოციალური ერთობისკენ - ერი-სახელმწიფოსკენ მიმართვის შესაძლებლობაა. ასევე, უნივერსიტეტი შემნახველი და დამცველია ერის კულტურული და ისტორიული ცნობიერების და ერის კოლექტიური ცნობიერების ერი-სახელმწიფოს იდეაში გარდაქმნელი. ეს კი უნივერსიტეტის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციის კულტურის ფენომენთან ინტეგრირების საშუალებით მოხერხდა.[65]

ხაზგასმას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც ევროპაში მსგავსი ტიპის უნივერსიტეტები არსდებოდა, საქართველოსგან სრულიად განსხვავებული ვითარება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები შორეული პერიოდიდან იღებს სათავეს და საუკუნეების მანძილზე საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ აკადემიებსა და საგანმანათლებლო კერებში ქართველ სწავლულთა მოღვაწეობა არ შეჩერებულა, ისინი არ წარმოადგენდნენ უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულებებს. პირველი ქართული უნივერსიტეტი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუცია მხოლოდ 1918 წელს არსდება. 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსება ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ძლიერ გამოხატულებას და ამ ბრძოლაში გამარჯვების ტოლფასი იყო. უნივერსიტეტის დაარსებას თავისი ისტორია აქვს. მისი სრულყოფილად წარმოჩენა არ არის ამ

[64] Rüeg, Walter. *A History of the Univesity in Europe* (Cambridge University Presss, 2004), p.3-6.
[65] Readings, Bill. *The University in Ruins* (Harvard University Press, 1996), p.45-49.

ნაშრომის მიზანი. თუმცა, მნიშვნელოვანია იმ გარემოებების ხაზგასმა, რომლებიც ცხადჰყოფენ წინაპირობებს ეროვნული ცნობიერების უფრო მეტად გაძლიერებისა და ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, ასევე საქართველოში საგანმანათლებლო პოლიტიკის განსაზღვრისათვის.

1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსება, მანამდე 1917 წელს კი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო ის ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს ქვეყნის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას _ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას უძღოდა წინ.

1918-1921 წლების პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, სხვადასხვა დროს, განათლებისა და სამხედრო მინისტრების თანამდებობებსაც ითავსებდა, - ქართული უნივერსიტეტის დაარსებას სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ფაქტი მას შეფასებული აქვს, როგორც ისტორიული პერსპექტივა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის: “დიდი სასკოლო-ეროვნული რევოლუციის დიად გვირგვინად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მაღალი სკოლის აღდგენა – ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა. ქართველი ერის ჭაღარა ისტორიაში მრავლად მოიპოვება შესანიშნავი ზეიმისა და გამარჯვების თარიღები და ამ თარიღთა შორის ერთ-ერთი უპირველეს ადგილს დაიჭერს ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღე. 1918 წლის 26 იანვარი იმავე წლის 26 მაისის წინამორბედი იყო და მისი ერთი უდიდესი და უძლიერესი დედაბოძი იქნება. ერს, რომელსაც ქონდა და აქვს 26 იანვარი უნდა ქონოდა და კიდეც ექნება 26 მაისი და თუ პირველი თარიღის დიადობა ჯერ კიდევ თითქოს სავსებით არ არის შეგნებული, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი ამბების რეალური ეფექტი ღრმა შინაგანი და თანდათანობითი ხასიათისაა, მის სწორად დასაფასებლად საჭიროა ერთგვარი ისტორიული პერსპექტივა.“[66]

სწორედ ამგვარი ისტორიული პერსპექტივა გახდა საჭირო ქართული საზოგადოების კონსოლიდაციისათვის, სწორი ორიენტირების განსაზღვრისათვის, განსაკუთრებით მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკური და სოციალური

[66] ლორთქიფანიძე, გრიგოლ. *ფიქრები საქართველოზე* (თბილისი: თსუ, 1995), გვ.193.

ვითარების გათვალისწინებით. ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ ჩამოყალიბებულმა უმაღლესი სკოლის კონცეფციამ შექმნა განათლების რეფორმის მწყობრი სისტემას, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ევროპული გზით განვითარებას შეესაბამებოდა.[67] თუმცა, ქართველ საზოგადოებას რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა იმისათვის, რომ საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახნის უფლებამოსილება მოეპოვებინა. ამ უფლებისათვის ბრძოლა მე-19 საუკუნის 60-იანი წლების თაობამ აქტიურად დაიწყო.

ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები საქართველოს ავტონომიური მოწყობის იდეას თანმიმდევრული დასაბუთებით ავითარებდნენ. ამ დასაბუთების ფარგლებში მათთვის უმთავრესი ქვაკუთხედი ეროვნულობის გადარჩენა და კულტურის აღორძინებისათვის ბრძოლა, ერის კულტურული ნიშნების გაძლიერება და ერის, როგორც კულტურული ერთობის ჩამოყალიბება იყო. ყველა ის აქტივობა, როგორიც არის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, ქართული ბანკის გახსნა, ქართული თეატრის განვითარება, - ემსახურებოდა მხოლოდ ერთ მიზანს - ეროვნული პროექტის ფარგლებში ეროვნული იდენტობის განსაზღვრასა და კულტურული ნაციონალიზმის საზღვრების დადგენას. მასში განიხილებოდა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების იდეაც, რომლის შესახებაც სტატიები "დროების" და "ივერიის" ფურცლებზე ინტენსიურად იბეჭდებოდა. აქვე დავესესხებით მიროსლავ ჰროშს, რომელიც აცხადებს, რომ ერის კულტურული ნიშნების განსაზღვრა და მათი დაცვის იმპერატივი ნაციონალიზმის ცენტრალურ იდეად რჩება მხოლოდ მისი ევოლუციის საწყის ეტაპზე, როცა ერის პოლიტიკური ამბიციები ჯერ წინა პლანზე არ გადმოსულა.[68] ქართველი ხალხის კულტურული ნიშნებს განსაზღვრა სწორედ ქართული ნაციონალიზმის ცენტრალურ იდეად რჩებოდა მანამდე, სანამ ქვეყნის პოლიტიკური თვითგამორკვევის საკითხი საბოლოოდ არ გადაწყებოდა.

---

[67] *პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში,* რედ: გაიპარაშვილი,ზ. ავტორ-შემდგენლები: ირემაძე, ი. ჭანტურიძე, ს. (თბილისი:2017), გვ.6-7.

[68] Hroch, Miroslav. *Social Preconditions of the National Revival in Europe* (Cambridge University Press, 1985), p.22-24.

1880 წლის 19 თებერვალს რუსეთის იმპერიამ აღნიშნა იმპერატორ ალექსანდრე II-ს ტახტზე ასვლის 25-ე წლისთავი. "დროება" იტყობინება, რომ სწორედ ამ დღეს ჩაისახა იმედი თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ამ სურვილის გარშემო გაერთიანებული იყო მთელი ქართული საზოგადოება: "როცა რუსეთის იმპერიის ყველა მოქალაქეს აქვს თავისი კანონიერი სურვილი და ნატვრა გამოუცხადოს თავის თავის ხელმწიფეს, ამ უნივერსიტეტის დაარსებაზე უსაჭიროესი და უძვირფასესი სურვილი და ნატვრა ვერ მოგვინახავს-რა. ეს გვიმტკიცებს, რომ მართლა მოახლოებული უნდა იყოს ის დრო, როდესაც ჩვენ უნივერსიტეტი უნდა მოგვეცეს". [69] ამავე წელს "დროებაში" ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა წერილების ციკლი "კავკასიის უნივერსიტეტი,"[70] სადაც ის შეეცადა გაექარწყლებინა იაკობ გოგებაშვილის პესიმიზმი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ საქართველოში. იაკობ გოგებაშვილი სტატიაში "მზათა ვართ?" რომელიც ხელმოწერილია ი. სვიმონიძის ფსევდონიმით, გამოქვეყნდა ამავე წლის "დროების" 16 იანვრის ნომერში.[71] იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ აზრი კავკასიის უნოვერსიტეტის დაარსების შესახებ დიდი ხანია უკვე მომწიფებულია. სწავლა-განათლების გამგის ბატონი იანოვკსის წლიური ანგარიშიც მოწმობს, რომ უმაღლესი სასწავლებლის დაარსება არა მარტო კავკასიისთვის, რუსეთისთვისაც კი ხელსაყრელია. თუმცა, იაკობ გოგებაშვილი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს ახალგაზრდობის განათლების მდგომარება არ ქმნის უმაღლესი სასწავლებლის არსებობის საფუძველს, რადგანაც განათლების მიღების მსურველები იმდენად მცირე იყო გიმნაზიებში, რომ ეს რაოდენობა ვერ ქმნიდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის საიმედო განწყობებს. ილია ჭავაჭავაძე საწინააღმდეგო მოსაზრების იყო. მან გამოაქვეყნა საპასუხო წერილები, სადაც ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თავად "უცხო კაციც" კი (იგულისხმება იანოვკსი) გრძნობდა ქართველებისათვის უმაღლესი სასწავლებლის აუცილებლობას. საქართველო მუდმივად წაგებულ პოზიციაში იყო იმის გამო, რომ არ არსებობდა არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი. ილიას აზრით, ასევე მცდარი იყო იაკობ გოგებაშვილის წარმოდგენა იმის შესახებ, რომ საქართველოში არ მოიძებნებოდა საჭირო რაოდენობა სტუდენტებისა,

---

[69] „საფუძველი კავკ. უნივერსიტეტისა," *დროება,* 1880, N40, გვ.1.
[70] ჭავჭავაძე, ილია. „კავკასიის უნივერსიტეტი," *დროება,* 1880, N 17, გვ.1, N 18, გვ.1.
[71] სიმონიძე, ი., „მზათა ვართ?," *დროება,* 1880, N16, გვ.1.

რომლებიც უნივერსიტეტში მოისურვებდნენ განათლების მიღებას. რუსეთის უნივესიტეტებში ბევრი ქართველი სტუდენტი სწავლობდა. ზოგიერთი მათგანი ვერ ეგუებოდა იქაურ ჰავას, ან ძალიან რთული იყო მათთვის სამშობლოდან შორს ყოფნა. ცხადია, ეს დისკომფორტიც შემსუბუქებული ექნებოდათ ქართველებს უნივერსიტეტის დაარსების შემთხვევაში. რაც მთავარია, კავკასიის უნივერსიტეტს ჰქონდა ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა: წერილში ილია ჭავჭავაძე ამახვილებს ერთ საინტერესო გარემოებაზე ყურადღებას. კერძოდ კი, ამ დროისათვის არსებობდა მოლოდინი თურქეთის ტერიტორიაზე, ბათუმთან ახლოს, ინგლისელთა მხრიდან გავლენების გაძლიერებისა. ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების მოქმედების არეალი ითვალისწინებდა რუსული იმპერიული სივრცის ფარგლებში ქართული ეროვნული პროექტის და კულტურული იდენტობის განსაზღვრას. მისთვის ცხადი იყო, რომ ევროპელების გაძლიერება საქართველოს მეზობლად რუსული მილიტარიზმის მინიმალიზაციას და ინტელექტუალური ბაზის არსებობას კი მეტად საჭიროს ხდიდა: "ამათი მეზობლობა მოითხოვს ჩვენგან, რომ რუსეთი კავკასიაში მარტო თოფ-იარაღით, ხიშტებითა და სალდათების სიმრავლით არ იყოს ძლიერი, საჭიროა რუსეთს ჰქონდეს აქ ზნეობითი ძალა, საჭიროა ყვანდეს ინტელიგენცია, საჭიროა სწავლა-განათლებითა და კეთილდღეობით იყოს კავკასიაში ის ძლიერი."[72] ასევე უნივერსიტეტის არსებობა ნიშნავდა საშუალო სკოლების როლის გააქტიურებასაც და მათი კონტიგენტის შევსებას, საგანმანათლებლო სისტემის ახალ, აქტიურ ფაზაში გადასვლისათვის.

საქართველოში უნივერსიტეტის გახსნა რადიკალურად ეწინაღმდეგებოდა რუსეთის მთავრობის მიზნებს. ეს ნათლად გამოიხატა 1881 წელს გაზეთ "კავკაზში" გამოქვეყნებულ წერილში. ოფიციალური ხელისუფლება უნივერსიტეტის დაარსების იდეას "უმწეო და უნიადაგოს" უწოდებდა და თვლიდა, რომ პროფესორები მეტი აღმოჩნდებოდნენ, ვიდრე განათლების შეძენის მსურველი ახალგაზრდები.[73]

ცხადია, რომ ხელისუფლების მხრიდან უნივერსიტეტის გახსნაზე უარის თქმა მხოლოდ ფინანსურ საკითხებთან ან განათლების მიღების მსურველთა მცირე

---

[72] ჭავჭავაძე, ილია. „კავასიის უნივერსიტეტი," *დროება,* 1880, N17, გვ.2.

[73] ლეკიშვილი, სოლომონ. „ილია ჭავჭავაძე-ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლე," *მნათობი,* 1988, N10, გვ. 132-133.

რაოდენობასთან არ იყო დაკავშირებული. იმპერიალისტური პოლიტიკა საქართველოში არ ითვალისწინებდა ეროვნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობას სწორედ იმ მიზეზების გამო, რაც საფუძველშივე ქმნიდა ქვეყნის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის არსებობის წინა პირობებს. 1890 წელს, "ივერიაში" გამოქვეყნებული წერილი "უნივერსიტეტის დაარსების გამო ჩვენში" გამოხატავს მწუხარებას იმის გამო, რომ ქართველი ინტელექტუალების სურვილს უნივერსიტეტის დაარსების შესახებ კვლავ რუსული იმპერიალისტური დაბრკოლებები ეღობებოდა წინ.[74]

ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხში განსაკუთრებული როლი პოლიტიკური წყობის ცვლილებამ, კერძოდ 1917 წლის რუსეთის რევოლუციამ ითამაშა. საწყის ეტაპზე ქართული პოლიტიკური პარტიები საქართველოს მომავალს რუსეთის ფარგლებში – კულტურული ან პოლიტიკური ავტონომიის ფარგლებში ხედავდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული, შესაბამისად ქართული უნივერსიტეტის არსებობაც პირდაპირ იყო დაკავშირებული ქვეყნის მომავალი პოლიტიკური მოწყობის პერსპექტივებთან. ამისა შესახებ თავად ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავს 1917 წელს გიორგი ახვლედიანისათვის გაგზავნილ წერილში: "როგორც რუს მიტრაპოლიტის დანიშვნით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაჩრდილვა ჰსურთ, ისევე რუსულ უნივერსიტეტის ტფილისში დაარსება ჩვენი ავტონომიის განხორციელების საწინააღმდეგო იარაღია."[75] თავად ივანე ჯავახიშვილი მომხრე იყო საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის. 1917 წლის მარტში გამართულ პეტროგრადის შეხვედრაზე მან ღიად განაცხადა ამის შესახებ.[76]

ზურაბ ავალიშვილი, რომელიც კრების თავმჯდომარე იყო, შემდეგნაირად ხსნის ავტონომიის მოთხოვნის ფაქტს: რევოლუციის შემდეგ, რუსეთის დროებით მთავრობა არ აპირებდა უარი ეთქვა კავკასიაში რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფ ხალხებზე. პირიქით, შეეცდებოდა კიდეც ამ მემკვიდრეობის გაფართოებას. თუმცა, არც საქართველოს და კავკასიის სხვა ხალხები ჩქარობდნენ იმპერიის ნანგრევებიდან

[74] „უნივერსიტეტის დაარსების გამო ჩვენში," *ივერია,* 1890, N217, გვ.1.
[75] *ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის.* რედ.: მაცაბერიძე, მ. შემდგენელი: სართანია, დ. (თბილისი: თსუ, 2018), გვ. 120.
[76] ბენდიანიშვილი, ალექსანდრე. *საქართველოს პირველი რესპუბლიკა* (თბილისი: 2001), გვ. 63.

დამოუკიდებელ სუბიექტებად ტრანსფორმაციას და ყველანაირი ტიპის განცხადება საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ რუსეთთან მთლიანობის კონტექსტში უნდა ყოფილიყო გაგებული. ამ კონტექსტის შესაბამისად მიმდინარეობდა საზოგადობრივი აზრის ჩამოყალიბება საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის შესახებ, მაგრამ იმ პირობით, რომ საქართველო დარჩებოდა რუსეთის "სახელმწიფოებრივი კავშირის ფარგლებში."[77] ამგვარი რეალობის სწორი გააზრება უბიძგებდა ივანე ჯავახიშვილს და მის თანამოაზრეებს ავტონომიის მოთხოვნა წამოეყენებინათ. ბერლინში გამოსული "ქართული გაზეთის" მესვეურებიც მიუთითებდნენ, რომ "ავტონომია ეს არის მოსამზადისი ხანა სრული დამოუკიდებლობისათვის."[78] სამომავლოდ კი ქართული უნივერსიტეტი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტი შეიძლება აღმოჩენილიყო.

1917 წლის 1 მარტს ივანე ჯავახიშვილის ბინაზე შეიკრიბა ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი უნივერსიტეტის საკითხის გარშემო მსჯელობისათვის. კრებაზე გადაწყდა, რომ მოქმედება ორი მიმართულებით უნდა განვითარებულიყო: უნდა გაშლილიყო სახალხო მოძრაობა საუნივერსიტეტო იდეისათვის საქართველოში. ასევე პეტროგრადში ნებართვა უნდა აეღოთ ეროვნული უმაღლესი სკოლის გახნისათვის. ივანე ჯავახიშვილი მომავალი უნივერსიტეტის დაარსებისათვის, სარგებლობდა 1914 წლის 1 ივლისს გამოცემული კანონით რუსეთის იმპერიაში არა რუსულ ენაზე კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების შესახებ. ეს კანონი საშუალებას აძლევდა ივ. ჯავახიშვილს ეწარმოებინათ საქმიანობა უნივერსიტეტის დაარსებისათვის.[79] უმაღლესი სასწავლებლების დამფუძნებლები განსაზღვრავდნენ, თუ რომელ ენაზე უნდა მომხდარიყო სწავლება. მათ შორის, განსაზღვრული დისციპლინების მხოლოდ სახელმწიფო ენაზე სწავლებასაც.[80] მშობლიურ ენაზე სწავლების უფლების მოპოვება ერთგვარად საკუთარი კულტურული სივრცის შემოსაზღვრის მცდელობა იყო, რომელიც ეროვნული იდენტობის აქტუალიზებას და პოლიტიკური თვითმოქმედების შესაძლებლობებს ზრდიდა.

---

[77] ავალიშვილი, ზურაბ, *საქართველოს დამოუკიდებლობა* (ტფილისი: 1925), გვ. 23-24.
[78] ჯანელიძე, ოთარ. *ივანე ჯავახიშვილი (მივიწყებული ფურცლები)* (თბილისი: 1996), გვ.8.
[79] მეტრეველი, როინ. „უნივერსიტეტის საკითხი, *"ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სამართლის ფაკულტეტის შრომები,* ტ. IV (თბილისი: ქართული უნივერსიტეტი, 2015), გვ.9.
[80] ჯორბენაძე, სერგო. *ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა* (თბილისი: თსუ, 1984), გვ. 185-186.

1917 წლის 12 მაისს თბილისში ჩატარდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრების დადგენილების თანახმად, დაფუძნდა "ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოება." მოწვეულ კრებაზე, ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება "უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ," [81] რომელშიც მან მოკლედ მიმოიხილა ქართული სამეცნიერო განათლების ისტორია, დაასაბუთა ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა და მისი განხორციელების გეგმა. იგივე მოხსენება ივანე ჯავახიშვილმა 17 მაისს, ქალაქ ქუთაისში წაიკითხა. მოხსენების მნიშვნელობა მრავალგვარია: ერთი მხრივ, მასში ვხედავთ პრაქტიკული ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელიც საჭიროა საუნივერსიტეტო ცხოვრების განვითარებისათვის საქართველოში. მეორე მხრივ, ის დასაბუთებაა საგანმანათლებლო კონცეფციის, რომელიც, მართალია, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ქვეყნის სუვერენიტეტის გამოცხადებას, მაგრამ მომავალში ის დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკური თვითგამორკვევის, ასევე - განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი ხდება.

ივანე ჯავახიშვილი მოხსენებას ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის განვითარების ძირითადი ეტაპების დახასიათებით იწყებს: საუკუნეების მანძილზე დიდ სახელმწიფოებს შორის მოქცეული ქართული კულტურა თავისი განვითარებითა და სიძლიერით არ ჩამოუვარდებოდა ბერძნულ, ბიზანტიურ, სპარსულ თუ არაბულ კულტურებს. ქართული კულტურა მთელი თავისი ბრწყინვალებით მე-12 საუკუნეში გამოვლინდა. სხვადასხვა ქვეყნებში დაარსებული საგანმანათლებლო კერების საშუალებით ქართველები ეზიარებოდნენ დაწინაურებული ქვეყნების საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიღწევებს. მათ საკუთარ ეროვნულ ნიადაგზე ავითარებდნენ და შედეგად ქართულ, თვითმყოფად სალიტერატურო თუ სამეცნიერო ძეგლებს ქმნიდნენ. ივანე ჯავახიშვილი ხაზს უსვამს ქართულ სამონასტრო საგანმანათლებლო კერების უდიდეს ღვაწლს ქართული დამწერლობისა თუ მეცნიერების განვითარების საქმეში: "თითოეული სახელოვანი მონასტერი მეცნიერებისა და სიბრძნის რომელიმე დარგით იყო

[81] ჯავახიშვილი, ივანე. „უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ," *ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის,* რედ.: მაცაბერიძე, მ. შემდგენელი: სართანია, დ. (თსუ, 2018), გვ.13.

განთქმული, თავისი განსაკუთრებული მიმართულება ჰქონდა."[82] სხვადასხვა დროის ისტორიულმა ძნელბედობამ გამოიწვია ის, რომ ქართული კულტურის ბრწყინვალების შენარჩუნება და განვითარება მრავალჯერ შეფერხდა. მონღოლების ბატონობამ, სპარსელებისა და ოსმალების შემოსევებმა სრულიად დააშორა საქართველო დასავლეთ ევროპის განვითარებულ კულტურულ ცენტრებს. მათ შორის, ქართული ენა ჩამოშორდა დასავლურ, სამეცნიერო ტერმინოლოგიას. ადრე ქართველების სპარსულ და ბერძნულ ენებს ფლობდნენ. აღორძინების ხანაში კი ლათინური და დასავლეთ ევროპის ენების არცოდნამ შეაფერხა ქართული სამეცნიერო დარგებისა და ტერმინოლოგიის განვითარება. სულიერი კავშირის აღდგენა დასავლეთ ევროპასა და საქართველოს შორის ნაწილობრივ კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობამ შეძლო. ასევე სხვადასხვა ენებიდან რუსულად ნათარგმნმა სამეცნიერო ლიტერატურამ. თავად რუსეთის ანექსიამ საქართველოს სახელწიფოებრიობასთან ერთ ერთად, დაღი დასვა ასევე ქართული ენის განვითარებასაც, - სკოლებიდან გაქრა დედა-ენა, სასწავლებლებში რუსული ენა დამკვიდრდა. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ სასკოლო სისტემის პრინციპების ტრადიცია ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილის მიერ იყო შემუშავებული, რაც მოწმობს საქართველოში ხანგრძლივი ისტორიის მქონე სასკოლო ტიპების არსებობაზე.

ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართული ენის საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნეში ქართველ მოღვაწეთა დამსახურებით ქართულმა ენამ კვლავ დაიბრუნა პირვანდელი ძალა და მომხიბვლელობა: "ჩვენმა ენამ ძალა მოიკრიფა, პოეზია არამც თუ გამოცოცხლდა, არამედ შემოქმედების მშვენიერი ძეგლებიც შეგვძინა, ქართული ენა კვლავ საზოგადოებრივ დაწესებულებებში გაისმა და ეხლა უკვე რამდენიმე ქართული სამეცნიერო საზოგადოებაც გვაქვს."[83] რევოლუციის შემგომი პერიოდი კი ანუ ახალი დროება მოითხოვს ქართული მეცნიერების ეროვნულ ნიადაგზე განვითარებისათვის ქართული უნივერსიტეტის დაარსებას, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლია "ქართული მეცნიერებისა და შემოქმედებითი აზროვნების დაუფასელებელ, ცხოველმყოფელ

[82] იქვე, გვ. 14.
[83] იქვე, გვ.19.

კერად და მანათობლად იქცეს."[84] მხოლოდ უნივერსიტეტშია შესაძლებელი სულიერი კავშირის დამყარება მეცნიერებასა და მომავალ თაობებს შორის, რადგანაც ქართული უნივერსიტეტი მხოლოდ მეცნიერებისათვის განკუთვნილი კერა არ არის. პირველ რიგში, მას ეროვნული მისია აკისრია ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის.

მომავალი უნივერსიტეტის პრაქტიკული მისიის შესახებ, ივანე ჯავახიშვილი საუბრობს სხვა მოხსენებაში, რომლითაც ის საზოგადოების წინაშე ამავე წლის 17 მაისს წარსდგა ქუთაისში. (ივ. ჯავახიშვილის მოხსენება ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე წაკითხული 12 მაისს 1917 წელს თბილისში და 17 მაისს ქუთაისში).

ივანე ჯავახიშვილი მოხსენებაში "ქართული უნივერისტეტისათვის"[85] კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ ეგზისტენციალურ კრიზისზე, რომელიც რუსეთის მიერ 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევით იყო გამოწვეული. კრიზისი აისახა ქართულ ენაზე, როდესაც რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ქართულ ენას განვითარების საშუალება მოუსპო, განდევნა ის სასწავლო დაწესებულებებიდან. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქართული სამეცნიერო ენა კი ისე გაღატაკდა, რომ "საყველ-პურო" ენად გადაიქცა. ასეთ პირობებში ქართველების ოცნებას უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ასრულება არ ეწერა. ქართველი მოღვაწეების, პოეტების, მწერლების თავდაუზოგავი შრომის შედეგად ქართველებმა თავიანთი ეროვნული ცნობიერება არ დაკარგეს, აღადგინეს ქართული ენის ღირსება, რის შედეგადაც ამ დროისათვის საქართველოში უკვე არსებობდა ქართველ მეცნიერთა საზოგადოება: „ჩვენმა ენამ ძალა მოიკრიფა, პოეზია არამც თუ გამოცოცხლდა, არამედ შემოქმედების მშვენიერი ძელგლებიც კი შეგვძინა, ქართული ენა კვლავ საზოგადოებრივ დაწესებულებებში გაისმა და ეხლა უკვე რამოდენიმე ქართული სამეცნიერო საზოგადოებაც კი გვაქვს". ერის წინსვლა დამოკიდებული იყო მის სამეცნიერო სივრცის წარმატებაზე.

მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილმა კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რომელიც ამოსავალი უნდა გამხდარიყო ქართული უნივერსიტეტის შემდგომი ფუნქციონირებისათვის, განსაკუთრებით კი იმ პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც

[84] იქვე, გვ.21.
[85] ჯავახიშვილი, ივანე. „ქართული უნივერსიტეტისათვის," *საქართველო,* 1917, N216, N218, გვ.2.

რუსეთის რევოლუციიდან სულ რამდენიმე თვე იყო გასული და საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველი ჩანდა. უპირველესი პრინციპი სამეცნიერო მოღვაწეობის ქართულ ენაზე წარმართვა იყო. ამ საკითხის დარეგულირებას პრაქტიკული მხარეც გააჩნდა ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმართვისათვის, რაც სამომავლოდ საშუალო სკოლების ნაციოლიზაციას ანუ გაეროვნულების პროცესს წაადგებოდა. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ივანე ჯავახიშვილი მხოლოდ პოლიტიკური პრიზმიდან განიხილავს დასმულ საკითხს: რუსეთის რევოლუციის შედეგების უკიდურესი სცენარის გათვალისწინებითაც კი, რაც შესაძლებელი იყო ქართველებისათვის ერობის უფლების მინიჭებაში გამოხატულიყო, ქართული საზოგადოება მაინც იმსახურებდა ეროვნულ სამეცნიერო საფუძვლებზე განსწავლულ პროფესიონალებს, როგორც ეს დასავლეთის ქვეყნებში ხდებოდა, ევროპასა თუ ამერიკაში. ივანე ჯავახიშვილი უმაღლეს საგანმანთლებლო კერას მაშინ მიაწერს ამ მისიას, როდესაც პირველი რესპუბლიკის გამოცხადებამდეც ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, დროებითი მთვრობა კი ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობის აუცილებლობას განიხილავდა. ამ მოხსენებაშიც კიდევ ერთხელ არის ყურადღება გამახვილებული საქართველოს და კავკასიის ისტორიის ინტერდისციპლინარული შესწავლის აუცილებლობაზე. საქართველოს ისტორიის სრულყოფილ გააზრებას კავკასიური კონტექსტის გათვალისწინებით შეეძლო მსოფლიო სააზროვნო სივრცეში თავისი სამეცნიერო წვლილის შეტანა.

ივანე ჯავახიშვილის ნააზრევი არ არის მხოლოდ მეცნიერის თვალთახედვით დანახული სინამდვილე. როდესაც ის ზემოთხსენებულ მოხსენებებს აკეთებს, საზოგადოების წინაშე წარსდგება როგორც პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც წვლილი შეაქვს ქვეყნის სამომავლო დამოუკიდებლობის დაგეგმვა-გამოცხადების საქმეში. მისი ეს წვლილი საფუძველს ქმნის საქართველოს, როგორც ერი-სახელმწიფოს დაარსებისათვის, რომელიც თავისი ისტორიის განვითარების ახალ საფეხურზე გადადის და თავისუფლად აკეთებს განაცხადს განათლებული, ევროპული ტიპის, დემოკრატიული და თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაფუძნებულ მომავალზე.

როგორც აღვნიშნეთ, სწორედ უნივერსიტეტის დაარსების ფაქტს უნდა განესაზღვრა დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალი საგანმანათლებლო პოლიტიკის იდეოლოგიური ასპექტები. ამგვარი მოლოდინი ჰქონდა აკაკი ჩხენკელსაც, როდესაც მან საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით, უნივერსიტეტის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე სიტყვით გამოსვლისას, ფაქტობრივად ჩამოაყალიბა საქართველოს მომავალი დემოკრატიული მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარი კონტურები და მიზნები. აკაკი ჩხენკელი ერის ასაკოვნებას განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების არსებობის ტრადიციით. რამდენადაც ევროპის ქვეყნებში დამოუკიდებელი უნივერსიტეტების დაარსება დაკავშირებულია ერი-სახელმწიფოების დაფუძნების იდეასთან, მისი ეს მოსაზრება შესაძლოა დავაკავშიროთ ქართული ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყისებთან 1918 წელს: სოციალურ-პოლიტიკური უფლებების თვითგამორკვევამ დღის წესრიგში კულტურული უფლებების ავტონომიურობა დასვა და საბოლოოდ პოლიტიკურ აქტად ტრანსფორმირდა: 1918 წელს ქართველი ერი პოლიტიკური განახლების წინაშე იდგა. ქართული უნივერსიტეტი კი მის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა.

აკაკი ჩხენკელის გამოსვლაში კიდევ ერთხელ ვაწყდებით იმ საყოველთად აღიარეულ ჭეშმარიტებას, რომ განათლება ეს არის ერთადერთი იარაღი, რომელსაც სხვადასხვა სოციალური ფენის წევრთა შეკავშირება შეუძლია. ის აღარ არის ელიტური ფუფუნება, რომელიც ზღვარს ავლებს „შენ" და "ჩვენს" შორის. განათლების ქსელის გაფართოება უწყობს ერის/ნაციის წევრთა სოლიდარობის განცდას საერთო წარსულის, ისტორიის, ლიტერატურის, მეცნიერების გაზიარებით. აკაკი ჩხენკელმა მომავალ მთავრობას მოუწოდა, ქართული უნივერსიტეტი და ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა ეროვნული კულტურის განვითარებასთან ერთად, დემოკრატიული პრინციპების ერთგული და ხალხის მსახური ყოფილიყო: „ქართული უნივერსიტეტის უწმინდესი მოვალეობაა ემსახუროს დემოკრატიის კანონიერ მოთხოვნილებებს, იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს. თუ წინათ ეროვნული კულტურა ვიწრო ჯგუფისათვის იყო ხელმისაწვდომი, დღეს ეროვნული კულტურა მხოლოდ მაშინ არის ეროვნული, როცა მთელი ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახდება. არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება. ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება

დაეწაფოს მეცნიერებას. მეცნიერება უნდა იყოს დემოკრატიის დამცველი. დემოკრატიასა და მეცნიერებას შორის არსებული კავშირი უნდა იყოს დაცული ქართულ უნივრსიტეტში. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელები პირნათლად შეასრულებენ წმინდა მოვალეობას.“[86] აკაკი ჩხენკელის გამოსვლა შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ მანიფესტად ქვეყნის ევროპული და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი როლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების პოლიტიკას უნდა შეესრულებინა.[87]

[86] „ქართული უნივერსიტეტის გახსნა,“ *ერთობა,* 1918, N22, გვ.2.

[87] ხვედელიანი, ანა. „სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების მექანიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921),“ *სპეკალი,* 2020, N14. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/247 (ნანახია 18.07.2022).

თავი III. განათლების რეფორმის მნიშვნელობა ქართულ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ დისკურსში 1918-1921

(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", ჟურნალი "განათლება", გაზეთი "საქართველო")

3.1. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" და სოციალ-დემოკრატიული პარტია განათლების რეფორმის მნიშვნელობის შესახებ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, პრესა და საგანმანათლებლო თემატიკის ჟურნალები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ განათლების საქმის ორგანიზაციისა და ახალი სწავლების დანერგვის საკითხებს. საგანმანათლებლო რეფორმა ქართველი პუბლისცისტებისა და პოლიტიკოსების ერთ-ერთი მთავარი განხილვის თემაა. შესაბამისად, საგაზეთო სტატიები წარმოადგენენ იმ მთავარ წყაროს, სადაც თანმიმდევრულად შეიძლება მივადევნოთ თვალი საგანმანათლებლო პოლიტიკის ირგვლივ გამართულ დისკუსიებს და გამოვყოთ ძირითადი ტენდენციები. ცხადია, დამოუკიდებლობის სამი წელი არ აღმოჩნდებოდა საკმარისი სრულად გამართული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ მაშინდელი ქართული პრესა ნათლად ადასტურებს ფაქტს იმის შესახებ, რომ ეს პროცესი ცხარე პოლიტიკური დებატების და ჯანსაღი საზოგადოებრივი განსჯის თანხმლებით მიმდინარეობდა. სტატიები, რომელთა ავტორებიც მაშინდელი ქართული პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები არიან, მნიშვნელოვანია, როგორც ქართული პედაგოგიური აზრის განვითარების საქმისათვის, ასევე მკაფიოდ წარმოაჩენს იმ პრობლემატიკას, რომელიც ჩვენი კვლევის საგანია. ყოველი სტატია გამორჩეულია რამდენიმე მნიშვნელოვანი თვალსაზრისით: ერთი მხრივ, ისინი აღწერენ საგანმანათლებლო რეფორმის პრაქტიკულ მხარეებს პედაგოგიკის თეორიის ძირითად პრობლემათა გადაწყვეტის გზებთან ერთად. მეორე მხრივ, თითოეული ამგვარი პრაქტიკული დისკუსიის მიღმა, შრეობრივად იშლება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების, საგანმანათლებლო პოლიტიკაში

ევროპეიზმის იდეებთან ერთად ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლების, კულტურულიდან სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩანასახებზე გადასვლის ელემენტები. სამოქალაქო ნაციონალიზმზე დაფუძნებული ეროვნული სახელმწიფო მოითხოვდა თითოეული ამ საკითხის ჯეროვნად გადაწყვეტას.

დამოუკიდებლობის პერიოდის ქართული პრესა და პუბლიცისტიკა არ არღვევს მე-19 საუკუნეში დამკვიდრებულ ტრადიციას, - იყოს ეროვნული ინტერესებს გამტარი ორგანო. დემოკრატიულობის პრინციპიდან გამომდინარე, ეს პერიოდი ხასიათდება მრავალპარტიული პრესის არსებობით: მენშევიკურ „ერთობასთან", ეროვნულ-დემოკრატიულ "საქართველოსთან" და სოციალისტ-ფედერალისტების "სახალხო საქმესთან" ერთად გამოიცემა ოფიციალური სამთავრობო გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა". გაზეთის პირველივე ნომერში აღნიშნულია, რომ მთავრობა "განუწყვეტლივ იმეტყველებს მთელი ხალხის საყურადღებოდ" და მას ექნება "სახელმძღვანელოდ სახელმწიფოებრივი ენა, კანონი და სამართალი." [88]

სახალხო განათლების სამინისტროდან წამოსული ყველა ინიციატივა, რომელიც საგანმანათლებლო პრობლემატიკას უკავშირდებოდა, - იბეჭდებოდა გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში". მაგალითად, 1918 წლის ივლისში გაზეთმა პირველმა ამცნო საზოგადობას სკოლების გაეროვნებისა და ნაციონალიზაციის კანონპროექტის შესახებ. გარდა საკანონმდებლო ორგანოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა, გაზეთში ასევე აქტიურად იბეჭდებდა სადისკუსიო სტატიები საგანმანათლებლო პრობლემატიკის ირგვლივ. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული სტატია, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა, არის ნოე ქუთათელაძის სტატია "საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ."[89] ეს სტატია მოხსენების სახით წარედგინა განათლების სამინისტროს კანცელარიას დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამ თვეში. ვრცელ წერილში, რომელიც ავტორს გაზეთის ორ ნომერში აქვს გამოქვეყნებული, იკვეთება მთავარი პოსტულატი და კონტურები, რომლიც ფარგლებშიც უნდა წარიმართოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკა.

---

[88] *საქართველოს რესპუბლიკა,* 1918, N1, გვ.1.

[89] ქუთათელაძე, ნოე. „საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ," *საქართველოს რესპუბლიკა,* N21, N22, გვ.5.

ნოე ქუთათელაძის აზრით, არსებულ ვითარებაში, მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ქვეყნის სახელწიფოებრიობის იდეასა და განათლების გარდაქმნას შორის ურთიერთკავშირის დადგენა, ევროპული გამოცდილების გაზიარება და სწავლების დეცენტრალიზაციის საკითხის დასმა ქართულ სასწავლო დაწესებულებებში. თუმცა, ისიც ფაქტი იყო, რომ ამ მიზნების მიღწევას არსებული რუსული მემკვიდრეობა და ქართული პედაგოგიური ტრადიციის უქონლობა აფერხებდა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებისა და სკოლის, სახალხო განათლების ურთიერთკავშირის შესახებ, როგორც საზოგადებრივი ინსტიტუციის და აღნიშნავს, რომ ევროპაში სწორედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობამ ჩამოაყალიბა გამართული საგანმანათლებლო სისტემა. მათ დადებით ურთიერთქმედებას დემოკრატიულობის პრინციპებმა შეუწყვეს ხელი, რადგანაც ახალი თაობის აღზრდა დემოკრატიის საქმეა: "დემოკრატიის აღიარება ერთგვარი პოსტულატია ამ დარგში ინიციატივის გამოჩენისა - ახალი თაობის აღზრდა დემოკრატიის საქმეა."[90]

დემოკრატიულობის პოსტულატიდან გამომდინარე, სწავლა-განათლება სრულიად დეცენტრალიზაციას და მის საერობო მმართველობაში გადასვლას მოითხოვდა. სწავლების დეცენტრალიზაცია გამართლებული იყო თუნდაც იმ მხრივ, რომ სწავლების პროცესი გათავისუფლდებოდა პარტიული და იდეოლოგიური ზეგავლენებისგან. ავტორი მომოიხილავს ამერიკის და ევროპის ცალკეული ქვეყნების მაგალითს და გამოთქვამს სურვილს, საქართველოშიც გატარდეს სრული დეცენტრალიზაცია სწავლა-აღზრდის სფეროში სამომავლოდ მაინც. თუმცა, 1918 წელს არსებული ვითარება პრობლემის სხვაგარად გადაჭრის აუცილებლობის წინაშე აყენებს ავტორსაც და მთავრობასაც. კერძოდ, ნ. ქუთათელაძე თვლის, რომ სასკოლო საქმის აღორძინებისათვის ორი გზა არსებობს: ეროვნული ნიადაგის შემზადება და ევროპული გამოცდილების გაზიარება. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული პედაგოგიკა ჯერ კიდევ რუსული ლიბერალიზმის გავლენის ქვეშ იყო, „ერთადერთი გზა (გარდა ეროვნულისა) კულტურულ აღორძინებაში მხოლოდ დასავლეთისკენ არის." ავტორი, სწორედ ევროპული განათლების კონტექსტში გვთავაზობს საინტერესო ანალიზს სკოლებში უცხო ენების შესწავლის

[90] იქვე, გვ.5.

თვალსაზრისითაც, თუ რომელ ენას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ცხადია, ენების შესწავლის აუცილებლობა მხოლოდ შემეცნებითი დისციპლინის რანგში არ არის განხილული. მას წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა: მაშინდელი პოლიტიკური ვითარება ევროპაში და ძალთა გადანაწილება დიპლომატიურ თუ საერთაშორისო სფეროში, აღმოსავლეთში, მცირე აზიასა თუ სამხრეთში ზრდიდა ინგლისიური ენის დომინაციის შესაძლებლობებს. ამიტომაც, თუ ავტორი გერმანულ ენას სამეცნიერო და საუნივერსიტეტო ენად მიიჩნევდა, ინგლისური ენის ცოდნა მისთვის დიპლომატიური ურთიერთობებისათვის საჭიროებას უსვამდა ხაზს.

დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას ევროპული გამოცდილების ქართულ რეალობასთან დაახლოება და მასზე მორგება წარმოადგენდა. ამის დასტურად ხშირად ვნახავთ სტატიებს, რომლებიც განიხილავენ ევროპულ საგანმანათლებლო სისტემას. გამონაკლისს არც ნოე ქუთათელაძის ხსნებული სტატია წარმოადგენს. ავტორი ვრცლად საუბრობს გერმანული სკოლების შესახებ და აღნიშნავს, რომ გერმანიაში სკოლები დიფერენცირებულია ხალხის კლასობრივი და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. მაგრამ, ერთ-ერთი მიზეზი გერმანული სასწავლო სისტემის წარმატებისა, - ეს მისი კლასიკური განათლებისაკენ სწრაფვაა. ავტორს სურვილი აქვს, ქართულ სკოლებშიც ისწავლებოდეს კლასიკური ენები ახალ ევროპულ ენებთან ერთად. ეს დაახლოებს საქართველოს ევროპასთან და ეზიარება იმ ევროპულ საგანმანათლებლო ტრადიციებს, რამაც თავის დროზე ევროპაში ძლიერი საგანმანთლებლო სისტემა ჩამოაყალიბა. თუმცა, აქვე დასძენს, რომ ნებისიერი საგნის სწავლება განახლებულ ქართულ სკოლებში ეროვნულ ნიადაგზე უნდა მიმდინარეობდეს. ამას კი ქართული სკოლების სრული გაეროვნება შეძლებდა.

ევროპული განათლების იდეა 1918-1921 წლების საგანმანათლებლო დისკურსში აქტუალური მიმართულება იყო. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში კი ეს განაპირობა პოლიტიკურმა ვითარებამ. 1917 წლის რევოლუცია აღმოჩნდა ის წყალგამყოფი ხაზი, რომლის შემდეგაც მოხდა სრული გადაფასება მანამდე არსებული პოლიტიკური წყობის, ღირებულებებისა თუ შეხედულებების. ახალმა პოლიტიკურმა დღის წესრიგმა ახალი მოთხოვნები წამოაყენა თითოეული ქვეყნის წინაშე, რომელიც მანამდე მეფის რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა. აუცილებელი

გახდა მაშინდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-კულტურული ვექტორის მკაფიოდ განსაზღვრა. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული კულტურა ტიპოლოგიურად ევროპული კულტურის სივრცის ნაწილს წარმოადგენდა, ე.წ. ხელახალი ევროპეიზაციის პროცესი ტრადიციულ სააზროვნო სივრცეში დაბრუნების ტოლფასი იქნებოდა. მაგალითად, ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ ერთ-ერთი საკითხის განხილვის დროს პავლე საყვარელიძემ განაცხადა: ”ჩვენ ევროპიელნი ვართ ეროვნულ ნიადაგზე, ქართველები ვართ, მაგრამ ევროპიულ შინაარსით უნდა ვაწარმოვოთ ჩვენი წეს-წყობილება.”[91] თუ განვაზოგადებთ ამ განაცხადს, ის აშკარა დადასტურება იქნება დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა განწყობებისა, ქვეყნის სისტემური და მენტალური გაევროპულების შესახებ ნებისმიერ სფეროში, მათ შორის, - საგანმანათლებლო პოლიტიკაშიც. თითოეული ის სტატია, რომელიც ქართული საგანმანათლებლო სისტემის ეროვნულთან ერთად, ევროპული გამოცდილების გაზიარების აუცილებლობაზე მსჯელობს, ამ სააზროვნო სივრცეში დაბრუნების სურვილის დადასტურებაა. მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდია გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” ფურცლებზე სისტემატურად აწვდიდა ცნობებს მკითხველს გერმანული უნივერსიტეტებისა და მათი ფუნქციონირების შესახებ.[92]

თითოეულ იმ სტატიის ამოსავალი ქვაკუთხედი, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო კონცეფციას ეძღვნება, - არის თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყნის იდეა, რომელიც ილიას ლოზუნგის ქვეშ ერთიანდება “ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნის”. თითოეული სტატია სწორედ, ილიასეული ამ სიტყვების გააზრებით გვთავაზობს დამოუკიდებელი საქართველოს მომავალს, მათ შორის, საგანმანათლებლო სისტემის ამ პერსპექტივიდან დანახვას. ერთ-ერთი ასეთი სტატიაა ინჟინერ ვ. კაკაბაძის ავტორობით გამოქვეყნებული “სწავლა-განათლების მოწყობის საქმე.”[93] სტატიაში ავტორი თანმიმდევრულობით ასახელებს იმ ძირითად ეტაპებს, რომელიც განათლების გაუმჯობესების კუთხით უნდა

[91] ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიში, *საქართველოს რესპუბლიკის* დამატება, N35, 1918 წლის 4 ოქტომბერი, 44-ე სხდომა, გვ.8.
[92] გამსახურდია, კონსტანტინე. „გერმანიის სასწავლებლები,“ *საქართველოს რესპუბლიკა,* 1919, N231, N232, N233, N234, გვ. 2.
[93] ინჟინერი კაკაბაძე, ვ. „სწავლა-განათლების მოწყობის საქმე,“ *საქართველოს რესპუბლიკა,* 1919, N28, N 29, N 31, გვ.5-6.

განხროციელებულიყო. პირველ რიგში, ეს იყო წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის გაზრდა საღამოს კურსებისა და საკვირაო სკოლების დახმარებით. მეორე მნიშვნელოვანი პუნქტი, სწავლების ეროვნულ ნიადაგზე მოწყობა იყო, რაც ნიშნავდა დედა-ენაზე სწავლის შესაძლებლობებს. აქ ავტორი ავითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სწორედ დედა-ენაა გზა ბავშვის სულიერი განვითარებისაკენ; იმ საზოგადოების შეცნობისაკენ, რომელშიც ის იზრდება; ის ასევე ისტორიის, რწმენის, ქვეყნის ესთეტიკური აღქმის საუკეთესო საშუალებაა. მნიშვნელოვანია, რომ ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს პროფესიული სწავლა-განათლების მნიშვნელობას. კერძოდ კი, ინჟინერ ვ. კაკაბაძის აზრით, სასოფლო-სამეურნეო, მრეწველობის, ვაჭრობის და სხვა მსგავსი დარგების შესწავლა-განვითარება პირდაპირ იყო დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ და მატერიალურ ზრდასთან. ყველა ეს დარგი, სამეცნიერო და აკადემიურ ცოდნასთან ერთად, საზოგადოების განვითარებისა და წარმატებისათვის საჭირო ელემენტებს წარმოადგენდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ახალი აზროვნების დამკვიდრების აუცილებლობა დასვა დღის წესრიგში. ნებისმიერი რეფორმა, რომელიც ამ პერიოდში გატარდა, ახლებურ ხედვას ითხოვდა. განსაკუთრებით კი ისეთი დარგი, როგორიც განათლებაა, ყველაზე მეტად საჭიროებდა იმ დროისათვის ახლებურ მიდგომებს. ვ. კაკაბაძე ერთ-ერთ ასეთ სიახლედ ქვეყნის გარშემო ექსკურსიების მოწყობას და შემეცნებით გასვლებს მიიჩნევს, რადგანაც უფრო ახლობელი და შეცნობადი გამხდარიყო ქვეყნის წარსული, კულტურას, ბუნება ახალი თაობისთვის: „ასეთი მოგზაურობა ყმაწვილებს ჩაუნერგავს სამშობლოსადმი კეთილშობილურ სიყვარულს, განუვითარებს დაკვირვების ნიჭს, გაუღვიძებს და განუმტკიცებს ესთეტიურ გრძნობებს.”[94]

ინტელექტუალურ ელიტასთან ერთად, პოლიტიკური და სამთავრობო ელიტაც აქტიურად აქვეყნებდა მოხსენებებს, ანგარიშებს საგანმანათლებლო რეფორმის გარშემო. ამ მხრივ, გამორჩეულია განათლების მინისტრის მოადგილის ნოე ცინცაძის მოხსენება “საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ.”[95] ნოე ცინცაძე საუბრობს რუსიფიკატორული პოლიტიკის მძიმე შედეგებზე ქართულ

[94] იქვე.
[95] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N 518, ფ.2-8.

საგანმანათლებლო სისტემაში, შესაბამისად, მისი გარდაქმნის და ახლით შეცვლის აუცილებლობაზე.მოხსენების დასაწყისშივე ის ხაზს უსვამს იმ უმთავრეს საფუძველს, რომელზეც ახალი სკოლა უნდა დაფუძნდეს: "დემოკრატიზმი სოციალურის ინტენციით – აი, მთავარი საფუძველი, რომელზედაც ჩვენი ახალი სკოლა უნდა აღმოცენდეს, ადამიანის მთლიანი ჰარმონიული ბუნების, კერძოდ მისი მისი ნებისყოფის განვითარება – აი უმთავრესი მიზანი, რომელსაც სკოლა უნდა ემსახურებოდეს."[96] გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანი სოციალური არსებაა, იგი მუდმივად ჩართულია გარემოსთან ურთიერთობაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუდმივი სოციალიზაციის პროცესშია, რომლის შედეგადაც ადამიანი იძენს კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს. ასევე, როგორც შემოქმედებითი არსება მონაწილეობას იღებს ამ საზოგადოების ღირებულებების გარდაქმნასა და ჩამოყალიბებაში. განათლების სოციალური ფუნქციის უმთავრესი მიზანი, ადამიანის საზოგადოებისათვის ღირსეულ წევრად მომზადებაა. ნოე ცინცაძე, როდესაც განათლებას სოციალურ მიზნებს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, - სოციალურ ინტენციას უსახავს, სწორედ იმ კომპეტენციების განვითარებას მოიაზრებს, რომლებიც საჭირო იქნებოდა 1918 წლის ახალი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ განათლების სოციალური ფუნქციის ასრულება ვერ იქნებოდა ადვილი ახლადშექმნილი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში, იმ რთული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს რუსეთის იმპერიისგან ერგო.[97]

როგორც ვიცით, დემოკრატია თანასწორობის პრინციპს ეფუძნება და ფასეულობათა განსაზღვრულ სისტემაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის იდეალია. დემოკრატიულობის ამ თვისებიდან გამომდინარე, - თანასწორობის იდეა ადამიანებს არჩეული გზით განვითარების საშუალებას აძლევს კულტურულ თანასწორობასთან ერთად. რადგანაც კულტურული თანასწორობის იდეა დარღვეული იყო რუსეთის იმპერიის პირობებში, შესაბამისად, სკოლაც წოდებრივ შემადგენლობაზე იყო აგებული. დღეს კი სკოლა არა მარტო შინაარსით,

[96] იქვე.
[97] ხვედელიანი, ანა. „სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების მექანიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)," *სპეკალი,* 2020, N14. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/247 (წანახია 18.07.2022).

შემადგენლობითაც კი ერთიანი უნდა გახდეს, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით ერთიანი სკოლის სისტემის ჩამოყალიბებით უნდა განხორციელებულიყო. ახალი სკოლა სამსაფეხურიანი სასკოლო სისტემას მოიცავდა: სახალხო სკოლა, უმაღლესი დაწყებითი სკოლა და ოთხ კლასიანი საშუალო სკოლა, რომელიც მეხუთე კლასიდან იწყებოდა. მინისტრის მოადგილის განცხადებით, ახალი სკოლა ბუფერკაციის პრინციპზე აიგებოდა, რაც გულისხმობდა მოსწავლის უნარების ინდივიდუალიზაციასა და გამოკვეთას. მოსწავლეს მიეცემოდა საშუალება დამოუკიდებლად აერჩია მისთვის სასურველი სპეციალობის კურსი. თუმცა, არსებული კულტურული უთანასწორობისა და და საზოგადებრივი დონის გათვალისწინებით ეს საკითხი პირველ ეტაპზე მხოლოდ იდეის დონეზე რჩებოდა.

ნოე ცინცაძის მოხსენება რამდენიმე ქვე-პუნქტად შეიძლება დაიყოს, რომლებიც მნიშვნელოვან ღირებულებებს წამოსწევენ წინ სკოლის რეორგანიზაციისა და შესაბამისად, - ნაციონალური იდენტობის გამოკვეთის საკითხში. როდესაც ნოე ცინცაძე სვამს კითხვას, თუ რას უნდა ემსახურებოდეს ახალი სკოლა გარდა ცოდნის გადაცემისა, მას წინა პლანზე გამოჰყავს ადამიანი, როგორც ფასეულობა. საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინდივიდი ცენტრალიზებულია. “ცხოვრების სინამდვილე, რომლის ფარგლებშიაც ადამიანის შემოქმედებითი ნება იშლება, თვითონ ადამიანია. ცხადია ადამიანის ბუნების შემეცნება სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიზნად უნდა ჩაითვალოს, რისთვისაც სასკოლო პროგრამაში ფსიქოლოგიის შესწავლა საპატიო ადგილი დაეთმოს.”[98]

ადამიანისა და საზოგადოების დიქოტომიის პრინციპი ადამიანის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ნოე ცინცაძე მოქალაქეობრივი თვითშეგნების ზრდას ახალ სასკოლო სისტემას ერთ-ერთ უპირველეს მიზნად უსახავს და თვლის, რომ “ადამიანს სწორედ პოლიტიკურ ნიადაგზედ უხდება თავისი ნებისყოფის გაშლა და სკოლის უდიდესი მიზანიც ამ პოლიტიკური ცხოვრების კანონების გაშუქება უნდა იქმნეს მოზარდი თაობისათვის, მისი მოქალაქეობრივი საკითხი უდიდეს საკითხად უნდა ითვლებოდეს.”[99] ადამიანისა და საზოგადოების სრულფასოვანი ურთიერთმიმართება ვერ შედგება,

[98] სცსსა, ფონდი ნ1935, ანაწერი N1, საქმე N518, ფ. 2-8.
[99] იქვე.

თუ ადამიანს არ შესწევს უნარი ჩაწვდეს საზოგადებისა და ქვეყნის ეროვნულ ფესვებს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეისწავლის თავისი ქვეყნის ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს, გეოგრაფიას. საქართველოს ისტორიასთან ერთად სასწავლო პროგრამას დაემატებოდა პოლიტიკური ეკონომია, ლოგიკა, სამართალი, ფიზიკური ვარჯიში და ხელსაქმის საგნები. ასევე, ფილოსოფია, საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნები. ნოე ცინცაძე ცალკე ყურადღებას უთმობს ჰუმანიტარული საგნების შესწავლას. ახალი ევროპის კულტურა გამსჭვალულია ჰუმანიზმის იდეებით და დემოკრატიზმის პრინციპებით. ლათინური ენის სწავლებიდან ამოღება და თანამედროვე ევროპული ენების შესწავლა დაახლოვებს საქართველოს ევროპის მოწინავე ქვეყნებთან. ნოე ცინცაძის ამ მოხსენებიდან იკვეთება ის მთავარი კონტურები, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა დემოკრატიული ქვეყნის განათლების სისტემა. ეროვნულ ნიადაგზე და კულტურული თანასწორობის პირობებში აღზრდილი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებისგან შექმნილი საზოგადოება, - ახალი დემოკრატიული ქვეყნის განვითარების საწინდარს წარმოადგენს.[100]

თითოეული ეს მოხსენება გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ ის პასუხობს მოდერნისტული თეორიის წარმომადგენლის, ენტონი სმითის მოსაზრებებს ნაციონალიზმის დასავლური სამოქალაქო იდენტობის ფორმირების შესახებ. ამ მოდელის მიხედვით საერთო კულტურა, სამოქალაქო იდეოლოგია აკავშირებს ერთობის წევრებს ერთმანეთთან მათსავე მიწა-წყალზე. განათლების სისტემა, გაჯერებული ეროვნულთან ერთად სამოქალაქო თვითშეგნების იდეით, _ უზრუნველყოფს ერის ნაციონალური იდენტობის ფორმირებას, რომელიც, ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკას, განათლების სისტემის სიღრმისეული ტრანსფორმაციით უნდა განეხორციელებინა 1918-1921 წლებში.

[100] ხვედელიანი, ანა. „სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების მექანიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921),“ *სპეკალი,* 2020, N14. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/247 (ნანახია 18.07.2022).

3.2. ჟურნალი "განათლება" 1918-1921

სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს შორის, რომლებიც აქცენტს განათლების პრობლემატიკაზე აკეთებდნენ, თავისი კონპეტენციით და არგუმენტირებლობით გამოირჩეოდა ჟურნალი "განათლება", რომლის მთავარი რედაქტორის იმ დროის გამოჩენილი პუბლიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე იყო. 1918 წლის ჟურნალ "განათლების" პირველივე ნომრის სარედაქციო კოლეგიის სვეტში ვკითხულობთ, რომ დამოუკიდებლობამ კიდევ უფრო აშკარა და ცხადი გახადა ქართული განათლების რთული მდგომარეობა რუსული მემკვიდრეობის გამო. სარედაქციო კოლეგია თვლიდა, რომ ქვეყნის ნამდვილი დამოუკიდებლობა იმით შეიძლება ყოფილიყო განსაზღვრული, რამდენად გამართული საგანმანათლებლო სისტემის შექმენას შეძლებდა და რამდენად მაღალი იქნებოდა განათლების დონე ქვეყნის მასშტაბით. ამიტომაც, სარედაქციო კოლეგია თავს მოვალედ თვლიდა, თავისი თავდაუზოგავი წვლილი შეეტანა განათლების სწორად დაგეგმვა-გაძლიერების საქმეში.[101] შესაბამისად, სკოლის დემოკრატიზაცია, საერთო კულტურული აღმავლობა, თავისუფალი ერთიანი სკოლის პრინციპების ცხოვრებაში დამკვიდრება, საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება იყო ის საკითხები, რომელიც ჟურნალის პუბლიცისტებს ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ხელისშემწყობ ფაქტორებად მიაჩნდათ: "სისხლით მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცებასთან და შინაურ ცხორების მოწესრიგებასთან ერთად. სკოლის დემოკრატიზაციას, საერთო ეროვნული კულტურის აყვავებას, თავისუფალი ერთიანი სკოლის პრინციპების ცხოვრებაში გატარებას, საყოველთაო და სავალდებულო სწავლების შემოღებას, დღეიდანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ახალ ცხოვრებას შესაფერისი და მტკიცე საფუძველი ჩაედგას."[102]

ჟურნალი "განათლება" ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოში, პარტიული და იდეოლოგიური სხვადასხვაობის მიუხედავად, არსებობდა ერთიანი აზრი სახალხო განათლების ეროვნულ ნიადაგზე მოწყობის შესახებ. ამ აზრს ერთიანად იზიარებდა როგორც სამთავრობო, ისე ოპოზიციური ფლანგი. ეს ფაქტი იმედისმომცემად ესახებოდა ჟურნალის რედაქტორის ლურსაბ ბოცვაძესაც. სწორედ

[101] *განათლება,* 1918, N1, გვ.1-2.
[102] ბოცვაძე, ლუარსაბ. „მკითხველისადმი," *განათლება,* 1918, N1, გვ. 3.

ერთიანი საგანმანათლებლო პრინციპის კონტექსტში შემოგვთავაზა მან ერის/ნაციის კონცეფციის განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც, - ერი არის კულტურული ერთობა და თუ ერთობის წევრებს შორის რაიმე სახის უთანასწორობაა, მაშინ ერი დაკარგავს თავის სასიცოცხლო ძალას და ეროვნულ ენერგიას. განათლება კი არის ის ბერკეტი, რომელიც ერთობის წევრებს შორის სოლიდარობის განცდას კიდევ უფრო მეტად ამყარებს.[103] ჟურნალიდან ვიგებთ, რომ ქართველი რეფორმატორებისათვის სკოლის/სწავლების რეორგანიზაციის საკითხის განხილვა ექვემდებარებოდა სამ უმთავრეს დებულებას, რომლის ირგვლივაც უნდა განხორციელებულიყო რეფორმა. ესენია: 1. საქართველოს ეროვნული სკოლა უნდა იყოს ეროვნული; 2. საქართველოს ეროვნული სკოლა უნდა იყოს დემოკრატიული. 3. საქართველოს ეროვნული სკოლა უნდა წარმოადგენდეს გამართულ სისტემას პედაგოგიური თვალსაზრისით. თავად პედაგოგიური იდეა შეიცავდა გაეროვნებასა და დემოკრატიზაციას, მაგრამ ეს ორი თავად სახელმწიფოსგან იყო ნაკარნახევი და მის იდეოლოგიურ მთავარ ასპექტებს წარმოადგენდა.

საუკუნოვანი რუსული ცნობირების დომინირების გამო, რომელმაც სრულიად მოიცვა ქართული საგანმანათლებლო სააზროვნო სივრცე, ქართველებისათვის რეორგანიზაციის ამგვარი ფორმატი სიახლეს წარმოადგენდა. ამასთან დაკავსირებით, საინტერესო მოსაზრებას ვკიხულობთ ჟურნალის სტატიაში სერგი დანელიას ავტორობით.[104] მისი აზრით, სასკოლო რეფორმის წარმატება, ერთი მხრივ, დამოკიდებული იყო პედაგოგიურ ხარისხზე. მეორე მხრივ კი, ის იყო საზოგადოებრივი ევოლუციის, მისი განვითარებისა და სამომავლო მიზნების შედეგი. თუ სამთავრობო ელიტა რიგ შემთხვევებში გაეროვნების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მიუთითებდა, სერგი დანელიასთვის გაეროვნება და ქართულ ენაზე სწავლების წარმართვა პროცესის ერთი მხარე იყო, რომელსაც სიღრმისეული და შინაარსობრივი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა. კერძოდ კი, სკოლის გაეროვნულება მას ესმოდა, როგორც პროგრამისა და სწავლების მეთოდების ეროვნულ თვისებებთან შესაბამისობაში მოყვანა, მოსწავლეების ფსიქიკური და ფიზიკური თვისებების გათვალისიწინება და ა.შ. სკოლების გაეროვნულებაზე

[103] იქვე.

საუბრისას ის გვერდს ვერ აუვლიდა იმ ფაქტს, რომ ქართული კულტურა, სხვადასხვა ისტორიული მოვლენის გამო, ხშირად ჩამორჩებოდა თანამედროვე ევროპულ ტენდენციებს. შესაბამისად, დასავლეთ ევროპის, როგორც დიდი კულტურული სივრცის გამოცდილების გაზიარება და მისი ბრმად ქართულ სასწავლო სივრცეში დანერგვა ისეთივე შედეგს ვერ გამოიღებდა, როგორი შედეგიც მას უკვე, მისთვის ბუნებრივ გარემოში, - ევროპულ სივრცეში ჰქონდა. ცხადია, ის ამით არ ეწინააღდეგებოდა ევროპული გამოცდილების გაზიარებას. თუმცა, სისტემის შინაარსობრივი და სიღრმისეული გარდაქმნა ევროპულთან ერთად, ეროვნულის გათვალისწინებას მოითხოვდა: „ჩვენი საშუალო სკოლის გაეროვნება, უპირველესი პირობა მისი სწორი ორგანიზაციისა, ჩვენ უნდა გვესმოდეს როგორც საჭიროება საშუალო სკოლის შეფარდებისა ქართულ ეროვნულ სინამდვილესთან."[105]

1918-1921 წლების პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტისთვის გასაგები იყო ერთ მარტივი ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ეროვნული მხოლოდ წარსულიდან მიღებულ მემკვიდრეობას არ ნიშნავს. არამედ, ეროვნული მუდმივი პროგრესის იდეაა და შეთანხმებულია ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევ გარდაუვალობასთან. სერგი დანელიას ეროვნული სინამდვილე ორგვარად ესმის: მასში ის ისტორიულ-კულტურულ ასპექტებთან ერთად, მოიაზრებს "ბუნებრივ სინამდვილესაც". ტერმინი ეკუთვნის თავად მას და ის უნდა გულისხმობდეს იმ რეალობას, რომელშიც უწევდა მოცემული მომენტისათვის საქართველოს ცხოვრება. ისტორიულმა კანონზომიერებამ და კლასობრივმა გათანაბრებამ, საზოგადოებრივი მსოფლხედველობა ერთიან ყალიბში მოაქცია და ხელი შეუწყო დემოკრატიული იდეოლოგიის გამარჯვებას. ავტორისათვის სწორედ ამგვარი სახელმწიფოებრივი თვისება ადგენს პირობებს ეროვნული ცნობიერების, თანამედროვე და ერთიანი საშუალო სკოლის შექმნისათვის, რადგანაც „ამას მოითხოვს არა მარტო განყენებული სამართლიანობა, არამედ რეალური თავისებურობაც ჩვენი ერისა". [106]

სერგი დანელიას ამ სტატიის ზოგადი პათოსი კრიტიკულია. ის დაწერილია 1920 წელს, საგანმანათლებლო რეფორმის მიმდინარეობისას. ასე რომ, ავტორი წერილში არ ერიდება მიუთითოს რეფორმის ნაკლოვანებებზე. თუმცა, მისი

[105] დანელია, სერგი. *განათლება,* 1920, N 4-5, გვ.36-53.
[106] იქვე, გვ.50.

ამოსავალი პოსტულატი ერთიანი, ეროვნულ და დემოკრატიულ საფუძვლებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებაა. სერგი დანელია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთშიც "საქართველო" აქვეყნებდა კრიტიკული შინაარსის სტატიებს.

"ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს", - ილიას ამ ცნობილ ერთგვარ ფორმულაში გამოიხატა ეროვნული, ძლიერი და განათლებული ქვეყნის მომავლის რწმენა. სწორედ ამ ფორმულის შესაბამისობაში განიხილავს ახალი ქართული სკოლის განვითარების იდეას მიხეილ ზანდუკელი და 1920 წლისთვის განხორციელებული რეფორმის შეფასებას აკეთებს წერილში "ახალი სკოლის ძირითადი პრინციპები",[107] როდესაც აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს შენება განათლებული ერის ხელშია და სახელმწიფოებრივი აზროვნების ხაზი – "მომავლის შემქმნელი ადამიანი" სწორედ ამ პრინციპზე გადის. შეფასებისათვის ავტორი გამოჰყოფს რამდენიმე საკითხს. ესენია: ერთიანი სასკოლო სისტემის დანერგვა, წოდებრივი/კლასობრივი დიფერენციაციის მოსპობა, კლასიკური განათლების დემოკრატიული იდეოლოგიით ჩანაცვლება, რომელიც სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების პირველ მექანიზმად მიაჩნია ავტორს. როგორც ავტორი აღნიშნა, კლასიკური განათლება აშორებდა მოსწავლეს ნამდვილ ცხოვრებას და იმ აზროვნებას, რომელიც თანამედროვე გამოწვევების მქონე ერი-სახელმწიფოს იდეაზე დაფუძნებულ ქვეყანას ესაჭიროებოდა. პირველ დადებით მოვლენად მას მიაჩნია ის, რომ მთავრობამ შეცვალა საშუალო სკოლის სახე, მოსპო წოდებრიობა, ჩაატარა სკოლების გაერთგვაროვნებისა პოლიტიკა და პირველ საფეხურზე უფასო სწავლების დამკვიდრა.

სხვა ავტორების მსგავსად, მიხეილ ზანდუკელიც ევროპეიზმის იდეის ფარგლებში და ახალი სახელმწიფოებრიობის იდეასთან თანხვედრაში განიხილავს ევროპული ენების შესწავლის აუცილებლობასაც. მიხეილ ზანდუკელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეროპული ენების შესწავლა სწავლა-აღზრდის რაციონალურად გადაწყვეტის საშუალება წარმოადგენდა, რადგანაც მე-20 საუკუნე, ახალი მეცნიერებების და წინსვლის ეპოქა, კიდევ უფრო ზრდიდა ევროპული ენების

[107] ზანდუკელი, მიხეილ. „ახალი სკოლის ძირითადი პრინციპები," *განათლება,* 1920, N3, N4, გვ.3-9, გვ. 3-10.

მნიშვნელობას. ასევე, ის სამეცნიერო მიღწევების გაცნობის ერთადერთი გზა იყო, სტუდენტებისათვის კი ევროპის უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების საშუალებაც.

3.3. გაზეთი „საქართველო" და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია განათლების რეფორმის შესახებ

"დემოკრატიული წყობილება ერთი იდეით და აზრით არის გამსჭვავლული და ამ იდეას ხალხი ჰქვია. სახელმწიფოს და ხალხს პოლიტიკური და კულტურული ერთობა აერთიანებთ", - აღნიშნავს გაზეთი „ერთობა" 1918 წელს.[108] სწორედ პოლიტიკის, კულტურისა და ხალხის ერთიანობისათვის ბრძოლის დადასტურებაა 1918-1921 წლების ჯანსაღი ოპოზიციური სპექტრი, რომლის ძირითად ფლანგსაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი ბეჭდური მედია, - გაზეთი "საქართველო" წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ოპოზიციაც სრულიად იზიარებდა ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის ეროვნულ ნიადაგზე დანერგვის აუცილებლობას, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თანმიმდევრულად ადევნებდა თვალს საგანმანათლებლო რეფორმას და კრიტიკულად განიხილავდა მას, როგორც ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიან ცხოვრებაში.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი იდეური მიმართულება ეროვნულ-დემოკრატიზმი მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ჩამოყალიბდა.[109] მკვლევარი ოთარ ჯანელიძე აღნიშნავს, რომ ესა თუ ის კონკრეტული იდეა ისტორიული აუცილებლობით არის განპირობებული. ამგვარი ისტორიული აუცილებლობის დაასტურებაა ეროვნულ-დემოკრატიზმის იდეური საფუძვლების ჩამოყალიბება, რომელიც განაპირობა რუსეთი მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ანულირებამ და მის მიერ საქართველოს ანექსიამ. ქართულ საზოგადოებას ეროვნულობის ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება უკვე ჰქონდა,

---

[108] *ერთობა,* 1918, N 118, გვ.1.

[109] ჯანელიძე, ოთარ. *ნარკვევები საქართველოს ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან* (თბილისი: მეცნიერება, 2002), გვ.22.

ხოლო დემოკრატიულობის იდეები კი მასში თავად მას უნდა შემოეტანა.[110] სამოციანელების ძალისხმევით, ეროვნულ-დემოკრატიზმი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მოძრაობად იქცა, რომლის გამოკვეთილი ლოზუნგიც იყო „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს.“[111]

გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტთა ჯგუფი და მათი იდეური საფუძვლებიც სამოციანელთა პრინციპებიდან ყალიბდება, - აღნიშნავს მკვლევარი რუსუდან ვაშაკიძე.[112] მეოცე საუკუნის ათიან წლებში, გაზეთ „საქართველოს” ფურცლებზე, ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა პოლიტიკური პროგრამის ჩარჩოებში მოექცა, რითაც ხელი შეუწყო მომავალი პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ფორმებს.[113] გაზეთ “საქართველოს” პირველი ნომერი 1915 წლის 24 მაისს გამოქვეყნდა და გაზეთის საპროგრამო წერილში ხაზგასმით აღინიშნა, რომ გაზეთი არ იქნებოდა ვიწრო კლასობრივი ინტერესების დამცველი. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ-დემოკრატები არ უარყოფნენ კლასობრივი ბრძოლის არსებობას და მის მნიშვნელობას, - ისინი იმ მარტივ ჭეშმარიტებას აღიარებდნენ, რომ კლასობრივი ინტერესებზე მაღლა ეროვნული იდეალები დგას, რომელიც ხშირად ისტორიული აუცილებლობით არის განპირობებული და საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებს შეესაბამება. პარტიის საპროგრამო წერილში “ძირითადი პრინციპები ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა” აღნიშნულია, რომ სამ პრინციპზე, - თავისუფლება, თანასწორობასა და ერთობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ცხოვრების ზრდა და განვითარება მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც “არც ერთი მათგანი არა სჩაგრავს დანარჩენთა და კეთილშეწყობილი, ჰარმონიული თანხმობაა მათ შორის.“[114]

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება დემოკრატიზმის საფუძვლებზე მთავარ სამოქმედო პრინციპად იყო აღიარებული. ამ მოსაზრებას ამყარებს გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტის ი.

---

[110] იქვე, გვ.26.
[111] იქვე, გვ.45.
[112] ვაშაკიძე, რუსუდან. *საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა 1917-1918 წლების ქართულ პრესაში „საქართველო“, „სახალხო საქმე“, “ალიონი“, „ერთობა.* სადოქტრო დისერტაცია, (თბილისი: თსუ, 2009), გვ.14.
[113] ჯანელიძე, ოთარ. *ნარკვევები საქართველოს ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან* (თბილისი: მეცნიერება, 2002), თბილისი, გვ. 168.
[114] *ჩვენი ქვეყანა,* 1917, N51, გვ.2.

ხანანაშვილის სტატია, სადაც აცხადებს, რომ „სამმა დიდმა ფაქტორმა შეჰქმნა და წარმოშვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. პირველი და უმთავრესი იყო იდუმალი (იმ დროის არსებულ პირობების გამო) მისწრაფება ქართველ ერისა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისადმი და ერის ყველა სასიცოცხლო ელემენტების გაერთიანებისადმი. მეორე იყო მეტად თვალსაჩინო მიდრეკილება დემოკრატიულ წყობილებისადმი, ხოლო მესამე ასევე დაუმალავი და მეტად მტკიცე სურვილი სოციალ-ეკონიმიკური ურთიერთობების კერძო საკუთრების პრინციპზე აგების“.[115]

1915 წელს ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ქვეყნის მომავალი დამოუკიდებლობის ბედი. შესაბამისად, გაზეთ „საქართველოს” მესვეურები, ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს ავტონომიის აუცილებლობის შესახებ საუბრობდნენ, რომლის უმთავრესი საფუძველიც საკუთარი ტერიტორია უნდა გამხდარიყო: “უპირველესი მნიშვნელოვანი ელემენტი, ურომლოდაც ყოვლად შეუძლებელია ნაყოფიერი ეროვნული შემოქმედება, ტერიტორია გახლავთ“.[116] ტერიტორიის საკითხთან ერთად, მათ სულიერი კულტურის განვითარება ესახებოდათ უპირველეს მიზნად, რომელშიც რელიგია, კულტურა, ისტორია, მშობლიური ენა შედიოდა. “ჩვენი მწერლობა, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება ეროვნულ ნიადაგს უნდა დაეყრდნოს და დიდ ისტორიულ ნიმუშებში უნდა ეძიოს წყაროები შთაგონებისა და აღფრთოვანებისა“-აღნიშნავდნენ ეროვნულ-დემოკრატები. სახალხო განათლების და ეკლესიის როლიც მხოლოდ ეროვნულ მიზნებთან მიმართებაში განიხილებოდა: “სკოლასა და ეკლესიას დიად ეროვნულ მიზნებს შევუკავშირებთ”- აცხადებდნენ ისინი. [117]

როგორც სამოციანელების იდეური მემკვიდრე, ეროვნულ-დემორატიული პარტიის წარმომადგენელი ვასილ წერეთელი ეროვნების საკითხს მშობლიურ ენასთან მიმართებაში განიხილავს. მას ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მშობლიური ენა ერის სულიერი შემოქმედების ძლიერი გამოხატულებაა. მშობლიურ ენასთან ერთად ის ასახელებს

[115] ხანანაშვილი, ი. „ჩვენი იდეოლოგიისათვის,“ *საქართველო,* 1919, N83, გვ.2.
[116] *საქართველო,* 1915, N1, გვ.1.
[117] იქვე.

იმ ფაქტორებს, რომლებიც სოციალურ-პოლიტიკური მრწამსის ძირითადი დებულებებია: ეროვნება, საქართველოს ავტონომია, ეკონომიკური სიძლიერე, ოჯახი, სწავლა – განათლება. ეროვნულ-დემოკრატების შეხედულება სწავლა-განათლების შესახებ ასე განისაზღვრა მათი პარტიის ძირითად დებულებებში: „სწავლება უნდა წარმოობდეს დედა-ენაზე. სწავლა უნდა იყოს საყოველთაო და თავისუფალი სქოლასტიკისა და სარწმუნოებრივი დოგატიზმისგან."[118] თუმცა, "სარწმონოებრივი დოგმატიზმისგან" საყოველთაო სწავლა-განათლების განთავისუფლებამ ეროვნულ-რემოკრატიულ პარტიაში წინააღმდეგობრივი განწყობები გამოიწვია. ამ კონკრეტულ საკითხს დავუბრუნდებით მოგვიანებით, განათლებისა და რელიგიის ურთიერთმიმართებების განხილვისას 1918-1921 წლების საგანმანათლებლო პოლიტიკაში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და ცარიზმის დამხობის შემდეგ ახალი პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბების ტენდენციებთან ერთად, ცვლილებები მოსალოდნელი იყო ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. გამონაკლისი არც საგანმანათლებლო სისტემა უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ მოლოდინებზე მიუთითებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გვაზავაც 1917 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში "სკოლა და რევოლუცია".[119] ზოგადად, პოლიტიკური მოვლენები პირდაპირ კავშირში არის ეროვნულ საგანმანათლებლო პროცესების წარმართვა-განვითარებასთან. გიორგი გვაზავას რევოლუცია მიაჩნდა ეროვნული თვითგამორკვევის მძლავრ საშუალებად. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ეს თვითგამორკვევა ეროვნულ სკოლას ძველი რეჟიმისგან გამოხსნასა და ეროვნული სასკოლო სისტემის დაარსებაში დაეხმარებოდა. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ერთი წლით ადრე დაწერილ სტატიაში, არ ჩანს მყარი წარმოდგენა ქვეყნის მომავალი პოლიტიკური მოწყობის შესახებ. ქვეყნის ავტონომიური მოწყობის საკითხი კვლავ აქტუალური იყო. შესაბამისად, გიორგი გვაზავას ხედვა ემყარებოდა ქვეყნის ავტონომიის ფარგლებში კულტურული თვითგამორკვევის პრინციპებს. მისი ხედვა მიჰყვება ილია ჭავჭავაძის და სამოციანელების პრაქტიკას ეროვნული თვითგამორკვევის, ეროვნული

[118] *ჩვენი ქვეყანა,* 1917, N51, გვ.3.
[119] გვაზავა, გიორგი. „სკოლა და რევოლუცია," *საქართველო,* 1917, N104, გვ.1.

იდენტობის განსაზღვრის საქმეში. ამისათვის გიორგი გვაზავამ მთავარ ფაქტორებად მშობლიური ენა, ქვეყნის ისტორია, მშობლიური ლიტერატურა დაასახელა: "საქართველო თუ ტერიტორიულად არა, კულტურულად მაინც თითქოს გამოყოფილი იქნება", - აღნიშნავს იგი.[120] საქართველოს ავტონომიის მიღწევის პირობებში, ეროვნულ-დემოკრატებისათვის, ეროვნული იდენტობის გამომხატველი მარკერები დაკავშირებული იქნებოდა ერის/ნაციის ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებებთან, ასევე მე-19 საუკუნის ქართული ნაციონალიზმის კულტურულ საფუძვლებთან, საიდანაც იწყება ერის თვითგამორკვევის პროცესი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მრწამსი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის შესახებ არც პირველი რესპუბლიკის დაარსების შემდეგ შეცვლილა. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული ქართული საგანმანათლებლო სისტემა უპირობოდ ქვეყნის მომავალთან იყო დაკავშირებული, - მათი მრწამსი ქვეყნის განვითარების შესახებ აისახა საგანმანათლებლო პოლიტიკის ირგვლივ გამართულ დისკუსიაშიც. ხშირად ისინი სოციალ-დემოკრატებს პარტიული პროპაგანდისტული პოლიტიკის გატარებას და ეროვნული პოლიტიკისადმი გულგრილობას საყვედურობდნენ. ეს პათოსი შენარჩუნებულია იმ პუბლიცისტურ წერილებში, რომლებიც გაზეთ „საქართველოში" აქტიურად იბეჭდებოდა. ჩვენთვის თითქმის ყველა მათგანი საინტერესოა და შევეცდებით თანმიმდევრულად მიმოვიხილოთ ისინი.

ერთ-ერთი ასეთი კრიტიკული წერილის ავტორია პუბლიცისტი და პედაგოგი იპოლიტე ვართაგავა. მან 1919 წელს გამოაქვეყნა წერილების სერია „სკოლის რეორგანიზაციისათვის", სადაც ის საუბრობს განათლების რეფორმის ძირეულ საკითხებზე და მიმდინარე რეფორმის ხარვეზებზეც.[121] სტატია ვრცელია და ხუთ საგაზეთო ნომერს მოიცავს. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ მთავარ მიზანს, - ამ წერილების საფუძველზე დავადგინოთ, რაში ხედავს მთავარი ოპოზიციური ფლანგი ერის ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორებს საგანმანათლებლო პოლიტიკის მიხედვით.

---

[120] იქვე.

[121] ვართაგავა, იპოლიტე. „სკოლის რეორგანიზაციისათვის," *საქართველო,* 1919, N75, N77, N78, N79, N81, N96. გვ.1.

ავტორი წერილში ხაზს უსვამს სკოლისა და სახელწიფოს ერთიანობის მნიშვნელობას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ერის სარკეა და მის ზნეობრივი, კულტურული თუ ეკონომიკური წინსვლა დამოკიდებულია მასზე, ერისა და სახელმწიფოს უმთავრეს საჭირბოროტო საკითხს სწორედ გამართული სასკოლო სისტემის ჩამოყალიბება უნდა წარმოადგენდეს. სკოლა არის ერთგვარი ლაბორატორია, სადაც ყალიბდება ადამიანის ცნობიერება, ნებისყოფა. ის ქმნის ახალ ადამიანს, მოქალაქეს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ერისა და სახელმწიფოს მომავალთან. გარდა ამისა, ავტორი ხაზს უსვამს სკოლის და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების გავლენების მნიშვნელობას სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირებისათვის. ცხადია ავტორმა იცის, რომ ახალ საზოგადობრივ და პოლიტიკურ ყოფაში ისეთი დამოუკიდებელი ინსტიტუციების არსებობა, როგორიც საგანმანათლებლო კერებია, - სახელმწიფოს გამაჯანსაღებელი ინსტრუმენტია და მთავარი ბერკეტი მისი დემოკრატიული ფუნქციონირებისათვის. თუმცა, მოცემული რეალობა ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველს არ აძლევს წერილის ავტორს და ვრცლად მიმოიხილავს ქართული სკოლის მდგომარეობას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყო რუსული სასკოლო ცნობიერების მარწუხებიდან: „როგორც ვიცით, დღევანდელი ჩვენი და სხვა და სხვა ტიპი სკოლები, როგორც შემადგენლობით, ისე ორგანიზაციითაც, ქართული არ არის. ეს არის რუსული სკოლები, საქართველოს განთავისუფლების შემდეგ ჩვენს გამგებლობაში დარჩენილი. ტიპები ამ სკოლებისა რუსეთშია შემუშავებული რუსის ერის და სახელმწიფოს მოთხოვნლების და ინტერესის მიხედვით. სწავლა-აღზრდის დეტალებიც კი რუსულ ცხოვრებასა და სინამდვილესთან არის შეფარდებული.”[122] ავტორი საყვედურებს არ იშურებს განათლების სამინისტროს მიმართ და მას აქტიურ მოქმედებაზე გადასვლისკენ მოუწოდებს, რაც მრავალ პოლიტიკურ ქარტეხილებს გამოვლილი ქვეყნისათვის მწყობრი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს. როგორც ავტორის შეფასებებიდან ჩანს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თითქმის ერთი წლის თავზე (წერილი გამოქვეყნებულია 1919 წლის აპრილის თვეში), მთავრობამ ჯერ ისევ ვერ შეძლო “თავისუფალი ქართული სკოლის” მოწყობა. ამის მიზეზი კვლავ რუსიფიკატორული

[122] იქვე.

პოლიტიკის ნარჩენებია, რომელმაც ბოლო მოუღო ყოველგვარ ეროვნულს ქართულ სკოლაში. ავტორი თვლის, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობა "ქართულ ტერიტორიაზე" (ტერმინი ეკუთვნის იპ. ვართაგავას) ქართული სკოლების განახლებას ბიუროკრატიული პრინციპებით მიუდგა. ამგვარი დამოკიდებულება ერთგავარად ეროვნული პოლიტიკის ნაკლოვანებაზე მიუთითებდა: მაგალითად, მაშინ როდესაც თბილისის სკოლების დირექტორების უმცირესობას ქართველები წარმოადგენენ, უმრავლესობაში კი მხოლოდ ის პირები სხედან, რომლებიც "ფორმალურად საქართველოს არა ქვეშემრდომი, იდეურად მისი თავისუფალი არებობის დაუძინებელი მტერი, - რასაკვირველია, სრულებით არ არის დაინტერესებული საქართველოსა და მისი სკოლის ბედით. და მხოლოდ გულის ფანცქალით მოელოდა და დღესაც მოელის რუსის ძლიერების და ბატონობის დაბრუნებას და დამკვიდრებას საქართველოში?!"[123]

განათლების მისია და საგანმანათლებლო სახელმწიფო პოლიტიკა ფართო ჭრილშია განხილული კიდევ ერთ წერილში, რომელიც 1919 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში". მისი ავტორია ს. დარიანი. ფსევდონიმების ლექსიკონის დამოწმებით, ს. დარიანის ფსევდონიმის უკან სერგი დანელიას სახელი უნდა ამოვიკითხოთ.[124] ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტიც, რომ სერგი დანელია 1918-1921 წლებში აქტიურად აქვეყნებდა წერილებს სასკოლო სისტემის, ისტორიის სწავლებისა და საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ ჟურნალ "განათლებაში". ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, არც ჟურნალ "განათლების" პუბლიკაციები დაგვრჩება ყურადღების მიღმა.

სტატიის შესავალში ავტორი ქვეყნის ცხოვრებაში ისტორიული გარემოების მნიშვნელობას უსვამს ხაზს, კერძოდ კი იმ გარემოებას, რომ მოცემულ ვითარებაში საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მისი ბედი მისავე ხელშია. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს უწევდა გარეშე მტრებს გამკლავებოდა. მათთან ბრძოლით დაუძლურებული, იძულებული გახდა სხვას შეჰკედლებოდა. ეს არის მიზეზი, რის გამოც ქვეყნის საშინაო საქმეები ქართველებს დიდი ხმის მანძილზე ყურადღების მიღმა რჩებოდათ. შინაურ საკითხებზე ისინი ზრუნავდნენ

[123] იქვე.
[124] ჭოხონელიძე, გ. *ფსევდონიმების ლექსიკონი* (თბილისი: 2016), გვ.35.

იმდენად, რამდენადაც ამას საგარეო საკითხები მოითხოვდა. დაუძლურებულ ქვეყანას აღარ შესწევდა უნარი, გამოევლინა ჯეროვანი მზრუნველობა ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის, რამაც ეროვნული ძალების სრული დეგრადაცია გამოიწვია. ეს გრძელდებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე, სანამ ასპარეზზე უფრო მეტად განათლებულ ადამიანთა ჯგუფი არ გამოჩნდა. დღევანდელი ვითარება კი საქართველოს აძლევს შანს, დაუბრუნდეს თავის ისტორიულ მისიას და "გავეშუროთ წინ კულტუროსან ერების დასაწევად და ვიბრძოლოთ მათთან ერთად მსოფლიო დანიშნულებისათვის," – აღნიშნავს ს. დარიანი.[125]

კაცობრიობის განვითარების ევოლუციური ხანა - ასე უწოდებს ავტორი ახალ დროებას, ადამიანების ცხოვრების მოდერნულ ეპოქას. რით არის განპირობებული ამგვარი შეფასება? სავარაუდოდ, ავტორს სურს ხაზი გაუსვას გარემოებას, რომ კაპიტალიზმის, ინდუსტრიალიზაციისა თუ სეკულარიზმის გამოვლინებებმა კაცობრიობის სულიერ, კულტურულ და პოლიტიკურ მეტამორფოზას დაუდეს საფუძველი. ახალ დროებაში ახალი ადამიანი ახალი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და მათი აღსრულება მან თავის სულიერ მისიად დაისახა. ამ პროცესებს არც საქართველო ჩამორჩა. ერთ-დროს კუთხეებად დაყოფილი ქვეყანა დღეს დემოკრატიზმის საზღვრებში იყო მოქცეული. აღარ არსებობდა ცაკეულ კუთხეებად დანაწევრებილი საქართველო. ვიწრო კარჩაკეტილობისგან განთავისუფლებულ ევროპულ ცნობიერებას აზიის მისადგომებთან ერთიანი საქართველო ხვდებოდა. მას შეუძლო კულტურის გამტარის მისია შეესრულებინა ევროპასა და აზიას შორის: „თუ აზიაში კულტურის შეტანა თავის ისტორიულ მისსიად ისახავენ ინგლისელები და გერმანელები, განა ჩვენ, ჩვენი წარსული მიხედვით, მეტი უფლება არ გვაქვს მივითვისოდ ეს ისტორიული დანიშნულება?"[126] ამ ისტორიული მისიის შესრულება შესაძლებელი იყო ერის ძალის არსებობის პირობებში.

ავტორი სვამს კითხვას, თუ როგორ იქმნება ერის ძალა. ავტორისათვის პასუხი მდგომარეობს შემდეგში: "ერის ძალა განისაზღვრება მისი კულტურით, რომელსაც საფუძვლად უდევს სახალხო განათლება. ერის ძლიერება მის განათლებაზეა

[125] დარიანი, ს. „სასკოლო პოლიტიკაზე," *საქართველო,* 1919, N113, N114, N118, გვ.3.
[126] იქვე.

დამოკიდებული. სჯობნის ერი, რომელიც უფრო განათლებულია".[127] სხვადასხვა ქვეყნები, ყოველი დიდი დამარცხების შემდეგ, გაცხოველებულ ენერგიას სახალხო განათლების მოწყობაში დებდნენ. ასე იყო პრუსია საფრანგეთთან სასტიკი დამარცხების შემდეგ, რადგანაც ყოველგვარი ეროვნულის დამარცხება იწვევდა განათლებისადმი მისწრაფებას ყველა ერში. განათლებული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები ერთვებოდნენ საყოველთაო განათლების პროცესებში. აქ ავტორი ასახლებს გერმანელ განმანათლებლებლებს - ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტს, შლაიერმახერს, ფიხტეს, ჰეგელს. ამგვარ გზას უნდა დაადგეს საქართველოც. საქართველოს ეროვნული ინტერესი სწორედ სახალხო განათლების სწორ ნიადაგზე დაყენებაში და მის თანმიმდევრულ დაგეგმარებაში უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქართული სახელმწიფოს ეროვნული მისია მხოლოდ საგანმანათლებლო ძალების მობილიზებასა და ერის კულტურულ თუ ცნობიერ აღორძინებაშია: "ეს არის ცონდიტიო სინე ქუა ნონ ერის სწრაფი აღორძინებისა და რომ ეს ასე მოხდეს, რომ საუკეთესო ძალები ქართველი ერისა მიმართული იქმნენ სახალხო განათლებისაკენ, საჭიროა, რომ განათლების ინტერესები დროებით მაინც გაბატონდნენ სხვა დარგის ეროვნულ ინტერესებზე."[128]

ავტორი სტატიაში ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის პერსპექტივებს ლოკალურ ჭრილში არ განიხილავს და მისი გაუმჯობესებისკენ სწრაფვას არც მხოლოდ მმართველი ელიტის ძალისხმევას მიაწერს. ავტორისთვის მთავარი ამოსავალი წერტილი კონტექსტია: მსოფლიო პოლიტიკის ცვლილებებმა საქართველო კიდევ უფრო მეტად დაახლოვა ევროპულ ცივილიზაციას და ხალხს მიანიჭა უფლება-მოსილება თავად განკარგოს თავისი მომავალი, მათ შორის განათლებისაც, რომელსაც ის "ხალხოსნურს" ანუ ეროვნულს უწოდებს. "ხალხის გაღვიძება დღეს, მადლობა ღმერთს აღარ გვჭირია. მსოფლიო გრიგალმა, რომელმაც მას გადაურა ამ მოკლე ხანში ჩვენი ერი ევროპიელობის კულტურას შეახალა, ის სრულიად გამოაღვიძა".[129]

[127] იქვე.
[128] იქვე.
[129] იქვე.

ავტორს ასპარეზზე შემოჰყავს ხალხი, როგორც როგორც მთავარი ბირთვი ერი-სახელმწიფოს ფორმირებისათვის. ქვეყნის სახელმწიფოებრიობა კი სახალხო განათლების ფართო ქსელს ეფუძნება, რომლის სადავეებსაც სახელმწიფო აპარატებთან ერთად თავად ხალხის მასები იღებენ ხელში. მწყობრი საგანმანათლებლო სისტემა მხოლოდ ეროვნულ ხასიათსა და ეროვნულ პედაგოგიურ ტრადიციების შეთვისეული აღწევს თავის მიზანს. რაში მდგომარეობს განათლების ეროვნული ხასიათი? ავტორის აზრით, განათლების ეროვნული სისტემა არ იქმნება მხოლოდ სამეცნიერო კაბინეტებში. უპირველესად მას თავად ერი ქმნის მთელი თავისი შემადგენლობით. მთავრობების მოვალეობაა იცოდნენ, როგორი განათლება სჭირდება ერს მისივე თავისებურებების შემეცნებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი ერისათვის შესაფერისი პედაგოგიური სისტემის შექმნა, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. ავტორი წუხს ქართული პედაგოგიური ტრადიციის უქონლობით. ამ ტრადიციის ერთად-ერთ წარმომადგენლად მხოლოდ იაკობ გოგებაშვილს მიიჩნევს: „მაგრამ ერთი კაცი აბა რა ტრადიციას შექმნიდა? ტრადიცია გულისხმობს მიმდევრებს და პედაგოგიური ტრადიციის უქონლობის გამო ძნელია ჩვენთვის სწორი განათლების სისტემის შექმნა",– აღნიშნავს ს. დარიანი.[130]

ისტორიული გამოცდილებები ნათლად გვიჩვენებენ, რომ სხვადასხვა ხელისუფლება ძალაუფლების ლეგიტიმაციის მიზნით იდეოლოგიას და პროპაგანდას მიმართავს. ამ ხერხს წარმატებით მიმართავენ როგორც დემოკრატიული, ასევე ტოტალიტარული სახელმწიფოები. შესაბამისად, როდესაც სიტყვა – იდეოლოგიას და პროპაგანდას ვიყენებთ, მათ ხშირად ტოტალიტარული სახელმწიფოების გამოცდილების გამო უარყოფითი კონოტაცია აქვთ. სინამდვილეში კი, საქმე ეხება კონტექსტს, საიდანაც ნებისმიერი გამოცდილება გამომდინარეობს. ჩვენი აზრით, პირველი რესპუბლიკის გამოცდილება საგანმანათლებლო სისტემის პროპაგანდისტულ და პოლიტიკურ ხერხად გამოყენების თვალსაზრისით, დემოკრატიულია და ამას ფაქტებიც მოწმობენ. თუმცა, ამ მოსაზრებას 1918-1921 წლებში მოწინააღმდეგები ჰყავდა: ოპოზიციური ფლანგი თვლიდა, რომ ხელისუფლება განათლების სისტემას პოლიტიკური მიზნებისათვისაც იყენებდა და მას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ელფერი დაჰკრავდა. სწორედ ამ საკითხს

[130] იქვე.

განიხილავს ს. დარიანი მორიგ სტატიაში „საშუალო სკოლის მართვა-გამგეობისათვის“.[131] სწავლა-განათლება პოლიტიკის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ის ყველანაირი პოლიტიკური მიზნებისგან უნდა იყოს თავისუფალი, რადგანაც მთავრობა დროებითია, სახელმწიფოებრივი ღირებულებები მარადიული, არსებული წყობილების შენარჩუნების იდეა კი სკოლის მთავარ საგანს უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც თითოეული სასწავლო დაწესებულება ავტონომიურ პირობებში შეძლებს, თუ ის არ იქნება გარე პოლიტიკური ძალებით მართული. როგორც ჩანს, ამით სტატიით ავტორს სურს გამოეხმაუროს სკოლების სრული ავტონომიის მოთხოვნას, რომელიც საკმაოდ მომწიფებული იყო მაშინდელ საზოგადოებაში. ამ მოსაზრების საპირისპიროდ მას რამდენიმე არგუმენტი გააჩნია: ავტორი ეთანხმება სასწავლო დაწესებულებების ავტონომიას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლა იმდენად დამოუკიდებელი იქნება სახელმწიფოსგან, რომ მატერიალურადაც თავად უზრუნველჰყოფს საკუთარ თავს. სკოლის ამგვარი დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი განვითარების პირდაპირპროპორციულია. ეს ბალანსი თვით მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორებიცა ამერიკა ან ინგლისი დარღვეული იყო. შესაბამისად, სკოლების მთლიანი მართვა-გამგეობა სახელმწიფოს ხელში იყო გადასული, რაც ნიშნავდა, რომ სახალხო განათლება აღიარებული იყო სახელმწიფო საქმედ. ავტორის აზრით, ახლად შექმნილი დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემა სახელმწიფო საქმედ აღიარებას მოითხოვდა, თუმცა პოლტიკური იდეილოგიისგან გათავისუფლების პირობით.

საქართველოში, როგორც განაპირა კოლონიურ მხარეში, რუსეთმა დაიწყო ინტენსიური რუსიფიკაციის პროცესი და ეს პირველ რიგში, აისახა სკოლასა და სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში. ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება პოლიტიკური პროპაგანდის კერად იქცა მეფის რუსეთის ქვეშ. მაგალითად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბიკის სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე აღიშნავს, რომ “თვითმპყრობელობის ეროვნული პოლიტიკის დამახასიათებელია ეროვნების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ მანდ დაივიწყოს თავისი წარსული, თავისი ისტორიული მდგომარეობა, გაითქვიფოს რუსობაში, მოხდეს მისი “ასიმილაცია”, როგორც ამას უწოდებდნენ თავიანთ მოხსენებაში

[131] დარიანი.ს. “საშუალო სკოლის მართვა-გამგეობისათვის,“ *საქართველო,* 1920, N138, გვ.4.

ა./კავკასიის მთავარმმართველნი.[132] ამ მიზნის მისაღწევად ძირითადი საშუალებაა სკოლა, სადაც შეზუდულია მშობლიური ენის სწავლება, ქვეყნის ისტორია, გეოგრაფია და ყველაფერი ის, რომელთან მიმართებაშიც ქვეყნის მოქალაქეს საკუთარი ეროვნული იდენტობის განცდა უყალიბდება. სწორედ რუსიფიკატორული განათლების მძიმე შედეგებზე საუბარობს ვასილ ბარნოვი სტატიაში "სასწავლებელში," რომელიც 1920 წელს გამოქვეყნდა გაზეთ "საქართველოში."[133] ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება მხოლოდ პოლიტიკური აქტი არ იყო და პირველ რიგში, ის ქვეყნის სულიერი კულტურის დეგრადაციის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა. მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა განსაკუთრებით ქართული ენის განვითარების პროცესებზე აისახა. როდესაც ავტორი დედა ენის მნიშვნელობაზე გვესაუბრება, მან კარგად უწყის, რომ მშობლიური ენა მხოლოდ სამეტყველო კატეგორია არ არის. ის პირველ რიგში, სააზროვნო არეალია, რომლის ფარგლებშიც ადამიანის კულტურული ინტეგრაციის საკითხი წყდება. გარდა ამისა, მშობლიური ენის შეზღუდვა და გადაგვარება ვერც ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკურ ერთიანობას უზრუნველყოფს.

ძველი წყობილების პოლიტიკურმა რღვევამ და ახალმა დროებამ მოიტანა ისტორიული სასწაული: „დაირღვა უსამზღვრო რუსეთი; სხვათა დამთქმელმა ჩანთქა თითონვე თავისნი შვილნი. გაგვითენდა!"[134] სავარაუდოდ, აქ ავტორი მიმართავს ალუზიას ილია ჭავჭავაძის "მგზავრის წერილების" ლელთ ღუნიასთან და ამბობს, რომ "ჩვენი თავი აწ ჩვენვე გვახლავს". თუმცა, ახალი გარემოებების მიუხედავად, ქართველს მაინც დასდევს წარსულის აჩრდილი, რაც ხელს უშლის ნაბიჯი გადადგას უფრო გაბედული მოქმედებისაკენ. როგორც ჩანს, ვასილ ბარნოვი უკმაყოფილოა მთავრობის მიერ გატარებული საგანმანათლებლო პოლიტიკით. მას მიაჩნია, რომ დედა-ენა და მეცნიერების მშობლიურ ენაზე სწავლება კვლავ არ წარმოადგენს დამოუკიდებელი ქვეყნის ძლიერ მხარეს. ის მოუწოდებს მთავრობას, უზრუნველყოს ქართველებისათვის ქართულად სწავლების პირობები, ხოლო ეთნიკურ

---

[132] გიორგაძე, გრიგოლ. *საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905* (სახელგამი, 1928), გვ. 222.
[133] ბარნოვი, ვასილ. "სასწავლებელში," *საქართველო*, 1920, N118, გვ.4.
[134] იქვე.

უმცირესობებისათვის კი თავიანთ ენაზე სწავლის საშუალება: „ქართველთ მიეცეს სავალი ქართული, არა ქართველთ თავიანთ დედა ენაზედ. ვერვის შეავიწროებს თავისუფლების მოტრფიალე ქართველი, სხვებიც ნუ ახშობენ ჩვენის სვლის სილაღეს!”[135] აშკარაა, რომ ვასილ ბარნოვის ამგვარი ხედვა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ქართველი ერის განათლებისა და კულტურული თვითგამორკვევის პროცესებთან, რომელშიც გადამწყვეტი როლი მშობლიური ენის გაძლიერებამ უნდა მოახდინოს. მეორე მხრივ, კი ასევე უზრუნველყოფს სხვათა განათლების ხელმისაწვდომობისა და კულტურული თვითგამორკვევის უფლებებსაც.

[135] იქვე.

თავი IV. საგანათლებლო პოლიტიკა და ნაციონალური იდენტობის ფორმირების ხელშეწყობისათვის გადადგმული ნაბიჯები

4.1. ქართული ენის მნიშვნელობა ერი-სახელმწიფოს ფორმირებისათვის

მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების სივრცის უქონლობის გამო, ილია ჭავჭავაძის და თერგდალეულების მოღვაწეობის მიზანი ქვეყნისათვის კულტურული ნაციონალიზმის განსაზღვრა იყო. მათ კარგად უწყოდნენ, რომ საკუთარი თავის ძიება და ნაციონალური თვითგამორკვევა ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო, რომელშიც მშობლიური ენა, განათლება, ისტორია, კულტურული აღორძინება, ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და თვითადმინისტრირება შედიოდა. თერგდალეულებისათვის ქართული ენა იყო ის საფუძველი, რომელზეც საქართველოს ეროვნული მთლიანობა უნდა აშენებულიყო. ამ თვალსაზრისით თერგდალეულთა პრაქტიკულმა მუშაობამ და მათმა უშუალო მონაწილეობამ განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში, საფუძველი ჩაუყარა ქართული იდენტობის ნარატივის ფორმირებას. ილიასეულ ტრიადაში "ენა, მამული, ენა, სარწმუნოება", - ქართულ ენას, როგორც საზროვნო სივრცის შემომსაზღვრელს და ეროვნული იდენტობის მთავარ მარკერს, წამყვანი პოზიცია უკავია. ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს, რომ ილიას ეპოქის ამოცანა ქართველთა კონსოლიდაციისათვის ქართული ენის აღორძინება იყო. დროთა მანძილზე ქართულ ენას ეთნიკურ-ეროვნული საზღვრების გადალახვით ქვეყნის, - როგორც სახელმწიფოს ყველა მცხოვრების ინტეგრაცია დაეკისრა.[136] სწორედ 1918-1921 წლებში ვხედავთ ქართული ენის მიერ ეთნიკურ-ეროვნული საზღვრების გადალახვის პირველ მცდელობებს. ამ პროცესში სახელმწიფო საკანონმდებლო და ინტელექტუალური აპარატი თანმიმდევრული ნაბიჯებით იყო ჩართული: ქართული ენა გამოცხადდ გამოცხადდა სახელმწიფო ენად; მოხდა სასწავლო დაწესებულებების გაეროვნულება; სავალდებულო გახდა ქართული ენის შესწავლა; მასწავლებლებისათვის მოეწყო ქართული ენის შემსწავლელი კურსები; შემუშავდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის სტანდარტები; ეროვნულ უმცირესობებს დაევალათ

[136] კიკნაძე, ზურაბ. „ილიას მამული," *საქართველო ათასწლეულთა გზაგასაყარზე* (არეტე, 2005), გვ. 49.

ქართული ენის შესწავლა; დაიწყო აქტიური მუშაობა ქართულ სასკოლო პროგრამებზე და სახელმძღვანელოებზე. თითოეული მათგანი განხორციელდა სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველო სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდა: დადგა ქართული სკოლის განახლების ხანა. ამავე წლის ჟურნალ "განათლებაში" გამოქვეყნებულ წერილში "სკოლის განახლების ხანა,"[137] რომლის ავტორიც ვარლამ ბურჯანაძეა (ვ. ობჩელის ფსევდონიმით),[138] აღნიშნულია, რომ რუსეთის ტერიორიაზე მცხოვრებ 140-ზე მეტ სხვადასხვა ეროვნების ხალხს ათწლეულების მანძილზე უწევდა თვითმპყრობელობის ბნელი ძალის წინააღმდეგ ბრძოლა. სასწავლო დაწესებულებებს დაკარგული ჰქონდათ თავიანთი ნამდვილი ფუნქცია და ისინი მხოლოდ რუსული, პროპაგანდისტული პოლიტიკის იარაღს წარმოადგენდნენ ყოველგვარი ეროვნულობის მოსპობის მიზნით. 1905 წელს სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირი გამოსულა სკოლებში ყველა ერისათვის მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნით. თუმცა ეს პროტესტი ხელისუფლებამ ჩაახშო და სკოლების განახლების საკითხი შეჩერდა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დადგა სკოლის განახლების მეორე ეტაპი, - "ეს ხანა ოქროს ხანაა", რამაც სკოლების ნაციონალიზაციის საკითხი კვლავ გააქტიურა. აქ ავტორი უნდა გულისხობდეს 1917 წლის 5 სექტემბრის კავკასიის სასწავლო კომისარიატის ბრძანებას დაწყებითი და საშუალო მოსამზადებელი კლასების ნაციონალიზაციის შესახებ, რაც ნიშნავდა მათთვის დედა ენაზე სწავლების უფლების მინიჭებას; ასევე, ნებადართულად ითვლებოდა ისტორიის, გეოგრაფიის და მშობლიური ლიტერატურის შესწავლასაც. ეროვნული საგნებისათვის დროის განაწილების უფლებამოსილება პედაგოგიურ საბჭოებს ენიჭებოდათ. ეს ნიშნავდა პედაგოგიურ დღის წესრიგში სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობის.[139] ამ ბრძანებით ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთის დაქვემდებარებაში მცხოვრები ხალხებისათვის ეს თვითგამორკვევის უფლების ტოლფასი იყო, რომლის აღსრულებაშიც სასწავლო

---

[137] ობჩელი, ვ. „სკოლის განახლების ხანა," *განათლება,* 1917, N 4-5, გვ. 287.

[138] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=2&id_srch=bbfc0b1d75807ddc53be8443dcfbc61d&il=en&p=1 *ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია.* ტ.6. ნაკვ.1.-თბილისი, 1969, გვ.650 , (წანახია 07.07.2022).

[139] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N 1, ფ.17.

დაწესებულებებს უნდა შეესრულებინათ მთავარი როლი, მათ შორის, საქართველოშიც.

რევოლუციის შემდგომ საქართველოში და დამოუკიდებელი ქვეყნის მოსახლეობის ქართული ენის ცოდნის დონე, მისი შესწავლის მდგომარეობა არც ისე სახარბიელო იყო. ამიტომაც, ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1917 წლის 19-23 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაადგინა საქართველოში ადმინისტრაციულ დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, რაც გულისხმობდა საქმის წარმოებას ქართულ ენაზე.[140] დადგენილება ძალაში შევიდა და 1918 წლიდან ეტაპობრივად განხორციელდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე კი დაიწყო ადმინისტრაციული, სახელმწიფო და კულტურული დაწესებულებების გაქართულების პროცესი ანუ გაეროვნულება. ამ პროცესის გასამარტივებლად მოხელეთა კავშირიც კი შეიქმნა, რომელთაც ევალებოდათ მოხელეთა მომზადება მომავალი ნაციონალიზაციისათვის ყველა დაწესებულებაში საქმეების ქართულად წარმოებისათვის. კავშირმა დაარსა კურსები, სადაც მსმენელები ისმენდნენ ლექციებს ყველა საჭირო დარგის შესასწავლად.[141]

ეტაპობრივად იხსნებოდა ქართული ენისა შესასწავლი კურსები როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოზარდებისათვისაც. მაგალითად, საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის პრეს-ბიუროში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, რომ ორივე სქესის მოზარდებისათვის უნდა გახსნილიყო ქართული ენის შესასწავლი კურსები მხოლოდ ერთი მიზნით: "კურსებს აზრად ექნება ხელი შეუწყოს არა ქართველთ და საზოგადოდ ქართული ენის უცოდინართ სახელმწიფო ენის შესწავლის საქმეში."[142] 1918 წლის ოქტომბერში ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი ქართული ენის სახელმწიფო ენად აღიარების შესახებ და დაადგინა, რომ „1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. 2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყველანაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულ ენაზედ."[143] ასევე დადგინდა, რომ სავალდებულო გახდებოდა თბილისის ყველა არაქართულ სკოლაში სახელმწიფო ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის

[140] სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N18, ფ.97.
[141] სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N118, ფ.104.
[142] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N153, ფ.4.
[143] სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N 47,ფ. 10.

სწავლება.[144] გაზეთი "ერთობა" 1917 წელს აღნიშნავს, რომ მთავარია მოეწყოს ქართულ ენაზე სწავლა-განათლება, სასამართლო და ადმინისტრაციული სახის საქმიანობა. ეს ხელს შეუწყობს ფართო მასებში განათლების გავრცელებას და მათ განვითარებას.[145]

ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების და სწავლების გაქართულების შესახებ აქტიური დისკუსია მიმდინარეობდა. დისკუსიის მონაწილეთათვის სწავლა-განათლების გაეროვნულება ეროვნული იდენტობის გამოკვეთის და სახელმწიფოს არსებობის გარანტიად იყო მიჩნეული, რამდენადაც საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა მხოლოდ კულტურული თვისება არაა და ის ქვეყნის ეგზისტენციალიზმის, მისი პოლიტიკური არსებობის განმსაზღვრელია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი პეტრე სურგულაძე ჯერ კიდევ 1905 წელს გამოქვეყნებულ მცირე ზომის ნაშრომში "ეროვნული ენა" მშობლიური ენის მნიშვნელობას სწორედ სახელმწიფოებრიობის, ერი-სახელმწიფოს კონცეფციის რანგში განიხილავს.[146] წერილში ავტორი გვთავაზობს ენების განვითარების ევოლუციონისტურ ხედვას კაცობრიობის ისტორიაში. აფასებს მას, როგორც ხანგრძლივი კოლექტიური შრომის შედეგს და სვამს კითხვას, რა მნიშვნელობა აქვს სამშობლო ენას ერის კულტურულ ცხოვრებაში? ავტორი იმოწმებს სხვადასხვა ევროპელ მეცნიერებს, მათ შორის დარვინსაც და ცდილობს ენის განვითარების მეტაფიზიკურ და თეოლოგიურ ასპექტებსაც შეეხოს. თუმცა, ჩვენთვის საინტერესოა ის ნაწილი, სადაც პეტრე სურგულაძე საუბრობს მშობლიური ენის მნიშვნელობის შესახებ ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესებში. საგულისხმოა, რომ ეს მსჯელობა არაფრით ჩამოუვარდება ნაციონალიზმის თეორიების თანამედროვე ავტორების შეხედულებებსა თუ მტკიცებულებებს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და 1905 წელს, პეტრე სურგულაძე უკვე გვთავაზობს ცოდნასა თუ ტიპიურ ხედვას მოდერნული ერების ჩამოყალიბების შესახებ. ავტორი სვამს კითხვას ენის კულტურული მნიშვნელობისა და ერის ცნების განსაზღვრის შესახებ და აღნიშნავს, რომ ენა არის ის კულტურული ძაფი, რომელიც

[144] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N 11, ფ.1.ფ.5.
[145] *ერთობა,* 1917, N204, გვ.1
[146] სურგულაძე, პეტრე. *ეროვნული ენა* (ტფილისი: ამხ."ცისკარის გამოცემა, N2, 1905).

აკავშირებს ერთმანეთთან თაობებს და მუდმივად გადასცემს მათ წინა თაობების შესახებ ცოდნას. აქედან გამომდინარე, ენა არის ის მტკიცე მექანიზმი, რომელიც ერთობის ყველაზე ძლიერი განმსაზღვრელია. ენით განმტკიცებული ერთობა თავის არსს ერში/ნაციაში ჰპოვებს. რა არის ერი? ერი არ არის მხოლოდ ანთროპოლოგიური ერთობა, რადგანაც არც ერთი ერის შემდგენლობა არაა მონოლითური. არც სახელწიფოებრივი ერთობაა, რადგანაც არც ერთი სახელმწიფო არ წარმოადგენს ეროვნულ ერთობას მისი არამონოლითურობის გამო. მაშასადამე, ერი არის ისტორიული შემეცნების ფენომენი, რომლის საფუძვლებიც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ პერიოდში უნდა ვეძიოთ. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ისეთი მეცნიერებების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანამ, როგორიც არის ისტორია, ენათმეცნიერება, ხალხის ზნე-ჩვეულებების შესწავლა, სწავლა-განათლების კერების გაჩენამ და აზრის გადაცემის ისეთმა უნიკალურმა საშუალებამ, როგორიც პრესაა, - ხელი შეუწყო ერებში ისტორიული წარსულისა და კულტურული ელემენტების ერთად თავმოყრას, მათ ერთობას, შემდგომ კი ერების ნაციონალურ, ეროვნულ თვითგამორკვევას. ავტორის აზრით, ეს უკანასკნელი დაკავშირებულია კულტურულ თვითგამორკვევასთან. კულტურული ელემენტების უმთავრესი ნიშანი კი მშობლიური ენაა, რომელიც განამტკიცებს ერთობას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ერს პოლიტიკური ლეგიტიმაცია არ გააჩნია და მისი პოლიტიკური მდგრადობა სუსტია. მწერლობა, მითები, თქმულებები ერების თვითშეგნების ამაღლების საუკეთესო საშუალებაა. დემოკრატია კი თავისი არსით არეგულირებს ამ საშუალებების მიზნობრივ გამოყენებას: დემოკრატია ეროვნებებს/ ერებს უფლებრივად ათანასწორებს. ამ გათანასწორების შედეგი კი ეროვნული ენის დამკვიდრებაა სკოლებში, აღზრდის დაწესებულებებში, ეკლესიასა თუ სასამართლო დარბაზებში. სკოლა, როგორც ორგანიზაცია მოქცეულია საერთო კულტურულ ფარგლებში, რაც გულისხმობს იმას, რომ სასკოლო აღზრდის საქმე იდეოლოგიურად სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და პოლიტიკაა. სამშობლო ენა სახელმწიფო საგანმანათლებო პოლიტიკის მთავარი ღერძია. საბოლოო ჯამში, მშობლიურ ენაზე დაფუძნებული განათლება აძლიერებს ეროვნულ ერთობას და ამ ერთობის წევრებს შორის სოლიდარობის განცდას. რაც უფრო მეტად არის ერი კულტურულად

განვითარებული, მით უფრო იზრდება ამ ერისათვის მშობლიური ენის მნიშვნელობა და ზოგჯერ, მისი მნიშვნელობა გადამწყვეტიც კი ხდება ერის ისტორიაში.

1905 წელს, როდესაც ეს წერილი დაიწერა, საქართველოს პოლიტიკური მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. მაგრამ წერილიდან ჩანს, რომ ავტორს უკვე მკაფიოდ ჰქონდა განსაზღვრული ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელი შემდეგი მიმართულებები: მშობლიური ენის როლი, განათლების მნიშვნელობა, ისტორიული მეხსიერების ფორმირება, მოთხოვნა ავტონომიაზე და თვითმმართველობის უფლებები. თუმცა, მე-20 საუკუნის დასაწყისი ქართულ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტას სხვა გამოწვევების წინაშე აყენებს და მსგავსი ინტელექტუალური ნააზრევი ერთგვარად შემამაზადებლ პროექტს ჰგავს კულუტურულიდან პოლიტიკურ თვითგამორკვევის ეტაპზე გადასვლისათვის. მაშინდელმა მოღვაწეებმა კარგად იციან, რომ კულტურული ასპექტების განსაზღვრა დაკავშირებულია მომავლის პოლიტიკურ ხედვასთან. შესაბამისად, ეს პროცესი თანდათან მწიფდება და 1918 წელს დეკლარირებული პოლიტიკური ფორმით ვლინდება კიდეც ქვეყნის ცხოვრებაში. პეტრე სურგულაძის ამ მცირე ზომის მონოგრაფიაში ვკითხულობთ ქვეყნის მოწყობის პერსპექტივებს, სადაც ზოგადი მსჯელობის საფუძველზე ავტორი ასაბუთებს ერი-სახელმწიფოს არსებობის მნიშვნელობას და მისი კულტურული ასპექტებით ლეგიტიმაციის ფაქტსაც.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან წერილს შევეხებით, რომელიც პეტრე სურგულაძეს 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უნდა დაეწერა, როგორც დამოუკიდებლობის დასაბუთების კამპანიის ფარგლებში. წერილში "საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო."[147] ავტორი კვლავ მნიშვნელოვან დროს უთმობს სახელმწიფოს მოწყობის საკითხს. მას განიხილავს, როგორც განსაზღვრულ ტერიტორიაზე იურიდიულად დამოწმებულ სუვერენულ ერთობას, რომელიც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას პოლიტიკურთან ერთად, კულტურის, მშობლიური ენის, სამშობლოს ისტორიის გააზრებით ახდენს: "უკვე რამოდენიმე ათასი წელიწადია, რაც ქართველი ერი ბინადრობს დღევანდელ მის ტერიტორიაზე. ესაა მისი ისტორიული აკვანი, რომლის ყოველი კუნჭული მოაგონებს მას წარსულ

[147] სურგულაძე, პეტრე. *საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო* (სტამბოლი: კათოლიკე ქართველთა სავანის სტ., N21, 1918).

დიდებას, უბედურობას თუ ბედნიერებას. ისაა საფუძველი, სადაც მან გაშალა თავის პოლიტიკურ და კულტურული შემოქმედების ფრთა და სადაც ის ჰოპულობს თავისი მოსალოდნელი განვითარების შესაძლებლობას.“[148] ავტორი უკვე მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ ერს/ნაციას საკუთარი იდენტობის განსაზღვრა ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის მიხედვით მოუწევს. საკუთარი კულტურული იდენტობის განცდა აწი პოლიტიკურ ერთობაში უნდა გარდაქმნას. შესაბამისად, აღნიშნავს, რომ “ეროვნული სახელმწიფო ეროვნულ სწავლა-აღზრდას მოგვცემს. ბევრს შეიძლება ეროვნული სწავლა-აღზრდა მხოლოდ ისე ესმოდეს, როგორც სამშობლო ენის დამყარება სკოლაში. თავისთავად ცხადია, დედაენაზე სწავლა-განათლება მოგვანიჭებს ჩვენი სახელმწიფოს მოპოვებას. და არამც თუ სკოლაში, ყველა საზოგადებრივ დაწესებულებაში საქართველოში ქართული ენა მოიპოვებს თავის ბუნებრივ ადგილს. შედეგად მივიღებთ საოცარ განვითარებას, გამდიდრებას და ამაღლებას.”[149] მისი ღრმა რწმენით, დემოკრატიული პრინციპით მოწყობილი სახელმწიფო შექმნიდა ისეთ სწავლა-განათლების სისტემას, სადაც მშობლიურ ენას გადამწყვეტი როლი მიენიჭებოდა.

ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისა და ნაციონალიზაციის პროცესის დაწყების შემდეგაც არ შემწყდარა ენის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. სახელმწიფო ენა განისაზღვრა კონსტიტუციურადაც. საკონსტიტუციო კომისიის თავჯდომარე პარმენ საყვარელიძე, საქართველოს კონსტიტუციისათვის მიძღვნილ სტატიათა ციკლში, ერთ მთლიან თავს უძღვნის სახელმწიფო ენის მნიშვნელობის განსაზღვრას ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური მოწყობისათვის. ავტორი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კოლექტიურ და პოლიტიკურ ერთობას, რომლის გამართული ფუნქციონირება სახელმწიფო ენის არსებობის გარეშე წარმოუდგენელია. სახელმწიფო ენა სახელმწიფო აპარატის ლეგიტიმურობის გამოხატულებაა და მისი სააზროვნო, საკანონმდებლო, სამოქმედო ასპარეზი. ასევე, სახელმწიფოებრიობასა და ხალხს შორის ურთიერთკავშირის განმაპირობებელი, რომელიც ამგავარად ფორმულირდება: “ერთი ერი, ერთი სახელმწიფო - ერთი ენა.”[150]

---

[148] იქვე, გვ.8.
[149] იქვე, გვ. 12-13.
[150] საყვარელიძე, პარმენ. „საქართველოს კონსტიტუციისათვის,“ *საქართველოს რესპუბლიკა,* 1920, N52, გვ.2. N55, გვ.2.

ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ერი/ნაცია და სახელმწიფო ერთ სიბრტყეში განთავსებული განზომილებებია, რომელთა მაკავშირებელი და საერთო კულტურული განმსაზღვრელი - მშობლიური ენაა. ამ ფორმულის მართებულობას ავტორი ისტორიული სინამდვილით ხსნის: 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, მრავალეროვანი იმპერიის ნანგრევებზე წარმოიქნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ თავიანთ სააზროვნო ასპარეზს მშობლიური ენის სახით. ავტორისათვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სწორედ სოციალისტური მიდგომა აღმოჩნდა ყველაზე ახლოს იმ ისტორიულ სინამდვილესთან, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს უპირატესობას აღიარებს კულტურის, სოციალიზმისა და დემოკრატიულობის პრინციპებიდან გამომდინარე. პარმენ საყვარელიძე იმოწმებს კარლ კაუცკის მოსაზრებას ამგვარ სახელმწიფოში სახელმწიფო ენის როლის შესახებ, რომელიც გამტარია სახელმწიფო პოლიტიკის - „ენა არის ორგანო ყოველი საზოგადოებრივი მოღვაწეობის და პოლიტიკის."[151] ამგვარად ასაბუთებს ავტორი სახელმწიფო ენის მნიშვნელობას ისეთი დემოკრატიული ქვეყნის განვითარებისათვის, როგორიც ახლადშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო.

თვალსაჩინოა განსხვავება მე-19 საუკუნეში თერგდალეულების მიერ გატარებულ ქართული ენის რეფორმასა და დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას შორის: მე-19 საუკუნეში პოლიტიკური თვითმოქმედების უქონლობამ ენის, როგორც კულტურული მარკერის გამოკვეთა დასახა მიზნად. ამ პროცესის მნიშვნელობამ შედეგი 1918-1921 წლებში გამოიღო, რომელიც ქართული ენის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებით გამოიხატა. ერთი მხრივ, ეს ერთგვარი განმტკიცებაა პოლიტიკური დამოუკიდებლობის და სახელმწიფო აპარატების ლიგიტიმაციისა მისთვის დაწესებულ საზღვრებში. ასევე დადასტურება იმ ფაქტის, რომ თერგდალეულების მიერ დაწყებული კულტურული ნაციონალიზმი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდშიც გრძელდება და ამასთანავე, კულტურულიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის ეტაპად ფორმირდება. სამოქალაქო ნაციონალიზმზე დაფუძნებული ეროვნული სახელწიფო

[151] იქვე, გვ.2.

კი ეროვნული იდენტობის გამომხატველ კულტურულ მარკერებს დემოკრატიული მოდელის ფარგლებში აქცევს.

4.2. ქართული ენა და საგანმანათლებლო პოლიტიკა 1918-1921 წლებში

1918 წელს განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი წარსდგა მოხსენებით "ყველა საფეხურის და ხარისხის ქართულ სკოლებში სამშობლო ენაზე მოწყობისა," სადაც ის მშობლიური ენის დანიშნულების შესახებ საუბრობს.[152] გიორგი ლასხიშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყნის კულტურული ცხოვრების საფუძველი არის ენა, რომელზეც დაფუძნებულია ამა თუ იმ სახელმწიფოს განვითარება კულტურული და პოლიტიკური ნიშნით: „სამშობლო ენა ეს არის ის ნიადაგი, რომელზეც აღმოჩენდება ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება ხალხისა უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი."[153] დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ქართული ენა სახელმწიფოს მიერ იყო დევნილი. ქართული სკოლა კი პოლიტიკური ექსპერიმენტის ობიექტად ქცეული. რევოლუციამ ქართველებს პოლიტიკურის გარდა, - კულტურული თავისუფლებაც მიანიჭა, რამაც შესაძლებელი გახადა ეროვნული სკოლის შექმნის პრაქტიკული კუთხით განხორციელება. სკოლის ნაციონალიზაციის პრინციპი თავისთავად გულისხმობდა მასწავლებლების ქართულ ენაში მომზადებას. ამიტომაც, მინისტრის განცხადებით, საჭირო იყო მასწავლებლებისათვის სპეციალური კურსების გახსნა ქართული ენის დაუფლების მიზნით. ერთ-ერთ მოხსენებაში განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი აღნიშნავს, რომ ქვეყანა მასწავლებელთა მწირი რაოდენობითაც გამოირჩეოდა.[154]

სასწავლებლების გაეროვნების პოლიტიკის ფარგლებში, 1918 წლის ზაფხულში უკვე შემუშავდა კანონპროექტი სახალხო სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების დაარსების შესახებ და სახელმწიფომ ამისათვის 252.000 მანეთი გაიღო.[155] ქართული ენის გარდა, მოსამზადებელ კურსებზე მასწავლებლები შეისწავლიდნენ შემდეგ საგნებს: 1. ფსიქოლოგია და ლოგიკა. 2. პედაგოგიკა და

[152] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N58, ფ.10.
[153] იქვე.
[154] სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N256, ფ.3.
[155] სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N256. ფ.13.

პედაგოგიურ მოძღვებათა ისტორია. 3. ენათმეცნიერების შესავალი. 4. ქართული ენის გრამატიკა. 5. ქართული ლიტერატურისა და გრამატიკის მეთოდიკა. 6. ქართული ლიტერატურა ძველი დროიდან მე-19 საუკუნემდე. 7. მსოფლიო ლიტერატურის მოკლე ისტორია. 8. მე-19 საუკუნის რუსეთის ლიტერატურა. 9. მათემატიკა. 10. ფიზიკა. 11. ბუნებისმეტყველება. 12. საზოგადო გეოგრაფია. 13. კავკასიის და საქართველოს გეოგრაფია. 14. საქართველოს ისტორია. 15. მსოფლიოს ისტორია. როგორც ვიცით, ქართული სამეცნიერო ტერმონოლოგია ამ დროისათვის ჯერ კიდევ დამუშავების და დადგენის პროცესში იყო. ამიტომაც, მინისტრი იმედს გამოთქვამდა, რომ კურსების საშუალებით, ტერმინოლოგიის დამუშავების თავლსაზრისით, მასწავლებელთა კურსებს დიდი დამხარების გაწევა შეეძლოთ. ამ კანონპროექტის წარდგენის შემდეგ, მინისტრმა მიმართა ეროვნულ საბჭოს, - მიეღოთ კანონი "ყველა საფეხურის და ხარისხის ქართულ სკოლებში სწავლება მოეწყოს სამშობლო ენაზე."[156] ქუთაისშიც გაიხსნა მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები, - ქართულ ენაში, სიტყვიერებაში, საქართევლოს ისტორიასა და გეოგრაფიაში.[157]

სწავლების ქართულ ენაზე მოწყობას და სასწავლო დაწესებულებების გაქართულებას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებელი ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის. სწორედ ამგვარი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობს ავტორი ა. ნატროშვილი სტატიაში "სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში."[158] ავტორი სკოლის ნაციონალიზაციის საკითხს განიხილვას პოლიტიკურ ჭრილში: ისეთი სახელმწიფო ინსტიტუციების ნაციონალიზაცია, როგორებიცაა სასამართლო, საზოგადოებრივი დაწესებულებები და საგანმანათლებლო კერები, - ქვეყნის დამოუკიდებლობის პირდაპირი შედეგია. როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ნაციონალიზაციის საკითხს. განსაკუთრებით კი, თუ საქმე სკოლებს ეხებოდა. სკეპტიკოსები თვლიდნენ, რომ არასაკმარისი ადამიანური თუ მატერიალური რესურსების პირობებში ეს პროცესი შედეგს ვერ გამოიღებდა: არ არსებოდა სახელმძღვანელოები, არ არსებობდა შესაფერისი ტერმინოლოგია, არც მასწავლებლები გამოირჩეოდნენ ქართული ენის შესაბამისი

[156] იქვე.
[157] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N 455, ფ.1.
[158] ნატროშვილი, ა. „სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში," *საქართველო,* 1918, N157, გვ.2. N163, N165, N169, N179, N184.

ცოდნით. თუმცა, ავტორი მიიჩნევს, რომ ბრძოლა სამშობლო ენის უფლებისათვის დასრულდა და ახლა თანმიდევრული ნაბიჯების გადადგმის დრო დადგა: "ხანგრძლივის მუშაობის შემდეგ ჩვენ უთუოდ ვიხილავთ ნამდვილ გაეროვნებულს სკოლას, სადაც ქართულ ცხოვრებისათვის მომზადებული მოქალაქენი გამოგვეზრდებიან."[159]

ავტორის რწმენით, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს იდეოლოგიის წარმართვა დაკავშირებული იყო სწავლების ნაციონალიზაციასთან. მით უფრო იმ ისტორიული საგანმანათლებლო ტრადიციის გათვალისწინებით, რომელსაც საქართველოს ფლობდა რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრებამდე. მას გამოეცალა ეროვნული ნიადაგი და ქართული ენის სკოლიდან განდევნამ კი მისი სააზროვნო არეალის შეზღუდვა გამოიწვია. ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლითაც ქართველის იდენტობა, მისი „მე" უნდა ჩამოყალიბებულიყო, ქართული ენის, როგორც სააზროვნო სივრცის მოსპობით სრულიად გაქრა.

საინტერესოა ის მიმართება, თუ როგორ განსაზღვრავს ავტორი სკოლის ნაციონალიზაციას, რა კრიტერიუმებს უქვემდებარებს მას. ამისათვის ავტორი გვთავაზობს სამშობლოს, ეროვნების, ერის ცნების გააზრებას არა მხოლოდ ანთროპოლიგიური, არამედ სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური თეორიების ჭრილში. ავტორი მიმოიხლავს სხვდასხვა მოაზროვნის, მათ შორის რენანის ციტატებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოდერნული ერების წარმოშობის პირობებს მე-18 საუკუნის ბოლოდან მეოცე საუკუნის დასაწაყისამდე. მათ საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამშობლოს, ერის/ნაციის, ეროვნების გააზრება დაკავშირებულია კულტურულ ფენომენებთან, განსაკუთრებით კი ენასთან, რომელიც აკავშირებს ერთ ტერიტორიაზე დასახლებულ ადამიანთა ჯგუფებს შორის სოლიდარობის განცდას: „დიდი გავლენა აქვს ამ საქმეში მხოლოდ ენას. ერთი-ერთის შესმენა-გაგება, - აი არსებითი პირობა კრების დაახლოვებისათვის. სხვა და სხვა ენა აზრს მოლაპარაკე ინდივიდუმთა შორის სოლიდარობის დამკვიდრება შეუძლებელია."[160] სწორედ თვალსაზრისით განიხილავს ავტორიც სკოლის ნაციონალიზაციის საკითხს, სადაც წამყვანი როლი მშობლიურ ენას უკავია.

[159] იქვე.
[160] ნატროშვილი, ა. „სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში," *საქართველო,* 1918, N169, გვ.2.

ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, ხელოვნება, საქართველოს გეოგრაფია არის ის საგნები, რომლებიც უნდა დაექვემდებარონ სკოლის ნაციონალიზაციის პოლიტიკას და წარიმართონ ეროვნულ პედაგოგიურ საფუძვლებზე. ამგვარად, ა. ნატროშვილი სტატიაში ვხედავთ, რომ სწავლების ნაციონალიზაცია და ქართული ენის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში აყვანა, პირველ რიგში, უსვამდა ხაზს ქვეყნის პოლიტიკურ სტატუსს, - მის დამოუკიდებლობას. ასევე, მის ტრადიციულ, კულტურულ სივრცეში დაბრუნების მნიშვნელობას.

ქართულ სასწავლებლებში ქართული ენის სწავლებას რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამას ადასტურებს თბილისის მე-2 ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა წერილი, რომლის ორიგინალის მოძიება შესაძლებელია სახალხო განათლების სამინისტროს საარქივო მასალებში. წერილიდან ირკვევა, რომ 1918 წელს გიმნაზიის პირველი ოთხი კლასის გაეროვნულება მოხდა. მოსწავლეები იზიარებდნენ იმ მოსაზრებას, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ყველა მაცხოვრებელს ევალებოდა მშობლიური ენის ზედმიწევნით ცოდნა, განსაკუთრებით კი ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას. რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფ სკოლებში მოსწავლეები მოკლებულნი იყვნენ ქართული ენის შესწავლის ფუფუნებას. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ საშუალება მისცა სახელმწიფო აპატარატებს სწრაფად გაეტარებინათ სხვადასხვა რეფორმები, მათ შორის ქართული ენის რეფორმაც და მოსწავლეები თავს ვალდებულად თვლიდნენ, - თავადაც დახმარებოდნენ სახელმწიფოს რეფორმის გატარების პროცესში. კერძოდ კი, - მოითხოვდნენ დამატებით გაკვეთილებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე საქართველოს ისტორიაშიც. მათი არგუმენტი მდგომარეობდა შემდეგში: "ქართველ ახალგაზრდობას სჭირია ზემიწევნით ქართული ენის ცოდნა, რომელიც გამოიხატება არა მარტო ქართული წერა-კითხვის შესწავლაში, არამედ ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და მის კანონმდებლობის ცოდნის და შესწავლისგან."[161] ამგვარად მოსწავლეები ავლენდნენ იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც ისინი გრძნობენ მშობლიური ენის მიმართ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამოხატვით.

[161] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N211, ფ.32-33.

სამშობლო ენის მნიშვნელობის გააზრების აუცილებლობაზე მიუთითებს არა ერთი წერილი, რომელიც იგზავნებოდა სახალხო განათლების სამინისტრო სახელზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს გაგზავნილი წერილი მარტვილის საშუალო სკოლიდან ავქსენტი ფარულავას ავტორობით. წერილი წარმოადგენს ქართული ენის სწავლების მოკლე ანგარიშს მარტვილის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში.[162] ავტორი ფართო სპექტრით მიმოიხილავს ახალი დროებით გამოწვეულ შესაძლებლობებს, რომლებმაც ქვეყნის გონებრივი და მატერიალური პროგრესი უნდა გამოიწვიონ. ამ პროგრესის უზრუნველყოფა კი მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებულ ახალ ქართულ სკოლას შეუძლია. სხვა სტატიების ავტორთა მსგავსად, ავქსენტი ფარულავაც საუბრობს ძველი დროის სასკოლო სისტემის დამანგრეველ როლზე ქართული ცნობიერების განვითარების პროცესში. დღეს კი განათლება თავისუფალი ხალხის ხელშია, რომლის განვითარების უმთავრეს ძალას მშობლიური ენა წარმოადგენს. ავტორისათვის **"სამშობლო ენა"** არის ის ენა "ურომლისოდაც საკაცობრიო იდეალებში ვერც ერთი პიროვნება, ვერც ერთი ინდივიდუუმი თავის წვლის ვერ შეიტანს."[163]

ავტორი ქართული ენის განვითარების ეტაპებს მიმოიხილავს და მიაჩნია, რომ მე-18 საუკუნეში ქართული ენის ოქროს ხანის შემდეგ აღმავლობის ხანა მხოლოდ ახლა დაუდგა ქართულ ენას, როდესაც მას შეუძლია იქცეს განათლებული მასების ენად, ხალხის ენად. წერილიდან ვიგებთ, რომ ქართული ენის სწავლება მარტვილის სკოლაში მეტ ყურადღებას საჭიროებს. მოსწავლეები კი სწავლობდნენ ლიტერატურას, სიტყვიერების თეორიას, გრამატიკას, ეტიმოლოგიას და სინტაქსს, მაგრამ იმისათვის, რომ მშობლიური ენა მათთვის სააზროვნო სივრცედ ქცეულიყო, საჭირო იყო ქართული ენის და ლიტერატურის ისტორიული და ლიტერატურათმოცდნებითი პერპექტივიდან დანახვა. ცხადია, ამ მეთოდს ის ახსნა ექნებოდა, რომ თითოეული ნაწარმოები შექმნილია კონკრეტული ისტორიული გარემოს კონტექსტში. როგორც ცნობილია, ლიტერატურა არის ის დარგი, რომელიც აყალიბებს მოსწავლის/ადამიანის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცნობიერებასა

[162] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N244, ფ.1-3.
[163] იქვე.

თუ პასუხისმგებლობას. ამის შესახებ უწყოდა წერილის ავტორმა და ლოგიკურია, რომ დემოკრატიული ქვეყნის მომავალი ამგვარი აღზრდის პრინციპზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. მასში კი, - ქართულ ენას, როგორც სააზროვნო სივრცის შემომსაზღვრელს, წამყვანი როლი ეკისრებოდა.

4.3. ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო პროგრამები (1918 - 1921)

ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება და მისი საკანონმდებლო დონეზე დარეგულირება აისახა საწავლო სახელმძღვანელოების ქართულად გამოცემის აუცილებლობაშიც. საარქივო მასალების დახმარებით შესაძლებელია შევიქმნათ წარმოდგენა ეროვნული სასკოლო პროგრამების შესახებ სხვადასხვა საგნებისათვის 1918-1921 წლებში. სკოლების ეროვნულ ნიადაგზე გარდაქმნა თავისთავად ეროვნული საგანმანათლებლო გეგმის მიხედვით შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელოების აუცილებლობას მოითხოვდა. 1919 წელს განათლების სამინისტროში გაკეთდა მოხსენება, საიდანაც ვიგებთ, რომ რესპუბლიკის სკოლების გაეროვნულებამ და მისმა რეორგანიზაციამ მრავალი საჭირბოროტო საკითხი გამოკვეთა. ერთ-ერთი მათგანი სახელმძღვანელოებისა და საკითხავი წიგნების სახელმწიფო ქართულ ენაზე გამოცემა იყო. ამ დროისათვის უკვე არსებობდა მრავალი ნათარგმნი თუ ორიგინალური სახელმძღვანელო, მაგრამ ისინი მოკლებულნი იყვნენ სამეცნიერო ღირებულებას. ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სამინისტრომ შექმნა რამდენიმე სარეცენზიო კომისია, რომლებიც საგნების მიხედვით იყო განაწილებული. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კომისიებმა ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. ამიტომაც სამინისტროს მიმართავდნენ შუამდგომლობით, დაეარსებინათ მუდმივმოქმედი კომისია, იგივე სასწავლო კომიტეტი სახელმძღვანელოების შედგენისა და რეცენზირების თვალსაზრისით.[164] აქვე სასწავლო კომიტეტმა გამოაქვეყნა დებულება, რომლის მიხედვითაც კომიტეტი იმყოფებოდა სახალხო განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში და სხვადასხვა საგნამანთლებლო საქმიანობასთან ერთად, მას დაევალებოდა სასწავლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამების, წიგნების, თხზულებების, პერიოდული

[164] *საქართველოს რესპუბლიკა,* 1919, N272, გვ.2.

გამოცემების განხილვა. სასწავლო კომიტეტს შეეძლო მოეწყო კონკურსი საუკეთესო სახელმძღვანელოების შესადგენად. საუკეთესო ავტორებისათვის კი პრემიების დანიშვნაც.[165] საკითხის დაჩქარების და წახალისების მიზნით 1919 წელს განათლების მინისტრმა გააკეთა განცხადება საუკეთესო სახელმძღვანელოების ავტორთათვის ფულადი ჯილდოს გადაცემის შესახებ. მისი აზრით, პრობლემას ისიც ქმნიდა, რომ არსებული სახელმძღვანელოები რუსული წიგნების მიხედვით იყო შედგენილი: „მთავარი საკითხი რესპუბლიკის სკოლათა გარდაქმნა იყო იმ სახით, რომ იგი შეფარდებული და შეგუებული ყოფილიყო ხალხის ცხოვრებასთან, მის საარსებო მოთხოვნილებასთან. ამ მხრივ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ არსებული სკოლა სავსებით ჩამოშორებული იყო ცხოვრებას, სამინისტროს ბევრი მუშაობა დასჭირდებოდა და იგიც თანდათანობით შეუდგა დასახული მიზნების განხორციელებას. უწინარეს ყოვლისა, სამინისტრომ მოახდინა მოსწავლე-ახალგაზრდობის გადაჯგუფება ეროვნული პირინციპის მიხედვით და შეეცადა გაეტარებინა სწავლების გაეროვნულება შეძლებისდაგვარად. ცხადია, საქმეს ბევრი დაბრკოლება გადაეღობებოდა, ვინაიდან სამინისტრო განიცდიდა სათანადოდ მომზადებული მასწვლებლების კადრების ნაკლებობას. გარდა ამისა, არც ეროვნული სკოლისათვის საჭირო სახელმძღვანელოები მოიპოვებოდა. მართალია აქა-იქ გამოჩნდნენ სახელმძღვანელოების შემდგენელნი, მაგრამ მათი ნაშრომი ვერც რაოდენობით და ვერც განსაკუთრებული ხარისხით აკმაყოფილებდა ეროვნული სკოლის მოთხოვნილებებს. ეს აბრკოლებდა სკოლის წარმატებას.“[166]

დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდი საკმარისი არ იქნებოდა სრულყოფილად გამართული სასკოლო სახელმძღვანელოების შესაქმნელად. პრესაში აღნიშნულია ის გარემოებაც, რომ ქაღალდის მაღალი ფასიც კი ზოგჯერ ხელისშემშლელ ფაქტორად ევლინებოდა წიგნების ავტორებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც მასწავლებლების მოუმზადებლობა აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, 1918 წლიდან სახელმძღვანელოების გამოცემამ რეგულარული ხასიათი მიიღო. ამ საქმეში აქტიურ მნაწილებას იღებდა “წიგნების გამომცემელი ქართველი ახალგაზრდობა” ალექსანდრე ჯაბადარის ხელმძღვანელობით. მან 1918 წელს

[165] *საქართველოს რესპუბლიკა,* 1919, N273, გვ.2.
[166] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N272, ფ.2.

მთავრობას მიმართა შუამდგომლობით, ნება დაერთოთ ქართველი გამომცემლებისათვის გერმანიაში დაებეჭდათ წიგნები.[167]

სახელმძღვანელოების გამოცემას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და ის განიხილებოდა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მონაპოვარი საუკუნოვანი მონობიდან განთავისუფლების შემდეგ. ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნას და მათი ეროვნული თემატიკით აღჭურვას კულტურულთან ერთად, პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. კულტურის ეროვნულ ნიადაგზე წარმართვა თავისი მნიშვნელობით უტოლდებოდა ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობაში სხვა ქვეყნის მხრიდან ჩაურევლობას. შესაბამისად, მას პოლიტიკური დატვირთვა ეძლეოდა. ამ მოსაზრებას ამყარებენ ის ავტორები და პედაგოგები, რომლებიც თავიანთ სტატიებს ქართული სახელმძღვანელოების გამოცემას ინტენსიურად უძღვნიან.

თითოეული სახელმძღვანელოს შექმნა ეფუძნება საერთო მიზანსა და პრინციპებს, - აღნიშნავს ლუარსაბ ბოცვაძე 1919 წელს ჟურნალ "განათლებაში" გამოქვეყნებულ სტატიაში "სახალხო სკოლის პროგრამის ზოგადი ახსნა-განმარტება."[168] დაწყებითი სკოლის მიზანია პიროვნების, მოსწავლის სულიერი და გონებრივი ჰარმონიის განვითარება, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებთან უნდა იყოს შერწყმული. მოსწავლის ჰარმონიული აზროვნება ვერ მიიღწევა, თუ სასწავლო წიგნები შესაბამის დიდაქტიკურ-აღმზრდელობით და მეთოდოლოგიურ საფუძვლებსაა მოკლებული. აქ ავტორი ასახელებს ამერიკისა და დასავლეთ ევროპის გამოცდილებას და სურვილს გამოხატავს, ქართულმა საგანმანათლებლო რეფორმამ ეს გამოცდილება გაიზიაროს. სასწავლო პროგრამების მიმოხილვისას ლუარსაბ ბოცვაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უკვე არსებული პროგრამები შექმნილია სწავლების ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით და ისინი ხელს შეუწყობენ მოსწავლის პიროვნების მრავალმხრივ განვითარებას. მაგალითად, მშობლიური ენის შესწავლა, მასთან ერთად გონებრივი და ზნეობრივი განვითარება, - მთავარი დანიშნულებაა ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული სახალხო სკოლისა.

---

[167] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, 1935, ფ.6.

[168] ბოცვაძე, ლუარსაბ. „სახალხო სკოლის პროგრამის ზოგადი ახსნა-განმარტება," *განათლება,* 1919, N1, გვ.45-54.

საარქივო მასალებში გვხვდება სასკოლო პროგრამების ნიმუშები სხვადასხვა საგნებისათვის. კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ქართული ენისა და ისტორიის პროგრამებზე, როგორც ეროვნული ცნობიერების მასტიმულირებელ ფაქტორებზე 1918-1921 წლებში. მიუხედავად არც თუ ისე მწირი არჩევანისა, სანიმუშოდ მოგვყავს მხოლოდ ის პროგრამები, რომლებსაც ახლავს თავისი განმარტებითი ბარათები პროგრამის მიზაშეწონილობის შესახებ. მათი ავტორები იმ დროის ქართველი ინტელექტუალები და მასწავლებლები არიან: ვახუშტი კოტეტიშვილი, მიხეილ აბრამიშვილი, ივანე გველესიანი, ვასილ ბარნოვი, სერგი გორგაძე და ა.შ.

ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის სხვადასხვა კლასებისათვის ქართული სიტყვიერების პროგრამა შეადგინა და განმარტებითი ბარათი დაურთო პედაგოგმა მიხეილ აბრამიშვილმა. ავტორის აზრით, ქართული ენისა და სიტყვიერების სწავლება ახალ, ეროვნულ ნიადაგზე უნდა წარიმართოს. ავტორი ქართული სიტყვიერების გარდაქმნის საუკეთესო პირობებს საქართველოს პოლიტიკურ ფორმირებაში ხედავს. მისი აზრით, სწორედ ეს ფორმირება უბიძგებდა ქართულ სიტყვიერებას ორგვარი გარდაქმნა განეცადა: ქართულ გიმნაზიებში მკვიდრ ნიადაგზე დამკვიდრებულიყო მისი სწავლება და ქართული სიტყვიერების სწავლების სწორად წარმართვა თანამედროვე მეცნიერული საფუძვლებით მომხდარიყო. ქართული სიტყვიერების სწორი სწავლება მოითხოვდა მოსწავლის კულტურულ სივრცესთან ინტეგრირებას. ავტორი ასაბუთებს ქართული სამეცნიერო სიტყვიერების მნიშვნელობას მოსწავლეებში ქართულად აზროვნების განვითარებისათვის და მისი სწავლების უფლებამოსილებას მხოლოდ ქართული ენის კარგ მცოდნეებს ანიჭებს. შემდგომ მსჯელობაში ავტორი მიმოიხილავს სიტყვიერების სწავლების მეთოდებს და გამოჰყოფს კაზმული სიტყვიერების სპეციფიურ მნიშვნელობას, - კითხვის პროცესს. აქ ავტორი მეთოდოლოგიურ პრინციპებთან ერთად გვთავაზობს ლიტერატურათმცოდნეობით პერსპექტივას მხატვრული ტექსტის საუკეთესოდ გააზრებისათვის: კაზმულ სიტყვიერებას მაშინ აქვს მოზარდისთვის განმავითარებელი მნიშვნელობა, როდესაც ის ცხოვრებისეული რეალობით არის გაჯერებული, რადგანაც მხატვრულ ტექსტში ისტორიული გმირები გვაინტერესებს არა როგორც ისტორიული ჭეშმარიტება, არამედ როგორც ავტორის

ინტერპრეტაცია და მისი შესაბამისობა პოლიტიკურ რეალობასთან, რეალურ ყოფასთან. მიხეილ აბრამიშვილი გვთავაზობს მე-2 კლასიდან მე-8 კლასის ჩათვლით ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამას, რომლის მიმოხილვისას ყურადღებას იქცევს ავტორის არა მხოლოდ პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური ხედვა, არამედ დასაბუთება იმ მიზანმიმართული საგანმანათლებლო პოლიტიკისა, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიზნებს შეესაბამებოდა.[169]

მე-19 საუკუნის 60-იანი წლები გამორჩეულია საქართველოში კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური გარემოს ტრანსფორმაციით, რაც გრძელდება მე-20 საუკუნის დასაწყისში და შემდგომ პერიოდშიც. თერგდალეულების მიერ ეროვნული მოტივების გააქტიურებასთან ერთად, დღის წესრიგში, სოციალური თემატიკაც დგება. ეს განსაკუთრებულ ასახვას ქართულ პრესასა და ლიტერატურაში ჰპოვებს. წოდებათა შორის დამოკიდებულებების გამოხატვა ქართული ლიტერატურის მთავარ მოტივად იქცა. შესაბამისად, მიხეილ აბრამიშვილი ქართული ლიტერატურის შესწავლისთვის სწორედ ამ მოტივებზე ამახვილებს ყურადღებას. მე-5 და მე-6 კლასებისათვის დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხესთან" ერთად, მოსწავლეებს სთავაზობს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს: „კაკო ყაჩაღი" არსენას ლექსთან შესადარებლად; "გლახის ნაამბობი", "კაცია-ადამიანი?!", "აჩრდილი". ასევე, ლავრენტი არდაზიანის "ისააკ მეჯღანუაშვილი", რაფიელ ერისთავის "ბერუას ჩაფიქრება", "სესიას ფიქრები", "დედაბრის მოთქმა". დავით კლდიაშვილის "ქამუშაძის გაჭირვება", "სოლომონ მორბელაძე". შიო არაგვისპირელის "ჩემი ბრალი არ არის ღმერთო". ნიკოლოზ ბარათაშვილის "ბედი ქართლისა", ილია ჭავჭავაძის "დიმიტრი თავდადებული", აკაკი წერეთლის "თორნიკე ერისთავი" და ა.შ. გრიგოლ ორბელიანიას "განთიადი", "საღამო მთაში". ვაჟა-ფშაველას "სტუმარ-მასპინძელი". ალექსანდრე ყაზბეგის "მოძღვარი", "მამის მკვლელი" და ა.შ.[170]

პოლიტიკურმა და ისტორიულმა მოვლენებმა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ განვითარდა ევროპის ტერიტორიაზე, თავისებური ასახვა ჰპოვა რუსეთის გუბერნიის შემადგენლობაში მყოფ ქართულ კულტურულ,

[169] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N664, ფ.41-44.
[170] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N664, ფ.42-43.

პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ყოფაზეც. დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულია ფაქტი იმის შესახებ, რომ ქართული რომანტიზმის სახელით ცნობილი პერიოდი განმსაზღვრელი და ერთგვარად გარდამავალი პერიოდი აღმოჩნდა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული ქართული კულტურული ნაციონალიზმის ფორმირებისათვის. ქართული რომანტიზმი იქცა ერთგვარ პოლიტიკურ აქტად, რომლის განმაპირობებელი ფაქტორი 1832 წლის შეთქმულების ჩაშლით გამოწვეული პესიზმი იყო. 1832 წლის შეთქმულების მარცხი იყო მთავარი მიჯნა მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ისტორიისა. მას თან მოჰყვა ადამიანთან ცნობიერების, წარმოდგენების, განწყობილებების უღმესი გარდატეხა.[171] ამ განწყობებმა გამოძახილი ჰპოვა ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ აზროვნებაში. როდესაც მიხეილ აბრამიშვილი ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამას გვთავაზობს, განიხილავს ქართულ რომანტიზმად წოდებულ პერიოდს პოლიტიკური პერსპექტივიდან და ქართულ რომანტიზმს „პოლიტიკურ რომანტიზმს“ უწოდებს. სწორედ პოლიტიკური რომანტიზმის გადასახედიდან სთავაზობს ის მოსწავლეებს, მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის განხილვის დროს, ეძიონ ქართული რომანტიზმის კავშირები ევროპულთან. ევროპაში ზოგადვროპული რომანტიზმის მოძრაობა მკაფიოდ დაუპირისპირდა განმანათლებლობას და გარდა ინტელექტუალური სფეროებისა, მან მოიცვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზროვნებაც, რამაც საბოლოო შედეგად ეროვნული თვითმყოფადობის აღორძინება და ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა გამოიღო ევროპის ტერიტორიაზე. ევროპულ რომანტიზმთან იდეურ კავშირებზე მიანიშნებს მიხეილ აბრამიშვილი, როდესაც ქართველ რომანტიკოსებზე საუბრობს, მათ შორის კი ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომლის რომანტიზმიც ეროვნული ხასიათისაა და პოემა „ბედი ქართლისა” ყურადღებას იპყრობს მასში დასმული ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის გამო. პოემა არის სასკოლო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი საპროგრამო ნაწილი და ცხადია, ის მხოლოდ ლიტერატურული ღირებულების გამო არ იკავებს ცენტრალურ ადგილს. ქართველ ავტორებან ერთად, მ. აბრამიშვილი პარალელს ავლებს ევროპელ მწერლებთან და

[171] ასათიანი, გურამ. *სათაველებთან* (თბილისი: ნეოსტუდია), ტომი 2, გვ. 151.

პოეტებთან მათთან იდეური ურთიერთკავშირის დადგენის მიზნით. მაგალითად, ბარათაშვილთან ერთად ის განიხილავს ბაირონის შემოქმედებას. ვახტანგ ორბელიანთან ერთად, მოსწავლეებმა უნდა განიხილონ ადამ მიცკევიჩის შემოქმედებაც და ეძიონ ურთიერთკავშირები და პარალელები ამ ორ ავტორს შორის. ეს პარალელები მხოლოდ ესთეტიკური პროლემატიკის გარშემო არ ტრიალებს. მასში მოსწავლეებს საერთო ეროვნული მოტივები უნდა მოეძებნათ.

ქართული რომანტიზმის ეპოქიდან მიხეილ აბრამიშვლი გადადის ქართული რეალიზმის მთავარ წარმომადგენელზე გიორგი ერისთავზე, რომლის შემოქმედებაშიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვიდრდება რეალისტური მოტივები. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში აქტიურად იბეჭდება ქართული ჟურნალ-გაზეთები, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშის ჟურნალ "ცისკრის" დამაარსებელი და რედაქტორიც გიორგი ერისთავია. ის აღმავლობის ხანა, რომლითაც ხასიათდება მე-19 საუკუნის ქართული ბეჭდური მედია, სწორედაც გიორგი ერისთავის სახელთან არის დაკავშირებული. მის სახელს უკავშირდება ასევე ქართული თეატრის განვითარებაც. ეს არის პერიოდი, როდესაც თანდათანობით იწყება საკუთარი თავის ძიება და ნაციონალური თვითგამორკვევისაკენ სწრაფვა, რასაც მოსდევს კულტურული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების მკაფიო ეტაპი თერგდალეულების თაოსნობით. სწორედ ამგვარ მკაფიო ხაზმგასმას აკეთებს მიხეილ აბრამიშვილი სასკოლო პროგრამის მიმოხილვისას და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების იდეური ანალიზის წვდომას სთხოვს მოსწავლეებს, როდესაც პროგრამაში ილიას მოღვაწეობას თანმიმდევრულად მიჰყვება: 60-იანი წლები საქართველოში მამათა და შვილთა ბრძოლა, ძველი საქართველოსა და მომავლის ურთიერკავშირის ძიება, წოდებათა შორის დამოკიდებულების გარკვევა ილიას შემოქმედებაში, მოძრობისა და მოქმედების აპოლიგია, 90 –იანი წლები და ილია. ილია, როგორც მე-19 საუკუნის ქართული ეროვნული ცნობიერების განსაზღვრელი.[172]

საარქივო მასალებში გვხვდება ქართული ენისა და სიტყვიერების სხვა პროგრამაც საშუალო სკოლისათვის, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: უმცროსი და უფროსი განყოფილებებისათვის. ეს უკანასკნელი კი მოიცავს 8 კლასს და ასაკის

[172] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N664, ფ. 43ა.

შესაფერისი პროგრამით არის დატვირთული. უფროსი განყოფილების მოსწავლეებს ევალებოდათ ლიტერატურული ნაწარმოებების თავისუფლად კითხვა, გადმოცემა და ანალიზი. წერითი დავალებების კომპონენტში მათ უნდა შესძლებოდათ წაკითხულის შინაარსის და საკუთარი შთაბეჭდილებების წერით გადმოცემა. შთამბეჭადავია იმ ნაწარმოებების სია, რომლებსაც სკოლის მოსწავლეები გაეცნობოდნენ უფროსი განყოფილების 8 კლასში. აქ იშლება ქართული ლიტერატურის ფართო სპექტრი: დაწყებული ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებიდან, დასრულებული მეოცე საუკუნის ქართველ ავტორთა ნაწარმოებების ცოდნით. მაგალითად, მოსწავლეები მეექვსე კლასში შეისწავლიდნენ ხალხურ სიტყვიერებასა და მის მთავარ დარგებს: უძველესი ლოცვა-საგალობელნი, ქართული მწერლობის დასაბამი და მისი ხასიათი:

ა) ცხოვრება და მარტვილობანი:

1. იაკობ ხუცესის "წამებაი წმინდისა შუშანიკისი".

2. იოანე საბანის ძის "ქებაი წმინდა მოწამისა ჰაბოისი".

ბ) ცხოვრება და მოქალაქობანი:

1. გიორგი მერჩულის: "ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელისა"

2. ბასილ ზარზმელის: "ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა"

3. მოკლე მიმოხილვა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მოღვაწეობისა."[173]

მაღალი კლასებისათვის გათვალისწინებულია ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებასთან ერთად, ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების ნაწარმოებებიც პატრიოტული მოტივებით თუ სოციალური თემატიკით გაცნობა. ასევე მე-19-20 საუკუნეების იმ ავტორთა შემოქმედება, რომლებიც ლიტერატურული მოღვაწეობის გარდა, აქტიურად იყვენ ჩართული მეოცე საუკუნის ქართულ პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში: ნიკოლოზ ბარათაშვილი „მერანი", „ბედი ქართლისა", „შემოღამება მთაწმინდაზე", „ფიქრნი მტკვრის პირას". ალექსადნრე ჭავჭავაძის

[173] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1166, ფ.1-2-3-5.

რჩეული პოეზია და მისი მოტივები: პესიმიზმი და მისი გამომწვევი მიზეზები. გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და პოეზია „სადღეგრძელო“, „მუშა ქობულაძე“ და სხვა. ილია ჭავჭავაძე: „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ელეგია“, „ქართლის დედას“, „პოეტი“, „ელეგია“, „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „კაცია ადამიანი?!“, „განდეგილი“, „ოთარაანთ ქვრივი“. ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა. აკაკი წერეთელი: „თორნიკე ერისთავი“, „ჩემი თავგადასავალი“, მოთხრობები და პოეზია. აკაკი წერერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა. ვაჟა ფშაველას მოთხრობები და პოეზია. ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებები. ეგნატე ნინოშვილი: „განკარგულება“, „პალიასტომის ტბა“, „მონადირე.“

უფროსი განყოფილების მერვე კლასის მოსწავლეებს ევალებოდათ დაუფლებოდნენ თეიმურაზ I-ის, არჩილ მეფის, სულხან საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის და ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედებასაც. მაგალითად, დავით გურამიშვილის შემოქმედების სრული რეტროსპექტივა: 1) ისტორიული ლექსები. 2) ავტობიოგრაფიული ლექსები. 3) დიდაქტიკური ლექსები. 4) სასულიერო ოდები. პროგრამის ბოლო ნაწარმოებად შოთა რუსთაველის „ვეფხიოსტყაოსანია“ გათვალისწინებული.[174]

დასახელებული პროგრამებიდან ჩანს, რომ სასკოლო მასალა ქართული ენისა და ლიტერატურისათვის მოიცავდა ქართული ლიტერატურის განვითარების სრულ ეტაპებს, უძველესი დროიდან მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე. ცხადია, ეს იყო პირველი მცდელობა, ქართულ საგანმანათლებლო პოლიტიკაში, მოსწავლეები სრული სპექტრით გაცნობოდნენ ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან ძეგლებს.

1919 წელს გამოქვეყნდა ვასილ ბარნოვის მიერ შედგენილი „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები. რვეული პირველი“. სახელმძღვანელო მოიცავდა ქართული სიტყვიერების სრულ პროგრამას ქართული ლიტერატურის სასკოლო პროგრამის განვითარებისათვის. წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული ენის სკოლებში შესწავლას აბრკოლებდა სათანადო სახელმძღვანელოების უქონლობა. ქართველი მასწავლებლები იძულებულები იყვნენ თავად აერჩიათ მასალა ქართული ლიტერატურიდან და მხოლოდ ინდივიდუალური მეთოდის

[174] იქვე.

საფუძველზე გადაეცათ ცოდნა მოსწავლეებისათვის. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, ვასილ ბარნოვი ცდილობს, შესთავაზოს მასწავლებებს საკუთარი გამოცდილების საფუძველზე შექმნილი ქართული სიტყვიერების გაკვეთილების სახელმძღვანელო, შესაბამისი ლიტერატურისა და მეთოდოლოგიის დამოწმებით. ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია ეს რვეული, რამდენადაც აქ ჩანს კიდევ ერთი დადასტურება იმ ფაქტისა, რომ 1918-1921 წლების ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის პროცესში ქართული ენა და ლიტერატურა ყველაზე მნიშნელოვანი მიმართულება იყო. რვეული დაყოფილია შემდეგ თავებად: სიტყვიერება. რა არის სიტყვიერება და ხალხური ნაწარმოები; ნაწარმოებთა შეფასება; ნაწარმოებთა შერჩევის აუცილებლობა და რითი უნდა ვიხელმძღვანელოთ მათი შერჩევის დროს? პერიოდები ხალხური სიტყვიერების განვითარებაში. დასმულია შემდეგი სახის შეკითხვები: აახლოვებს ერი თუ არა მითიურ არსებებს ანუ ღმერთებს ადამიანის პიროვნებასთან. სადისკუსი თემად განიხილება მსგავსება და განსხვავება მითიურ, ბუმბერაზ და ისტორიულ ხალხურ თქმულებათა შორის. ავტორი აცნობს მოსწავლეებს ქართული მითოლოგიის საფუძვლებს. ამ საფუძვლების ცოდნა გაარკვევს მოსწავლეს ქართველი ხალხის ჩვეულებებსა და ცრურწმენებში. გააცნობს ქართველთა წარმართულ ღმერთებს. თუ რა წარმოდგენები არსებობდა და არსებობს დღემდე მათ შესახებ ხალხში. ვასილ ბარნოვი სთავაზობს მოსწავლეს გაერკვეს, ვინ მიეკუთვნება ბუმბერაზთა პირველ და მეორე დასებს. მეორე დასის წევრია ამირანი, ბარი, უსუპი, როსტომი და ა.შ. ბუმბერაზთა დასში შედიან ტარიელი, ავთანდილი, არსენა, როგორც ხალხისათვის და მათი ბედნიერებისათვის მებრძოლი გმირი. მას უბრძოლია ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და სამშობლოს დასაცავად. წარმართულ გმირებთან ერთად, ავტორს შემოჰყავს პიროვნებები ძველი და ახალი აღთქმიდანაც.

ვასილ ბარნოვი ცალკე კატეგორიად გამოჰყოფს ქართულ ზღაპარს და არაკს. აღნიშნავს, რომ ქართულ ეროვნულ ნაწარმოებში დიდი მნიშვნელობა აქვს ზღაპარს. ზღაპრის ჟანრი ფანტასმაგორიულია, მაგრამ მოგვითხრობს წინაპართა რწმენასა და მსოფლმხედველობის შესახებ. საზნეობო და სამოძღვრო ზღაპრები გვიხატავენ ხალხის ცხოვრებას, ზნეს, ჩვეულებებს, მის მისწრაფებებს და ოცნებებს. ცალკე თავს უთმობს ქართველთა საერო ლირიკას, რომლის მთავარი გმირიც, - ხალხი, როგორც

კოლექტიური პიროვნება, გამოთქვამს საკუთარ გრძნობებს და განცდებს ლირიკულ პოეზიასა და სიმღერებში.[175]

1918-1921 წლებში ხშირად იბეჭდებოდა ქართული ლიტერატურის და პოეზიის ქრესტომათიები. მსგავსი ტიპის ქრესტომათიების მიზანი გახლდათ ქართული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა. მაგალითისათვის მიმოვიხილავთ ს.რ. გორგაძის მიერ შედგენილი ქრესტომათიას, - „ჩვენი ხალხური პოეზია. პარალელები ახალი ქართული მწერლობიდან“ (საშუალო სკოლის პირველი კურსი).[176]

ს.რ. გორგაძე წინასწიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრების აღორძინებამ დიდი გავლენა მოახდინა ეროვნული საგნების შესწავლა-განვითარების საქმეში, კერძოდ კი, ისეთ საგანში, როგორიც მშობლიური სიტყვიერების შესწავლაა. ახალი პროგრამით ქართული სიტყვიერება ისწავლებოდა საშუალო სკოლის ოთხივე კლასში. ხალხურ სიტყვიერებას ეთმობოდა სრული პირველი წელიწადი, კვირაში სამი გაკვეთილი. სავალდებულო იყო ხალხური სიტყვიერების დარგებთან ერთად მოსწავლეებს წაეკითხათ და პარალელები გაევლოთ თანამედროვე მწერლობასთანაც. ეს იყო სამინისტროს მიერ დადგენილი ახალი პროგრამა ქართული ენის განვითარებისათვის სასწავლო დაწესებულეებში და ქრესტომათიაც სწორედ ამ პრინციპით იქნა შედგენილი. ქრესტომათია იყოფოდა ორ ნაწილად, სადაც ერთი ნაწილი ეთმობოდა ქართულ მითოლოგიას და ზღაპართ-თქმულებებს. მეორე ნაწილი კი გაჯერებული იყო ახალი მწერლობის ნიმუშებით. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს როგორც ზეპირსიტყვიერების, ასევე თანამედროვე ქართული მწერლობის განყოფილებიდან. 1. მითოლოგიური ხასიათის ლექსები და ზღაპართ-თქმულებანი: 1. მზე, მთავრე და ვარსკვლავები. 2. მზე და მთავრე. 3. მზე და სიკვდილ-სიცოცხლე. 4. მზის საგალობელი. 5. ბატონების საგალობელი. 6. თქმულება იესო ქრისტეზე, ელია წინასწამეტყველზე და წმინდა გიორგიზე და ა.შ. 2. სავაჟკაცო ლექსები და საგმირო ეპოსი: 1. სავაჟკაცო ლექსები. 2. საგმირო ეპოსი. 3. ამირანი. 4. ხალხური როსტომიანი. 5. ტარიელი ანუ ხალხური ვეფსიხტყაოსანი. 6. ეთერი. 7. არსენას ლექსი. 3.

---

[175] ბარნოვი, ვასილ. *ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები.რვეული პირველი* (ტფილისი: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა N177, სტამბა „სახალხო საქმე“, 1919).
[176] გორგაძე, ს.რ. *ჩვენი ხალხური პოეზია. პარალელები ახალი ქართული მწერლობიდან (საშუალო სკოლის პირველი კურსი)* (ქუთაისი: ნ. ნეფარიძისა და ამხ. სტამბა, 1920).

საისტორიო ლექსები და ზეპირთქმულებანი: 1. ვახტანგ გორგასალი. 2. ლეგენდა დავით აღმაშენებელზე. 3. დარუბანდის კარების ჩამოხსნა და გელათში მოტანა დავით აღმაშენებლისგან. 4. დავით აღმაშენებლის ეპიტაფია. 5. თამარ მეფე და ხინთქარი. 6. შუქურ-ვარსკვლავები და თამარ მეფე. 7. თამარ მეფის ეპიტაფია. 8. ერეკლე ბატონიშვილი. 9. აზატხანი და ერეკლე. 10. ერეკლე მეფე დ დათუნა ბოსტაშვილი. 11. ერეკლე მეფე და რაჯაბა. 12. ერეკლე მეფე და ლევან ბატონიშვილი. 13. გლოვა ერეკლე მეფისა მთიულთაგან. ქრესტომათიაში ასევე ვხდებით საოჯახო, საყოფაცხოვრებო და სატრფიალო ლექსებს, ქართულ ანდაზებსა და აფორიზმებს, პირუტყვთა ეპოსაა დასაყოფაცხორვებო არაკებს.

ს.რ. გორგაძეს ქრესტომათიის მეორე ნაწილისათვის შერჩეული ჰყავს ოთხი ქართველი მწერალი, - რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთლი და ვაჟა-ფშაველა. თითოეული მათგანის ნაწარმოებებს თან ერთვის მცირე ბიოგრაფიული ცნობები ავტორთა შესახებ. რაფიელ ერისთავს ის ხალხოსნურ მწერალს უწოდებს და მას ხალხის ყოფა-ცხოვრების, ტანჯვის თუ სიხარულის საუკეთესო გამზიარებლად მოიაზრებს. აღნიშნავს, რომ რაფიელ ერისთავი თავისი ენით თუ სტილით ყველაზე ახლოს დგას ხალხის ცნობიერებასთან, ესმის მათი ხმა. შედარებით მოკრძალებულია ილია ჭავჭავაძის შეფასებისას და მას საისტორიო თხზულებების საუკეთესო ავტორს უწოდებს. ილიას შემოქმედებიდან მას შერჩეული აქვს ორი ნაწარმოები: „დიმიტრი თავდადებული“ და „კაკო ყაჩაღი“. „კაკო ყაჩაღს“ ხალხოსნური შემოქმედების ნიმუშს უწოდებს, რომელიც მესტვირული კილოთია დაწერილი. მეორე კი, - ეპიკური ნაწარმოებების რანგში გაჰყავს და ეროვნულ-პატრიოტული მოტივების ნიმუშად მოიაზრებს. საისტორიო თემატიკის დამუშავების თვალსაზრისით, ილიას შემდეგ, აკაკი წერეთელი საუკეთესო ავტორია, რომლის კალამსაც ეკუთვნის „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“, ისტორიული დრამა „პატარა კახი“. ავტორის აზრით, აკაკი წერეთელმა შეძლო მე-19 საუკუნის ე.წ. პოლიტიკური ზღაპრების ავტორად ქცეულიყო. მაგალითად, ზღაპარი „ალექსი“ და „კუჭია“.

მეოთხე მწერალი ვაჟა-ფშაველაა, რომელსაც ს. რ. გორგაძე ქართული ხალხური ეპოსის მამამთავარს უწოდებს. თუ აკაკი წერეთელმა ხალხური სიუჟეტები მაღალი ლიტერატურის ჟანრად აქცია, ვაჟა-ფშაველამ ამ ხერხს პოეზიაში მიმართა და უკვდავი პოემები შემოგვთავაზა: „ალუდა ქეთელაური“, „გოგოთურ და აფშინა,”

„სტუმარ-მასპინძელი," „გველის მჭამელი" და ა.შ. ავტორმა ქრესტომათიისათვის „ეთერი" შეარჩია და მოსწავლეებს სთავაზობს გააკეთონ შედარება და ანალიზი ხალხური ეპოსის „ეთერიანთან."[177]

1920 წელს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", ვარლამ ხუროძის ავტორობით, ქართული ენის და ლიტერატურის სახელმძღვანელოების გამოსვლას დიდი ენთუზიაზმით ეგებება და აღნიშნავს, რომ სკოლების ნაციონალიზაციის პოლიტიკით ქართულმა საგანმანათლებლო სისტემამ გამარჯვება მოიპოვა. კერძოდ კი, განათლების ნაციონალიზაციამ, დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროსთვის შესაძლებელი გახადა, დაებეჭდა ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის და სხვა საგნების სახემლძღვანელოები. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ დროსათვის უკვე დაიბეჭდილი იყო ი. ოცხელის მიერ შედგენილი საშუალო სასწავლებლის I კლასის კურსის „ქრესტომათია". ასევე, „ქართული ქრესტომათია" II, III და IV კლასებისათვის.

ქართული ენის სახელმძღვანელოების გამოშვება არ იყო მხოლოდ განათლების სისტემაში გადადგმული წარმატებული ნაბიჯი ან მხოლოდ ორწლიანი თავდაუზოგავი მუშაობის შედეგი. ის ყველაზე მთავარს ემსახურებოდა, - ქართული კულტურის გაძლიერებას, რაც თავისთავად ქვეყნის დამოუკიდებლობის სიმყარის გარანტად ესახება სტატიის ავტორს: „ქართველი ერის დამოუკიდებლობას მაშინ ექნება მტკიცე საფუძველი, როცა იგი გამაგრებული იქნება კულტურულად. ამ სფეროში პირველი ადგილი შკოლას და მასწავლებელს ეკუთვნის."[178] ავტორი არ ეთანხმება გავცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები გაჯერებული უნდა ყოფილიყო სარწმუნოებრივ-ზნეობრივი პათოსით. ახალმა სკოლამ უნდა აღეზარდა საზოგადოების წევრები და არა სასულიერო პირები, ბერები. მას ხელი უნდა შეეწყო მოზარდში თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო არჩევანს გააკეთებდა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით იქნებოდა აღვსილი. ეს მოსაზრება ერთგვარად ესადაგებოდა დემოკრატიული რესპუბლიკის

[177] იქვე.
[178] ხუროძე, ვარლამ. „ქართული ენის სახელმძღვანელოები," *საქართველოს რესპუბლიკა,* 1920, N78, გვ.3.

საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას, - მოსწავლეებში სეკულარზმის იდეის განვითარებას, როდესაც სასწავლო დაწესებულებები დატოვა რელიგიურმა სწავლებებმა. ავტორი მშობლიური ენის შესასწავლ სახელმძღვანელოში ორ მიზანს გამოჰყოფს: პირველ რიგში, ის ენობრივად უნდა ასახავდეს ცხოვრების რეალურ მხარეებს და მოსწავლეს მხატვრული ტექსტების დახმარებით რეალურ ცხოვრებასთან დაახლოებას უნდა უწყობდეს ხელს. ავტორი შედარებას აკეთებს ძველ და ახალ საქართველოს ანუ თავისუფალი ქვეყნის სკოლებს შორის. კერძოდ კი, იგი განიხილავს იაკობ გოგებაშვილის "დედა-ენასა" და "ბუნების კარს". ავტორის აზრით, ორივე წიგნს თან ახლდა სტატიები ისტორიის, გეოგრაფიის, ზოოლოგიის შესახებ. ამგვარი პრინციპით აგებულ წიგნს თავისი მიზანი ჰქონდა: ადრე საქართველოს სკოლებში ქართული ენა ისწავლებოდა, როგორც ენა, ხოლო საქართველო ისტორიას და გეოგრაფიას კი მასწავლებლები, ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, - „კონტრაბანდით" ატარებდნენ სკოლებში. დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფალი სკოლის წინაშე კი სხვა ამოცანები იდგა: ქართული ენა, ისტორია, გეოგრაფია უკვე ცალკე დამოუკიდებელი საგნების სტატუსს ფლობდნენ.

ვარლამ ხუროძის აზრით, მანამდე გამოცემულ სახელმძღვანელოებს შორის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა ივანე გომელაურის წიგნი "ქართველი მწერლები". ივანე გომელაურის სახელმძღვანელოს, "ბუნების კართან" ერთად, ისტორიული მისია ჰქონდა დაკისრებული: თითქმის ერთადერთი იყო, რომელიც ქართული ლიტერატურის ზედმიწევნით შესწავლას ისახავდა მიზნად იმ პირობებში, როდესაც ქართულ სკოლას რუსიფიკაციის წინააღმდეგ თავდაუზოგავი ბრძოლა უწევდა.[179]

"საქართველოს რესპუბლიკის" ენთუზიაზმს იზიარებს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ქართული სკოლების გაეროვნულების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა ქართული სახელმძღვანელოების გამოცემაც. მაგრამ, საზოგადოების მოსაზრებით, ამ ფაქტმა უფრო მეტად გამოკვეთა ის პრობლემა, რომელიც განახლებული, გარდაქმნილი სკოლისათვის თანამედროვე პედაგოგიურ

[179] ხუროძე, ვარლამ. „ქართული ენის სახელმძღვანელოები," *საქართველოს რესპუბლიკა,* 1920, N79, გვ.3.

მეცნიერებათა სტანდარტების მიხედვით შესრულებული სახელმძღვანელოების სიმცირე და საჭიროება ერქვა. ამიტომაც, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება განათლების სამინისტროს წინაშე აღძრავდა შუამდგომლობას წიგნის გამოცემის საქმის მოგვარებისა და ამ მიზნისათვის, სათანადო სესხის გაცემის შესახებ: „სახელმწიფოა ეროვნულ-ცხოვრების ბატონ-პატრონი საზოგადოებისათვის სწორედ რომ შესაფერისი იქნებოდა თავისი კულტურული მუშაობა სახელმძღვანელოთა და სხვა საკითხავ წიგნთა გამოცემით განსაზღვროს, გააფართოვოს იგი და ამ სფეროში პირველობა მიიკუთვნოს."[180]

საგამომცემლო საქმიანობაც განათლების პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარეობდა, თუმცა ხშირი იყო ფინანსური პრობლემები, რის გამო უჭირდათ გამომცემლებს სახელმძღვანელოებისა თუ საკითხავი ლიტერატურის დაბეჭდვა. საარქივო მასალებში მოიპოვება წერილები სახალხო განათლების მინისტრის სახელზე ხსნებულ პრობლემასთან დაკავშირებით. მაგალითად, ქართული საყმაწვილო გამომცემლობის "სურათ-ზღაპრების" წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 1916 წელს, ქუთაისში დაარსებულ გამომცემლობას ქართული ლიტერატურის გაღარიბებულმა ნიადაგმა უბიძგა ეზრუნა მომავალი თაობის ეროვნული ცნობიერების გამრავალფეროვნებისათვის. როგორც თვითონვე აღნიშნავენ, გამომცემლობა დაარსდა "უსახელო ქვეყანაში". მოცემულ მომენტში კი მათ უკვე დემოკრატიულ და თავისუფალ საქართველოში უწევდათ მოღვაწეობა. მაგრამ, ეკონომიკურმა კრიზისმა გამომცემლობა გააღარიბა და სახალხო განათლების სამინისტროს თხოვდნენ, გაეწია ფინანსური დახმარება კრიზისიდან თავის დაღწევისა და თავიანთი მოღვაწეობის გაგრძელების მიზნით.[181] იმავე თხოვნით მიმართავდა საყმაწვილო ჟურნალ "ნაკადულთან" არსებული საყმაწვილო წიგნების გამომცემლობაც, რომელსაც მოქმედება ქაღალდისა და საბეჭდი კლიშეების უქონლობის გამო უფერხდებოდა.[182]

საარქივო მასალებში იძებნება ზაქარია ჭიჭინაძის წერილი, რომლითაც ის მთავრობას დახმარებისათვის თხოვნას უგზავნის. წერილის შინაარსიდან ვიგებთ,

[180] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N265, ფ.250.
[181] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N184 (1), ფ.1-2.
[182] იქვე.

რომ მოცემულ მომენტში ზაქარია ჭიჭინაძე სურდა დაებეჭდა წიგნი "ქართველ კათოლიკეთა ტიპიკონის ამბავი". ის ამ შესაძლებლობას ისტორიულ შეგნებას უწოდებს, რადგანაც ამ წიგნის გამოშვებით ის ისტორიულ სინამდვილეს მოჰფენდა ნათელს. საქმე მდგომარეობდა იმაში, რომ XIII საუკუნეში, სომხური ტიპიკონის შემოტანით, ქართველმა კათოლიკეებმა ართვინში დაკარგეს ქართული ენა, რის გამოც ისინი დღემდე სომხურად საუბრობდნენ. ამას ადასტურებდა ახალციხის არქივში დაცული დოკუმენტი "მისიონერული დღიური", რომლის მიხედვითაც, 1675 წელს, სომეხმა კათოლიკეებმა ქართველ კათოლიკეებს სჯულის ენად სომხური ენა დაუდგინეს და თავად ქართველნიც სომხეთიდან გადმოსულ სომეხი ეროვნების მოსახლეობად შერაცხეს. ამგვარი პროპაგანდის შედეგად, მესხეთ-ჯავახეთის ქართველი კათოლიკებიც სომხურ ენაზე მეტყველებდნენ. ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის "ქართველ კათოლიკეთა ქართული ტიპიკნის ამბავი" წარმოადგენდა ამ ისტორიის ქართული პრესპექტივიდან დანახვისა და ობიექტური სინამდვილის დადგენის შესაძლებლობას. ამ საქმისათვის კი მას ესაჭირეობდა ფინანსური დახმარება მთავრობისგან. ზაქარია ჭიჭინაძე ჰპირდებოდა მთავრობას, რომ წიგნის გამოცემის შემდეგ გამოაქვეყნებდა ანგარიშს იმის შესახებ, თუ როგორ მიიღებდა ამ წიგნს ქართელი კათოლიკე მოსახლეობა და რა გავლენას მოახდენდა ის მათზე. (1920 წლის, 20 ივლისი). [183]

ამავე საქმეში დევს ზაქარია ჭიჭინაძის მეორე მოხსენება, საიდანაც ვიგებთ, რომ მას სურს გამოსცეს მეორე წიგნი, - ამჯერად ქართველი კათოლიკე სოლომონ ასლანიშვილის წიგნი. სოლომონ ასლანიშვილი ცხოვრობდა აჭარის ერთ-ერთ სოფელში, სადაც შეისწავლა ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების წესი და აღწერა ის თავისივე წიგნში. თავად მოსახლეობა კი მისგან სწავლობდა ქართულ ენას. აჭარაში ყოფნის დროს მან შეადგინა ოსმალურ-ქართული სახელმძღვანელო იმ ქართველ მაჰმადიანთათის, რომლებმა დაკარგეს ქართული ენა, მაგრამ თავს ქართველებად თვლიდნენ სოლომონ ასლანიშვილის წერილები აჭარის მოსახლეობის შესახებ წერილები გაზეთებშიც იბეჭდებოდა. ამ წიგნის გამოცემა, ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენდა ქართველ მაჰმადიანების ისტორიისათვის და იმ სინამდვილის აღდგენის საქმეში, რომელიც ადასტურებს იმ

[183] სცსსა, ფონდიN1935, ანაწერი N1, საქმე N 184(1), ფ.9.

ჭეშმარიტებას, რომ რომ ეროვნებით ქართველი და რწმენით მუსლიმი ქართველი მოსახლეობა ისეთივე სრულფასოვანი მოქალაქეა ამ ქვეყნის, როგორც სხვა დანარჩენი. ისინი ქართველები არიან და ეს მათი ისტორიაა, - აღნიშნავს ზაქარია ჭიჭინაძე.[184] ორივე წიგნის გამოცემა, როგორც ქართული საგამომცემლო საქმის, ასევე ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენდა. გარდა ამისა, მათ სახელმძღვანელოების ფუნქციაც გააჩნდათ.

საგაზეთო სტატიებისა და საარქივო მასალების მიმოხილვით შევეცადეთ დაგვედგინა, რაში მდგომარეობდა 1918-1921 წლების საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზანი, გამოეცა ეროვნული სახელმძღვანელოები. ამ საკითხზე მსჯელობისას, გამოიკვეთა, რომ თითოეული პრაქტიკული შინაარსის საკითხის მიღმა საბოლოო ჯამში თეორიული ასპექტებით დასაბუთებული მსჯელობა იკითხება, რაც ხაზს უსვამს სტატიებში გაშუქებული საკითხების გამჭირვალედ აღქმის უნარს ავტორთა მხრიდან. როდესაც ვკითხულობთ სტატიებს სახელმძღვანელოთა დანიშულების შესახებ, მათში ხაზგასმულია, რომ სახელმძღვანელოს უპირველესი დანიშულება თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის აღზრდა და შედეგად ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებაა. პრაქტიკულ ღონისძიებებთან ერთად, მათში ნათლად ჩანს ადამიანის ცნობიერად რეკონსტრუირების იდეა, რომლის მიხედვითაც ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქის ერთგვარი მოდელი უნდა ჩამოყალიბებულიყო.

4.4. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება საგანმანათლებლო პოლიტიკის კონტექსტში

სასწავლო დაწესებულებების გაეროვნულებისა და ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავების საკითხიც. ქართული ტერმინოლოგიის საკითხის დასმა არ ყოფილა მხოლოდ პრაქტიკული კუთხით გამიზნული. ის, პირველ რიგში, წარმოადგენდა განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას და ქართული ენის განვითარების შემადგენელ ნაწილს ფართო მასებისათვის მეცნიერებასთან დაახლოების მიზნით.

[184] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N 184(1), ფ.11.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, 1918 წლის 15 ივნისს მუშაობა დაიწყო ქართულ უნივერსიტეტთან არსებულმა სატერმინოლოგიო სექციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილი.[185] 1920 წლის 10 თებერვლიდან კი იგი დაინიშნა სასწავლო კომიტეტის თავჯდომარედ.[186] სასწავლო კომიტეტის დანიშნულებას წარმოადგენდა სახელმძღვანელოების, სასწავლებელთა პროგრამების განხილვა, მათი პედაგოგიური კუთხით შეფასება, ასევე საუკეთესო სახელმძღვანელოების ავტორებისათვის პრემიების დაწესება. სასწავლო კომიტეტის ცალკე შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა სატერმინოლოგიო სექცია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ერთი სახის ტიპის, რესპუბლიკის ყველა სასწავლო დაწესებულებისათვის სავალდებულო ტერმინოლოგია სხვადასხვა საგნებისათვის. სასწავლო კომიტეტი დაყოფილი იყო შემდეგ დარგებად: ზოგადი ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ქართული ენის, უცხო ენების, მათემატიკის, ბიოლოგიის, ფილოსოფიისა და იურისპრუდენციული საგნების დარგებად. ასევე არსებობდა ჰიგიენის, მხატვრობის, მუსიკის და სპეციალური ტექნიკური საგნების დარგებიც. მათში გაწევრიანებული იყვნენ ამ დარგების საუკეთესო სპეციალისტები და მცოდნენი.[187] სასწავლო კომიტეტის წევრების სიაში შედიოდნენ აკაკი შანიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, სარგის კაკაბაძე, ლევან ნათაძე, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ჭუმბურიძე, ნოე ქუთათელაძე, დიმიტრი უზნაძე და ა.შ.

სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის დადგენილების თანახმად, თბილისში გაიხსნა ქართული ენის მცოდნეთა ყრილობა. ყრილობის მიზანს წაარმოადგენდა, ქართული სალიტერატულო ენის სავალდებულო ნორმების შემუშავება. ასევე, იმ დროისათვის დამახასიათებელი სალიტერატურო ქართლ ენაში არსებული სხვადასხვაობების მოსპობა.[188] კომისიას შემდეგი მეთოდით უნდა წარემართა მუშაობა: კომისია შეკრებდა გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებში არსებულ სადავო ფორმებს და მათ სალიტერატურო ნორმების შესაბამისად დაადგენდა. კომისიას მოძიებული მასალა მოხსენების სახით უნდა წარედგინა ან გამოქვეყნებინა პრესაში შემდეგი სათაურით "მასალები

[185] *ერთობა,* 1918, N122, გვ.2.
[186] სცსსა, ფონდი N1925, ანაწერი N1, N977, ფ.1.
[187] *საქართველოს რესპუბლიკა,* 1919, N33, გვ.2.
[188] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N1162, ფ.1.

სალიტერატურო ქართულისათვის“. ყრილობაზე წაიკითხავდნენ მოხსნებებს და გაარჩევდნენ ყველა წარდგენილ მასალას. ასევე წაიკითხავდნენ მოხსენებებს ორთოგრაფიის ისტორიისათვის: თუ როგორია ახალი ქართული, თანამედროვე კილოები და სამწერლო ენა, საორთოგრაფიო პრინციპები, ქართული პუნქტუაცია, ქართული კომპოზიტები და ა.შ. სადავო საკითხებს წარმოადგენდა შემდეგი საკითხები: მაგალითად, ფონეტიკაში ძველი ასოების ამოღება და მათი თანამედროვე შესაბამისობის სამწერლო ენაში მოძიება; ასიმილაცია–დისიმილაციის გავლენა სალიტერატურო ქართულზე (მაგ.: თბილისი, თფილისი თუ ტფილისი) და ა.შ; მორფოლოგიაში –დონი და _თანი მიმართულებაში; ჰაესა და სანის ხმარება ზმნის ფორმებში; ვდგავარ თუ ვდგევარ; აღვიარებ თუ ვაღიარებ) და ა.შ; სინტაქსში – ქართველი ერის თუ ქართველ ერის; რაც უნდა იყოს თუ რაც არ უნდა იყოს და აშ. საორგანიზაციო კომისიის წევრბეი იყვნენ: გიორგი ახვლედიანი აკაკი შანიძე, ს. გორდაძე, ვუკოლ ბერიძე.[189]

განათლების კომიტეტის სხდომის ოქმები მოწმობენ როგორი თანიმდევრული მუშაობა მიდიოდა ეროვნული სატემინოლოგიო კონცეფციის შესამუშავებლად. 1920 წლის თებერვალში გაიხსნა სხდომა, სადაც განათლების მინისტრის მოადგილემ ნოე ცინცაძემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას ემუშავათ ორი მიმართულებით: განეხილათ სახელმძღვანელოების გადასინჯვისა და შეფასების მეთოდები. ასევე, სასკოლო კომიტეტს დაავალა ემუშავა ტერმინოლოგიის დამუშავების საკითხებზე. სხდომას სიტყვით მიმართა ივანე ჯავახიშვილმა და ისაუბრა ქართული სამეცნიერო ენის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის შესახებ. საარქივო მასალაში დაცულია ივანე ჯავახიშვილის მოხსენება “ტერმინოლოგიის შემუშავების ძირითადი პრინციპების შესახებ.”[190] ივანე ჯავახიშვილი ქართული სკოლის “სათანადო კალაპოტში” ჩაყენებასა და ქართული ტერმინოლოგიის შემუშავებას განიხილავს ეროვნულ ნიადაგზე. ივანე ჯავახიშვილი ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის გამოჰყოფს ორ პერიოდს, რომლებსაც „სტიქიურსა“ და „ეროვნულს“ უწოდებს. სტიქიურ პერიოდად ის ახასიათებს იმ დროს, როდესაც ერის ცხოვრებაში სწრაფი ტემპებით იჭრებიან უცხო სიტყვები და მათ უწევთ ბრძოლა “მოქალაქეობრივ უფლებათა

[189] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N933, ფ.3.
[190] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N531, ფ. 25-27.

მოპოვებისათვის".[191] ხოლო მეორე კი გულისხმობს უცხო ტერმინებისათვის ქართული შესაბამისობის მოძიებას. ამ ეტაპს ივანე ჯავახიშვილი ნაციონალურს უწოდებს. მოცემულ მომენტში, საქართველო და ქართული მეცნიერება ამ იმყოფებოდა გარდამავალ ხანაში. ამიტომაც ივანე ჯაახიშვილს არ მიაჩნდა მართებულად სტიქიურად შემოჭრილი უცხო სიტყვების მოსპობა. ამ პროცესს გეგმაზომიერი მუშაობა სჭირდებოდა.

ივანე ჯავახიშვილი ქართული ტერმინოლოგიის განვითარების ისტორიას რამდენიმე პერიოდად ჰყოფს: ის აღნიშნავს, რომ "ქართულმა მწერლობამ იცის ტერმინოლოგიის პრინციპები."[192] კერძოდ კი, ქართული სამწერლო ენის ქრონოლოგია ბევრად ადრეული ხანიდან იწყება, მაგრამ ქართული ტერმინოლოგიის პრინციპები იმ დროიდან არსებობს, როდესაც ქართული მწერლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერძნულ კულტურას და ფილოსოფიასთან. ამ პერიოდის ქართული ტერმინოლოგის განვითარების საქმეში განსაკუთრებული წვლილი იოანე პეტრიწის მიუძღვის, რომელიც წმინდად იცავდა ბერძნული ტერმინოლოგიის ხასიათს, მაგრამ ცნების გადმოცემას "გადმოქართულებული სამოსელით" ცდილობდა. ასევე ეფრემ მცირე იყო ის მოღვაწე, რომელმაც ქართული და ბერძნული ენების შედარების საფუძველზე დაიწყო ახალი ტერმინოლოგიის შემუშავება. საუკუნეების მანძილზე, სპარსული და არაბული ენებიდანაც შემოვიდა ქართულში ახალი ტერმინები. მე-17 საუკუნე კი არის ის პერიოდი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი აღორძინების ხანას უწოდებს, რადგანაც ამ დროს იწერება ლექსიკონები, ითარგმნება მრავალი წიგნი. ასპარეზზე გამოდიან სულხან-საბა-ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე. შემდეგი ეტაპი ანუ მე-18 საუკუნე, ეს არის პერიოდი, როდესაც საქართველო დასავლეთ ევროპას რუსული ენის საშუალებით დაუკავშირდა. მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული წვლილი ანტონ კათალიკოსს მიუძღვის, რომელიც კარგად ფლობდა ძველ ქართულ ენას. მან ასევე თარგმნა საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიური წიგნები. ივანე ჯავახიშვილი ამ პერიოდს მოსამზადებელ ეტაპს უწოდებს, რადგანაც სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა მრავალი სახელმძღვანელო და რუსულიდან ნათარგმნი კლასიკური წიგნები. ეს იყო ნიშანი

[191] იქვე.
[192] იქვე.

იმისა, რომ ქართული მწერლობა არ ჩამორჩებოდა რუსულს და მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ამგვარად ამოავსო ქართულმა სატერმინოლოგიო დარგმა საუკუნეების მანძილზე დაგროვებული დანაკლისი: „მოგვეპოვება მრავალი სახელმძღვანელო, რომელიც შედეგია ამ მოსამზადებელი მუშაობისა, ყველა კლასიკური წიგნი ითარგმნებოდა რუსულიდან ქართულად. შეიძლება ითქვას, ქართული მწერლობა არ რჩებოდა უკან რუსულს. როდესაც გამოჩნდებოდა რუსული თარგმანი, მას მალე მოჰყვებოდა ხოლმე ქართულიც", - აღნიშნულია მოხსენებაში.[193]

ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების პროცესში, იკვეთებოდა ორგვარი მიმართულება: ნაციონალური და ინტერნაციონალური. ნაციონალური მიმართულების მომხრეები მოითხოვდნენ უცხო ტერმინების სრულიად გადმოქართულებას. მეორე მიმართულება კი ეთანხმებოდა ქართულში დამკვიდრებული ტერმინების უცხოური ფუძის შენარჩუნებას. საკითხის გარშემო დებატები მიმდინარეობდა, როგორც სასწავლო კომიტეტის სხდომებზე, ასევე პრესის ფურცლებზეც. მაგალითად, სასწავლო კომიტეტის წევრი მიხეილ კონიაშვილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ისეთი პატარა ერისათვის როგორიც საქართველოა, უცხო ტერმინების გადმოქართულება ვერ შეუწყობდა ხელს მის კულტურულ ერებთან დაახლოების ტენდენციას. ტერმინოლოგიის მიზანი უნდა ყოფილიყო ხალხის ფართო წრეებისათვის მეცნიერების შეთვისების გაადვილება. მას არ მიაჩნდა სწორად საკითხის არც ინტერნაციონალიზმის და არც გადაჭარბებული ნაციონალიზმის ჭრილში განხილვა, რადგანაც აქ მთავარი ხალხის ინტერესების დაცვა იყო: "საუკეთესო ინტერნაციონალიზმი ის იქნება, როდესაც ჩვენ ხალხის ფართო წრეებს რაც შეიძლება მეტად შევითვისებთ სამეცნიერ ჭეშმარიტებებს, რომლებიც უცხო მეცნიერებმა აღმოაჩინეს. ამის შეთვისება კი სწორედ სამშობლო ენაზეა ბევრად უფრო მოსახერხებელი და სწორედ ხალხისათვის გასაგებ ტერმინების საშუალებით."[194] მისი აზრით, თუ კომისია გადაჭარბებული ნაციონალიზმის ფარგლებში გადაწყვეტდა დარჩენას, მაშინ მას სვანებისთვის, მეგრელებისთის, აფხაზებისთვის ცალ-ცალკე გახდებოდა საჭირო ტერმინების შემუშავება მათთვის გასაგებ ენაზე. მ.კონიაშივილი ამ ტენდენციაში პოლიტიკურ საფრთხეებსაც ხედავდა,

[193] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N531, ფ.26.
[194] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N531, ფ.28.

- ყველა კუთხისათვის საკუთარი ტერმინოლოგია შოვინისტებისთვის სასარგებლო ნიადაგს შექმნიდა.

საარქივო მასალები გვაცნობენ აკაკი შანიძის მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ივანე ჯავახიშვილის მსგავსად, აკაკი შანიძეც აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ქართულში დამკვიდრებული ყველა ტერმინის პირველწყარო სხვადასხვა ენისგან მომდინარეობს, მაგრამ ისინი ქართული აგებულების არიან. ამიტომაც, სატერმინოლოგიო კომისიის პირველ ვალდებულებას წარმოადგენდა უკიდურესობების თავიდა აცილება და როგორც ქართული, ასევე უცხო ტერმინების გამოყენება. რაც მთავარია ამ პრინციპს ჰქონდა ერთი უმთავრესი დანიშნულება – "განათლებული ერების კულტურის შეთვისება."[195]

აკაკი შანიძის მოხსენების ძირითადი დებულება იყო, კომიტეტს გამოეყო მუდმივი სატერმინოლოგიო კომისია, რომლის მოვალეობაც იქნებოდა არსებული ტერმინების გადასინჯვა, მათი დარგის სპეციალისტებთან შეთანხმება და ამგავრად მათი დამტკიცება. დამტკიცებული ტერმინების ანბანის მიხედვით დალაგება დ მათი ლექსიკონებში გადატანა.

პრესა განსაკურებულ ყურადღებას უთმობდა სატერმინოლოგიო მუშაობის პროცესებს. მე-20 საუკუნის დასაწყისი მეცნიერების სწრაფი ტემპებით განვითარების ხანაა ევროპის მასშტაბით. 1920 წლისთვის საქართველო კვლავ იდგა სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჯეროვნად შემუშავების გამოწვევების წინაშე. სწორედ ამის შესახებ "საქართველოს რესპუბლიკაში" სტატიას აქვეყნებს სერგი დანელია. აქვე აღნიშნულია, რომ რედაქცია არ იზიარებდა მასში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას. ავტორი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში, არაერთმა დაბრკოლებამ შეუშალა ხელი საქართველოს ფეხდაფეხ მიჰყოლოდა ევროპული მეცნიერების ტენდენციებს, რაც შესაბამისი ტერმინოლოგიის შემუშავებასაც გულიხმობს. ქართულ მეცნიერებაში ჯერ კიდევ აქტუალურ საკითხად რჩებოდა ორგვარი მოსაზრება: მეცნიერება ეკუთვნის ხალხს, შესაბამისად ის სახალხო ენაზე უნდა მოეწყოს. მეორე მოსაზრება ეწინააღდმეგებოდა პირველს და ტერმინების საერთაშორისო სამეცნიერო ფუძეზე დატოვებას ითვალისწინებდა. სერგი დანელია

[195] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N531, ფ.32.

საკითხის გადაწყვეტისათვის ამოდის ეროვნული ინტერესების კონცეფციიდან, რასაც შემდეგნაირად ასაბუთებს: "ეროვნული ინტერესი მოითხოვს მხოლოდ ეროვნულ პროგრესს. უფრო ეროვნული ის კი არ არის, რასაც უფრო ადვილად ითვისებს ერი, არამედ მხოლოდ ის, რაც აწინაურებს ერს."[196]

ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების პროცესი უნდა დაქვემდებარებოდა მარტივ ჭეშმარიტებას ანუ ისეთი ტერმინის შექმნას, რომელიც ზუსტად გამოსახავდა ცნების შინაარსს ყოველგვარი ბუნდოვანების გარეშე, როგორც ეს ევროპაში ხდებოდა, როდესაც ევროპელი მეცნიერები ტერმინების საკუთარ ენაზე თარგმნას კი არ მიმართავდნენ, არამედ მკაფიო სამეცნირო სიზუსტით და გამომსახველობით ამკვიდრებდნენ ამა თუ იმ სამეცნიერო ტერმინოლოგიას იმავე ენაზე, რომელზეც შეიქნა კონკრეტული ტერმინი. სამეცნიერო ენის გახალხურება, როგორი პატრიოტული მოტივებითაც არ უნდა ყოფილიყო გაჯერებული, დააკნინებდა თავად მეცნიერების არსს. სერგი დანელიას ასეთი მაგალითი მოჰყავს: გლეხისა და ზოოლოგიის წარმოდგენა "თევზის" შესახებ პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულელებია. ავტორის რწმენით, რადგანაც იმ დროის თანამედროვე მეცნიერული ტერმინები პირველად ფუძნდებოდა ქართულ ენაში, ისინი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყვნენ თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნილებებთან. ცხადია, დემოკრატიზმის პრინციპი ითვალისწინებდა უმრავლესობის მოთხოვნილებებს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კონკრეტულ ვითარებაში ამგვარი მიდგომა არ წარმოადგენდა დემოკრატიზმის პრინციპების დარღვევას. უფრო მეტიც, - დემოკრატიზმის პრინციპებს ეფუძნებოდა ეროვნული და პედაგოგიური ინტერსები, რომელთა ერთობლიობა საერთო ეროვნული პროგრესისკენ იყო მიმართული.

განათლების კომისიაში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომელთათვისაც ეს მიდგომა მიუღებელი და ქართული ენის დაკნინებად იყო მიჩნეული. ეს კარგად ჩანს განათლების კომისიის სხდომების ანგარიშებში და საგაზეთო სტატიებშიც. ერთ-ერთ ასეთ საპასუხო სტატიაში ავტორი ინჟინერი ვ. კაკაბაძე პრინციპულად იცავს

[196] დანელია, სერგი. „ქართული ტერმინოლოგიის საკითხისათვის," *საქართველოს რესპუბლიკა,* 1920, N44. გვ.3.

მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართულ სახელმწიფოებრიობას, ქართველ ერს და ქართულ ენას უნდა ჰქონდეს ქართული ტერმინოლოგია.[197]

ინჟინერი ვ. კაკაბაძე წარმოადგენდა ნაციონალურ ფრთას სატერმინოლოგიო კომისიის მუშაობაში და ის დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ "თუ არსებობს ქართული ერი, ქართული ენა და სახელმწიფოებრივობა, რასაკვირველია ტერმინოლოგიაც ქართული უნდა იყოს. ყოველ ერს თავისი საკუთარი ენა აქვს და სანამ ცოცხალი იქნება – ექნება კიდეც, ვინადან არავითარი საერთაშორისო ენა არ შექმნილა და არც შეიქმნება. აგრეთვე არ არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინოლოგია."[198]

ინჟინერი ვ. კაკაბაძე აქტიურად განიხილავდა ამ საკითხს პრესაშიც და ის ერთგავარად უპირისპირდება ინტერნაციონალური ტერმინოლოგიის ჯგუფს. ის აღნიშნავს, რომ საუკუნეების მანძილზე ათასგვარ დაბრკოლებასთან მებრძოლი ქართველი ხალხის კულტურული განვითარება შეფერხდა. შესაბამისად, სტაგნაცია განიცადა ქართულმა მეცნიერებამ, ენამ, პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ცხოვრებამ. ავტორი რუსეთის 117 წლიან მმართველობის კონტექსტსაც უსვამს ხაზს და კიდევ ერთხელ ახსენებს, როგორი მავნე ზეგავლენა მოახდინა რუსეთის მიზანმიმართულმა პოლიტიკამ ქართული ენის, კულტურული კერების და სააზროვნო სივრცის რუსიფიკაციის თვალსაზრისით: საქართველოში რუსული ენა გაბატონდა, ქართველმა ახალგაზრდობამ კი რუსულ ენაზე მიღო განათლება. დამოუკიდებლობის მოპოვება არის ფუფუნება, რომელიც ქართველმა ხალხმა უდნა გამოიყენოს კვლავ ქართულად აზროვნებისა დასაწყებად და თავისი გონებრივი წარმატება ეროვნულ ნიადაგზე უნდა განავითაროს. ამისათვის მას ესაჭიროება ყველა სამეცნიერო ტერმინის გადმოქართულება და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამკვიდრება.[199]

ენა არის ის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც უცხო სიტყვებს თავის კალაპოტში ათავსებს. ვ. კაკაბაძე განიხილავს სხვადასხვა ენაში დამკვირებულ ტერმინებს, რომლებსაც მართალია საერთო ფუძე აქვთ, მაგრამ ისინი ენებში იმგვარად

[197] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N531, ფ. 30-31.
[198] იქვე.
[199] ინჟინერი კაკაბაძე, ვ. „ქართული ენა და ტერმინოლოგიური შემუშავება," *საქართველო,* 1918, N143, გვ.4.

დამკვიდრნენ, როგორც ამ ენების თავისებურება ითვალისწინებს. ავტორისეული ფორმულირებით რომ აღვნიშნოთ, - სრულიად შესაძლებელია საერთაშორისო ტერმინებით ეროვნულ ტერმინებად იქცნენ. ეროვნული ტერმინოლოგია მორგებულია ცოცხალ, გასაგებ მშობლურ ენას და ეს მეცნიერებასთან დაახლოებას უფრო მეტად აადვილებს. ამგვარად, ინჟინერი ივ. კაკაბაძე ეწინააღმდეგება სერგი დანელიას მოსაზრებას და აცხადებს, რომ "ტერმინოლოგიის შემუშავების დროს უნდა გამოვიყენოთ ქართული ენის მოქნილობა და სიმდიდრე და დავიცვათ მისი ბუნება და კანონები."[200]

ტერმინების შემუშავება ცალ-ცალკე განხორციელდა სხვადასხვა დარგში. ყველა სამინისტროს ჰყავდა თავისი სატერმინოლოგიო ჯგუფი. მაგალითად, გზათა სამინისტროს სატერმინოლოგიო კომისიამ ერთ-ერთ კრებაზე, რომელსაც დაესწრნენ ივანე ჯავახიშვილი, ისტორიკოსი მ.ჯანაშვილი, ექიმი ვ.ღამბაშიძე, - განიხილეს სადაო ტერმინები და დაადგინეს სატერმინოლოგიო სახელმძღვანელო რკინიგზის უწყებებისათვის. სულ განიხილეს 1260 ტერმინი.[201]

თბილისის უნივერსიტეტის ბაზაზე გამოიცა ტერმინოლოგიის ორნაწილიანი სახელმძღვანელო ანატომიის დარგში, რომელიც შეადგინა პროფესორმა ნათიშვილმა. ამასთანავე ყველა სასწავლო დაწესებულებას ეკრძალებოდა ისეთი სახელმძღვანელოების შედგენა, სადაც არ იქნებოდა დაცული ქართული ტერმინოლოგიის პრინციპები.[202]

მიუხედავად იმისა, რომ ორი რადიკალურად განსხვავებული აზრი უპირისპირდებდა ერთმანეთს, მთავარი საფუძველი ამ კამათისა იყო ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის ეროვნული პრინციპის დაცვა და მისი დარღვევის თავიდან აცილება როგორც ნაციონალური, ასევე ინტერნაციონალური ტერმინების მომხრეებისათვის. ორივე მხარეს თავისი არგუმენტირებული მსჯელობა გააჩნდა საკითხთან დაკავშირებით და სრულიად შესაძლებელია ორივე მხარეში აღმოვაჩინოთ აზრთა მართებულობა და დავეთანხმოთ მათ. თუმცა, აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მსგავსი დისკუსიები მიმართული იყო მხოლოდ

[200] ინჟინერი კაკაბაძე, ვ. „ტერმინოლოგიის შემუშავების გარშემო," *საქართველოს რესპუბლიკა,* 1920, N48, გვ.2.
[201] *საქართველოს რესპუბლიკა,* 1918, N110, გვ.2.
[202] *საქართველოს რესპუბლიკა,* 1919, N 31, გვ.3.

ერთი მიზნისაკენ, - რასაც ქართული ენის განვითარება, მისი სამეცნიერო დონეზე დაყენება და ხალხის მეცნიერებასთან დაახლოება ჰქვია. 1918-1921 წლების საგანმანათლებლო პოლიტიკა ამ მიზანს თანმიმდევრულად მისდევდა.

4.5. ისტორიის სწავლების მნიშვნელობა 1918-1921 წლების განათლების პოლიტიკაში

ჯონ ბრილი აღნიშნავს, რომ ისტორიული ნარატივის შექმნა საუკეთესო გზაა ერის/ნაციის კონსოლიდაციისათვის, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთად თავმოყრისათვის. ჯონ ბრილი, ნაციონალისტურ ელიტებთან მიმართებაში, ისტორიკოსებს განსაკუთრებულ როლს ანიჭებს და პრაქტიკოსი პოლიტიკოსების რანგში გაჰყავს, რომლებსაც თავისი წვლილი შეაქვთ ერი-სახელმწიფოების ფორმირების არაერთგავროვან პროცესებში, რამდენადაც ერის ფორმირების ერთ-ერთი საუკეთესო ხერხი წარსულის გააზრება და მისი ხალხის მასებში გავცელებაა. რამდენიმე მეთოდთან ერთად, რომელსაც ჯონ ბრილი მასებისათვის ისტორიის დასწავლის ყველაზე პოპულარულ მეთოდად განიხილავს, - საგანმანათლებლო სისტემაა. სასკოლო სწავლებაში ისტორიის ჩართვა დადასტურებაა ნაციონალური წარსულის ოფიციალურ ნარატივად აღიარების. ეს ასევე საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, თვალი მიადევნოს ამ ნარატივის დროში დინამიკას, იქნება ეს მისი დადებითი თუ უარყოფითი კონოტაციის ფორმირება. [203]

ისტორიოგრაფიული სამეცნიერო ტექსტები ერთგვარ ჩარჩოშია მოქცეული, რომელსაც სტეფან ბერგერი მასტერ-ნარატივს უწოდებს. მასტერ-ნარატივის მეშვეობით ისტორიკოსები წარმოგვიდგენენ ნაციონალური ისტორიის ცენტრალურ ფიგურებსა და აქტორებს, გამოკვეთენ ეროვნულ გმირებსა და ანტი-გმირებს, ერის ისტორიის უმნიშვნელოვანეს თარიღებსა და მოვლენებს. სწორედ ამგვარი საისტორიო მასტერ-ნარატივის მეშვეობით ანიჭებს ხალხი მნიშვნელობას წარსულსა და ნაციონალურ იდენტობას, - აღნიშნავს სტეფან ბერგერი. აქვე ხაზს უსვამს იმ

[203] Breaully, John. „Nationalism and the Making of National Pasts," *Nations and their Histories. Constuctions and Representations. Ed. by Susana Carvalho and Francois Gemenne.* (Palgrave Macmillan, 2009), p. 7-16.

გარემოებას, რომ ისტორიული ნარატივის ფორმირების, ისტორიის წერის პროცესი ერის/ნაციის ფორმირების ხელშემწყობი ფაქტორია.[204]

ევროპის ტერიტორიაზე ერი-სახელმწიფოების ფორმირების პროცესებში მოხდა ისტორიის, როგორც აკადემიური დისციპლინის ინსტიტუციონალიზაცია. მან გადაინაცვლა უნივერსიტეტებში დაარსებულ ისტორიის კათედრებზე, აკადემიებში, მუზეუმებში, სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში. ამ თვალსაზრისით, საქართველოში ევროპისგან განსხვავებული ვითარება იყო. მიუხედავად იმისა, რომ, ჯერ კიდევ, ილია ჭავჭავაძემ და თერგდალეულებმა დასვეს საკითხი, ისტორიის, როგორც ერის მეხსიერების, მისი ნაციონალური იდენტობის მშენებელი ნარატივის ერთ-ერთ ძირითადი მიმართულების გააზრების შესახებ, - ისტორიის აკადემიური დისციპლინად აღიარება, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა თუ საუნივერსიტეტო გარემოში დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდში მოხდა. ცხადია, ეს შემთხვევითი არ იყო და ზუსტად ისეთივე დატვირთვა და მნიშვნელობა მიენიჭა მას, როგორც თავის დროზე ევროპაში.

არა ერთხელ ვახსენეთ, რომ 1918 წლიდან სწავლების გაეროვნულებისა და ნაციონალიზაციის ფარგლებში, - ქართული ენის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებამ სავალდებულო საგნების კატეგორიაში გადაინაცვლა. როგორც ქართული ენის სწავლების, ასევე ისტორიის შემთხვევაშიც, შეიქმნა სპეციალური პროგრამები სხვადასხვა კლასებისათვის, შემუშავდა სწავლების მეთოდოლოგია, იბეჭდებოდა სტატიები ისტორიის მნიშვნელობის შესახებ დამოუკიდებელი რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის განსაზღვრისათვის.

წარმოდგენილი სტატიებისა თუ საარქივო მასალის მიხედვით, 1918-1921 წლების ინტელექტუალები ისტორიას, პირველ რიგში, განიხილავენ, როგორც მეცნიერებას კაცობრიობის განვითარებისა და საზოგადოების შესახებ, სადაც თითოეულ ერს/ნაციას თავისი ისტორია აქვს გარემო პირობების და სხვადასხვა მოვლენების გათვალისწინებით. მაგალითად, გრიგოლ ნათაძე ერთ-ერთ სტატიაში

[204] Berger, Stefan. „The Comparative History of National Historiographies in Europe: Some Methodological Reflections and Preliminary Results," *Nations and their Histories. Constuctions and Representations. Ed. by Susana Carvalho and Francois Gemenne.* (Palgrave Macmillan, 2009), p. 32-34.

შემდეგნაირად განიხილავს ისტორიის საკითხს და სხვამს კითხვას, - არის კი ისტორია მეცნიერება და როგორი მეცნიერებაა ის? აღწერილობითი, რომელიც მოვლენათა ქრონოლოგიას მისდევს, თუ განზოგადებითი, რომელიც განაზოგადებს მოვლენებს და ისტორიული კანონზომიერების პრინციპით გამოაქვს დასკვნა? მისი აზრით, ისტორია კონგლომერაციული მეცნიერებაა, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს სხვადასხვა დარგებს - სოციოლოგიას, საბუნებისმეტყველო საგნებს, ფილოსოფიას და ა.შ.[205]

ისტორიის ცენტრში დგას ადამიანი და მისი საზრისი, რომელიც ისტორიული შემოქმედებითობის მთავარი ფიგურაა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ 1918-1921 წლებში დიმიტრი უზნაძის ავტორობით გამოიცა მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოთა მთელი ციკლი. მკვლევარები ამ ფაქტს მრავალმხრივად ხსნიან. თუმცა, ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია: მკვლევარი მერაბ კალანდაძე მიიჩნევს, რომ დიმიტრი უზნაძის ინტერესში ადამიანის გონის, მისი შემოქმედებითობის კვლევა იდგა. ის ადამიანის საზრისს ორი კუთხით განიხილავდა: სოციალ-კულტურული, ეროვნული და ინდივიდუალური საზრისის კუთხით.[206] ისტორია კი მას ეხმარებოდა ადამიანის შემოქმედებითი გონის, საზრისის საზღვრების დადგენაში, რომელიც ერთგვარ პროექციას წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. შესაბამისად, ადამიანის, როგორც ისტორიის ცენტრალური ფიგურის გააზრება მეოცე საუკუნის ინტელექტუალებისათვის შემთხვევითი არ იყო და როდესაც საქმე ისტორიის სწავლებას შეეხო, მათ სცენაზე გამოიყვანეს ადამიანი თავისი სოციალ-კულტურული და ეროვნული ასპექტების დამოწმებით.

1918-1921 წლებში, ისტორიის სწავლების თვალსაზრისით, საინტერესოა ის განმარტებითი მოხსენებები, რომლებიც საარქივო მასალებშია დაცული. ამ ბარათებში ვხედავთ ისტორიის შესწავლის იმ დროისათვის ახლებურ ხედვას, რომლის ცენტრალური ფიგურა ადამიანი და მისი ბუნების შემეცნებაა კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. ერთ-ერთი ასეთი განმარტებითი ბარათის ავტორი

---

[205] ნათაძე, გრიგოლ. "ორიოდე სიტყვა ისტორიის სწავლების შესახებ. I. რა არის ისტორია როგორც მეცნიერება," *განათლება,* 1920, N6-7, გვ. 5-13.

[206] კალანდაძე, მერაბ. „დიმიტრი უზნაძე, როგორც ისტორიკოსი," *ანალები,* 2013, N9, გვ. 87-118.

ვახუშტი კოტეტიშვილია, რომელიც სასწავლო კომიტეტის წევრიც იყო. მან განმარტებითი ბარათი თბილისის მეორე ვაჟთა ქართული გიმნაზიისათვის შეადგინა. გიმნაზიის მოსწავლეები ვახუშტი კოტეტიშვილის შესახებ აღნიშნავენ, რომ ის იყო პირველი მასწავლებელი, რომელმაც საქართველოს ისტორიის სწავლებისას რეფერატების წერის მეთოდს მიმართა. გარდა იმისა, რომ საქართველოს ისტორიის ცოდნის აუცილებლობა მათთვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იყო, სწავლების ამგვარი მეთოდი მოსწავლეებს მეტ მოტივაციას და საგნისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას უჩენდა.[207] ვფიქრობთ, ეს მცირე დეტალი ნათელს ჰფენს მასწავლების დამოკიდებულებას საგნისადმი, სწავლების პროცესში სიახლის დანერგვის კუთხით.

ვახუშტი კოტეტიშვილი ისტორიის, როგორც მეცნიერების ცენტრალურ ფიგურად ადამიანს მოიაზრებს. ადამიანის ბუნების შეცნობით ხდება კაცობრიობის განვითარების აღმავალი ხაზის გაგება. ამ დროს ადამიანი გვევლინება როგორც დამაკავშირებელი რგოლი წარსულსა და მომავალს შორის. ისტორია კი, როგორც სასკოლო საგანი, ორი თვალსაზრისით განიხილება: ის ავარჯიშებს გონებას და ავითარებს აზროვნებას, პიროვნებას აახლოებს კაცობრობასთან და მის ორგანულ ნაწილად აქცევს. მეორე მხრივ, ისტორია შეასწავლის მოსწავლეს მისგან განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანის პატივისცემას. ის ერთგვარი ჩირაღდანია, რომელიც სხვისი გამოცდილების მაგალითზე, უჩვენებს სწორად სვლის გზას ადამიანებს, ერებს. აქედან გამომდინარე, წარსულის ცოდნა აწმყოსა და მომავლის სწორად წარმართვის ერთ-ერთი აუცილებელი მეთოდია. ამისათვის ისტორიას, როგორც საგანს სასკოლო სწავლების ფორმატში, ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ვახუშტი კოტეტიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ისტორიის სწავლების ძველმა მეთოდმა, სადაც უპირატესობა მშრალი ფაქტების დამახსოვრებას ენიჭებოდა, თავისი ძალა დაკარგა. ახალმა დროებამ ახალი პრინციპი დანერგა, რომლის მიხედვითაც, ისტორიის შესწავლა მრავალმხრივი პრიზმიდან უნდა მომხდარიყო. ვახუშტი კოტეტიშვილი ამას შემდეგნაირად ხსნის: “მეცნიერული

[207] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N211, გვ.32-33.

გაგება ისტორიას სამი მხრივ ადგენს. 1/გარე მხრივ. 2/შიდა მხრივ და 3/კულტურის მხრივ. ეს სამი მხარე შეფარდებულ უნდა იქმნენ."[208]

ისტორიის გაგების სამმხრივი თანაფარდობა მოიცავდა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, რელიგიურ, სოციალურ, კულტურულ ასპექტების სწორად გააზრების აუცილებლობას. ზოგადი თეორიული მიმოხილვის შემდეგ, ავტორი გადადის მეთოდოლოგიურ ასპექტებზე: წყაროების გაცნობა, კლასში ზეპირი მიმოხილვა, კრიტიკული ხედვა, მოვლენების სისტემატიზირება ის ასპექტებია, რომლებიც ვახუშტი კოტეტიშვილის აზრით, მასწავლებელსაც და მოსწავლესაც ერთდროულად მოეთხოვებოდათ.

განმარტებითი ბარათი საინტერესოა შემდეგი თვალსაზრისით: თუ ავტორი, ისტორიის, როგორც მეცნიერების დასაბუთებას გვთავაზობს, მეორე მხრივ, - ამ დასაბუთების ფარგლებში აყალიბებს საპროგრამო ჩამონათვალს საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის სხვადასხვა კლასებში. აქ უკვე ვხედავთ ისტორიას, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების ნარატივის ჩამოყალიბების მცდელობას, - დასაბამიდან დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებამდე. ისტორიის თითოეული მონაკვეთი მნიშვნელოვანია. მაგრამ პროგრამაში ყურადღებას იქცევს მე-19 საუკუნის ქართული ისტორიული რეალობის ზუსტად გადმოცემის სურვილი, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა თითოეუელ განმარტებით ბარათსა თუ საპროგრამო ჩამონათვალში. ავტორის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა მე-19 საუკუნის არც ერთი გარდამტეხი მომენტი: 1832 წლის შეთქმულება, პოლიტიკური რომანტიზმი და ქართველი რომანტიკოსი მწერლების პოლიტიკური მისწრაფებანი, 60-იანი წლები და თერგდალეულების მოღვაწეობა ლოზუნგით „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს", სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობები, საქართველოს განთავისუფლება, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საგანი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და დამოუკიდებლობის გამოცხადება, საქართველოს ადგილი მსოფლიო ისტორიაში.[209]

ისტორიის, როგორც მეცნიერების დასაბუთების კიდევ ერთი მაგალითია ივანე გველესიანის განმარტებითი ბარათი. ისიც აღნიშნავს, რომ ისტორია არც მშრალი

[208] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N664, ფ.47-48.
[209] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმენ N664, ფ. 45-46.

ფაქტების ჩამონათვალია, არც მხოლოდ ამბები გმირების შესახებ. ის არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს კაცობრიობის განვითარების პროცესს და მას სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებენ. თითოეული ერის ამბის გასაგებად და მის გასაცნობად კი, - მისი ბუნების, კულტურული გარემოს და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებაა საჭირო.[210]

ივანე გველესიანის მოხსენებითი ბარათი "ისტორია, როგორც სასკოლო სასწავლო საგანი, მისი მიზანი და უკანასკნელის მისაღწევი საშუალებანი" დაყოფილია მეთოდოლოგიურ და საპროგრამო ნაწილებად. პირველ ნაწილში ავტორი უპირატეოსობას ანიჭებს მოსწავლეების მხრიდან დამოუკიდებელი მუშაობის, თვითშემოქმედების პრინციპს, სადაც მოსწავლეები წაიკითხავდნენ დამატებით ლიტერატურას ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის შესახებ. ასევე, დამატებითი წყაროების გამოყენებით, დაწერდნენ რეფერატებს, მაგალითად საფრანგეთის რევოლუციისა და მისი მიზეზების შესახებ. რეფერატებს ზეპირი განხილვის სახე ექნებოდა. ამგვარი მუშაობის მიზანს მოსწავლეებში დამოუკიდებლად შრომის უნარების განვითარება წარმოადგენდა.

ივანე გველესიანი განიხილავს იმ დროისათვის საჭირბოროტო საკითხს, რომელიც უკავშირდება საქართველოს ისტორიის რუსულ ენაზე სწავლებას რუსულენოვან სკოლებში. აღმოჩნდა, რომ არ არსებობდა საქართველოს ისტორიის შესაფერისი რუსულენოვანი სახელმძღვანელოები ეთნიკურად რუსი მოსწავლეებისათვის. ეს აფერხებდა მათთვის საგნის შესწავლის პროცესს. გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის და ისტორიის შესწავლის აუცილებლობასაც ითვალისწინებდა, ცხადია, ეს გარემოება დამაბრკოლებელ ფაქტორად მოქმედებდა პროცესზე.[211] ამიტომაც, ივანე გველესიანი განმარტებით ბარათში, რუსულენოვან კლასებში საქართველოს ისტორიის შემოკლებული კურსის გავლას გეგმავდა. ამ პროგრამის მიხედვით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ყურადღება მკაფიოდ არის გამახვილებული.

[210] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმენ N664, ფ.47-48.
[211] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმენ N664, ფ.49.

1918-1921 წლებში დამტკიცდა საქართველოს ისტორიის სწავლების პროგრამა. საარქივო მასალებში მოპოვებული დოკუმენტების მიხედვით, პროგრამის ავტორი არის ივანე ჯავახიშვილი, რადგანაც თან ახლავს მისი ხელმოწერა. დოკუმენტის სახელია "პროგრამა საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლაში."[212] პროგრამის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილი ამ დროისათვის უკვე წარმოდგვიდგენს ე.წ. „მასტერ-ნარატივს". სხვა საისტორიო პროგრამებზე დაკვირვებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიით დაინტერესეული მასწავლებლები თუ ინტელექტუალები ამ მასტერ-ნარატივის ჩარჩოში ჯდებიან.

პროგრამა შედგენილია მე-6, მე-7 და მე-8 კლასებისათვის. მე-6 კლასის პროგრამა იწყება ქართული ენის და მისი წარმოშობის ისტორიით, რომელსაც მოსდევს ცნობები ქართველ ტომთა და ქარველთა ისტორიის წყაროების მიმოხილვის შესახებ. აქვე მოსწავლეები გაეცნობოდნენ ქართველთა ბინადრობის, მოღვაწეობის და ისტორიის შესახებ ქრისტეშობამდე პერიოდში. ახალი წელთაღრიცხვიდან იწყება ქართველთა სახელმწიფოებრიობის მიმოხილვა თითოეული მნიშვნელოვანი თარიღის, ეტაპის, მმართველის, მოვლენის გაცნობით; ქრისტიანობის გავრცელებით და ქართული ეკლესიის განვითარების ეტაპებით, რომელიც გრძელდება ქართლის სამეფოს ბიზანტიის იმპერიასთან დაახლოების ტენდენცებით, ვახტან გორგასლის მეფობის და არაბთა ბატონობის მნიშვნელობის შესახებ ქართველი ერის ისტორიაში. მე-6 კლასის პროგრამა სრულდება ამ დროის ქართული კულტურის ნიმუშების გაცნობით და ა.შ.

მე-7 კლასის პროგრამა იწყება მე-9 საუკუნის შემდგომ პერიოდში ტაო-კლარჯეთში ეროვნული იდეის გამარჯვებით და ბაგრატიონთა დინასტიის გამეფებით. ისტორიის შესწავლის ეს პერიოდი მოიცავს საქართველოს ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპებს, - პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული თვალსაზრისით. მე-7 კლასის საქართველოს ისტორიის კურსი სრულდება ერთიანი საქართველოს სამეფოებად დანაწილებით და ა.შ.

შემდგომი სასწავლო კურსი, რომელიც მე-8 კლასის მოსწავლეებისათვის არის განკუთვნილი, დაყოფილია შემდეგ თემებად: საქართველო მე-15-16 საუკუნეების

[212] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N1000, ფ. 1-2-3.

მიჯნაზე. ოსმალეთის იმპერიასთან ურთიერთობები და ქართლის მეფეთა სპარსეთისკენ ორიენტაცია. ერეკლე მეორის მეფობა, აღა-მახმად-ხანის შემოსევა, 1783 წლის გერგიევსკის ტრაქტატი და მისი შედეგები საქართველოს ცხოვრებაში: რუსეთის მმართველობის დამყარება, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა გაუქმება, რუსული სკოლების გახსნა, პოლიტიკურ-სოციალური მოძრაობები მე-19 საუკუნეში და ა.შ.

ივანე ჯავახიშვილი ცალკე ქვე-პუნქტად გამოჰყოფს მე-19 საუკუნეში დაწყებული ეროვნული გამოღვიძების ხანას: ქართული ჟურნალ-გაზეთების და ქართული თეატრს დაარსება, 60-იანი წლები და თერგდალეულების მოღვაწეობა, ეროვნული და ეკონომიკურ-სოციალური თემატიკა, ქართული ბურჟუაზიის განვითარება, პოლიტიკური პარტიების ასარეზზე გამოსვლა, რუსეთის რევოლუცია და 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება არის ის, რასაც ივანე ჯავახიშვილი მე-19 საუკუნეში დაწყებული „ქართული საზოგადოებრივი აზრის თანდათანი გაღვიძების" შედეგს უწოდებს.[213] ეს არის ის ზოგადი ჩამონათვალი საპროგრამო მასალისა, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა მე-6-დან მე-8 კლასის ჩათვლით გაანაწილა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს უნდა იყოს, საქართველოს ისტორიის დასაბამიდან მოცემულ მომენტამდე, სასკოლო პროგრამაში თავმოყრის, მოსწავლეებისათვის მეცნიერულად დამტკიცებული და თანმიმდევრული სახით გაზიარების პირველი მცდელობა.[214]

განათლების მინისტრის მოადგილის, ნოე ცინცაძის მოხსნებაში, სადაც ის საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ საუბრობს, - საქართველოს ისტორიის სწავლებასთან ერთად, ხაზს უსვამს პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბების მნიშვნელობას დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისათვის.[215] კაცობრიობის პოლიტიკური ბუნების შეცნობა რთული იქნებოდა მსოფლიო ისტორიის გაცნობის გარეშე. სწორედ ამ თვალსაზრისით, 1918-1921 წლებში მიმდინარე სასწავლო რეფორმა გამოირჩევა იმითაც, რომ მსოფლიო ისტორიის წიგნების მთელი სერია

[213] იქვე.
[214] იქვე.
[215] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N518, ფ.2-3.

გამოიცა დიმიტრი უზნაძის ავტორობით. როგორც ცნობილია, 1920 წელს დიმიტრი უზნაძის “ძველი ისტორია” სასწავლო კომიტეტში წარდგენილ იქნა პრემიაზე ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით. თითოეული წიგნის აქ განხილვა არ იქნებოდა მართებული. თუმცა, საკვლევი საკითხის კონტექსტიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციამ მეცნიერული ხასიათი შეიძინა, რაც იმ დროისათვის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის წინ გაგადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

დამოწმებული მასალა გვაძლევს ვარაუდის საშუალებას, რომ 1918-1921 წლებში, ზოგადად ისტორიის, ასევე საქართველოს ისტორიის სწავლების ორგვარ ხედვასთან გვაქვს საქმე: ამ პერიოდის სასწავლო დისციპლინებში, ისტორია უკვე აღიარებულია როგორც მეცნიერება. მისი მიზნები და მეთოდოლოგია კი მორგებულია ახალ ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ და საგანმანათლებლო საჭიროებებზე, რომელიც რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკით არის განსაზღვრული.

თავი V. სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირების საწყისები 1918-1921

5.1. საგანმანათლებლო პოლიტიკა და საღვთო სჯულის სწავლების საკითხი

სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკაზე საუბრის დროს გვერდს ვერ ავუვლით ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხს, რომელიც 1918-1921 წლებში განათლების პოლიტიკის მიმართულებითაც აისახა და ის წარმოადგენდა სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ნაწილს.

1917 წლის 12 მარტს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა არა მხოლოდ სულიერი, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ფაქტი საქართველოს დამოუკიდებლობასთან მიახლოების კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენდა. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის თანმდევმა მოვლენებმა საშუალება მისცა ქართულ სამღვდელოებას ეზრუნათ ავტოკეფალიის აღდგენაზე. თუმცა, რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლები ამ ფაქტს განუყოფელი რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აღიქვამდნენ. აქედან გამომდინარე, მის შესაფერხებლად ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ. კერძოდ კი, საქართველოს ავტოკეფალია ძალაში უნდა შესულიყო არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული მნიშვნელობით, რადგან მათივე მტკიცებით, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონე არაქართული მოსახლეობიდან გართულებებს გამოიწვევდა.[216] მიუხედავად ამგვარი ხელისშემშლელი მცდელობებისა რუსეთის მხრიდან, ავტოკეფალიის აღდგენის საკითხს მონდომებით და დიდი სიხარულით შეხვდნენ საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ზურაბ ავალიშვილი, კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი უშუალოდ იცავდნენ რუსეთის დროებით მთავრობის წინაშე ავტოკეფალიის საკითხს. პეტერბურგში ჩასულ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის წევრებს ეპისკოპოს ანტონ გიორგაძეს, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს და არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას განუცხადეს, ყველაფერს იღონებდენ, რათა

[216] ვადაჭკორია, შოთა. *საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე) წიგნი I* (თბილისი: 2003), გვ. 240.

რუსეთის დროებით მთავრობას დაემტკიცებინა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება.[217] ქართველი სამღვდლოებისა და პოლიტიკური პარტების ერთობლივმა ძალისხმევამ გამოიღო შედეგად ის, რომ ქართულმა ეკლესიამ, 117 წლიანი წყვეტის შემდეგ, კვლავ აღადგინა ისტორიული ავტოკეფალია. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს მართლმადიდებლურმა სამოციქულო ეკლესიამ. მოგვიანებით კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე აცხადებდა, რომ "საქართველოს ეკლესია უმთავრესი და უთვალსაჩინოესი ფაქტორია ჩვენი ერის სულიერი ცხოვრებისა. ჩვენს ეკლესიას განსაზღვრული დამსახურება მიუძღვის იმ პირობების შექმნაში, რომელთა მეოხებითაც დღეს ჩვენს სამშობლოს დაჰფრიალებს ეროვნული დროშა და სახელმწიფოებრივ ღვაწლს ეწევა ჩვენს დედაქალაქში დამფუძნებელი კრება."[218]

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები არ უარყოფდნენ ეკლესიის და მართლმადიდებლური სარწმუნოების მნიშვნელოვან როლს საქართველოს ისტორიაში. მათ კარგად უწყოდნენ, რომ ეკლესიის გარშემო იყრიდა თავს სახელმწიფოებრივი აზროვნების ენერგია. ის იყო ერის გამაერთიანებელი და მისი კულტურული, ისტორიული ცნობიერების შემნახველი. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი წევრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელსაც 1918-1921 წლებში ეკავა განათლებისა და სამხედრო მინისტრების მოდგილის, ასევე მთავრობის თავჯდომარის მოადგილის თანამდებობაც, მოგონებებში "ფიქრები საქართველზე" აღნიშნავს, რომ თავის დროზე, როდესაც რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მისი ნაციონალისტური იმპერიალიზმის უმაღლესი გამოხატულება იყო. რუსეთის მთავრობამ კარგად უწყოდა, რომ ქართველთათვის ეკლესია ასრულებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ როლს. ის საუკუნეების მანძილზე იცავდა ეროვნებასა და მის პოლიტიკურ ერთიანობას. საუკუნეების მანძილზე, ქართული ეკლესია წარმოადგენდა ეროვნული თავდაცვის ფაქტორს. მოგვიანებით პერიოდში, როდესაც ქვეყანა მოიცვა სახალხო მოძრაობებმა, ქართველი სამღვდელოებაც, განსხვავებით

[217] ვარდოსანიძე, სერგო. *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წწ)* (თბილისი: 2014), გვ.34.
[218] იქვე.

რუსი სასულიერო პირებისგან, - ჩაერთო საერთო ლიბერალურ და პროგრესულ პროცესებში. ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ნიშნავდა რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლას - აღნიშნავს გრიგოლ ლორთქიფანიძე.[219]

გაზეთი "ერთობა" ერთ-ერთ სტატიაში სვამს კითხვას, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა იყოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. გაზეთი ამ საკითხს სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ჭრილში განიხილავს და თვლის, რომ სარწმუნოება სინდისის საქმეა, ხოლო ეკლესია კი ძალდატანებითი ორგანიზაცია, რომელსაც არ აქვს სახელმწიფო საქმეებში ჩარევის უფლება. როგორც ძველი დროების მემკვიდრე, ადამიანის არჩევანს და სინდისი თავისუფლებას გზას უღობავს. ასეთ პირობებში „დემოკრატიას საჭიროთ მიაჩნია ამ დუხჭირი მოვლენის მოსპობა. ის მოწოდებულია გაანთავისუფლოს ადამიანი ყველა სფეროში და შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომ ადამიანი მართლა გახდეს გვირგვინი ქმნილებისა. ეს კი შესაძლებელია ეკლესიის ყველა შემავიწროვებელი წესების გაუქმებით, მიის ორგანიზაციის მოშლით. ეკლესია უნდა გამოეყოს სახელმწიფოს – ასეთია ჩვენი ლოზუნგი, რომელმაც ახლო მომავალში ხორცი უნდა შეისხას." [220]

გაზეთის ეს პოზიცია საეკლესიო წრეებისათვის ბოლომდე მისაღები ვერ იქნებოდა, რადგანაც ის წარმოადგენდა სახელმწიფოს ცალმხრივ პოზიციას იმ ინსტიტუციის მიმართ, რომელსაც გააჩნდა საუკუნოვანი, მყარად ჩამოყალიბებული ტრადიცია. სოციალ-დემოკრატიული პარტია თავისი მოსაზრების განმტკიცებას კიდევ ერთი არგუმენტთ ცდილობდა. პარტიის აზრით, ეკლესიას მოცემულ მომენტში სხვადასხვანაირი სახელმწიფოებრივი თუ სამოქალაქო საქმეები ებარა, დაბადების თუ გარდაცვალების აქტები, ქორწინების და განქორწინების საკითხის გადაწყვეტა. ამოდიოდა რა იმ პრინციპიდან, რომ ახალ დემოკრატიულ წყობილებას სახელწიფოებრივი ინსტიტუციების გაძლიერებისათვის უნდა შეეწყო ხელი, ცხადია, ის არ დაუშვებდა საკუთარი პოზიციების დათმობას და საკუთარი სახელისუფლებო ლეგიტიმაციის ეჭვის ქვეშ დაყენებას. ამიტომაც ის დაჟინებით მოითხოვდა სახელმწიფოს ეკლესიისგან გამიჯვნას.

---

[219] ლორთქიფანიძე, გრიგოლ. *ფიქრები საქართველოზე* (თბილისი: თსუ, 1995, გვ. 49-64.
[220] *ერთობა,* 1919, N80, გვ.1.

1918 წლის გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" მართლმადიდებლურ სარწმუნოებს და ეროვნებას ცალკე კატეგორიებად განიხილავს. ქართველების მიერ მართლმადიდებლური სარწმუნოების ეროვნებასთან იდენტიფიცირებას რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის გავლენას მიაწერს. რუსეთის მმართველობის დროს სიტყვა ქართველი მართლმადიდებლობის სინონიმად გადაიქცა, რაც საფრთხეს წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. მმართველ ელიტაში მყარად იყო აზრი ჩამოყალიბებული იმის შესახებ, რომ სხვა სარწმუნოების მოსახლება ისეთივე სრულფასოვანი მოქალაქე იყო ქართული სახელმწიფოსი, როგორც ქართველი მართლმადიდებელი მოსახლეობა: "ქართველი ერისათვის არასოდეს არ დასმულა კითხვა სარწმუნოებრივ ჩარჩოებში. მისთვის ერთნაირად ქართველია ყველა რჯულის მაღიარებელი ქართველი: მართლმადიდებელიც, კათოლიკეც, ისრაელიც, მუსულმანიც და სხვ. ყველა ესენი ერთი ოჯახის საქართველოს შვილები არიან."[221] სტატიაში ხაზგასმულია, რომ რელიგიურმა სხვაობამ ან რომელიმე რელიგიის უპირატესობამ არ შეიძლება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი შეაფერხოს, რადგანაც სხვა აღმსარებლობის მქონე საქართველოს მოქალაქეების მიზანიც, ერთიანი ეროვნულ-პოლიტიკური ერთობის მშენებლობაა, მით უფრო, თუ ისინი ქართულ ენასაც კარგად ფლობენ.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა აისახა საგანმანათლებლო პოლიტიკაშიც. 1917 წლის, საქართველოს საეკლესიო კრებაზე მიიღეს დებულება საკათალიკოზოს საშუალო და დაბალ სასულიერო სასწავლებელთა შესახებ, რომლის მიხედვითაც: 1. საქართველოს ეკლესიას, როგორც ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი ტიპის დაბალი და საშუალო სკოლა, რომელსაც უნდა აღეზარდა მოსწავლეები ჰუმანიტარულ-ქრისტიანულ საფუძვლებზე. სამღვდელოების შვილებს კი ენიჭებოდათ უფლება მიეღოთ განათება შეღავათიანი პირობებით. სასწავლო ენად ქართული ენა იქნებოდა აღიარებული. ასევე, სავალდებულო საგნად ჩაითვლებოდა საღვთო სჯულის სწავლებაც. ეს სასწავლებლები პროგრამებით და უფლებებით პროგიმნაზიებსა და გიმნაზიებს გაუტოლდებოდა. 2. არსებული სასულიერო სასწავლებლები გადაკეთდებოდა სრულუფლებიან პროგიმნაზიებად. 3. თბილისისა და ქუთაისის სასულიერო

[221] *საქართველოს რესპუბლიკა,* 1918, N13, გვ.4.

სასწავლებლები შეუერთდებოდნენ ადგილობრივ სემინაირებს. შემდეგ კი, ისინი გადაკეთდებოდნენ სრულუფლებიან გიმნაზიებად, სადაც სწავლა წარიმართებოდა მთავრობის მიერ დადგენილი პროგრამით, თუმცა, ამავე გიმნაზიებში საჭირო იყო ორწლიანი საღვითსმეტყველო კურსი სამღვდელო კანდიდატთა მოსაზმადებლად.[222] თუმცა, მანამდე, რუსეთის დროებით მთავრობას უკვე მიღებული დადგენილება, ყველა სამრევლო საეკლესიო სკოლოს სახალხო განათლების სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ.[223] ეს ფაქტი აღქმულ იქნა სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლის აქტად. ერთგვარი სწავლა-აღზრდის პრინციპების დამკვიდრების მიზნით, 1918 წლის ივნისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომაც გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ყველა ტიპის სასწავლებელი, მათ შორის, სასულიერო სასწავლებლები დაუქვემდებარა სახალხო განათლების სამინისტროს მმართველობას. სამინისტრო მიიჩნევდა, რომ პედაგოგიური და ადმინისტრაციული მთლიანობის დასაცავად, განურჩევლად სასწავლებლების ტიპისა და ხარისხისა, საჭირო იყო მსგავსი ტიპის ქმედების განხორციელება.[224] ეს დებულება სასულიერო სასწავლებებისათვის ავტონომიურობის გაუქმების ტოლფასი ქმედება იყო. განსხვავებით სხვა სამეურნეო თუ სპეციალური სასწავლებლებისგან, სასულიერო სასწავლებლები მთლიანად დაუქვემდებარეს განათლების სამინისტროს ან გააუქმეს. გარკვეული პერიოდი სკოლებში მიმდინარეობდა საგნის სწავლება, თუმცა მასწავლებლებს ნიშნავდა სამინისტრო, საგნის სწავლების უფლება კი ჩამორთმეული ჰქონდათ სასულიერო პირებს. სამღვდელოებაში ეს პროტესტს იწვევდა. აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა, დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ პირადი მოხსენება გაუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრს გიორგი ლასხიშვილს. კორნელი კეკელიძე აღიარებდა სახელმწიფოს ნებას, ემოქმედა საკანონმდებლო საზღვრებში და თავის მხრივ, სასულიერო უწყებაც ვალდებული იყო დამორჩილებოდა სახელმწიფოს. მაგრამ, საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო მისი სხვა პერსპექტივიდან განხილვაც. კორნელი კეკელიძე გამოთქვამდა შიშს, რომ ამ კანონს შეეძლო ეკლესიის ინტერესების

[222] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N238,ფ. 3.
[223] სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N258, ფ.12.
[224] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N246, ფ.3-3ა.

დაჩაგვრა და მისი საპროფესორო-საგანმანათლებლო ფუნქციების შეკვეცა. მოცემულ მომენტში, სასულიერო უწყება ფლობდა ხუთ ოთხკლასიან სასწავლებელს თბილისში, გორში, თელავში, ოზურგეთსა და სენაკში. კორნელი კეკელიძე განიხილავდა 1917 წელს, საქართველოს საეკლესიო კრების დებულების მიზანშეწონილობას თბილისის სასულიერო სასწავლებლის სასულიერო სემინარიასთან შეერთების თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც, მათ შეეძლოთ მიეღოთ ერთი მთლიანი სასწავლებელი, რომელშიც იქნებოდა რვაკლასიანი გიმნაზია და ორი საღვთისმეტყველო კლასი. კორნელი კეკელიძე სთავაზობდა მთავრობას სასწავლო პროგრამის მონახაზს. გიმნაზიურ კლასებში, საღვთო სჯულის სწავლება უნდა განსაზღვრულიყო სწორედ იმ საათობრივი რაოდენობით, რაც ისედაც არსებობდა. ასევე, პედაგოგიკა, ფილოსოფია რჩებოდა სავალდებულო საგნებად.

ამ მოხსენებაში კორნელი კეკელიძე ცალკე პუნქტად გამოჰყოფს ენების შესწავლის საკითხს. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ლათინური ენის საათობრივი რაოდენობა მოითხოვდა შემცირებას. რუსულ ენასთან ერთად, რომელიმე ევროპული ენაც სავალდებულო იქნებოდა, - გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენები. აქამდე არსებული რეალობის მიხედვით, რუსულ ლიტერატურის შესწავლას განუსაზღვრელი საათები ეთმობოდა. კორნელი კეკელიძე ამ რეალობის შეცვლის მიზნით, რუსული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას მსოფლიო ლიტერტურის, იგივე "უცხოეთის მწერლობის ისტორიის" ფარგლებში განიხილავდა. სწავლების გაქართულებისა და ქართული ენის განვითარების პოლიტიკა მოითხოვდა ქართული ენის კათედრის არსებობასაც ქართული სიტყვიერებისა და მწერლობის შესწავლის მიზნით.

კორნელი კეკელიძე მოითხოვდა, რომ საღვთისმეტყველო კლასები ქართული ეკლესიის მოთხოვნილებებთან შეფარდებით, დარჩენილიყო სასწავლებელში. ეს საფუძველს დაუდებდა ქართულ უნივერსიტეტში თეოლოგიური ფაკუტლტეტის დაარსებას, მსგავსად ევროპის უნივერსიტეტებისა, სადაც საღვთისმეტყველო და თეოლოგიური სწავლებები კვლავ ინარჩუნებდნენ თავიანთ მნიშვნელობას. სასწავლებელში სწავლება უფასო იქნებოდა და ეს კორნელი კეკელიძეს ნამდვილ "დემოკრატიულ ელემენტად" მიაჩნდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კორნელი კეკელიძე ხაზს უსვამდა სახელმწიფოს და კანონის უზენაესობას, მაგრამ სწორედ ამ უზენაესობის ფარგლებში, საკუთარი უფლებების დაცვის მოთხოვნით მიმართავდა მთავრობას, რომ „სწავლის საქმე ამ სასწავლებლის გიმნაზიაში ისე მოეწყოს, როგორც ეს მიღებული იქნება სამინისტროს სხვა გიმნაზიებში, ზემოყვანილი შენიშვნების მიხედვით.”[225]

საკათალიკოსო საბჭო ითხოვდა, რომ სასულიერო სასწავლებლებს, სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შემთხვევაშიც კი შეენარჩუნებინათ ავტონომიურობა სასწავლებლის ტიპის შეცვლის გარეშე. ისინი ფიქრობდნენ, რომ “შეუძლებელია ეკლესია არსებობდეს და მას არ ჰქონდეს არც ერთი ისეთი სასწავლებელი, რომელიც განათლებული სამღვდელო კანდიდატებს იძლეოდეს”. ცხადია, საკათალიკოსო საბჭოსთვის ეს გარემოება ეკლესიის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის სტატუსის შენარჩუნებისათვის ბრძოლას წარმოადგენდა. ამ დოკუმენტს ხელს აწერს საკათალიკოსო საბჭოს წევრი, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე.[226] ცხადია, განათლების სამინისტრომ უარი განაცხადა მოთხოვნაზე. [227]

ამგვარი გარემოებები ქმნიდნენ მყარ საფუძველს, ეკლესიასა და სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის დაპირისპირების მეტად გაღრმავებისათვის. ამას დაემატა ისიც, რომ 1918 წლის 26 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოსცა კანონი საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს განათლების კომისიის თავჯდომარე ლევან ნათაძე. ამ კანონის გამოცემამ კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა მთავრობასა და ეკლესიას შორის. კანონში ვკითხულობთ:

1. ყველა ტიპის და საფეხურების სახაზინო და კერძო უფლებიან სასწავლებელში მოისპოს საღვთო სჯულის სწავლება და გაუქმდეს საღვთო სჯულის მასწავლებელთა თანამდებოდა.

2. ხსენებულ სასწავლებლებში დაიხუროს კრედიტები, რომლებიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგორებისათვის.

[225] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N238, ფ.21-22.
[226] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N238, ფ. 25.
[227] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N238, ფ.26.

3. შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მაწავლებლებს მიეცეთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია საქართველოს ეროვნული საბჭორს მიერ 1918 წლის 5 ივლისსგამოცემული კანონის მიხედვით.

4. მშობლებს, რომლებიც მოისურვებენ თავის შვილებს თავის ხარჯით ასწავლონ საღვთო სჯული, ნება მიეცეთ სკოლის შენობით ისარგებონ იმ საათებში, როდესაც ეს ხელს არ შეუშლის სხვა საგნების სწავლებას.

5. მუსულმანთა სასწავლებლებში დარჩეს შარიათის სწავლება, თანახმად იმ პროგრამისა, რომელიც შემუშავებულ იქმენბა სათანადო ორგანოს მიერ, თუ მუსულმანი მშობლები არ მოისურვებენ ასწავლონ შარიათი თავის შვილებს, მათი შვილები უნდა გათავისუფლებულ იყვნენ ამ საგნის სწავლებისაგან.

6. შარიათის მასწავლებელთა ჯამაგირებისათვის სახელმწიფო ხაზინიდან გაიცეს საჭირო ხარჯები.

7. ეს კანონი ძალაში შევიდეს დღიდან მისი გამოქვეყნებისა "საქართველოს რესპუბლიკაში." [228]

საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებასთან დაკავშირებით, საკუთარი მოსაზრება ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მის ბეჭდვით ორგანოს გაზეთ "ერთობას". გაზეთი ამ კანონს აფასებს, როგორც პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების მონაპოვარს. აღნიშნავს, რომ დასავლეთის ქვეყნებში უკვე მე-19 საუკუნის შუა ხნიდან ამოღებული იყო საღვთო სჯული სასწავლო დაწესებულებებიდან. ცხადია, გაზეთი ბოლომდე გამტარი იქნებოდა მთავარი პარტიის პოლიტიკის, რომლის მიხედვითაც საკითხს ორი მხარე ჰქონდა: ერთი პოლიტიკური და მეორე პედაგოგიური. პოლიტიკური თვალსაზრისით, სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება რომელიმე რელიგიის უპირატესობისთვის გაესვა ხაზი იმ ვითარებაში, როცა მას სხვადასხვა აღმსარებლობის მოქალაქეები ჰყავდა. სახელმწიფოს წინაშე კი ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანი იყო. სახელმწიფო ვალდებული იყო, დაეცვა მათი თანასწორუფლებიანობის პრინციპები. სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემა მხოლოდ მეცნიერულ საფუძვლებსა და გამოცდილებაზე

[228] სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N 261, ფ.3.

უნდა ჩამოეყალიბებინა. შესაბამისად, მეცნიერებასა და რელიგიას შორის არსებული პრინციპული განსხვავებულობა ვერ იქნებოდა განათლების სამეცნიერო რელსებზე გადაყვანის გარანტი.[229] ამ მოსაზრებით, გაზეთი "ერთობა", უპირისპირდებოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და ბრალს სდებდა ძველი საგანმანათლებლო სისტემის დაცვასა და განმტკიცებაში, რაც პედაგოგიურად გამართლებული ვერ იქნებოდა სეკულარულ პრინციპებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პოლიტიკისათვის.

საარქივო მასალები აღადგენენ პროცესების სურათს, რომელიც წარიმართა მას შემდეგ, რაც მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ. ხშირი იყო საპროტესტო წერილები განათლების მინისტრის სახელზე. მაგალითად, თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე ოქროპირიძე განათლების მინისტრს გიორგი ლასხიშვილს მიმართავდა მოთხოვნით, სკოლებში საღვთო სჯულის მასწავლებლები დაენიშნა მხოლოდ მისი თანხმობით და არა საერო პირების სურვილის გათვალისწინებით: „უმორჩილესად გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რომ საკვლავისოდ მაინც, ყოველ ამისთანა შემთხვევაში, შეკითხვა წარმოეგზავნოს და სჯულის მასწავლებელი ჩემის თანხმობით ინიშნებოდეს."[230]

სამღვდელოება თვლიდა, რომ მთავრობა მათ მიმართ დისკრიმინაციულ პოლიტიკას ატარებდა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ კანონის მიღებამ ბევრი საღვთო სჯულის მასწავლებელი უმუშევარი დატოვა. მათ არც საერო სამსახურში იღებდნენ. საკათალიკოსო საბჭომ მიმართა განათლების სამინისტროს, უმუშევრად დარჩენი საღვთო სჯულის მასწავლებლები საერო სამსახურში მაინც მიეღოთ. ამ საპროტესტო წერილს ხელს აწერს საკათალიკოსო საბჭოს წევრი, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე.[231]

მართლმადიდებლური სამწყსო თავს შევიწროვებულად თვლიდა, რადგანაც გაირკვა, რომ მუსულმანურ სასწავლებლებში კვლავ რჩებოდა შარიათის სწავლება. თან ეს სასწავლებლები სახელმწიფოს დაფინანსების ქვეშ რჩებოდნენ, რაც უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა მათ. განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი არ

[229] *ერთობა,* 1918, N255, გვ.1.
[230] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N138, ფ.17.
[231] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N 138, ფ.17.

ეთანხმებოდა მუსულმანი მოსახლეობისათვის სკოლებში რელიგიის მასწავლებლების დანიშვნას. საკითხის ზოგადი განხილვის დროს გამოიკვეთა ორი მოსაზრება. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, რომლის ავტორიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი შალვა ქარუმიძე გახლდათ, თვლიდა, რომ ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფამდე ამგვარი კანონპროექტის მიღება და განხილვა ეწინააღმდეგებოდა თავად დემოკრატიის პრინციპებს. საღვთო სჯულის სწავლების საკითხი კი მხოლოდ საქართველოს ეკლესიას უნდა გადაეწყვიტა და არა სხვა სახელისუფლებო ორგანოს, თუნდაც პარლამენტს.[232]

კანონის მიღებამ საზოგადოებაში წინააღმდეგობრივი რეაქცია გამოიწვია. საზოგადოების ნაწილი თვლიდა, რომ საუკუნოვან რელიგიურ ტრადიციას, ეკლესიის, როგორც ინსტიტუციის ფუნქციონირებას საფრთხე ექმნებოდა. განსაკუთრებულად მტკივნეულად აღიქვამდნენ მას, როგორც ქართველთა იდენტობისათვის საფრთხის შემცვლელ აქტს და მთავრობას სარწმუნოების დევნაში სდებდნენ ბრალს. სხვადასხვა ქალაქებში გამოსვლებიც კი გაიმართა. პროტესტის მონაწილეები მთავრობისგან სკოლებში საღვთო სჯულის დაბრუნებას მოითხოვდნენ. მაგალითად, ერთი-ერთი ასეთი სახალხო ყრილობის ორგანიზატორებმა სოხუმში მთავრობას გაუგზავნეს მოთხოვნა საღვთო სჯულის დაბრუნების შესახებ. თავიანთ მოთხოვნას შემდეგნაირად ასაბუთებდნენ: „ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის ერი ძველთაგანვე ისტორიულად შეთვისებულია თავის სჯულთან, ქართველი ერის დიდი ნაწილი დღესაც არის ღრმა მორწმუნე და სარწმუნოების ცოდნა აუცილებელი საჭიროა მისი მთლიანი განვითარებისათვის, და ჩვენ, სამღვდელოებას, პირველი თუ არა, უკანასკნელი ადგილი გვეჭირა საღვთო სჯულის, ქრისტიანული მოძღვრების მოზარდ თაობათა შორის განმტკიცებისა და აღზრდაში, ვსთხობთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რათა საღმრთო სჯული დარჩეს საქართველოს ყოველგვარ სასწავლებლებში სავალდებულო საგნად.”[233] გარდა ამისა, დადგენილებაში სასულიერო პირები უსვამდნენ ხაზს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ავტოკეფალური ელესია წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი მზრუნველობის დაწესებულებას, ხოლო სამღვდელოება კი ეწეოდა

[232] *საქართველოს რესპუბლიკა,* 1918, N97, გვ.2.
[233] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N3, ფ.3-4.

სახელმწიფოებრივ საქმიანობას. ამიტომაც ხელისმომწერნი მოითხოვდნენ, - მთავრობას უზრუნველყო ისინი მატერიალურადაც.[234]

საარქივო მასალებში მოიპოვება დოკუმენტი, რომელიც ვფიქრობთ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ის აღნიშნულ საკითხს არ განიხილავს მხოლოდ ერთი პოზიციიდან და გვაჩვენებს საკითხის განხილვის მცდელობას სრული კონტექსტის გათვალისწინებით:

1918 წლის 28 დეკემბერს ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში ჩატარდა მშობელთა კრება. კრებაზე გამართული მსჯელობიდან ირკვევა, რომ მშობლები და დამსწრე საზოგადოება მთავრობას რელიგიის დევნაში სდებდნენ ბრალს. მაგრამ, მღვდელი ნესტორ აბესაძის მოსაზრებით, მთავრობისათვის ბრალის წაყენება, რომ მან "სჯული შელახა, სარწმუნოება დაგვიკარგა" – ცილისწამება იქნებოდა. სასულიერო პირი საკითხს შემდეგნაირად სვამს: "1. რა მიზეზით და რა პირობებით გამოაცხადეს თავისუფლება სინიდისისა ჩვენში და როგორ მოხდა ეს ევროპაში? 2. არის რაიმე კავშირი ეკლესიისა და საღმთო სჯულის შორის თუ არა? 3. გვაქვს თუ არა უფლება, ვიქონიოთ მსჯელობა საკითხზედ, ვინაიდგან აღნიშნულმა საკითხმა მიიღო სანქცია პარლამენტში?"[235]

დასმული კითხვების მიხედვით, სასულიერო პირი მსჯელობისათვის ატარებს მოკლე ისტორიულ ექსკურსს, ქრისტიანობის ისტორიის შესახებ ევროპაში, პირველივე საეკლესიო კრების ჩატარებიდან ბოლომდე. მან ევროპაში ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის მიზეზად დაასახელა შემდეგი გარემოებები: რომის პაპების ზღვარგადასული ძალაუფლება, პოლიტიკური ზეგავლენა და ინკვიზიციის სამარცხვინო ტალღა მთელს ევროპაში. სწორედ, ეკლესიის და სამღვდელოების მხრიდან ძალაუფლების გადაჭარბებამ გამოიწვია საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, მისი და სახელმწიფოს გახლეჩვა. მღვდლის აზრით, ეს ლეგიტიმურიც კი იყო, რადგანაც „ეკლესია წინ ეღობებოდა კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინმსვლელობას. აი ეს იყო მიზეზი ევროპაში."[236]

---

[234] იქვე.
[235] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N3, ფ.24-24ა.
[236] იქვე.

საქართველოში კი ეკლესია სხვა მიმართულებას ემსახურებოდა. სამღვდელოება მუდამ იყო ჩართული კულტურულ საქმიანობაში, სკოლების, სამკითხველოების გახსნაში. ქართველი სამღვდელოებისათვის საღმთო სჯული და სამშობლოს დაცვა ერთი და იგივე ცნებები იყო საუკუნეების მანძილზე, ისინი მუდამ იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის. ამგვარად, ქართული ეკლესია წინ არ ეღობება ქვეყნის კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას. თუმცა, მღვდელმა აბესაძემ ისიც კარგად იცოდა, რომ ეკლესია ვერასდროს შეასრულებდა სკოლის ფუნქციას. ის წინააღმდეგი იყო საღვთო სჯულის სკოლებში გაუქმების. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ სკოლას შეუძლია მოზარდის დისციპლინის განვითარება და მათი პედაგოგიურ ჩარჩოებში მოქცევა, - საღვთო სჯულის სწავლებაც პედაგოგიურ დისციპლინას უნდა ექვემდებარებოდეს, რაც ნიშნავს, რომ საგნის შესწვალა ორივე ინსტიტუციის მოვალეობაა, როგორც ეკლესიის, ასევე სკოლისაც.

მესამე კითხვა ეხებოდა პარლამენტის უფლებამოსილების საზღვრების დადგენას საკითხის გადაწყვეტაში. მღვდელი აღნიშნავს, რომ პარლამეტი ხალხის ნების გამომხატველია და არა მხოლოდ რომელიმე პარტიის ნება-სურვილის. ცხადია, იგულისხმება სოციალ-დემოკრატიული პარტია. შესაბამისად, აქ გასათვალისწინებელი იყო, როგორც ხალხის, ასევე მთლიანი მთავრობის აზრი დასმულ საკითხან დაკავშირებით. კრებამ დაადგინა, რომ საღვთო სჯული უნდა ისწავლებოდეს სკოლებში. თუმცა, არასავალდებულო საგნად განახლებული მასალით და განსაზღვრულ საათებში, ერთი წლის მანძილზე. საღვთო სჯულის მასწავლებლებს უნდა ჰქონოდათ ისეთივე პრივილეგიები, როგორიც სხვა საგნების მასწავლებლებს და ა.შ. ეს დადგენილება გადაეგზავნებოდა როგორც მთავრობას, ასევე სხვა სკოლების მშობლებსაც.[237]

ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი განხილვა ცალმხრივად, მხოლოდ საეკლესიო პოზიციიდან არ იქნებოდა სწორი. ამ დოკუმენტში ვხედავთ იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც თავად სასულიერო პირის მხრიდან არის მკაფიოდ გააზრებული: ის აღიარებს სახელმწიფოს უზენაესობას, სახელმწიფო აპარატს-პარლამენტს, საუბრობს ხალხის ნების გამოხატულების შესახებ. მაგრამ, ასევე მოითხოვს საკუთარი უფლებების, როგორც

[237] იქვე.

კიდევ ერთი სახელმწიფო ინსტიტუციის იმ კანონის ფარგლებში მოქცევას, რომელიც სეკულარული და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი არის.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მშობელთა კრებამ გამოიტანა დადგენილება და გაუგზავნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს. მშობლები ქრისტიანულ სწავლებას და საღვთო სჯულის სწავლებას სკოლებში აფასებდნენ, როგორც ისტორიულ-მორალურ ფაქტორს სკოლებში: "მარტო თეორეტიკული განყენებული ცოდნა, თუ მასთან ერთად არ ვითარდება ორგანული ხასიათი, ზნე, ჩვეულება, გრძნობა, ნამდვილ ადამიანს ვერ შექმნის და ჩვენ ნორჩ საქართველოს რესპუბლიკას ნამდვილ მაღალ იდეალებით აღჭურვილ მოქალაქეების ნაცვლად, მისცემს არასასურველ მავნე ელემენტებს. მშობელთა წრე მოითხოვდა, აღმდგარიყო საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში და საგნის მასწავლებლებს თავად გადაუხდიდნენ ისინი ჯამაგირს. საგნის აკადემიური დრო უნდა განსაზღვრულიყო ჩვეულებრივ სასწავლო საათებში და არა გაკვეთილების შემდეგ. მაღალი მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, საღვთო სჯულის სწავლება აუცილებელი იყო, თუნდაც არა სავალდებულო საგნად.[238] ამავე საარქივო მასალებიდან ვიგებთ, რომ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი ნესტორ აბესაძე პარალელს ავლებს ევროპის გამოცდილებასთან, სადაც ასევე გაუქმდა სკოლებში საღვთო სჯულის სწავლება, თუმცა ეს გამოიწვია კათოლიკური ეკლესიის რეაქციულმა პოლიტიკამ, რამაც შეაფერხა ევროპული ქვეყნების განვითარება. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია კი იყო ის ერთდერთი ხიდი, რომელიც დააკავშირებდა ახალ დემოკრატიულ რესპუბლიკას წინსვლასთან. მღვდელი მიიჩნევდა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ებრძოდა ეკლესიას, ამიტომაც მოუწოდებდა მშობლებს არ დამორჩილებოდნენ მთავრობას ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში.[239]

საპროტესტო შინაარსის სტატიები იბეჭდებოდა ოპოზიციურ გაზეთში "საქართველო". როგორც უკვე აღვნიშენთ, გაზეთი "საქართველო" წარმოადგენდა ეროვნულ-დემოკრტიული პარტიის ბეჭდვით ორგანოს. 1915 წელს გამოქვეყნებული მეთაური წერილი ცხადჰყოფს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

[238] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N3, ფ.24.
[239] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N 3, ფ. 24-25-26.

მსოფლმხედველობას, რომელიც დროთა მანძილზე პარტიის მთავარ საპროგრამო ჩარჩოდ იქცა, მათ შორის, რელიგიის და რწმენის საკითხის მიმართაც.

1915 წელს ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნების საკითხი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ბეჭდვითი ორგანო მკაფიოდ აცხადებდა, რომ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა სამომავლოდ ეროვნული თვითმმართველობის გარანტიას წარმოადგენდა. ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი "სკოლასა და ეკლესიას დიად ეროვნულ მიზნებს შევუკავშირებთ", - წერდა გაზეთი.[240] ცხადია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისთვის მართლმადიდებლური სარწმუნოება ქართველი ერი იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი იყო. შესაბამისად, არ იქნება გასაკვირი, თუ გაზეთის ფურცლებზე ამოვიკითხავთ საპროტესტო შინაარსის პუბლიკაციებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკის გამო ეკლესიასთან მიმართებაში, ასევე საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებასთან დაკავშირებით.

1918 წელს დეკანოზმა კ. კელენჯრიძემ გამოაქვეყნა წერილი "საღვთო სჯულის სკოლიდან განდევნის გამო". დეკანოზი აღნიშნავს, რომ მას სჯერა მთავრობის კეთილი მიზნების, სოციალიზმის დამკვიდრების ქვეყნის მომავალზე ზრუნვის შესახებ, მაგრამ საღვთო სჯულის მოსპობას სასწავლო დაწესებულებებიდან უსამართლობად მიიჩნევს. დეკანოზი კელენჯერიძე ერის პოლიტიკური არსებობის ერთ-ერთ გარანტად რელიგიას მიიჩნევს, განსაკუთრებით კი ქართველი ერის, რომლის ისტორია, კულტურა საუკუნეების მანძილზე გადაჯაჭვული იყო ქრისტიანულ რელიგიასთან "ერის პოლიტიკური არსებობა ურელიგიოდ წარმოუდგენელია. ეგრეთვე არსებობა ქართველი ერისა, რომლის პოლიტიკური დ რელიგიური ზრდა შეხმატკბილებულად მიდიოდა წინ – ურელიგიოთ წარმოუდგენელია. ბიბლია, რომლის ნიადაგზედაც აღიზარდა ოქროს საუკუნის ქართველობა საუკეთესო მოძღვართა ხელმძღვანელობით, რამაც დაბადა საუკეთესო თვისებანი ქართველი ერისა – ხასიათის სიმტკიცე, ფაქიზი ზნეობა, ზრდილობა და თავის განწირვა მამულისათვის." [241]

---

[240] გაზეთი "საქართველო," 1915, N1, გვ.1.

[241] დეკანოზი კელენჯერიძე. "საღვთო სჯულის სკოლიდან განდევნის გამო," *საქართველო,* 1918, N208, გვ.4.

ცხადია, რომ დეკანოზი ქართველი ერის იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორად რელიგიას მიიჩნევს. რელიგია, რწმენა არის ყველაზე ძლიერი მარკერი ერის იდენტობის ფორმირებაში. ყველა ის აქტი ან ქმედება, რომელიც ოდნავ მაინც შეარყევს საუკუნეების მანძილზე მყარად ჩამოყალიბებულ ინსტიტუციას, აღიქმება ამ ინსტიტუციის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად.

გაზეთ „საქართველოს" პუბლიცისტიკა ქართული ეკლესიის და ერის იდენტობის განსაზღვრის შემაფერხებელ ფაქტორებად მეფის რუსეთის პოლიტიკასთან ერთად, სოციალისტური იდეოლოგიის გავლენებსაც მიიჩნევს. ერთმორწმუნე მეფის რუსეთის შოვინისტურმა პოლიტიკამ ქართველი ხალხის სამ საუნჯეს - რწმენას, ენას და სამშობლოს განცდა შებღალა. სტატიის ავტორი მღვდელი ალექსანდრე ოქროპირიძე მიიჩნევს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები არაფრით ჩამოუვარდებიან შოვინისტურ რუსეთს ეკლესიის მიმართ რესპრესიულ პოლიტიკაში. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მცდარი წარმოდგენები შეიქმნეს რესპუბლიკანიზმის შესახებ. მაშინ როდესაც საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ეკლესია სახელმწიფოსგან განცალკებეულია, მისი უფლებები არ არის შეკვეცილი, რასაც ვერ ვიტყოდით საქართველოს ეკლესიის მაგალითზე: „დღეს დაიკეტა ყველა სასულიერო სასწავლებლები, გამოდევნილ და გათახსირებულ იქნა, ყველგან მუდამ პირველ ნიადაგზედ დაყენებული საღმრთო რჯული, რომელიც აფაქიზებდა და სულიერად ახეირებდა ჩვენს ახალ თაობას. სირცხვილი ჩვენთვის! ეს სამუდამოთ დაღუპავს ჩვენს ეკლესიას და ერს, იმ ერს, რომელმაც სარწმუნოების წყალობით შეინარჩუნა ის, იგი ამაყობს და არსებობს!" [242] მღვდელი ალექსანდრე ოქროპირიძე ტოლობის ნიშანს სვამს ეკლესიასა და ერს შორის, რომელმაც სწორედ ეკლესიის დამსახურებით შეინარჩუნა თავისი იდენტობა და თვითმყოფადობა საუკუნეების მანძილზე.

საქართველოს პატრიარქმა მოიწვია მორწმუნეთა კრება, სადაც განიხილეს, როგოც თავდ აღნიშნავდნენ, - ეკლესიის სავალალო მდგომარეობა. ისაუბრეს იმის თაობაზე, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ქართულ ეკლესიას საქართველოს ისტორიისა და კულტურის წინაშე. კათოლიკოს პატრიარქმა განიხილა ევროპული ქვეყნების

[242] მღვდელი ოქროპირიძე, ალექსანდრე. „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაღუპვა მოელის," *საქართველო,* 1920, N9, გვ.4.

მაგალითი, სადაც სარწმუნოება და რელიგია ინარჩუნებას თავის მნიშვნელობას, ხოლო საქართველოში კი ევროპის ეს გამოცდილება კვლავინდებურად არასწორად იყო გაგებული, რასაც შედეგად ეკლესიის დისკრედიტაცია მოჰყვებოდა. პატრიარქი გამოთქვამდა შიშს იმის თაობაზე, რომ ამგვარი ანარქია საქართველოში რწმენის გაქრობასა და ნიჰილიზმს წარმოქმნიდა. ამიტომაც ის აყალიბებდა საორგანოზაციო საბჭოს, რომელიც შეუწყობდა სარწმუნოების განმტკიცებას ხელს. საბჭოში გაწევრიანდნენ ქართული საზოგადოების გამოკვეთილი სახეები. დეკანოზები: პროფესორი კორნელი კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე და იასონ კაპანაძე. გენერალი ლავრენტი ბალუაშვილი და ივანე როსტომაშვილი. ასევე, პროფესორი – ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, რაფიელ ივანიცკი (ინგილო) და იასონ ჯავახიშვილი.[243]

ეკლესია საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის სულიერი და გონებრივი აღმზრდელი რომ იყო, - თითოეული იმ საგაზეთო სტატიის მთავარი იდეაა, რომელიც გაზეთ "საქართველოში" იბეჭდებოდა. „ივერიის ეკლესია ფრიად დამსახურებული, მცხოვანი დაწესებულებაა ჩვენს სამშობლოში", - აღნიშნავს უცნობი ავტორი სტატიაში "ჩვენი ეკლესიის ცხოვრებიდან."[244] ის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა და ძნელბედობის ჟამს კი ქვეყანას ეროვნული ღირსების დამცველად ევლინებოდა. ისტორიულად ეკლესია სარწმუნოებრივი შემაკავშირებლის როლს ასრულებდა და იცავდა ერს ფიზიკური თუ სულიერი გადაგვარებისგან. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდედ ეკლესიამ დაიბრუნა წარსული დიდების ღირსეულად გაგრძელების იმედი. ახალი წყობილება სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიულ პრინციპებზეა გადასული. ქვეყნის სუვერენიტეტს შინაური და გარეშე მტრებიც კი აღიარებენ. ამგვარი სოციალურ-პოლიტიკური წყობით ეკლესია ერთგვარ ექსპერიმენტულ გარემოებაში მოექცა: "ჩვენი აზრით, დიდი დანაშაული იქნება, რომ ეკლესიის სვე-ბედი მოუწესრიგებელი დარჩეს ახალ საქართველოში და მისი ინტერესები შეეწიროს თანამედროვე გარდამავალ სოციალ-პოლიტიკურ გატაებებსა და ექსპერიმენტებს. ეკლესიურ-სარწმუნოებრივი დარგი მოითხოვს სერიოზულ ყურადღეებას ჩვენ მორწმუნეთა და

[243] *საქართველო,* 1920, N9, გვ.4.
[244] N. "ჩვენი ეკლესიის ცხოვრებიდან," *საქართველო*, 1920, N62, გვ.4.

მათ ხელმძღვანელთაგან. ეკლესია არ არის უგულვებელსაყოფი დაწესებულება საქართველოში!"[245] ავტორი ყურადღებას ამახვილებს სასწავლებლებისა და სარწმუნოების ურთიერთმიმართების საკითხზე. აქაც აკრიტიკებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და როგორც სხვა ავტორები, ისიც ბრალს სდებს მათ რესპუბლიკანიზმის არასწორად გაგებისა და დამკვიდრების გამო. სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში რესპუბლიკის დაარსებას უნივერსიტეტების დაარსება მოჰყვა, მაგრამ ეს არ გამხდარა მიზეზი ეკლესიის უფლებების შეზღუდვისა და სასულიერო სასწავლებლების დახურვის, - აღნიშნავს ავტორი. საგულისხმოა, რომ ავტორი ერთმანეთისგან მიჯნავს სახელმწიფო მმართველობით აპარატს და ეკლესიას, როგორც დამოუკიდებელ ინსტიტუციას, რომლის ფუნქციონირებაში ჩარევის უფლება სახელმწიფოს არ აქვს.

კათალიკოს პატრიარქმა ლეონიდემ წერილი მისწერა მთავრობის თავჯდომარეს ნოე ჟორდანიას, სადაც ის წუხილს გამოთქვამდა სახალხო განათლების სამინისტროს მიერ სასულიერო სასწავლებლებისთვის ქონება-შენობების, ხოლო მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ კი მიწების, სათიბების, წისქვილების ჩამორთმევის გამო. წერილიდან ჩანს, რომ პატრიარქი ლეონიდე ცდილობს ლოიალური იყოს სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის კანონპროექტის მიმართ იმ პირობით, თუ დაცული იქნება ამ ორ ინსტიტუციას შორის სამართლებრივი ურთიერთობები. კათოლიკოს პატრიარქი ლეონიდე ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ახალი მთავრობა სოციალისტური იდეოლოგიის იყო, რომელიც გამორიცხავდა ეკლესიის როლის გაძლიერებას: "თანახმა ვარ, დიახაც დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ გაშორებაშიც, სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენ მარტო სამართლიან გაყოფას ვთხოულობთს სახელმწიფოსგან და სხვა არაფერს".[246] ეკლესიის მესვეურებისგან ამგვარი ურთიერთმიმართება განპირობებული იყო იმითაც, რომ 1920 წლის 24 მარტს გაზეთ "საქართველოში" გამოქვეყნდა დ. ჩიქოვანის საქართველოს ეკლესიის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც 57 მუხლისგან შედგებოდა. პროექტის მიხედვით, ყველა ტიპის ქონება, რაც ისტორიულად ივერიის ეკლესიას ეკუთვნოდა,

[245] იქვე.
[246] ვარდოსანიძე, სერგო. „სეკულარიზმის ეკლესიური და საერო გაგება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)," *ახალი ეპოქის დასაწყისი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921),* (თბილისი: 2018), გვ.214.

საეკლესიო კრების მიერ იყო აღიარებული და ეკლესიის ცენტრალურ განკარგულებაში უნდა გადასულიყო. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება ავალებდა დიდ საბჭოს შეექმნათ საეკლესიო სასამართლო, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იქნებოდა როგორც საეკლესიო, ასევე ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოთა ზეგავლენისგან და ა.შ.[247] თუმცა, ცნობილია, რომ როდესაც საქმე საეკლესიო ქონების გაყოფას შეეხო, კათოლიკოს-პატრიარქს ლეონიდეს ნოე ჟორდანიამ განუცხადა, რომ "ვერც შევქმნით სახელმწიფოს სახელმწიფოში." [248] ეს საყოველთად ცნობილი ფრაზა, ყველაზე კარგად გამოხატავს მმართველი ელიტის პოზიციას სახელისუფლებო ვექტორის გაძლიერების კუთხით. იდეოლოგიური ინსტიტუციონალიზაცია მოითხოვდა სხვა იდეოლოგიური აპარატების, ამ შემთხვევაში, ეკლესიის როლის შეზღუდვას. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფორმდა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მე-16 თავში, სადაც ვკითხულობთ: "მუხლი 142. სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან. მუხლი 143. არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა."[249]

დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკა საღვთო სჯულის სწავლებასთან მიმართებაში დღესაც მწვავე დებატების საგანია. კრიტიკულად განწყობილი ჯგუფი თვლის, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა ეკლესიის უფლებების შეზღუდვა და მისი ისტორიული მისიის უგულვებელყოფაა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს მთავრობასა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი წარიმართა, რომელიც გამოირჩეოდა აზრთა სხვადასხვაობითა და სიმძაფრით. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ პირველი რესპუბლიკის მესვეურების ანტაგონისტური დამოკიდებულების შესახებ ეკლესისთან მიმართებაში. მაგრამ, აქ ხაზგასასმელია ერთი გარემოება: პირველი რესპუბლიკა ეფუძნებოდა სეკულარული, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის იდეას. მოდერნული ერი-სახელმწიფოს მშენებლობის იდეა დიდი ხანია განსხვავდებოდა ფეოდალური და ეკლესიის გავლენების მქონე პრიმატისგან. სეკულარიზმი, დემოკრატიული ქვეყნის

[247] *საქართველო*, 1920, N63, გვ.4.
[248] *საქართველო,* 1920, N170, გვ.4.
[249] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებივი აქტების კრებული* 1918-1921 (თბილისი: 1990), გვ.483.

პრინციპები, ერთიანი სამართლებრივი სახელმწიფოს და სამოქალაქო ცნობიერების იდეა მოითხოვდა ეკლესიის მხრიდან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაურევლობას. თავის მხრივ, არც სახელმწიფოს ჰქონდა გადაჭარბებული უფლებამოსილება ჩარეულიყო საუკუნოვანი ინსტიტუციის საქმიანობაში. მაგრამ, დემოკრატიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, თვლიდა, რომ რომელიმე სარწმუნოებისათვის უპირატესობის მინიჭება სხვა სარწმუნოების ხელოვნურად დაჩაგვრა იქნებოდა, რადგანაც "ეკლესია თავისუფალი, დამოუკიდებელი კავშირია მორწმუნეთა შორის და სახელმწიფო მათ რწმენის საგანში არ ერევა." [250] გარდა ამისა, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჩანაწერებში ვკითხულობთ: "ჩვენი რესპუბლიკა ერთიანი სახელმწიფოა და იგი უაღრესად დემოკრატიულია. არსებული კანონმდებლობლობა უკვე აღიარა და უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის, განურჩევლად ეროვნებისა თავის არსებობას და განვითარებას. ასე არის სარწმუნოებრივ საკითხში, პოლიტიკურ და მოქალაქეობრივი უფლებების სფეროში."[251] მმართველმა პარტიამ თავითანვე განსაზღვრა ეკლესიასთან ურთიერთობის პირობები და შეეცადა, რომ სარწმუნოება და სახელმწიფო აპარატი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სუბიექტებად გარდაექმნა.

5.2. განათლების პოლიტიკა და მოქალაქე - ჯარისკაცის იდეა ქართულ ჯარში (1918-1921)

1918-1921 წლებში, ქართული ჯარის კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარება, პირველი რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. კარლ კაუცკი წიგნში „საქართველო. გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა. შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი" ცალკე თავს უძღვნის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს და აღნიშნავს, რომ „გენერალთა შემადგენლობამ ორი მიმართულება ჩამოაყალიბა; ერთი განათლების კუთხით და მეორე მიწათმოქმედების კუთხით. პირველი მიმართულება ჯარისკაცთა უწყვეტ განათლებაზე ზრუნავს და ზრდის როგორც მათ სამოქალაქო ცოდნას, ასევე მათ ტექნიკურ შესაძლებლობებს... ქართული სისტემა მილიტარიზმის სამოქალაქო ხასიათს ადასტურებს... ახალწვეულთა ჯარში სამხედრო სამინისტრო გამალებით

[250] *ერთობა,* 1920, N155, გვ.1.
[251] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N181, ფ.121.

აწარმოებს საგანმანათლებლო სახის საქმიანობას და საწყის ეტაპზე ჯარისკაცთა შორის დემოკრატიული პრინციპები ფართოდ ინერგება."[252] სახალხო გვარდიის მეორე ყრილობაზე კი, რომელსაც კარლ კაუცკი ესწრებოდა, მან აღნიშნა, რომ სახალხო გვარდია ქვაკუთხედია საქართველოს დემოკრატიისა.[253]

რუსეთის სახელმწიფოს დაშლისა და მისი შემადგენლობიდან ამიერკავკასიის ფაქტობრივი გამოსვლის შემდეგ, დაისვა ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის საკითხი. ცენტრალური მთავრობისგან არსებობდა ნებართვა ეროვნული ბატალიონებისა და სათადარიგო პოლკების დაარსების უფლების შესახებ.[254] 1918 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციაზე, ჩამოყალიბებული სახით გამოცხადდა სახელმწიფო აპარატის მშენებლობასთან ერთად, ქართული ჯარის ორგანიზაციული მოწყობის საკითხიც, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პუნქტი მისი კულტურულ-საგანმანათლებლო ხელშეწყობა იქნებოდა. ეს გულისხმობდა "დივიზიებთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ სექციებთან შეთანხმებულს მუშაობას, რომ საერთო ძალით ავსწიოთ განათლება ჩვენს ახალ ჯარში, შევაყვაროთ სამშობლო, განვამტკიცოთ ჯარში საღი პატრიოტიზმი და ამნაირად ის გავხადოთ სრულ საიმედო შეიარაღებულ ორგანიზაციად." [255]

ქართული მილიტარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას სამოქალაქო შინაარსი ჰქონდა და ეფუძნებოდა **მოქალაქე - ჯარისკაცის** (ტერმინი ეკუთვნის სამხედრო მინისტრ გრიგოლ გიორგაძეს) შექმნის იდეას: „ჩვენს სამშობლოს ყოველთვის და განსაკუთრებით მის აღმშენებლობით პროცესში – ესაჭიროება ... შეგნებული მოქალაქე-ჯარიკაცი", - აცხადებს გრიგოლ გიორგაძე.[256] ეს გულისხმობდა ქართული ჯარის იდეოლოგიურ გარდაქმნას, ბოლშევიკური პროპაგანდისგან განთავისუფლებას და მის დემოკრატიულ პრინციპებზე დანერგვას. ეს პროცესი კი სწორედ ჯარისკაცის საგანმანათლებლო და კულტურული ტრანსფორმაციით უნდა განხორციელებულიყო. ამისათვის, პირველ რიგში,

---

[252] კაუცკი, კარლ. *საქართველო. გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა. შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი* (თბილისი: თსუ, 2018), გვ.148-149.
[253] *ერთობა,* 1920, N246, გვ.2.
[254] ვადაჭკორია, შოთა. *საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX), წიგნი I* (თბილისი: 2003), გვ.226.
[255] *რესპუბლიკის ჯარი,* 1918, N1, გვ.4.
[256] *რესპუბლიკის ჯარი,* 1918, N4, გვ.1.

მნიშვნელოვანი იყო პირველი მსოფლიო ომის დამანგრეველი ზეგავლენისა და რუსეთის რევოლუციისგან გამოწვეული ანტიმილიტარისტული განწყობების დაძლევა: უდისციპლინობა, სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა: დამოუკიდებლობის გამოცხდების შემდეგ, ქართული ჯარის ჩამოყალიბების პროცესში გამოიკვეთა არც თუ ისე სახარბიელო გარემოებები. ეს განპირობებული იყო მორალურ-იდეოლოგიური ხასიათის პრობლემებით. მკლევარები, რომელთა ინტერესის სფეროში 1918-1921 წლების სამხედრო ისტორიის კვლევა შედის, აღნიშნავენ, რომ ქართული კორპუსისათვის ხშირი იყო უდისციპლინობის, სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების და დეზერტირობის მცდელობები. [257]

მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დღის წესრიგში მკაფიოდ დასვა ქართული ჯარის ახალი ფორმით აღორძინება. რაც მთავარია, ეს პროცესი უნდა წარმართულიყო არა მხოლოდ სამხედრო-პროფესიონალური თვალსაზრით, არამედ ჯარის საგანმანათლებლო, კულტურული და სამოქალაქო ცნობიერების გაზრდის კუთხითაც. ჯარში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მთავარი მიზანი დემოკრატიული რესუბლიკისათვის "შეგნებული მფარველი ძალის შექმნაა, რასაც ჩემი აზრით – უაღრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის გამაგრება-განმტკიცების საქმეში", – აცხადებდა სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე.[258] ამიტომაც, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე უახლოეს ხანებში სამხედრო მინისტრმა შექმნა საგანგებო კომისია პოლკოვნიკ მაჭავარიანის თავჯდომარეობით, რომელსაც უნდა წარმოედგინა არმიაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გეგმა.[259] მალევე ჯარისკაცებისათვის სამხედრო ნაწილებში დაარსდა სამკითხველოები; მათ ლექციებს უტარებდნენ იმ დროისათვის გამოჩენილი ქართველი ინტელექტუალები: ივანე ჯავხიშვილი, ვასილ ბარნოვი, სარგის კაკაბაძე, და ა.შ. ჯარისკაცები ესწრებოდნენ კულტრულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს; 1919 წელს თბილისში, ქუთაისსა და ფოთში

[257] სილაქაძე, დიმიტრი. „საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ფორმირების შემაფერხებელი ფაქტორები," *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსნება 100 წლის შემდეგ-მოდელი ევროპისათვის?* (თბილისი: 2018), გვ.224-225.
[258] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი Nა, საქმე N1072, გვ.4.

დაარსდა ე.წ. “ჯარისკაცთა უნივერსიტეტები”. ასევე დაარსდა სამხედრო თემატიკის ჟურნალ-გაზეთები: “ჯარი და ერი”, “ჯარისკაცი”, “რესპუბლიკის ჯარი”, “მხედარი”.

საარქივო მასალებში მოიპოვება ერთ-ერთი იუნკრის მოგონებებები „თბილისის ბრძოლა. სამხედო სკოლის ბრძოლის ეპიზოდები.“ მოგონებები აღწერენ წითელი არმიის შემოჭრის ეპიზოდებს 1921 წლის თებერვალში და იუნკრების ბრძოლას მათ წინააღდმდეგ. მოგონებები დაწერილია საბჭოთა ოკუპაციიდან 50 წლის შემდეგ, 1971 წელს. ავტორის ვინაობა უცნობია. ამიტომ, მას უნობი იუნკრის სახელით მოვიხსენიებთ. უცნობი იუნკერი იხსენებს პირად საუბარს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ გიორგი კვინიტაძესთან, სამხედრო სკოლის დაარსების და მისი ეროვნული მნიშვნელობის შესახებ. აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სამხედო სკოლის დაარსება არ ყოფილა მხოლოდ სამხედრო და საბრძოლო სტრატეგიების შესასწავლი ადგილი. მას კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციაც ენიჭებოდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფო დაწესებულებების გაეროვნულების პროცესის დაწყებასთან ერთად, საჭირო გახდა ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული სამხედრო სკოლის არსებობაც. სწორედ ამის დამოწმებაა ეს საარქივო დოკუმენტიც. როგორც გენერალ კვინიტაძესთან საუბრით ირკვევა, „უმეტესობის აზრი იყო, რომ სახელი აგვეღო რუსულ სახელის უშუალო თაგმნიდან და დაგვერქო „სამხედრო სასწავლებელი“, ხოლო თვით სამხედრო განათლება მაქსიმალურად ყოფილიყო შეკვეცილი გაწრთვნის და თეორიული სწავლების პრაქტიკული მინიმუმით. ... ეს უნდა ყოფილიყო არა სასწავლებელი, არამედ ქართული სამხედო აზროვნების სამჭედლო, ქართული სამხედრო დოქტრინის კათედრა; ამიტომ მისი ნამდვილი სახელი უფრო სამხედრო სკოლა იყო, ვიდრე რუსულიდან ნათარგმნი სამხედო სასწავლებელი. გარდა ამისა, მე არ მწამდა გაწრთვნა მხოლოდ იარაღის ხმარებაში, მე მსურდა აღზრდა ქართული სულით. ამიტომ იყო, რომ გარდა ფართო სამხედრო თეორიულ საგნებისა, სპეციალურად გავიყვანე, რომ სამხედრო სკოლაში გასწავლიდნენ ისეთ არასამხედო საგნებს, როგორც ქართული ენის სიტყვიერებას და საქართველოს საერთო ისტორიას. ამისთვის მოწვეულნი იქმნენ ისეთი საუკეთესო პროფესორები იმ საგნებისა, როგორც ვასო ბარნოვი და ს. კაკაბაძე. რასაკვირველია, ეს დროებითი და გარდამავლი ზომა იყო, სანამ სასწავლებლები მოგვაწოდებდნენ სრულიად

ქართულად აღზრდილ მოწაფეებს“.[260] მართლაც, სკოლის სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ მასალებში ვკითხულობთ, რომ უმცროსი კურსის ლექტორები იყვნენ ვასილ ბარნოვი ქართული ლიტერატურის დარგსი. საქართველოს ისტორიას კი სარგის კაკაბაძე ასწავლიდა. სამხედრო სკოლაში სწავლობდნენ ფრანგულ, გერმანულ და სომხურ ენებსაც. ეს შეხედულება სამხედრო სკოლის დამაარსებლისა და მომავალ მთავარსარდლისა ისტორიამ ასი პროცენტით გაამართლა, როგორც ბრძოლის ველზე, ისე ცხოვრების სხვა სარბიელზე ბრძოლით საქართველო სამხედრო სკოლის მოწაფეებისა, - აღნიშნავს უცნობი იუნკერი.[261]

უკვე აღვნიშნეთ, რომ პირველი რესპუბლიკის ჯარისკაცს არა მხოლოდ სამხედრო საქმინობისა და საბრძოლო ტექნიკის ზედმიწევად ცოდნა ევალებოდა, ის პირველ რიგში, დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქედ, მოქალაქე-ჯარისკაცად უნდა ჩამოყალიბებულიყო. მოქალაქე-ჯარისკაცის კულტურულ-განმანათლებელი აღზდის შესახებ წარმოდგენებს ვეცნობით ჟურნალის “რესპუბლიკის ჯარი” სტატიაში “კულტურულ-განმანათლებლური მუშაობა ჯარში.“[262]

ჯარისკაცის კულტურულ-საგანმანათლებლო აღზრდა ნაციონალურ საფუძველებზე ორი მიმართულებით უნდა წარმართულიყო: აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო. პირველი მიმართულება გულისხმობდა ჯარისკაცის სამხედრო დისციპლინის, მეორე კი, - მისი მოქალაქეობრივი თვითშეგნების განვითარებას. სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება პირდაპირ იყო დაკავშირებული მის ეროვნულ ცნობიერებასთან: საკუთარი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის ცოდნა, მისი პოლიტიკური და სოციალური პერსპექტივების გააზრება, განსხვავებების ძიება თანამედროვე და წარსულ სახელმწიფო წყობილებებს შორის, ასევე ისტორიული გმირებისა თუ თანამედროვე, გამოჩენილ მოღვაწეთა ღვაწლის შესწავლა, - მიზნად ისახავდა განათლებული მოქალაქე-ჯარისკაცის ჩამოყალიბებას. სტატიის ავტორის აზრით, ჯარისკაცის ამგვარი აღზრდა, სადაც პრიორიტეტი მისი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას მიენიჭებოდა, განსაკუთებით მნიშველოვანი იყო

[260] სცსსა, ფონდი N 1969, ანაწერი N4, საქმე N15, ფ.10-20.
[261] იქვე.
[262] გ.ბ. „კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში,“ *რესპუბლიკის ჯარი,* 1918, N1, გვ.6. N2. გვ.12.

საქართველოს მსგავსი ქვეყნისათვის, რადგანაც ის საუკუნეების მანძილზე იყო დამონებული და წართმეული ჰქონდა საკუთარი სამშობლოს განცდის უფლება.

საარქივო მასალებში მოიპოვება პოლკოვნიკ ტიტე ართმელაძის მოხსენება სამხედრო მინისტრისადმი, სადაც დეტალურად არის აღწერილი ჯარისკაცის საგანმანათლებლო პროექტი სახელწოდებით: კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გეგმა: "ჯარისკაცთა უნივერსიტეტი." [263]

ტიტე ართმელაძეს მიენიჭა სამხედრო სამინისტროსგან განსაკუთრებული ნდობა და დაინიშნა სამხედრო სამინისტროსთან არსებული კულტურულ-განმანათლებელი სექციის ხელმძღვანელად.[264] მოხსენებაში პოლკოვნიკი ტიტე ართმელაძე ხაზს უსვამს ქართული ჯარის შექმნის მნიშვნელობასთან ერთად, ჯარის კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის მნიშვნელობასაც. მისი აზრით, ქართველი ერის ფიზიკური არსებობა, ასევე დემოკრატიული რესპუბლიკის უზრუნველყოფაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისი დამცველი ძალის შექმნასთან. თუ ქვეყანას თავისი ჯარი არ ეყოლებოდა, მაშინ მას მუდმივი საფრთხის ქვეშ მოუწევდა ყოფნა. "საკუთარი ძალა კი მაშინ შეიძლება იყოს საიმედო და ურყევი, მაშინ შეძლებს ჩვენი ერის ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფას, როცა მის მძლეთა-მძლეობას საფუძვლად მოვალეობის შეგნება დაედება." [265] ამ მიზნის მისაღწევად ჯარში ისეთი პირობების შექმნა იყო საჭირო, რომლის შემწეობითაც სამშობლოს მოვალეობის მოხდა ჯარისკაცისათვის ღირსების საქმე იქნებოდა. ასევე, ჯარის კულტურულ-განმანათლებლური მუშაობა მეტად გააღვივებდა ჯარისკაცის საკუთარი ოფიცრებისადმი სიყვარულსა და პატივისცემას და მორჩილებას, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო ახლადშექმნილი საჯარისო ერთეულებისათვის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. აქ პოლკოვნიკი შედარებას აკეთებს ძველი რეჟიმისა და ახალი დროების ჯარისკაცებს შორის და მიაჩნია, თუ ძველი რეჟიმის ჯარისკაცი მუდმივად ცდილობდა მოვალეოებებისგან გაქცევას, დღევანდელი ჯარიკაცი შეეცდება სამსახურში წავიდეს. "აი, ასეთი მნიშვნელობა ექნება საიმედო ძალის შექმნაში ჯარისკაცთა უნივერსიტეტის, საგუნდო და საათასეულო სკოლების ჯარში

[263] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N1072, ფ.44.
[264] *საქართველოს რესპუბლიკა,* 1919, N173, გვ.1.
[265] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N1072, ფ.14.

მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას."[266] ამ ყველაფრისათვის პოლკოვნიკი ითხოვდა დაფინასებას. მან წარადგინა შტატებისა და ხარჯების პროექტიც. მათ შორის, ჯარისკაცებისათვის აუდიტორიების, სცენისა და სკოლების, საგარნიზონო კლუბის მოსაწყობი ხარჯთაღიცხვაც. ასევე ხარჯები შესაფერისი შინაარსიანი წიგნების გამოსაცემად, სასწავლო და საკანცელარიო ნივთების შესაძენად.[267]

პროექტის მიხედვით, ჯარისკაცის განათლება სამი საფეხურისგან შედგებოდა: საგუნდო (ასეული) სკოლის, ათასეულის (ბატალიონი) სკოლისა და ჯარისკაცთა უნივერსიტეტისაგან. საგუნდო სკოლის ტექნიკურად მოწყობა დაევალებოდათ ათასეულების უფროსებს. საგუნდო სკოლაში ჯარისკაცები შეისწავლიდნენ ელემენტარულ წერა-კითხვას და ანგარიშს. საათასეულო სკოლა წარმოადგენდა მეორე საფეხურს. აქ სწავლების მეთოდად განიხილებოდა საუბარი ჯარისკაცთან. საათასეულო სკოლა შედგებოდა იმ ჯარისკაცებისგან, რომლებმაც უკვე იცოდნენ წერა-კითხვა და ისინი აქ მოისმენდნენ დამატებით ლექციებს ქართული სიტყვიერებიდან და საქართველოს ისტორია-გეოგრაფიის შესახებ.[268]

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჯარისკაცთა განათლების მესამე საფეხური - ჯარისკაცთა უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში სწავლების მეთოდოლოგიასთან ერთად, დაწვრილებით არის განხილული სასწავლო პროგრამები მეცნიერების სავალდებულო თუ არჩევითი დარგებიდან. სწავლების პროცესში ლექტორს უნდა გაეთვალისწინებინა სამი გარემოება: 1. მას ევალებოდა ჯარისკაცებისათვის მასალის გადაცემა მათთვის გასაგებ და უბრალო ენაზე, რომელიც მოკლებული იქნებოდა გადატვირთულ სამეცნიერო დასაბუთებებს. 2. ლექციის მომზადებისას ლექტორს ხელი უნდა შეეწყო ჯარისკაცის ზნეობრივ-გონებრივი განვითარებისათვის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, - ჯარისკაცისთვის ქვეყნის წინაშე მოვალეობის განმტკიცების უზრუნველყოფა. პოლკოვნიკ ართმელაძის აზრით, ლექციები არ უნდა ყოფილიყო პროპაგანდისტული ხასიათის რომელიმე პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ, რადგანაც "ყველა ჩვენში არსებულ პოლიტიკური პარტიების საერთო ინეტრესს აქ ის უნდა შეადგენდეს, რომ

[266] იქვე.
[267] იქვე.
[268] იქვე.

ერთი მხრით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამცველი ძალა იჭედება, მეორე მხრით, ხალხს, ჯარის-კაცების სახით, შეგნებული მეზობლები დაუბრუნდებათ და მესამეთ კი ასეთნაირათ განვითარებულ მომზადებული მეზობელი შეგნებული წევრი გახდება არამც თუ მარტო საზოგადოებისა, არამედ თვით იმ პარტიბისთვისაც კი, რომლის რწმენასაც ის იზიარებდა, ან გაიზიარებს.“ [269]

დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებამ და საქართველოს დამოუკიდებლობამ, ქართველი ერი, ამ შემთხვევაში კი, ქართველი ჯარისკაცი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. მისი ცნობიერება თანამედროვე დროისათვის შესაფერისი საჭირბოროტო საკითხებით აღიჭურვა: “აქ შესაფერისი ლექციებით უნდა გაშუქებულ იქნას ის საკითხები, რომლებიც გართულებულმა ცხოვრებამ, ჩვენი დამოუკდებლად არსებობამ წამოუყენა ყოველ მოქალაქეს და ჯარისჯაცს.”[270] თანამედროვე ცხორვებისათვის ასეთ შესაფერისი საკითხებს კი წარმოადგენდნენ:

1. საერთაშორისო ომი და მისი გამომწვევი მიზეზები.

2. რუსეთის რევოლუცია, მისი მიზეზები, ეკონომიკური და ნაციონალური.

3. რევოლუციის ორი პერიოდი: დროებითი მთავრობა და ოქტომბრის გადატრიალება.

4. ბოლშევიკთა გადატრიალების მიზეზები და შედეგები.

5. რუსეთის დარღვევა, ჯარების მიერი ფრონტის დატოვება, და ამიერ-კავკასიის ტრაგედია.

6. ამიერკავკასიის სეიმი და მისი უილაჯობის მიზეზები.

7. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა.

8. ისტორიული ფაქტები ამ საკითხისა: ძველი საქართველოს უკანასკნელი დღეები. ირაკლი მეორე.

9. საქართველოს რუსეთთან შეერთება, ამის მიზეზები.

---

[269] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N1072, ფ.20.
[270] იქვე.

10. რუსეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევა.

11. საქართველოს მდგომარეობა- რუსეთის მფარველობის ქვეშ- მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში.

12. რუსეთის ჯარის მიერ კავკასიის ფრონტის დატოვების ისტორიული მნიშვნელობა.

13. ორი გზა: რუსეთი და ჩვენ.

14. დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთა რესპუბლიკა.

15. ჩვენი ერის სახელმწიფოებრივი მუშაობა: დამფუძნებელი კრების მუშაობა.

16. ძირითადი კანონები და ადგილობრივი თვითმმართველობანი.

17. აგრარული საკითხი: შესაძლებელი ფორმები მისი გადაწყვეტისა.

18. დაწვრილებითი ახსნა ჩვენში არსებული აგრარული პოლიტიკისა. კერძო საკუთრების და გამოსყიდვის პრინციპი.

19. ჩვენი რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობა.

20. ქაღალდის ფული და მისი კურსის დაცემის მიზეზი. სიძვირე. სურსათისა და საქონლის ნაკლებობა.

21. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი. რა შედეგები მოჰყვება მათ გამოყენებას.

22. ვერსალის კონფერენცია, ზავი და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა.

23. რამ შეუწყო ხელი ჩვენი ევროპის მიერ ცნობას.

24. დროებითი ხასიათი ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და ფინანსური კრიზისისა.

25. აგრონომიიდან.

26. მედიცინიდან.

27. კოოპერაციიდან.

ამ ჩამონათვალში ვხედავთ, რომ ჯარისკაცი-მოქალაქე სრულიად მოცული და ინფორმირებული უნდა ყოფილიყო მიმდინარე მოვლენებით და მას უნდა შესძლებოდა მიმდინარე მოვლენების სწორად შეფასება.

გარდა პოლიტიკური და ისტორიული მოვლენების სწორი განალიზებისა, ჯარისკაცის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს მოეთხოვებოდა ქართული ლიტერატურის ცოდნაც, რომელიც პროექტის მიხედვით, ცალკე მეცნიერებათაA დარგად მოიაზრებოდა საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიასთან ერთად. თუ დავაკვირდებით სიას, ვნახავთ, რომ ქართული ლიტერატურის ქრესტომათიიდან საგანგებოდ არის შერჩეული ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც გარდა უმაღლესი ქართული ლიტერატურული ნიმუშებისა, მოქალაქე-ჯარისკაცისათვის, ეროვნული ცნობიერების და ეროვნული იდენტობის განსაზღვრის სანიმუშო მაგალითებსაც წარმოადგენენ. ეს ნაწარმოებებია:

II. ცალკე მეცნიერებათა დარგიდან

1. ქართული სიტყვირების მოკლე მიმოხილვა. ა/ შოთა რუსთაველი. I) ვეფხისტყაოსნის მოკლე შინაარსი ზეპირად. 2/ პირველი და მეორე თავის ლექტორის მხრიდან წაკითხვა სანიმუშოდ. 3/ რამდენიმე სენტენცია საზეპიროდ.

2. ნიკოლოზ ბარათაშვილი – ბედი ქართლისა.

3. რაფიელ ერისთავი – ლექსი გლეხის ცხორვებიდან. ბერუას ჩივილი. სესიას მოთქმა დ სხვ. ასპინძის ომი.

4. ილია ჭავჭავაძე – დიმიტრი თავდადებული. კაკო ყაჩაღი. კაცია-ადამიანი და გლახის ნაამბობი. შინაარსის ზეპირად გადაცემა და ზოგიერთი სანიმუშო ადგილების ზეპირად წაკითხვა.

5. აკაკი წერეთელი – ალექსი. ბაგრატ დიდი. თორნიკე ერისთავი. ნათელა. ნაცარქექია. კიკოს ნაამბობი.

6. ალექსანდრე ყაზბეგი – ელგუჯა, ელისო, მოძღვარი.

7. ეგნატე ნინოშვილი – მოსე მწერალი, პალიასტომის ტბა. განკარგულება. გოგია უიშვილი.

8. გიორგი წერეთელი – კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა.

III. საქართველოს გეოგრაფია

1. ცა და დედამიწა. ზღვა და ხმელეთი.

2. მზე, მთავრე და ვარსკვლავები

3. ღრუბელი, წვიმა, სეტყვა, თოვლი, ქარი და ცისარტყელა

4. სითბო დედამიწის გულში, მიწისძვრა.

5. დედამიწის სახე და მისი ტრიალი ღერძის გარშემო.

6. საქართველოს საზღვრები, მდინარეები, მთები და ჰავა. მიმოსვლის საშუალებანი.

7. ქართლი/ ფიზიკური და კონოგრაფიული მიმოხილვა.

8. კახეთი.

9. დასავლეთ საქართველო – იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი, აჭარა.

10. აფხაზეთი.

11. მეზობელი ხალხების, სახელმწიფობის, სომხების, აზერბაიჯანის, ოსმალეთის, რუსეთის მოკლე გეოგაფიული მიმოხილვა და საქართველოსთან შედარება.

12. მოკლე გეოგრაფიული, ეკონომიკური და სახემლიწიფოებრივი ცნობები ევროპის და ამერიკის განათლებულ ხალხთა ცხორვებიდან.

IV. ისტორია

მოკლე ისტორიული მიმოხილვა თამარ მეფის ეპოქამდე.

1. თამარ მეფე

2. საქართველოს დანაწილება სამეფოებად და სამთავროებად.

3. შაჰ-აბაზის დამოკიდებულება საქართველოსთან

4. გიორგი სააკაძის თავგადასავალი

5. ერეკლე მეფე

6. რუსეთთან ხელშეკრულების ისტორია / ამერეთში და იმერეთის სამთავროებში.

7. რუსეთის წინააღდმეგ ბრძოლა / მთიულეთი, იმერეთი, თავად-აზნაურთა შეთქმულება 1830 –იან წლებში.

საუბრის სახით:

1. საიდან წარმოსგდა ჯარი და რა არის დისციპლინა, დისციპლინა, როგორც აუცილებელი პრობა ჯარის არსებობისა.

2. ჯარი და ხალხი, მათი შორის დამოკიდებულება.

3. ჯარში მტკიცე დისციპლინის არსებობდა თვით ჯარისკაცების ინტერესს შეადგენს.

4. როგორი მნიშვნელობა აქვს მტრის ბანაკში შიშის გრძნობის აღძვრას გამაჯვების მოპოვების საქმეში.

5. მტრის ბანაკში შიშის გაოსაწვევად როგორი იერიშით წასვლაა საჭირო მტერზედ.

6. მოგერიების დროს როგორი მოქმედებაა საჭირო- მოიერიშე ჯარში შიშის გრძობის გამოსაწვევად. სწრაფად საფარის გაკეთების მნიშვნელობა. მდებარეობასთან შეგუების და შარში სწრაფად გაშლის მნიშვნელობა – ბრძოლის დროს.

7. წესრიგისა და სულიერი სიმშვიდის შენარჩუნების მნიშვნელობა უკან დახევის დროს. უწესრიგოდ უკან დახევის გამანადგურებელი შედეგი.

8. იერიშის შემდეგ სწრაფად წესრიგის აღდგენისა და მტრისათვის დაშენის მნიშვნელობა გამარჯვების შენარჩუნების საქმეში.

9. რა მნიშვნელობა აქვს განკარგულების სწრაფად და სისწორით შესრულებას თვით ჯარისკაცთა სიცოცხლის შენარჩუნების საქმეში და სხვა. [271]

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საჭირო გახდა პროპაგანდისტული ღონისძიებების ჩატარება ქართულ ჯარში. ამ თვალსაზრისით, სამხედრო თემატიკის ჟურნალ-გაზეთებში, სპეციალურ პროპაგანდისტულ რუბრიკებს ბეჭდავდნენ. ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, სამხედრო ჟურნალ-გაზეთების პროპაგანდისტული რუბრიკები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ საგანმანათლებლო პოლიტიკის გააზრებისათვის 1918-1921 წლების ქართულ ჯარში: ერთი მხრივ, ყოველი მათგანი პროპაგანდისტული ხასიათისაა, მეორე მხრივ, აცნობს ჯარისკაცს საქართველოს ისტორიას, უამბობს ქართველი მეფეების და მებრძოლების შესახებ და ამგვარად ამძაფრებს პატრიოტულ-ეროვნულ მოტივებს ჯარისკაცის ცნობიერებაში.

1921 წელს ჟურნალ "სახალხო გვარდიელში" დაიბეჭდა სტატიების სერია, სადაც აღწერილი იყო სახალხო გვარდიის 1920 წლის სამოქმედო ანგარიში და შეფასებები. სამხედრო და მილიტარისტული მოქმედებებისა გარდა, ყურადღება დაეთმო სახალხო გვარდიის კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის შეფასებასაც. სტატიაში "სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-განმანათლებელი მოძრაობა სახალხო გვარდიაში 1920 წ." ვკითხულობთ, რომ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კულტურულ-განმანათლებელმა განყოფილებამ 1920 წელს უფრო მეტი გავცელება ჰპოვა. სახალხო გვარდიაში გააფართოვა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ატარებდა ლექციებს სოციალისტურ-პოლიტიკური მოძღვრების შესახებ, ავრცელებდა ლიტერატურას. ელემენტარული ცოდნის მისაღებად, სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა მოაწყო წერა-კითხვის შესასწავლი სკოლები, გამართა საღამოები, ჩაატარა სახალხო და საოპერო წარმოდგენები. სხვადასხვა დანაყოფებში გაიხსნა სამკითხველოები და ბიბლიოთეკები. განყოფილება ყურადღებას აქცევდა გვარდიის მუდმივ და მთავარ ნაწილებს და კულტურულად ჩამორჩენილ რაიონებს. ასევე, აგზავნიდა მომხსენებლებს, რომლებიც ლექციებს ატარებდნენ და აზიარებდნენ გვარდიელებს თანამედროვე დემოკრატიული საქართველოს წესწყობილებას, აცნობდნენ ევროპული ქვეყნების

[271] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N1072, ფ. 20-21-23-24.

ისტორიას, პოლიტიკურ წყობილებას. თბილისის სახელმწიფო თეატრებში გვარდიელებისათვის გაიმართა დრამატული და საოპერო წარმოდგენები. დუშეთში, თბილისის გვარდიის ბატალიონში, გვარდიის საარტილრიო ბრიგადაში გაიხსნა სპციალური თეატრები ჯარისკაცებისათვის, აზერბაიჯანის ფრონტზე, ახალციხეში, ცხინვალში მოეწყო კინემატოგრაფიული ჩვენებები. ფრონტზე ვცელდებოდა ჟურნალ-გაზეთები: "საქართველოს რესპუბლიკა", "სახალხო საქმე", ჟურნალი "სახალხო გვარდია", კარლ კაუცკის წიგნები და ა.შ. ამავე წელს დაიწყო მუშობა საისტორიო წყაროების გვარდიელთათვის მოსაგროვებლად.[272]

ქართულ ჯარს და გვარდიას ლექსებს უძღვნიან ქართველი გმოჩენილი პოეტები გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი. მაგალითისთვის, დავასახელებთ გიორგი ქუჩიშვილის ლექსს:

გვარდია

შეხედეთ, რა ამბავი აქვთ

ჩვენს მედგარ შევარდნებსა,

დედა სამშობლოს საზღვრებზე

მტებიდან მთებზე მფრენებსა,

თავისუფლების დარაჯებს

და დროშის დამამშვენებსა!

გული მიმღერის, როდესაც

ვხედავ ჩვენ გვარდიელებსა,

შოთა რუსთაველის რაინდებს,

ავთანდილ-ტარიელებსა,

ქაჯეთის ციხის ამღებთა,

[272] ჟურნალი „სახალხო გვარდიელი," 1921, N2, გვ.10.

ნესტანის გამომხსენელებსა![273]

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კულტურულ-განმანათლებელ სექციას ჰქონდა თავისი მიზნები. კერძოდ კი, ითვლებოდა, რომ თანამედროვე გვარდიას არა მხოლოდ სამხედრო-თავდაცვითი, არამედ პოლიტიკურ - ისტორიული როლი უნდა შეესრულებინა დემოკრატიული ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერების საქმეში. მას მიზნად უსახავდნენ საზოგადოებრივი, სოციალისტური და დემოკრატიული მოძღვრების გაძლიერებას. დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო საქმის მესვეურებს სწამდათ, რომ მოქალაქე-ჯარისკაცი თავის ამ მისიას პირნათლად შეასრულებდა, რადგანაც „ისტორიამ ქართველ ჯარისკაცს განსაკუთრებით სასახელო როლი არგუნა. იმ დროს როდესაც მთელ დედამიწაზე ჯარისკაცი მხოლოდ იარაღი იყო გაბატონებული კლასების ინტერესების დასაცავად, საქართველოს დემოკრატიულ რესუბლიკაში ჯარისკაცი იმედია დემოკრატიისა, თავმდებია, რომ მშრომელ მასას ხელიდან არ გაუსხლტდება ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება.“[274]

მოქალაქე-ჯარისკაცის მოქალაქეობრივი დანიშნულების შესახებ ვკითხულობთ სტატიაში “კულტურული მუშაობა ჯარში”, რომელიც არა ოფიციალურ განყოფილების სვეტში გამოქვეყნდა ჟურნალში „რესპუბლიკის ჯარი.“[275] კულტურული მუშაობის გარეშე შეუძლებელია ჯარის სრულფასოვანი გაწვრთნა თუნდაც სამხედრო თვალსაზრისით. კულტურული ცხოვრებით დაინტერესება, მასებში ცოდნისადმი მისწრაფების გაღვივება ერის ბრწყინვალე განვითარების საწინდარია. სწორედ ცოდნა და განათლება აღვივებს ადამიანის და მათ, შორის ჯრისკაცის ეროვნულ ცნობიერებას, სამშობლოს სიყვარულს და მის მოქალაქეობრივ შეგნებას. მხოლოდ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე ჯარიკაცს შეუძლია საკუთარი ქვეყნის დაცვა და მისთვის თავგანწირვა: “ბრძოლოს ველზე შეიძლება დამარცხდეს, მაგრამ საღი ეროვნული გრძნობა, სამშობლო და თავისუფლების მოვალეობის შეგნება მოქალაქეობრივი ვალდებულება, - თუ სავსებით განმტკიცებულია მასაში, - იგი არასდროს დამარცხდება და სხვის უცხო ძალის

[273] *სახალხო გვარდიელი,* 1921, N2, გვ.8.
[274] პოდპორუჩიკი იოსავა. „პატარა წერილები,“ *რესპუბლიკის ჯარი,* 1918, N3, გვ. 10.
[275] „კულტურული მუშაობა ჯარში,“ *რესპუბლიკის ჯარი,* 1919, N9, გვ.8.

სათრეველად არ გახდება. ამ სულის და შეგნების დამკვიდრება-განმტკიცებაში კი კულტურულ განვითარებას და განათლების ფართოდ გავცელებას უსათუოდ პირველი ადგილი უკავია."[276] კულტურა და განათლება აცნობს მოქალაქე – ჯარისკაცს თავის სამშობლოს, მის ისტორიასა და წარსულს, ასწავლის, როგორ ემსახუროს მას. წარსული დიდების ან მარცხის ზედმიწევნით ცოდნა ეხმარება ჯარისკაცს ვის უნდა დაიცვას მან აწმყოში. მხოლოდ ასეთი ცოდნოთ და ამასთანავე, იარაღით აღჭურვილი უფრო მედგრად დაიცავს სამშობლოს.[277]

როგორც ვიცით, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, დაიწყო სხვადასხვა ადმინისტრაციული და სახელმწიფო დაწესებულებების ნაციონალიზაციის პროცესი. გამონაკლისი არც ქართული ჯარი და გვარდია აღმოჩენილა, მით უფრო, რომ მისი ნაციონალიზაცია პირდაპირ იყო დაკავშირებული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების იდეასთან. ქართული ენის გაძლიერებას სახელმწიფო აპარატის მშენებლობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პროცესს ვერც ჯარი და გვარდია გამოაკლდებოდა და სახალხო გვარდიის პირველმა ყრილობამ დაადგინა, რომ გვარდია გადასულიყო საქმის ქართულად წარმოებაზე. ჯარის ნაციონალზიაციამ არაქართველ მოსახლეობაში პროტესტი გამოიწვია. გაზეთ "საქართველოში" გამოქვეყნებულ სტატიაში სწორედ ამ პრობლემაზეა საუბარი. ავტორი მიუთითებს არაკეთილგანწყობილ რუს მოხელეებზე, ნიკოლოზის მონა-მოსამსახურეებზე, რომლებსაც "საქართველოს გაქართულება საკაცობრიო იდეალის ღალატი ჰგონიათ" და ქართველებს ნაციონალზიაციის გამო შოვინისტებს უწოდებენ.[278] ავტორისათვის, ქართული გვარდიის არსებობა ერის სასიცოცხლო მნიშვნელობას უტოლდება.

მაშინდელი ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა სამხედრო დაწესებულებების კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. (თითქმის ყველა სტატიაში გამოყენებულია სწორედ ეს ტერმინი "კულტურულ-განმანათლებელი" მუშაობა. შესაბამისად, გადავწყვიტეთ, რომ შეგვენარჩუნებინა ტერმინის ორიგინალური სახე). მცირე მოცულობის საგაზეთო სტატიები პროპაგანდისტული რუბრიკები აღწერენ,

[276] იქვე.
[277] „სწავლა-განათლება ჯარში," *რესპუბლიკის ჯარი,* 1919, N13, გვ.6-7.
[278] ჩუნეშელი, კ. „სახალხო გვარდიის ნაციონალიზაციის შესახებ," *საქართველო,* 1919, N21, გვ.4.

პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზანშეწონილობას. ამ რუბრიკებში იბეჭდებოდა მასალები მთლიანად არმისა და გვარდიაში, ასევე მათ ცალკეულ ნაწილებში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაზე. ნაშრომის ამ ნაწილში საჭიროდ მიგვაჩნია საგაზეთო სტატიების მიმოხლვაც ამ თვალსაზრისით.

გაზეთი „ერთობა" წერს, რომ სამხედრო სამინისტროს კულუტურულ-განმანათლებელმა სექციამ შეადგინა პროექტი სკოლების სამკითხველოებისა და სახალხო უნივერისტეტების მოწყობისათვის. სახალხო გვარდიის ყველა არსებულ ნაწილში დაარსდა ელემენტარული ცოდნისა და წერა-კითხვის შესასწავლი სკოლები. თბილისში 4 ასეთი სკოლის არსებობდა. ასევე, ახალციხეში, ახალქალაქსა და დუშეთში. სააგიტაციო საქმიანობაში ჩარტულნი იყვნენ ერობათა თვითმმართველობები და პარტიული ორგანიზაციები.[279] ჯარის ნაწილებში ტარდებოდა ლექციები საქართველოს ისტორიაში, გეოგრაფიასა და ჯარისკაცები ასევე გაეცნენ იტალიის ისტორიასაც. საჯარისო დანაყოფებში ხშირი იყო თეატრალური და საოპერო დადგმებიც. მაგალითად, 1920 წლის 18 იანვარს ჯარისკაცებს მიეცათ საშუალება მოესმინათ ქართული ოპერისათვს "აბესალომი და ეთერი". საოპერო დადგმამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. [280]

ჯარისკაცები საქართველოს ისტორიას არა მხოლოდ სალექციო კურსებით ეცნობოდნენ, არამედ ისინი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდების აღსანიშნ ღონისძიებებსაც ესწრებოდნენ. მაგალითად, 1920 წლის 23 აპრილს სამხედრო ტაძრის გალავანში ჩატარდა ასპინძის ომის 150 წლისთავი. აღლუმს ხელმძღვანელობდა გენერალი გედევანიშვილი. აღლუმი ჩაიბარა მთავარსარდალმა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ. ჯარს სიტყვით მიმართა სამხედო მინისტრმა გრ. ლორთქიფანიძემ და სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა ასპინძის ომის მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიაში. მან პარალელი გაავლო იმ რეალობასთან, რომელიც ემუქრებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ბოლშევიკური ჯარებისა და "ბარბაროსული აზიისგან" (იგულისხმება მაშინდელი აზერბაიჯანიდან მომდინარე საფრთხეები). მინისტრი თვლიდა, რომ მათი თანამშრომლობა

[279] „კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში," *ერთობა,* 1920, N124, გვ.3.
[280] „სამუსიკო მუშაობა სახალხო გვარდიაში," *ერთობა,* 1920, N143, გვ.4.

დემოკრატიული ქვეყნის წინაამღდეგ, პირველ რიგში, საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სუვერენინეტს და ასევე, ქართულ კულტურას.[281]

ცალკე აღნიშნიშვნის ღირსია კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის მნიშვნელობა სანაპირო ჯარებში ქვეყნის საზღვრებზე. რადგანაც ისინი სრულიად მოწყვეტილნი იყვნენ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულ საჯარისო დანაყოფებს, მათზეც ვრცელდებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები ჯარის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის თვალსაზრისით. სანაპირო ჯარებში აქტიურად მიმდინარეობდა ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, კულტურულ-განმანათლებელი გამგეობების დაარსება.[282] ერთ-ერთი სტატიიდან ვიგებთ, რომ სანაპირო რაზმს, რომლის ძირითად შემადგენლობასაც ქართველი მუსლიმები შეადგენდნენ არტაან-ტროცკოის საზღვარზე, დაურიგდათ ბროშურები, ჟურნალ-გაზეთები, ჩაუტარდათ საპროპაგანდო ლექციები. ერთ-ერთ ბროშურაში "ქართველი მუსულმანი" აღწერილი იყო ისტორიული ცნობები "ჩვენის ძმების მაჰმადიან ქართველებზე". არტაანის ოლქის სოფელ ქვათანაქებში მხოლოდ ქაღთველი მუსლიმები ცხოვრობდნენ და ჯარისკაცებმა მათ თავიანთ ენაზე უზიარებდნენ ბროშურის შინაარს, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია მათში.[283] ეს მაგალითი კიდევ ერთი დადასტურებაა იმ გარემოების, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ზოგადი პოლიტიკა და მათ შორის, კულტურულ-განმანათლებელიც ერთნაირად იყო საქართველოს ყევლა ეთნიკური ჯგუფისადმი და არ განარჩევდა მათ რაიმე ნიშნით. ეს პოლიტიკა ითვალისწინებდა ერის გამაერთიანებელ და ერთიან პოლიტიკას.

ქართულ ჯარში კულტურულ-საგანამანთლებლო პოლიტიკის გატარება მოწმობს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებისათვის განათლება და მასთან დაკავშირებული სარეფორმო ღონისძიებები ჯარისკაცებში საღი

[281] მდივანი მ.ნ. „კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში," *ერთობა,* 1920, N121, გვ.4.
[282] ალე. „კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში," *საქართველოს რესპუბლიკა,* 1920, N145, გვ.4.
[283] გორგაძე, ალ. „კულტურული მუშაობა სანაპირო ჯარში," *საქართველოს რესპუბლიკა,* 1920, N159, გვ.4.

პატრიოტიზმის გაღვივების მექანიზმი იყო, რადგან ის ჩამოყალიბებულიყო „სრულ საიმედო შეიარაღებულ ორგანიზაციად.“[284]

5.3. ეროვნულ უმცირესობათა განათლების საკითხი 1918-1921 წლებში

ჟურნალისტი და ისტორიკოსი ერიკ ლი წიგნში „ექსპერიმენტი. საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921“ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისადმი მიძღვნილ თავში აღნიშნავს, რომ “ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეროვნული უმცირესობების უფლებებისა სწამდათ, მაგრამ ეს საკითხი მაინც აქილევსის ქუსლს წარმოადგენდა დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთათვის.”[285] საქართველოს კონსტიტუციის მიერ ნაგულისხმევი მულტიკულტურული გარემოს შექმნის იდეა სხვა რეალობასთან შეჯახებამ დაანგრია და ერიკ ლი ეთანხმება მკვლევარ ემილ სულეიმანოვის მოსაზრებას: სხვა სახელმწიფოებს, კერძოდ რუსეთს, ეთნიკური კონფლიქტებზე ხელის მოთბობა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რეგიონში თავისი გავლენების განსამტკიცებლად. ახალ რესპუბლიკას უფრო დიდ საფრთხესაც კი [ვიდრე დენიკისგან მომავალი საფრთხე] უქმნიდა ბოლშევიკების მიერ სამხრეთ ოსეთის ოსებისა და აფხაზების წაქეზება ... საქართველოს სუბეთნიკური რუკის მოზაიკურობა ძალზე ეფექტური იარაღი გამოდგა გარე ძალთა ინტერვენციისათვის ქვეყნის ისტორიის უახლოეს პერიოდში ... ეს ფაქტორი უმთავრეს კოშმარად ექცათ ქართველ ინტელექტუალებსა და სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც ქვეყნის იდეოლოგიურ-პოლიტიკური ერთიანობის შენარჩუნებას ცდილობდნენ.[286] ვფიქრობთ, ეს ზუსტი შეფასებაა იმ ურთიერთმიმართებებისა, რომელიც განვითარდა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის. ერიკ ლისგან განსხვავებით, გადაჭარბებულ ნაციონალიზმში ადანაშაულებს დემოკრატიულ რესპუბლიკას ისტორიკოსი ფირუზ ქაზემზადე წიგნში “ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921”.[287] ავტორი აღნიშნავს, რომ ხელისუფლებაში

---

[284] *რესპუბლიკის ჯარი,* 1918, N1, გვ.4.

[285] ლი, ერიკ. *ექსპერიმენტი. საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921* (თბილისი:Poezia Press, 1918), გვ. 181.

[286] იქვე, გვ. 182-183.

[287] ხვედელიანი, ანა. „ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლება 1918-1921,“ *SOVLAB საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,* http://archive.ge/ka/blog/96 (ნანახია 18.07.2022).

მოსვლის შემდეგ, ქართველი მეწშევიკები ქართველი ხალხის მოძლიერებულ ნაციონალიზმს უნდა აჰყოლოდნენ. ნაციონალიზმის ვირუსი მოულოდნელი სისწრაფით ვრცელდებოდა და სახელმწიფოს ყველა ორგანოს ედებოდა. ნაციონალიზმისაკენ გადაგმული ნაბიჯი იყო რევოლუციის წითელი ალმის ეროვნული დროშით ჩანაცვლება, რომელზეც საქართველოს მფარველი წმინდა გიორგი იყო გამოსახული. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ქართული ენა ერთადერთ ენად გამოაცხადა, რომელზეც მის წევრებს შეეძლოთ გამოსვლა. ერთადერთი ენა – რუსული, რომელიც ყველას ესმოდა, კანონგარეშედ იყო გამოცხადებული. ქართულის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ უმუშევრად დატოვა რუსი და სომეხი მოქალაქეები და ა.შ. ბოლოს ავტორის მოჰყავს ინგლისელი კორესპონდენტის ციტატა, რომლის თანახმადაც, მან საქართველოში "იმპერიალისტი მცირე ერის" კლასიკური ნიმუში დაინახა.[288] შთაბეჭდილება რჩება, რომ ავტორი ადანაშაულებს დემოკრატიულ რესპუბლიკას მიზანმიმართულ და შოვინისტურ ნაციონალიზმში, რომელმაც გამოიწვია მთელი რიგი რყევები და დაპირისპირებები ქვეყნის შიდა და გარე ძალებთან. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის არსებობის 1028 დღეს ნამდვილად არ ჩაუვლია მშვიდად და მას არც ომი და დაპირისპირებები დაჰკლებია, ფირუზ ქაზემზადეს ეს მოსაზრება სუბიექტურ განწყობებს შეიცავს და ფაქტობრივ მტკიცებულებასაც არის მოკლებული. კონსტიტუციურად დამტკიცდა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღიარებდა ეთნიკურ უმცირესობებს; ხელს უწყობდა მათ უფლებრივ, კულტურულ და ეთნიკურ თვითგამორკვევას. თუმცა, მათგან ეროვნული პროექტის მიმართ ლოიალობას მოითხოვდა.[289] ურთიერთობები ეროვნულ უმცირესობებსა და მთავრობას შორის მაინც წინააღდმეგობრივ ხასიათს ატარებდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია განათლების საკითხების დარეგულირება ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში. სანამ უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მიმოვიხილოთ საკონსტიტუციო კომისიის მიერ ეროვნული უმცირესობებისათვის შემუშავებული უფლებები, რადგანაც განათლების

[288] ქაზემზადე, ფირუზ. *ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921* (თბილისი: Poezia Press, 2020), გვ. 245-247.

[289] ხვედელიანი, ანა. „ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლება 1918-1921," *SOVLAB საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,* http://archive.ge/ka/blog/96 (ნანახია 18.07.2022).

და კულტურის საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული უმცირესობების უფლებებთან.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე დღეს, ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს ფარგლებში მოსახლე სხვადასხვა ერის უმცირესობა ისეთივე უფლებამოსილია, როგორც ქართული სახელმწიფოს უმრავლესობა _ ქართველი მოსახლეობა."[290] დამოუკიდებლობის აქტის მე-5 და მე-6 მუხლში კი ხაზგასმულია, რომ "5) საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნების, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს".[291] აღსანიშნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ესწრებოდნენ და სიტყვითაც მიმართეს ოსების, მუსლიმი ქართველების, პოლონელების, გერმანელების წარმომადგენლებმა.[292]

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 15 ივნისის დეკლარაციაში ვკითხულობთ: "მთავრობა თავის მოვალეობად მიიჩნევს, ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღიარებული დებულება, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნება თვით ქართველი მოქალაქენი."[293] დეკლარაციებიდან ცხადი ხდება, რომ პირველივე დღიდანვე, დამოუკიდებელი რესპუბლიკის პოლიტიკა ეროვნული უმცირესობების მიმართ ტოლერანტული იქნება. ეროვნული უმცირესობების უფლებებმა, ასევე მათი განათლებისა და კულტურული თვითგამორკვევის საკითხებმა, საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში მიიღო.

---

[290] „ნ. ჟორდანიას მისალმებითი სიტყვა," *საქართველო*, 1918, N102, გვ.1.
[291] იქვე.
[292] იქვე, გვ. 2.
[293] „მთავრობის დეკლარაცია (საქართველოს ეროვნულ საბჭოს 15 ივნისის სხდომაზე წაკითხული)," *ერთობა,* 1918, N123, გვ.2.

“ეროვნული უმცირესობების უფლებები კონსტიტუციის მე-14 თავში აისახა. ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს საკუთარ ენაზე სწავლისა და განვითარების უფლება ეძლეოდა, ისევე როგორც საკუთარი თვითმმართველობებისა და კავშირების დაარსების შესაძლებლობა. თავიანთი უფლებების დასაცავად, მათ შორის აღნიშნული კავშირების საშუალებით, ისინი უფლებამოსილნი იყვნენ, სასამართლოსთვის მიემართათ.[294] როგორც ვხედავთ, კონსტიტუციაში განსაზღვრულია ეროვნული უმცირესობების განათლების ხელმისაწვდომობისა და კულტურული თვითგამორკვევის უფლებები სახელმწიფოს მხრიდან მასში ჩაურევლობის გარანტიით, თუმცა, ეროვნულ უმცირესობათა მიერ სახელმწიფო კანონისა და კონსტიტუციის დაცვის საფუძვლებზე. მართლაც, სამართლებრივ აქტში დეკლარირებული დაპირებები თანმიმდევრულად ვითარდებოდა კიდეც პრაქტიკაში: საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ეთნიკურ უმცირესობას ჰქონდა საკუთარი ეროვნული საბჭო, შეუზღუდვად მუშაობდნენ ეთნიკური ნიშნით აღმოცენებული პოლიტიკური ორგანიზაციები. საქართველოში ფუნქციონირებდა 80 სომხური, 60 რუსული, 31 აზერბაიჯანული (თათრული) სკოლა. თბილისში დაფუძნდა რეალური გიმნაზია, საფუძველი ჩაეყარა პირველდაწყებით განათლებას აფხაზურ და ოსურ ენებზე. უმცირესობები შედიოდნენ საქართველოს ეროვნულ საბჭოში და ა.შ.[295] თბილისის სასწავლებლები ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ნაწილდებოდა. ასეთი იყო ვაჟთა 1-ლი, მე-2, მე-5 სასწავლებლები. მე-7, მე-8 გიმნაზიები დაეთმოთ ქართველების. მე-3, მე-4 და მე-5 სასწავლებლები კი შერეული პრინციპით გადანაწილდა სომეხი და რუსი მოსწავლეებისათვის. ქალთა სასწავლებლებიც შერეული პრინციპით განაწილდა: აქ ერთად იყრიდნენ თავს ქართველი, რუსი და სომეხი მოსწავლეები. ეროვნული უმცირესობებისათვის გამოიყო უმაღლესი დაწყებითი და დაბალი სკოლებიც. სოხუმის საოსტატო სემინარიასთან დაარსდა პარალელური კლასები აფხაზებისათვის, ხოლო ოსეთში კი – უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი ჯავაში. მოეწყო პედაგოგიური კურსები მუსლიმთა სკოლების მასწავლებელთათვის. [296] დამფუძნებელი კრების განათლების

[294] პაპუაშვილი, გიორგი. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან,“ *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია*, (ბათუმი: 2013), გვ.15.

[295] ჯანელიძე, ოთარ. *საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია* (თბილისი: 2009), გვ. 123.

[296] საყვარელიძე, გიორგი. *მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა 1918-1921* (თბილისი: 1992), გვ.9.

კომისიაში დაადგინეს, რომ "ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მიმართ კვლავაც წარმოებული უნდა იყოს სახელწიფოებრივი პოლიტიკა მათი ეროვნულ-კულტურული უფლებების დაცვით".[297]

დამფუძნებელი კრების წევრი და საკონსტიტუციო კომისიის თავჯდომარე, პარმენ საყვარელიძე წერილში "საქართველოს კონსტიტუციისათვის (ეროვნული უმცირესობანი)"[298] აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც რევოლუციების ქარცეცხლმა გადაურა ძველ იმპერიებს და გამოიწვია მათი დაშლა, გარდაუვალმა ისტორიულმა პროცესებმა წარმოქმნა ეროვნული სახელმწიფოები. ცალკეულ ერებში ნაციონალური სახელმწიფოების წარმოქმნას დემოკრატიული განვითარება და დემოკრატია იწვევს. ასე მოხდა საქართველოს შემთხვევაშიც. ერი სოციალური ორგანიზმია, რომელიც აღჭურვილია სახელმწიფო ორგანოებით. მათი არსებობა გარანტიაა ქვეყნის სამართლიანი, მშვიდობიანი განვითარებისათვის. ერთ-ერთ ასეთ ორგანულ საკითხს ეროვნული უმცირესობების საკითხის დემოკრატიული გზით გადაწყვეტა წარმოადგენს. ეროვნულ უმცირესობათა საკითხი, პირველ რიგში, დაკავშირებულია ეროვნულ საკითხთან. შემდგომ კი, _ ქვეყნის სახელმწიფოებივობის იდეალთან, რადგან მათი უფლებების განსაზღვრა მის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მოვალეობად მიაჩნია. თუმცა, იმისათვის, რომ მოხდეს ეროვნულ უმცირესობათა საკითხის იდეალურად გადაწყვეტა, საჭიროა ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა "ერის კოლექტიური პირადობის თავდაცვისათვის".[299]

პარმენ საყვარელიძე საკონსტიტუციო კომისიაში გამართულ დისკუსიებშიც ღიად აცხადებდა, რომ ეროვნული სახელმწიფოს დაარსება, მისი განვითარება, ეს არის საკითხის იდეალურად გადაწყვეტა. დემოკრატია ვერ განვითარდება იქ, სადაც ეროვნული ნიშნით ჩაგვრას აქვს ადგილი. რუსეთის იმპერიის პირობებში ქართველი ინტელექტუალები თუ ავტონომიის უფლების მოპოვებაზე ფიქრობდნენ, 1918 წლის შემდეგ ქვეყანა სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდა და ამ რეალობას ქართული ეროვნული სახელმწიფოს დაარსება ჰქვია.[300] პარმენ საყვარელიძის აზრით, არსებობს

---

[297] სცსსა, ფონდი N1883, ანაწერი N1, საქმე N 265, ფ.111.
[298] საყვარელიძე, პარმენ. „საქართველოს კონსტიტუციისათვის. ეროვნული უმცირესობანი," *საქართველოს რესპუბლიკა,* 1920, N68, გვ.2.
[299] იქვე.
[300] სცსსა, ფონდი N1822, ანაწერი N1, საქმე N181, ფ.121.

სამი მიზეზი, რომელიც ამტკიცებს ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უპირატესობას: 1) ნებისმირი სახელმწიფო ცდილობს უფლებრივი ორგანოების, იგივე თვითმმართველობების შექმნას და ეს არის აუცილებელი პირობა მისი თავისუფალი განვითარებისათვის. 2) მეორე მიზეზი დემოკრატიული მოტივია. დემოკრატია ვითარდება იქ, სადაც არ არის ერთა შორის ბრძოლა. ასეთი კი ნაციონალური სახელმწიფოა. 3) დემოკრატიის მაღალი ხარისხი და ერთა შორის მშვიდობა არის წინაპირობა კულტურის განვითარების. სამივე მიზეზი ერთმანეთისგან გამომდინარეობს და ქმნის ნიადაგს ეროვნული, დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების, რომლის მოსახლეების უმეტესობა ქართველია. შესაბამისად, "ჩვენ ვდგევართ ეროვნული სახელმწიფოს ნიადაგზე და მისი ინტერესების თვალსაზრისით ვშინჯავთ ეროვნულ უმცირესობათა საკითხს" _ აცხადებს პარმენ საყვარელიძე.[301] ამ დროისათვის უკვე არსებული კანონმდებლობით, სახელმწიფო აღიარებდა ყველა მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა. არ განასხვავებდა მას სარწმუნოების მიხედვით და თავისუფალი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი არჩევანის უფლებას ანიჭებდა, იქნებოდა ეს პროპორციული არჩევნების სისტემის პრაქტიკა, სოციალური საკითხი, ენის გამოყენების საკითხი სასამართლოებსა და თვითმმართველობებში და ა.შ.[302] ეს მონახაზი თვალსაჩინოს ხდის, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლების ამოსავალი წერტილი ეროვნული საკითხია, რომლის გარშემოც უნდა გაიშალოს სხვათა უფლებები დემოკრატიზმის პრინციპით. [303]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში, საქართველოში არსებობდა 15 ეროვნული საბჭო. მათ საკონსტიტუციო კომისიაში წარადგინეს პროექტები, სადაც განსაზღვრეს თავიანთი მოთხოვნები. საკონსტიტუციო კომისიის მასალებში დაცულია სულ შვიდი პროექტი: 1) რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ წარდგენილი პროექტი ერონული უმცირესობების უფლებების შესახებ. 2) სომეხთა ეროვნული საბჭოს მიერ შემუშავებული საქართველოში სომეხთა ეროვნული თვითმმართველობის კონსტიტუციის თეზისები; 3) საქართველოს ბერძენთა (ელინი)

[301] იქვე.
[302] იქვე.
[303] ხვედელიანი, ანა. „ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლება 1918-1921," *SOVLAB საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,* http://archive.ge/ka/blog/96 (ნანახია 18.07.2022).

მოქალაქეების მე-2 ყრილობის მიერ მიღებული საქართველოს ელინთა თვითმმართველობის სტატუსის პროექტი. 4) აღმოსავლეთ საქართველოს მაჰმადიანთა უფლებების პროექტი; 5) სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს მიერ წარმოდგენილი სამხრეთ ოსეთის კანტონის კონსტიტუციის პროექტი; 6) ამიერკავკავსიის გერმანელთა კავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი საქართველოში გერმანელთა კულტურული ავტონომიის შესახებ. 7) საქართველოს რესპუბლიკის ებრაელთა ეროვნული უმცირესობის უფლებათა პროექტი.[304] როგორც მალხაზ მაცაბერიძე აღნიშნავს, მხოლოდ რუსთა ეროვნული საბჭო ცდილობდა გამოსულიყო ზოგადი კონსტიტუციური პრინციპებიდან და ჩამოეყალიბებინა ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებები და გარანტიები. დანარჩენ პროექტებში კი ჩამოყალიბებული იყო მხოლოდ შესაბამისი ეროვნული უმცირესობების მოთხოვნები.[305]

ჩვენ თითოეული პროექტის განხილვას არ შევუდგებით. მაგრამ, აღვნიშნავთ, რომ კომისიის წევრებს შორის, გამოიკვეთა სამი პოზიცია: მთლიანად დაეკმაყოფილებინათ მათი მოთხოვნები, მიეცათ თვითდაბეგვრისა და კულტურული უფლებები, ან საჯარო უფლებების მინიჭების გარეშე ეროვნული უმცირესობებისათვის მიეცათ დიდი გარანტიები. [306]

სახელმწიფო ინტერესები არ ითვლისწინებდა ასეთი ტიპის პროექტების ლეგიტიმაციას. ზოგადად, ეროვნული საბჭოების გამჭირვალობა არასაკმარის ნდობას აღძრავდა საზოგადოებაში. სწორედ ამის შესახებ ვკითხულობთ გაზეთ "ერთობაში" გამოქვეყნებული სტატიაში "ეროვნული საბჭოები". ავტორი, რომლის გვარიც არ არის მითითებული, აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ეროვნული საბჭოების მიზნები სცდება კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესების ფარგლებს. "მათ გადაუწყვეტიათ როგორც საგარეო, ისე საშინაო საქმეებში თავის ეროვნების წარმომადგენლობა იკისრონ. ისინი ნებსით თუ უნებლიეთ ივიწყებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არავის გარდა ადგილობრივი მთავრობისა, ნება არ აქვს

[304] მაცაბერიძე, მალხაზ. *ერი-სახელმწიფოს კონცეფცია და საქართველოს 1921 წლის კონსტუტუცია* (თბილისი: 2015), გვ. 31.
[305] იქვე.
[306] იქვე, გვ.40.

დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის სფროში. ისინი ივიწყებენ, რომ სახელმწიფო არის ორგანიზაცია სუვერენული უზენაესობით აღჭურვილი და ამიტომ წარმოუდგენელია, მის გვერდით არსებობდებს რომელიმე სუვერენული ორგანიზაცია. ეს იქნებოდა სახელმწიფო სახელმწიფოში."[307] საკონსტიტუციო კომისიის საარქივო მასალებზე დაკვირვება თვალსაჩინოს ხდის, რომ ამ პროექტებმა კომისიის წევრებს შორის უნდობლობა გამოიწვია. თუ რა სახის უნდობლობაზე იყო საუბარი, აკაკი ჩხენკელის მოსაზრებას დავიმოწმებთ: "ეროვნულ უმცირესობათა პროექტები უნდობლობას შეიცავს ჩვენი რესპუბლიკისადმი და რასაკვირველია, ჩვენც მათ პროექტებს არ უნდა დავემყაროთ. ჯერ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენი სახელმწიფოს უფლებებზე".[308] აკაკი ჩხენკელი თვლიდა, რომ ეს იყო მეტისმეტად დამაფიქრებელი და საშიში გარემოება. მთავრობის მოვალეობა იყო, ამ უნდობლობის გაქარწყლება და მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა. უმცირესობებისათვის საჯარო უფლებების მინიჭების საკითხი იყო ის მთავარი თემა, რომლის გამოც კომისიის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. საკონსტიტუციო კომისიის თავჯდომარის, პარმენ საყვარელიძის აზრით, ასეთი ორგანიზაციის დაწესება არღვევდა მტკიცე ეროვნული სახელმწიფოს იდეას და მიუღებელი იყო სახელმწიფოში ახალი სახელმწიფოს ან რაიმე საჯარო უფლებრივი ორგანიზაციების შექმნა.[309] ასეთი ორგანიზაციები თითქმის სახელმწიფოს უფლებების მატარებელია და გამოდის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე იქნებოდა კიდევ 15 სახელმწიფო, რადგანაც უკვე არსებობდა 15 ეროვნული საბჭო.

რადგანაც ჩვენი კვლევის საკითხი განათლების პოლიტიკის პრიზმიდან ამოდის, ამიტომაც ყურადღებას გავამახვილებთ საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ იმ დებულებებზე, რომლებიც განათლების, ენის, კულტურული თვითგამორკვევის საკითხებს ეხება. 1920 წლის 5 მაისის სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიამ დაამტკიცა, რომ კონსტიტუციის პროექტის თავს ეროვნული უმცირესობების შესახებ საფუძვლად დასდებოდა პ. საყვარელიძის პროექტი. პროექტის თანახმად, ეროვნულ უმცირესობებს არ ეზღუდებოდათ თავისუფალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება,

[307] „ეროვნული საბჭოები," *ერთობა,* 1918, N230, გვ.1.
[308] სცსსა, ფონდი N1835, ანაწერი N1, საქმე N129, ფ.37-38.
[309] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N181, ფ.122.

განსაკუთრებით მათსავე დედა-ენაზე სწავლა-აღზრდა და ნაციონალურ-კულტურული საქმეების წარმოება. მიკუთვნებულობა ამა თუ იმ ეროვნულ უმცირესობისადმი განისაზღვრებდა ადამიანის ნება-სურვილით. კონსტიტუციისაა და კანონმდებლობის ფარგლებში, ეროვნულ უმცირესოებს შეეძლოთ დაეარსებინათ დემოკრატიულად არჩეული ნაციონალური კავშირები თავიანთი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოებისთვის. არავის ეზღუდებოდა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებები ნაციონალურ კავშირში მონაწილეობისათვის. უმცირესობები სკოლებში ისწავლიდნენ თავიანთ დედა-ენაზე, მაგრამ კანონი ავალდებულებდა, შეესწავლათ სახელმწიფო ენა. თუ რომელიმე თვითმმართველობის ფარგლებში მოსახლეთა უმეტესობა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი იქნებოდა, მაშინ მათ შეეძლოთ საქმის წარმოება სახელმწიფო ენასთან ერთად, თავიანთ მშობლიურ ენაზეც. გარდა სახელმწიფო ენისა, ეროვნული უმცირესობის ენის ცოდნა სავალდებულო იყო ადგილობრივი მმართველისა და მოსამართლისათვის.[310] სხვა ეროვნების მქონე დეპუტატს, რომელმაც არ იცოდა სახელმწიფო ენა, სიტყვის წარმოთქმა შეეძლო თავის ენაზე.[311]

საკონსტიტუციო კომისიის წევრთა ნაწილი ეთანხმებოდა პროექტში გაწერილ დებულებებს. ნაწილისთვის კი მსჯელობის საგანს წარმოადგენდა კვლავ უმცირესობებისათვის საჯარო უფლების მინიჭების საკითხი. მაგალითად, იასე ბარათაშვილს შესაძლებლად მიაჩნდა, უმცირესობებს ჰქონოდათ ცალმხრივი საჯარო უფლება, ვიდრე მხოლოდ უფლებრივი უზრუნველყოფით შემოსაზღვრა. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული სახელმწიფო იქმნება იმანენტური ძალით, მისთვის საშიშროებას არ უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელი საჯარო უფლებების მქონე ორგანიზაციები. მას მიაჩნდა, რომ ამ ორგანიზაციების საერთო სახელმწიფო კანონმდებლობის ფარგლებში მოთავსება სრულიად შესაძლებელი იყო. ეს საშუალებას მისცემდა ეროვნულ უმცრესობებს, თავიანთი უფლებები ფართოდ

[310] ხვედელიანი, ანა. „ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლება 1918-1921," *SOVLAB საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,* http://archive.ge/ka/blog/96 (ნანახია 18.07.2022).

[311] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N181, ფ.123.

განევითარებინათ.[312] იასე ბარათაშვილის მოსაზრება უარყოფილი იქნა საკონსტიტუციო კომისიის მიერ.

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის მიხედვით, ეროვნული თვითშეგნების წარმოქმნისა და განტკიცების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ენაა. როდესაც ადგილობრივი სალაპარაკო ენა სტანდარტიზებულ, გაზეთებისა და მედიის ენად იქცევა, ერის ჩამოყალიბების და მისი თვითგამორკვევის პროცესი დამამთავრებელ ეტაპზე გადადის, რამდენადაც ის უკვე თავს კულტურულ ერთობად მიიჩნევს. პავლე საყვარელიძის პროექტში, ენის და დედა-ენაზე სწავლების თავისუფლად არჩევის უფლება ენიჭებოდათ უმცირესობების წარმომადგენლებს. ენის საკითხიც იყო ის, რის გარშემოც ცხარე დებატები მიმდინარეობდა საკონსტიტუციო კომისიის წევრებს შორის.[313] მაგალითად, გიორგი გვაზავა განიხილავს შვეიცარიის მაგალითს, სადაც სამი სახელწიფო ენა მოწმედებს: გერმანული, ფრანგული და იტალიური. სამივე ენა ძლიერი კულტურული მემკვიდრეობის მქონეა. შესაბამისად, ამ ენების ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მოქცევა ბუნებრივი პროცესებით არის განპირობებული. საქართველოში კი, სადაც ქართველებთან ერთად სხვა მცირე ეთნიკური ჯგუფებიც ცხოვრობენ, თითეული ენისათვის სატიტულო ენის ფუნქციის მინიჭება გამოიწვედა ქაოსს. ამიტომაც მიაჩნდა, რომ საქმის წარმოება უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ენაზე. ასევე შეუძლებლად მიაჩნდა, ყოველი ერის წარმომადგენელს პარლამენტში საკუთარ მშობლიურ ენაზე ესაუბრა: "დეპუტატმა რომ გაგლანძღოთ, ვერაფერს გაიგებთ", _ აცხადებს გ. გვაზავა. ის ასევე არ ეთანხმებოდა სკოლებში ბიუჯეტის პროპორციულად გადანაწილების საკითხს. მისი აზრით, ბიუჯეტი თითოეული სკოლის საჭიროებების მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო.[314]

საგულისხმოა აკაკი ჩხენკელის მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან და პროექტთან დაკავშირებით. ის ფართოდ განიხილავს საკითხს და აღნიშნავს, რომ ის არა მხოლოდ უმცირესობებისათვის, პირველ რიგში, - უმრავლესობის ბედს

[312] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N181, ფ.122.

[313] ხვედელიანი, ანა. „ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლება 1918-1921," *SOVLAB საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,* http://archive.ge/ka/blog/96 (ნანახია 18.07.2022).

[314] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N181, ფ.126.

განსაზღვრავს ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში. ეროვნული იდეა არის ერთადერთი საფუძველი, რომელიც ძლიერი სახელმწიფოს გარანტად გვევლინება. თუ ეროვნული საფუძველი მორყეულია, იქ ვერც ეროვნულ უმცირესობებს შეემნებათ გარანტია, რომ დაცულები იქნებიან სახელმწიფოს მხრიდან. აკაკი ჩხენკელი არ იზიარებდა მოსაზრებას, რომ რომელიმე სხვა ქვეყნის მაგალითი შეგვიძლია გამოვიყენოთ, "რადგანაც არ არის ისტორიაში სათანადო ჩვენი დამაკმაყოფილებელი მაგალითები". ... მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ინტერესები მთელის სახელმწიფოსი და ნაწილის – ეროვნული უმცირესობისა. ერთის ბედნიერება მეორის ბედნიერებაა და ერთის უბედურება უბედურებაა მეორესთვის. ეს უნდა ჰქონდეს შეგნებული ყოველ უმცირესობას, რომ ადგილი არ ჰქონეს რაიმე გაუგებრობას და უნდობლობას."[315] აკაკი ჩხენკელი განცხადებით, უმცირესობების პოლიტიკური, სოციალური და ქონებრივი უფლებები შეუზრუდავია, ხოლო საჯარო უფლებრივი ორგანოების დაწესება მათ მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში უნდა ჰქონოდათ. რაც შეეხება ენის საკითხს, ეს პიროვნების თავისუფალი არჩევანია, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელად მიაჩნდა.[316]

საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 8 მაისის სხდომა კვლავ ენის საკითხს მიეძღვნა. აქ გამოვყოფთ ლევან ნათაძის მოსაზრებებს, სადაც ის დედა-ენის სწავლების არა ვალდებულებას, არამედ უფლებას უსვამს ხაზს და აცხადებს, რომ პედაგოგიკის ელემენტარული მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაწყებით სკოლებში სწავლების უფლება მხოლოდ დედა-ენაზე უნდა წარიმართოს. "ძველი რეჟიმის პოლიტიკა ამ უდიდეს პრინციპს ებრძოდა და ჩვენ კი ამ პოლიტიკას ვებრძოდით. სწავლა-განათლების საანბანო განმარტებაა, რომ პირვედაწყებით სკოლებში საგნების შესწავლა მაშინა რის ნაყოფიერი, თუ სწავლება დედა-ენაზე ხდება. სახელმწიფო ენის შესწავლა უნდა დაიწყოს შემდეგ საფეხურზე, უმაღლეს პირველდაწყებით

[315] იქვე.
[316] ხვედელიანი, ანა. „ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლება 1918-1921," *SOVLAB საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,* http://archive.ge/ka/blog/96 (ნანახია 18.07.2022).

სასწავლებლებში".[317] გარდა ამისა, სახელმწიფო ენის სწავლებაც სავალდებული იქნებოდა.

კონსტიტუციის მე-12 თავი "სწავლა-განათლება და სკოლა" ეძღვნება განათლების კონსტიტუციურ დონეზე დარეგულირების საკითხებს: 1) ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია: სახელმწოფოს მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას. 2) პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველ დაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა. 3) სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა. 4) სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობანი თავის შემოსავალის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად. 4) კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო კანონს.[318]

ეროვნულ უმცირეობათა უფლებანის შეფასებისა და ანალიზის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია კონსტიტუციის პროექტის მე-14 თავის განმარტებითი ბარათი. "კონსტიტუციის პროექტის მე-14 თავის დედა-აზრი არის ისევ ის, რომელიც სათავეში უდევს ამავე პროექტის მე-12 თავს, ("სწავლა-განათლება და სკოლა"). კულტურის გაძლიერება და კულტურული დონის ამაღლების ხელშეწყობა, მხოლოდ ეს იდეა მე_14 თავში შეფარდებულია საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ არა-ქართველ ერთა საჭიროებასთან".[319]

სახელწიფო მოხელეებს სწამდათ კულტურული მრავალფეროვნების იდეისა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში და მას საერთო სახალხო კუთვნილებად თვლიდნენ. "რამდენადაც უფრო მრავალფეროვანია მთელი სახელმწიფო კულტურა,

[317] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N181, ფ. 225.
[318] „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საქართველოს კონსტიტუცია" *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921*, (თბილისი: 1990) გვ. 476.
[319] სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N508, ფ.2.

იმდენად უფრო ღრმავდება და მძლავრდება კულტურა თვითოეული ერისა”.[320] შესაბამისად, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა, ეთნიკური და ეროვნული უმცირესობების კულტურული წინსვლა, პირველ რიგში, ქართველი მოსახლეობის კულტურულ განვითარებასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, არა ქართველი მოსახლეობის ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს, როგორც ეროვნული სახელმწიფოს მოსახლეობის უმეტესობას ქართველობა წარმოადგენს. ეს არის ნაციონალური, ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების საფუძვლები.[321]

განმარტებით ბარათზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული ნაციონალური პროექტი 1918-1921 წლებში, ქართველი და სხვა ერების ნაციონალური და ეთნიკური თვითგამორკვევის პროცესში კულტურას, განათლებას, დედა-ენას, თვითმმართველობების განვითარებას, ეროვნული კავშირების დაარსებას, კულტურულ ავტონომიას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას ანიჭებს უპირატესობას. ეს ბარათი შესაძლებელია მივიჩნიოთ ქვეყნის მოწყობა-განვითარების პატარა მოდელად. რაც მთავარია, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული კულტურული ნაციონალიზმის ბუნებრივი გაგრძლება 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობაა და კულტურული ნაციონალიზმიდან ერი-სახელმწიფოს ფორმირებისაკენ მიმართული ეტაპია. საქართველოს, როგორც ერი-სახელმწიფოს კონცეფცია თანმიდევრულად იქნა გატარებული 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს. გათვალისწინებული იყო ყველა ის გარემოება, როდესაც დემოკრატიულ რესპუბლიკას მთელი სამი წლის მანძილზე, უწევდა ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ეროვნულ უმცირესობათა საკითხის აქტუალიზაცია უდიდეს სახელმწიფოებრივ ინტერესად იქნა მიჩნეული. [322]

---

[320] იქვე.
[321] სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N181, ფ.121.
[322] ხვედელიანი, ანა. „ეთნიკურ უმცირესობათა განათლების უფლება 1918-1921,“ *SOVLAB საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,* http://archive.ge/ka/blog/96 (ნანახია 18.07.2022).

საბოლოო ჯამში, ამგვარი სახის მსჯელობები დაედო საფუძვლად 1921 წლის კონსტიტუციის მე-14 თავს, ეროვნული უმცირესობების უფლებებს, რომელიც ცხრა მუხლისგან შედგება. აქედან ექვსი მუხლი ეთმობა მათ კულტურულ, საგანმანათლებლო, ენობრივი არჩევანისა და ადგილობრივი სათემო, საერობო და საქალაქო გაერთიანებების უფლებებს. კერძოდ: 1) არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე. 2) ეროვნულ უმცირესობებისგან შემდგარი ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულების (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დაარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარლგებში. ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით. ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსური საშვალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა. 3) ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დაარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებისა მოალაქეთა ეროვნული შემადგენლობის პროპორციის მიხედვით. 4) ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე. 5) ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში, სადაც რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედაენაზეც. 6) არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომელიც სწორ

თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს. დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი. [323]

[323] „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საქართველოს კონსტიტუცია“ *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921*, (თბილისი: 1990) გვ. 480.

დასკვნა

ჩვენ შევისწავლეთ და გავაანალიზეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო რეფორმის მიმდინარეობა 1918-1921 წლებში. ასევე, დავაკვირდით და გამოვყავით ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ნაციონალური იდენტობის ფორმირების თავისებურები განათლების პოლიტიკის მიხედვით, 1918-1921 წლებში. ჩვენი კვლევის მიზანსაც სწორედ ამ თავისებურებების გარკვევა წარმოადგენდა და დავსახეთ ჰიპოთეზა, რომ 1918-1921 წლებში, ნაციონალური იდენტობის განსაზღვრისათვის კვლავ მნიშვნელოვანია მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაწყებულ კულტურული ნაციონალიზმი. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი, ნაციონალური იდენტობის ფორმირება გადადის კულტურულიდან სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირებისაკენ მიმართულ პროცესებზე, რაც აისახება სამოქალაქო ნაციონალიზმის საწყისი ნიშნების გამოვლინებით. კვლევის მიხედვით, დადგინდა ჰიპოთეზის მართებულობა: 1918-1921 წლების ნაციონალური იდენტობის მარკერები ორი მიმართულებით ვლინდება და მას ცალსახად მონოლითური სახე არ გააჩნია. ეს პროცესი ასახულია საგანმანათლებლო პოლიტიკაში.

კვლევის მიმართულების განსაზღვრისათვის, თეორიულ საფუძვლებად შევარჩიეთ ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიების ის ასპექტები, რომლებიც ერის/ნაციის ფორმირების პროცესში პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ მარკერებს, დასავლური სამოქალაქო ნაციონალიზმის მნიშვნელობას ანიჭებენ უპირატესობას. ამ თვალსაზრისით, გამოვიყენეთ ერნესტ გელნერის, ენტონი დ. სმითის, ჯონ ბრილის და მიროსლავ ჰროშის თეორიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ერის ფორმირება, მისი ერი-სახელმწიფოდ ჩამოყალიბება მთელ რიგ კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებს გადის, რადგან სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული უფლებების თვითგამორკვევა საბოლოო ჯამში პოლიტიკურ აქტად ტრანსფორმირდება.

იმისათვის, რომ გაგვერკვია ქართული სახელმწიფოს შექმნის წინა პირობები, საჭირო გახდა 1918 წლამდე გამოქვეყნებული წერილებისა და შეხედულებების ანალიზი, რომელთა ავტორებიც ცალსახად აცხადებენ, - ერმა პოლიტიკური

ავტონომია უნდა მოიპოვოს და მას ესაჭიერობა კარგად განვითარებული სამოქალაქო ცნობიერება, მრეწველობა, ეკონომიკა. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ხალხის ანუ კლასის ინტერესებთან უნდა იყოს შეფარდებული. ეს მოსაზრება შესაბამისობაში მოდის ნაციონალიზმის თეორიების მთავარ არსთან: ნაციონალიზმის პოლიტიკური ტრანსფორმაცია მოდერნული სახელმწიფოს ფორმირების მიზეზია და უპირატესობას ანიჭებს ნაციონალიზმის პოლიტიკურ ბუნებას. მხოლოდ ცალკეულ ელემენტებზე ფოკუსირება კი, როგორიც არის კულტურა, იდეოლოგია, კულტურული იდენტობა და ა.შ. ნაციონალიზმის პოლიტიკური არსის უგულვებელყოფად არის მიჩნეული. ამ მოსაზრებას თუ განვაზოგადებთ საქართველოს მაგალითზე, დავინახავთ, რომ ქართული პოლიტიკური ელიტის ორიენტირი ეროვნული კულტურის, კულტურული ნაციონალიზმის განვითარებაზე განპირობებული უნდა ყოფილიყო ქართული სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი გარემოსთან საერთო კონტექსტების ძიებით. პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხის მკაფიოდ დასმა კი ქართული ნაციონალიზმის პოლიტიკურ ტრანსფორმაციას, მის პოლიტიკურ რელსებზე გადაყვანას მოითხოვდა. სწორედ ამგვარი მიდგომა გახდა იმ საერთო იდეოლოგიის საფუძველი, რომელსაც დაემყარა 1918 წელს 26 მაისს გამოცხადებული პირველი რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკა სხვადასხვა დარგებში, მათ შორის, განათლების სფეროშიც.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა 1918 წლამდე ქართული საგანმანათლებლო კონცეფციაზე მუშაობის ასახვის აუცილებლობა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ის ობიექტური რეალობა, რამაც შეამზადა ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის განსაზღვრის საფუძვლები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. ერთი მხრივ, ეს დაკავშირებული იყო ეროვნული სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის ფორმირების იდეებთან დიმიტრი უზნაძის თაოსნობით. მეორე მხრივ, კი _ უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის დაარსების აუცილებლობასთან ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

ემპირიული მასალა დავყავით თვისებრივი ნიშნით: შევარჩიეთ მხოლოდ ის საგაზეთო სტატიები, რომლებიც განათლების ირგვლივ გამართულ დისკუსიებს ასახავენ. ამავე მიზნით, გამოვიყენეთ სამთავრობო ოფიციალური დოკუმენტები და

ჩანაწერები. მუშაობის პროცესში, მნიშვნელოვანი იყო იმ გარემოების გათვალისწინება, რომ ემპირიული მასალა ასახავს როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციური ფრთის მოსაზრებებს აღნიშულ საკითხებთან დაკავშირებით. სამთავრობო და ოპოზიციურ ნარატივში მსგავსებებისა და განსხვავებების ძიება კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ამოცანაა. როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციური მედია თანხმდება იმ გარემოებაზე, რომ ქართული პედაგოგიური ტრადიციის უქონლობა და რუსული მემკვიდრეობა შემაფერხებელი ფაქტორია გამართული საგანმანათლებლო სისტემის დანერგვისათვის. სწავლების დეცენტრალიზაცია და ევროპული გამოცდილების ქართულ რეალობაზე მორგება კი მთელი სამთავრობო და ოპოზიციური სპექტრის უპირველესი მიზანია. როგორც სამთავრობო, ისე ოპოზიციური ელიტა თანხმდება, რომ სკოლა სახელმწიფოს გამაჯანსაღებელი ინსტრუმენტია და მთავარი ბერკეტი მისი დემოკრატიული ფუნქციონირებისათვის. პოლიტიკურმა პროცესებმა საფუძველი დაუდო ერების თვითგამორკვევის პროცესს. ამ პროცესში კი საქართველო სრულიად პოლიტიკური მეტამორფოზით წარსდგა, - მან მოიპოვა დამოუკიდებლობა და დაამყარა დემოკრატიული წყობილება, რომლის მთავარ ბირთვს ხალხი წარმოადგენს. ხალხს კი პოლიტიკური და კულტურული ერთობა აერთიანებს. სკოლის დემოკრატიზაცია, საერთო კულტურული აღმავლობა, თავისუფალი ერთიანი სკოლის პრინციპების ცხოვრებაში დამკვიდრება, საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება არის ის საკითხები, რომელიც სტატიების ავტორებს ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ხელისშემწყობ ფაქტორებად მიაჩნიათ: ერთი მხრივ, ისინი აღწერენ საგანმანათლებლო რეფორმის პრაქტიკულ მხარეებს პედაგოგიკის თეორიის ძირითად პრობლემათა გადაწყვეტის გზებთან ერთად. მეორე მხრივ, თითოეული ამგვარი პრაქტიკული დისკუსიის მიღმა, შრეობრივად იშლება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების, საგანმანათლებლო პოლიტიკაში ევროპეიზმის იდეებთან ერთად ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლების, კულტურულიდან სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩანასახებზე გადასვლის ელემენტები. სამოქალაქო ნაციონალიზმზე დაფუძნებული ეროვნული სახელმწიფო მოითხოვდა თითოეული ამ საკითხის ჯეროვნად გადაწყვეტას მოითხოვდა.

კვლევის პირველ ეტაპზე დადგინდა, რომ ერის კულტურული თვითიდენტიფიცირებისას, როგორც სამთავრობო, ისე ოპოზიციური ფრთის მოსაზრება შემდეგ მარკერებს - ქართული ენის, საქართველოს ისტორიის შესწავლის და ეროვნული კულტურის განვითარების საკითხებს ეფუძნება. თუმცა, კვლევიდან დგინდება, რომ კულტურულთან ერთად, მშობლიური ენა ქვეყნის პოლიტიკური ლეგიტიმაციის ნიშანიც არის. ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება, ნაციონალიზაციის პროცესი, მისი ინსტიტუციონალიზაცია და კონსტიტუციურად განმკიცება ადასტურებს მშობლიური ენის, მისი როგორც პოლიტიკური მნიშვნელობის ხაზგასმას ქვეყნის განვითარების ისტორიაში. აქვე აღვნიშნავთ, თვალსაჩინო განსხვავებას მე-19 საუკუნეში, თერგდალეულების მიერ გატარებულ ქართული ენის რეფორმასა და დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას შორის: მე-19 საუკუნეში პოლიტიკური თვითმოქმედების უქონლობამ ენის, როგორც კულტურული მარკერის გამოკვეთა დასახა მიზნად. ამ პროცესის მნიშვნელობამ შედეგი 1918-1921 წლებში გამოიღო, რომელიც ქართული ენის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებით გამოიხატა. ერთი მხრივ, ეს ერთგვარი განმტკიცებაა პოლიტიკური დამოუკიდებლობის და სახელმწიფო აპარატების ლიგიტიმაციისა მისთვის დაწესებულ საზღვრებში. ასევე დადასტურება იმ ფაქტის, რომ თერგდალეულების მიერ დაწყებული კულტურული ნაციონალიზმი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდში, სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის ეტაპად ფორმირდება. სამოქალაქო ნაციონალიზმზე დაფუძნებული ეროვნული სახელწიფო კი ეროვნული იდენტობის გამომხატველ კულტურულ მარკერებს დემოკრატიული მოდელის ფარგლებში აქცევს.

საღვთო სჯულის სწავლების გაუქმება, მოქალაქე-ჯარისკაცის იდეა ქართულ ჯარში და ეროვნულ უმცირესობათა განათლების საკითხები კვლევის ის შემდგომი ეტაპებია, სადაც სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირების საწყისები უნდა ვეძებოთ. სამივე მათგანი 1918-1921 წლები სახელმწიფო საგანმანათლებო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები არ უარყოფდნენ ეკლესიის და მართლმადიდებლური სარწმუნოების მნიშვნელოვან როლს საქართველოს ისტორიაში. მათ კარგად უწყოდნენ, რომ ეკლესიის გარშემო იყრიდა

თავს სახელმწიფოებრივი აზროვნების ენერგია. ის იყო ერის გამაერთიანებელი, მისი კულტურული, ისტორიული ცნობიერების შემნახველი. ასევე, ეკლესია საუკუნეების მანძილზე იცავდა ქვეყნის პოლიტიკურ ერთიანობას. თუმცა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების საკითხი სასწავლო დაწესებულებებში. ამ პროცესს ცხარე დებატების გარეშე არ ჩაუვლია. თუმცა, ჩვენს მიერ განხილული ემპირიული მასალის მიხედვით, დასტურდება, სახელმწიფო ამოდიოდა მოქალაქეობის პოსტულატიდან, რომლის მიხედვითაც რელიგიურმა სხვაობამ ან რომელიმე რელიგიის უპირატესობამ არ შეიძლება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი შეაფერხოს. რადგანაც სხვა აღმსარებლობის მქონე საქართველოს მოქალაქეების მიზანიც, ერთიანი ეროვნულ-პოლიტიკური ერთობის მშენებლობაა. ამავე მოსაზრებას იზიარებს სხვადახვა სასულიერო პირი და ხაზს უსვამდა სახელმწიფოს და კანონის უზენაესობას, რაც დასტურდება კვლევაში გამოყენებული ცალკეული ემპირიული მასალის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად სენსიტიური განწყობებისა, რომელსაც რელიგიის საკითხი იწვევდა, სასულიერო და სამოქალაქო საზოგადოება თანხმდებოდა ერთ მარტივ ჭეშმარიტებაზე, _ სეკულარული სახელმწიფოს მშენებლობის იდეა არ ზღუდავს რომელიმე აღმსარებლობის უფლებებს. რომელიმე რელიგიისადმი უპირატესობის მინიჭება ვერც პედაგოგიურად იქნებოდა გამართლებული სეკულარულ პრინციპებზე დაფუძებული საგანმანათლებლო სისტემისათვის, რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეფუძნებოდა სეკულარულიზმის პრინციპებს. მოდერნული ერი-სახელმწიფოს მშენებლობის იდეა დიდი ხანია განსხვავდებოდა ფეოდალური და ეკლესიის გავლენების მქონე პრიმატისგან. სეკულარიზმი, დემოკრატიული ქვეყნის პრინციპები, ერთიანი სამართლებრივი სახელმწიფოს და სამოქალაქო ცნობიერების იდეა მოითხოვდა ეკლესიის მხრიდან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაურევლობას. თავის მხრივ, არც სახელმწიფოს ჰქონდა გადაჭარბებული უფლებამოსილება ჩარეულიყო საუკუნოვანი ინსტიტუციის საქმიანობაში. მაგრამ, დემოკრატიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, თვლიდა, რომ რომელიმე სარწმუნოებისათვის უპირატესობის მინიჭება სხვა სარწმუნოების ხელოვნურად დაჩაგვრა იქნებოდა, რადგანაც „ეკლესია თავისუფალი,

დამოუკიდებელი კავშირია მორწმუნეთა შორის და სახელმწიფო მათ რწმენის საგანში არ ერევა".

სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეა გრძელდება ქართული ჯარის ჩამოყალიბების ეტაპზეც. ქართული სახელმწიფო ზრუნავდა ჯარისკაცთა უწყვეტ განათლებაზე, ზრდიდა მათ მათ სამოქალაქო ცოდნას, ქართული სისტემა მილიტარიზმის სამოქალაქო ხასიათს ადასტურებდა და ჯარისკაცთა შორის დემოკრატიული პრინციპები ფართოდ ინერგებოდა. ქართული მილიტარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას სამოქალაქო შინაარსი ჰქონდა და ეფუძნებოდა მოქალაქე – ჯარისკაცის იდეას. გარდა კულუტურულ-საგანმანათელებლო მიმართულებისა, მნიშვნელოვანი იყო ჯარისკაცის მოქალაქეობრივი თვითშეგნების განვითარება. სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება პირდაპირ იყო დაკავშირებული მის ეროვნულ ცნობიერებასთან: საკუთარი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის ცოდნა, მისი პოლიტიკური და სოციალური პერსპექტივების გააზრება, განსხვავებების ძიება თანამედროვე და წარსულ სახელმწიფო წყობილებებს შორის, ასევე ისტორიული გმირებისა თუ თანამედროვე, გამოჩენილ მოღვაწეთა ღვაწლის შესწავლა, - მიზნად ისახავდა განათლებული მოქალაქე-ჯარისკაცის ჩამოყალიბებას. ეს ადასტურებს კიდევ ერთი სახელმწიფო ინსტიტუციის მოდერნიზებას, რაც დასავლური სამოქალაქო მოდელის მიხედვით, სახელმწიფოს განმტკიცების ერთ-ერთი განმაპირობებლი ფაქტორია.

1918-1921 წლები სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ნიშნად ეროვნულ უმცირესობათა განათლების საკითხი მიგვაჩნია. საკონსტიტუციო კომიის მუშაობა ადასტურებს, რომ ეროვნულ უმცირესობებს არ ეზღუდებოდათ განათლების, ენის, თავისუფალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უფლებები, განსაკუთრებით კი მათსავე დედა-ენაზე სწავლა-აღზრდა და ნაციონალურ-კულტურული საქმეების წარმოების უფლებამოსილება. ეროვნულ-უმცირესობათა უფლებების განსაზღვრისასა, ქვეყნის პოლიტიკური ელიტა ღიად ადასტურებდა ეროვნული სახელმწიოფოს განვითარების იდეას, რომლის მიხედავითაც ეროვნული ნიშნით განსხვავების ძიება დამანგრეველი იქნებოდა თავად იდეისათვის. სახელწიფო მოხელეებს სწამდათ კულტურული მრავალფეროვნების ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში და მას საერთო სახალხო

კუთვნილებად თვლიდნენ. ქართული ნაციონალური პროექტი 1918-1921 წლებში, ქართველი და სხვა ერების ნაციონალური და ეთნიკური თვითგამორკვევის პროცესში კულტურას, განათლებას, დედა-ენას, თვითმმართველობების განვითარებას, ეროვნული კავშირების დაარსებას, კულტურულ ავტონომიას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას ანიჭებს უპირატესობას. ეს შესაძლებელია მივიჩნიოთ ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ მოდელად.

1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკა თავის თავში აერთიანებს, როგორც ქვეყნის ნაციონალური იდენტობის განსაზღვრელ კულტურულ ფაქტორებს, - ენას, ისტორიას, კულტურას; ასევე, სამოქალაქო ნაციონალიზმის მარკერებს, როგორებიცაა - სეკულარიზმის და სამოქალაქო ცნობიერების განსაზღვრელი ნიშნები. ორივე მათგანის ერთობლიობა ამყარებს კვლევის ჰიპოთეზის მართებულობას: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ზოგადი სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის განუყოფელი ნაწილსაც საგანმანათლებლო პოლიტიკა წარმოადგენს, მიუთითებს, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხედვა საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვისა და მისი აღსრულების პირობებში, სწორედ ერის პოლიტიკური და კულტურული ხასიათის ერთობას ქმნის. ის კულუტურულ ასპექტებთან ერთად, თავის თავში აერთიანებს მოქალაქის, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ლეგიტიმაციას ერის/ნაციის თავისთავადობის, მისი ნაციონალური იდენტობის განსაზღვრისათვის.

ბიბლიოგრაფია:

სამეცნიერო ლიტერატურა:

1) ანდერსონი, ბ. *წარმოსახვითი საზოგადოებანი.* (თბილისი: ენა და კულტურა, 2003).

2) ავალიშვილი, ზ. *საქართველოს დამოუკიდებლობა.* (ტფილისი: 1925).

3) ასათიანი, გ. *სათავეებთან.* ტ.2, (თბილისი: ნეოსტუდია, 2019)

4) აფრასიძე, დ. „სახელმწიფოსა და ერის ფორმირება თანამედროვე საქართველოში: დაუსრულებელი პროექტი?“ *ქართველი ერის დაბადება* (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009).

5) ბარნოვი, ვ. *ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები.* რვეული I, (ტფილისი: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა N177, სტამბა“ სახალხო საქმე“, 1919).

6) ბენდიანიშვილი, ა. *საქართველოს პირველი რესპუბლიკა,* (თბილისი: მემატიანე, 2001).

7) გავაშელიშვილი, ა. *საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა (1918-1921),* (თბილისი: 2004).

8) გაიპარაშვილი, ზ. *“პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში”,* რედ. გაიპარაშვილი,ზ. ავტორ-შემდგენლები: ირემაძე, ი., ჭანტურიძე,ს. (თბილისი: 2017).

9) გელნერი, ე. *ერები და ნაციონალიზმი* (თბილისი: ნეკერი, 2003).

10) გიორგაძე, გ. *საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლიუციამდე (1864-1905)* (თბილისი: სახელგამი, 1928).

11) გორგაძე, ს.რ. *ჩვენი ხალხური პოეზია. პარალელები ახალი ქართული მწერლობიდან (საშუალო სკოლის პირველი კურსი),* (ქუთაისი:1920 წელი).

12) დავითაშვილი, ზ. *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია,* (თბილისი: მეცნიერება, 2003).

13) ვადაჭკორია, შ. *საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე),* წიგნი I (თბილისი: მემატიანე,2003).

14) ვარდოსანიძე, ს. *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წწ.),* (თბილისი: 2014).

15) ვარდოსანიძე, ს. „სეკულარიზმის ეკლესიური და საერო გაგება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)“, *ახალი ეპოქის დასაწყისი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)* (თბილისი: 2018).

16) ვაშაკიძე, რ. *საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა 1917-1918 წლების ქართულ პრესაში "საქართველო", "სახალხო საქმე", "ალიონი", "ერთობა",* დისერტაცია. (თბილისი: თსუ, 2009).

17) ვოიტინსკი, ვ. *ქართული დემოკრატია La démocratie Géorgienne* (თბილისი: თსუ, 2018).

18) კალანდაძე, მ. „დიმიტრი უზნაძე, როგორც ისტორიკოსი“, *ანალები* (თბილისი: 2013, N9), გვ. 87-118.

19) კიკნაძე, ზ. „ილიას მამული,“ *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე* (თბილისი: არეტე, 2005).

20) კაუცკი, კ. *საქართველო გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა შტაბეჭდილებანი და დაკვირვებანი* (თბილისი: თსუ, 2018).

21) ლეკიშვილი, ს. „ილია ჭავჭავაძე - ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლე“ *მნათობი,* N10 (თბილისი:1988).

22) ლი, ერიკ. *ექსპერიმენტი საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921* (თბილისი: Poezia Press, 2018).

23) ლორთქიფანიძე, გ. *ფიქრები საქართველოზე,* (თბილისი: 1995).

24) ნოდია, გ. „ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი,“ *ქართველი ერის დაბადება* (თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009).

25) მაცაბერიძე, მ. *ერი-სახელმწიფოს კონცეფცია და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია* (თბილისი: 2015).

26) მეტრეველი, რ. „ქართული უნივერსიტეტის საკითხი,“ *ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. IV.* (თბილისი: ქართული უნივერსიტეტი, 2015).

27) პაპუაშვილი, გ. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან,“ *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია* (ბათუმი: 2013).

28) ჟორდანია, ნოე. „ნაციონალური კითხვა ჩვენში“, *მისი ნაწერების კრებული ეროვნული საკითხების შესახებ* (ტფილისი: გამოც. რუს. კომუნ. პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა, 1922).

29) ჟორდანია, ნ. *ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი* (ქუთაისი: ელემქტრომბეჭდავი ი. კილაძისა, 1908).

30) ჟორდანია, ნ. *რჩეული ნაწერები* (თბილისი: 1990).

31) საყვარელიძე, გ. *მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა 1918-1921* (თბილისი: 1992).

32) სილაქაძე, დ. „საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ფორმირების შემაფერხებელი ფაქტორები“, *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისათვის?* (თბილისი: 2018).

33) სმითი, ე.დ. *ნაციონალიზმი, იდეოლოგია, ისტორია* (თბილისი: არტანუჯი, 2004).

34) სმითი, ე.დ. *ნაციონალური იდენტობა* (თბილისი: ლოგოს პრესი, 2008).

35) სონღულაშვილი, ნ. *საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)* (თბილისი: უნივერსალი, 2021).

36) *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი* სარედაქციო ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ., გამომცემელი ლაშა ბერაია (თბილისი: ლოგოს პრესი, 2004).

37) სურგულაძე, პ. *ეროვნული ენა* (ტფილისი: “ცისკარის” გამოცემა, N2, 1905).

38) სურგულაძე, პ. *საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო* (სტამბოლი: ქართველთა ეროვნული კომიტეტის გამოცემა N21, კათოლიკე ქართველთა სავანის სტ. 1918).

39) უზნაძე, დ. *პედაგოგიური თხზულებანი* (თბილისი: 2005).

40) ქაზემზადე, ფ. *ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921*, (თბილისი: Poezia Press, 2020).

41) ჭოხონელიძე, გ. *ფსევდონიმების ლექსიკონი,* (თბილისი: 2016).

42) ჭუმბურიძე, დ. *განათლება 1918-1921 წლებში* (თბილისი: 2002)

43) წულაძე, ლ. *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები* (თბილისი, 2020).

44) ჯავახიშვილი, ი. „უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ," *ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის*, რედ. მ. მაცაბერიძე, შემდგ. დ. სართანია (თბილისი: თსუ, 2018)

45) ჯანელიძე, ო. *ივანე ჯავახიშვილი (მივიწყებული ფურცლები)* (თბილისი: 1996).

46) ჯანელიძე, ო. „განათლებისა და კულტურის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში", *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები,* XI (თბილისი: 2002).

47) ჯანელიძე, ო. *ნარკვევები საქათველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან* (თბილისი: მეცნიერება, 2002).

48) ჯანელიძე, ო. *საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია* (თბილისი: 2009).

49) ჯანელიძე, ო. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები* (თბილისი: 2018).

50) ჯონსი, ს. *სოციალიზმი ქართულ ფერებში სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917* (თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი, 2007).

51) ჯორბენაძე, ს. *ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა* (თბილისი: 1984).

52) ჰეჩტერი, მ. *ნაციონალიზმის შეჩერება* (თბილისი: „CSS სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი", 2007).

53) ჰობსბაუმი, ე. *ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან*, (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012).

54) Barrington, W.L. Nationalism and Independence, After Independence: Making and Protection the Nation in Postcolonial and Postcommunist States, (The University of Michigan Press, 2006).

55) Berger, Stefan. "The Comparative History of National Historiographies in Europe: Some Methodological Reflections and Preliminary Results". *Nations and their Histories. Constuctions and Representations*. Ed. by Susana Carvalho and Francois Gemenne. Palgrave Macmillan, 2009

56) Breuilliy, J. *Nationalism and the State* (Manchester University Press, 1993).

57) Breuilliy, J. "Nationalism and the Making of National Pasts", *Nations and their Histories Constructions and Representations.* Ed. by Susana Carvalho and Francois Gemenne. Palgrave Macmillan, 2009, p. 7-16.

58) Greenfeld, L. *Nationalism, Five Roads to Modernity* (Harvard University Press, 1992).

59) Hroch, M. *Social Preconditions of National Revival in Europe* (Cambridge University Press, 1985).

60) Matsaberidze, Malkhaz. "The Democratic Republic of Georgia (1918–1921) and the Search for the Georgian Model of Democracy", *Making of Modern Georgia, 1918–2012*. (Ed. Stephen F. Jones. Routledge, London and New York, 2014), pp.141-161.

61) Readings, B. *The University in Ruins* (Harvard University Press, 1996).

62) Rüegg, W. A *History of the University in the Europe* (Cambridge University Press, 2004).

63) Suny, G.R. *The Making of the Georgian Nation* (Indiana University Press, 1994)

წყაროები

1. საარქივო მასალები

ა) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრო, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი N1935, ანაწერი NI.

სცსსა, ფონდი N1935. ანაწერი N1, საქმე N1. ფ.17.

სცსსა, ფონდი N 1935. ანაწერი N1, საქმე N11. ფ.1. ფ.5.

სცსსა, ფონდი N1935 ანაწერი N1, საქმე N27, ფ.26.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N3, ფ.3-4.

სცსსა, ფონდი N 1935, ანაწერი N1, საქმე N3, ფ.24-24ა.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N3, ფ.25-26.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N58, ფ. 10.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N60, ფ. 40-41.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N138, ფ.2.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N138, ფ.17.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N153, ფ.4.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N184(1), ფ. 1-2.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N184(1), ფ.9.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N211, ფ.32-33.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N238, ფ.3.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N238, ფ. 21-22.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N238, ფ. 25.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N238, ფ. 26.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N244, ფ.1-3.

სცსაა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N246, ფ.3-3ა.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N455, ფ.1.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N455, ფ.7.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N455, ფ.54.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N508. ფ.2.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N508, ფ.2ა.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N518, ფ.2-3.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N518. ფ.2-8.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N531, ფ.26.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N531, ფ.25-27.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N531, ფ.28.

სცსაა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N531, ფ.30-31.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N531, ფ.32.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N664, ფ.41-44.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N664, ფ. 42-43

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N664, ფ. 43ა.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N664, ფ.45-46.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N664, ფ.47-48.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N664, ფ.49.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N933, ფ.3.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N 977, ფ.1.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N1000, ფ. 1-2-3.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N1162, ფ.1.

სცსსა, ფონდი N1 1935, ანაწერი N1, საქმე N1166, ფ. 1,2,3,5.

სცსსა, ფონდი N1935, ანაწერი N1, საქმე N1935, ფ.6.

ბ) **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი N1833, ანაწერი N1.**

სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N181, ფ.121.

სცსსა, ფონდი N1833. ანაწერი N1, საქმე N181, ფ.225.

სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N265, ფ.250.

სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N272, ფ.2

სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N1072, ფ.4.

სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N1072, ფ.14.

სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N1072, ფ.20.

სცსსა, ფონდი N1833, ანაწერი N1, საქმე N1072, ფ. 21-23-24.

გ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი #1836

სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N18, ფ.97.

სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N47, ფ.10

სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N118, ფ.104.

სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N256, ფ.2.

სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N256, ფ.13.

სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N258, ფ.12.

სცსსა, ფონდი N1836, ანაწერი N1, საქმე N261, ფ.3.

დ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი #1969, ანაწერი #4.

სცსსა, ფონდი N1969, ანაწერი N4, საქმე N15, ფ.10-20.

ე) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შტაბი, ცენტრლური საისტორიო არქივი, ფონდი N1970, ანაწერი N3.

სცსსა, ფონდი N1970, ანაწერი N3, საქმე N21, ფ.3.

2. გაზეთები

დროება, 1880, N16, N17, N40

ერთობა, 1917, N204.

ერთობა, 1918 , N22, N118, N123, N230, N255.

ერთობა, 1919, N80.

ერთობა, 1920 , N121, N143, N155, N124, N246.

ივერია, 1890 , N217

საქართველო, 1915, N1

საქართველო, 1917, N104, N216, N268.

საქართველო, 1918, N102, N143, N157, N163, N165,N169, N179, N184, N208.

საქართველო, 1919 , N21, N75, N77, N78, N79, N81, N83, N96, N113, N114, N118.

საქართველო, 1920 , N9, N62, N63, N118, N138, N170.

საქართველოს რესპუბლიკა, 1918 , N1, N21, N22, N13, N97, N110.

საქართველოს რესპუბლიკა, 1919, N28, N31, N32, N33, N173, N231, N233, N234, N272, N273.

საქართველოს რესპუბლიკა, 1920 , N44, N48, N52, N55, N68, N78, N79, N145, N159.

სახალხო ფურცელი, 1917, N 878.

ჩვენი ქვეყანა, 1917 , N51.

3. ჟურნალები

განათლება, 1917, N2, N4, N5; 1918, N1; 1919 N1; 1920, N3, N4, N5.

რესპუბლიკის ჯარი, 1918, N1, N3, N4; 1919, N9, N13,

სახალხო გვარდიელი, 1921, N2.

4. ოფიციალური დოკუმენტები:

ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიში, 1918 წ. 4 ოქტომბერი, 44-ე სხდომა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ დამატება, N35, 1918წ. 4 ოქტომბერი, 44-3 სხდომა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბილისი, 1990

5. ელექტრონული რესურსები

ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტ.6. ნაკვ.1. - თბ., 1969.გვ.650., http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=2&id_srch=bbfc0b1d75807ddc53be8443dcfbc61d&il=en&p=1

ხვედელიანი, ანა. „ეროვნულ უმცირესობების განათლების უფლება 1918-1921“. *SOVLAB საბჭოთა წარსული კვლევის ლაბორატორია,* http://archive.ge/ka/blog/96 (ნანახია 18.07.2022)

ხვედელიანი, ანა. „სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების მექანიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. *სპეკალი,* თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ბილინგვური ჟურნალი, 2020, N14, http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/247 (ნანახია 18.07.2022).